

საქართველოს მენიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქოვაძეს სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## მანანა ბუკია

მეცხენეობისა და ცხენოსნობის  
ლექსიკა ზანურში

2006  
თბილისი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

მანანა ბუკია

მეცხენეობისა და ცხენოსნობის  
ლექსიკა ზანურში

2006  
თბილისი

**რედაქტორი თეიმურაზ გვანცელაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

**რეცენზენტები: ავთანდილ არაბული.**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

**ოთარ მიქიაშვილი,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ISBN 99940-65-31-1

## შესავალი

მეცხენეობას ოდითგანვე გამორჩეული ადგილი ეჭირა მეგრელთა ცხოვრებაში. ზეპირსიტყვიერებაში, ძველი ისტორიკოსების, მოგზაურების ცნობებში, ეთნოგრაფიული ხასიათის თხზულებებში საინტერესო მასალაა დაცული. მართალია, ზოგიერთი მათგანი რამდენადმე ტენდენციურია, მაგრამ გამოკვეთილად ჩანს მეგრელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ცხენის და მეცხენეობის მიმართ.

დარგის განვითარებამ განაპირობა მეგრულ დიალექტში მეცხენეობასთან დაკავშირებული ლექსიკის მრავალფეროვნება. უნდა აღინიშნოს, რომ მესაქონლეობის ტერმინოლოგიაში ყველაზე მრავალრიცხოვნად სწორედ ეს ჯგუფია წარმოდგენილი.

სადღეისოდ ტექნიკური პროგრესისა და საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლის გამო ცხენმა დაკარგა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა. ამიტომ ამჟამად მეცხენეობის მრავალი წესი, ჩვეულება, რიტუალი დავიწყებულია. შესაბამისად დაკარგულია, ან სემანტიკურად გაბუნდოვანებულია ამ დარგთან დაკავშირებული ბევრი ლექსიკური ერთეული.

მეგრული ლექსიკის ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ა. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, პ. ჭარაია, ი.

ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ე. ლომთათიძე, გ. როგავა, ტ. გუდავა, გ. კლიმოვი, კ. დანელია... და მაინც მეგრული დიალექტის ლექსიკა დარგების მიხედვით ჯერჯერობით მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას სამეგრელოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი სამეურნეო დარგის, მეცხენეობის ლექსიკის შესწავლისა ლექსიკოლოგიურ-სემანტიკურ, ეტიმოლოგიურ და ისტორიულ-შედარებით ასპექტში.

ნაშრომში გაანალიზებულია მეგრულის ლექსიკონებში (ი. ყიფშიძე, პ. ჭარაია, გ. ელიავა), ეთნოგრაფიულ წყაროებში (ა. ლამბერტი, ჟ. შარდენი, თ. სახოკია, ი. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია...), ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში შემონახული ლექსიკური ერთეულები, აგრეთვე ჩვენ მიერ საველე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალა.

ამ მასალის შეჯერებამ გვაჩვენა, რომ მეცხენეობის ლექსიკის ბევრი ერთეული ვერ აისახა ლექსიკონებში მათი სპეციფიკურობისა და ენაში რეალიზაციის შეზღუდული ხასიათის გამო. უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. ჭარაიასა და ი. ყიფშიძის ლექსიკონები, თ. სახოკიას, ს. მაკალათიასა და ი. ჯავახიშვილისეული მასალები დიდი ხნის წინაა შედგენილი. ამ ხნის განმავლობაში ცოცხალი მეტყველებიდან გაქრა ბევრი ტერმინი, ბევრს კი მკვეთრად შეეცვალა სემანტიკა. ფაქტობრივად ჩვენ თვალწინ იკარგება მეგრული დიალექტის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგობრივი ლექსიკა, სადაც ძალზე საინტერესოდ არის წარმოდგენილი უმწერლობო ენის დიალექტური ლექსიკის განვითარების გზები, სიტყვათა ტერმინოლოგიზაცია, საგანთა სიტყვიერი მარკირების პროცესები, აგრეთვე ცნებათა

გადმოცემის მორფოლოგიური საშუალებები. ამასთანავე მეგრულის დარგობრივი ლექსიკის მონაცემები ძალზე მნიშვნელოვანია საერთოქართველური ენის კვლევისათვის, თუ ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის ცალკეული საკითხების გასათვალისწინებლად.

მეცხენეობის აღმნიშვნელი ლექსიკის ცალკეულ სემანტიკურ ჯგუფებში წარმოდგენილი ერთეულები ენის უძველესი ფენის კუთვნილებაა. მეგრულ დიალექტში დაცული მონაცემების ანალიზი გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

მეგრული და ლაზური ლექსიკის ერთი დარგის მონაცემების შედარებამ გვაჩვენა, რომ ეს დიალექტები ლექსიკური თვალსაზრისით ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთს სცილდებოდა. ლაზურში აშკარად იკვეთება თურქულენოვანი ლექსიკის სიმრავლე, მაგრამ ცალკეულ სემანტიკურ ჯგუფებში მაინც საერთოქართველური ფორმები ჭარბობს. ეს ძირითადად ეხება ცხენის სხეულის ნაწილების, შეფერილობის, სქესისა და ასაკის აღმნიშვნელ ტერმინებს. აქვე შევნიშნავთ, რომ ხშირად საკუთრივ ლაზურ (resp. ზანურ) ფორმებში ოდინდელი ვითარება არის შემონახული. მაგალითად, ცხენის ნაშიერის აღსანიშნავად მეგრული იყენებს რამდენიმე ფორმას. უმეტესობა შეთვისებულია ქართულიდან ან სპარსულიდან (**კვიცი**, **ფაშატი**, **ქვირა**), ლაზურში კი გვაქვს **მოთალი** / **მონთა** / **მოთა**, რომელიც ტერმინოლოგიურ შესიტყვებაშია წარმოდგენილი საზღვრულად და ზოგადად აღნიშნავს ნაშიერს (**ცხენიმ მოთა** „ცხენის ნაშიერი“, **ფუჯიმ მოთა** „ძროხის ნაშიერი“). ეს ლექსემა (**მოთა**) მეგრულში მხოლოდ ადამიანის მიმართ გამოიყენება და ნიშნავს

შვილიშვილს. ბუნებრივია, ლაზურმა პირვანდელი მნიშვნელობა შეინარჩუნა, მეგრულში კი მოხდა სემანტიკის დავიწროება, ხოლო ოდინდელი მნიშვნელობის აღნიშვნა ნასესხებ ლექსიკას დაეკისრა.

გარდა მეგრულ დიალექტში შემონახული მეცხენეობის ტერმინთა შესწავლისა, ჩვენი მიზანია ამ დარგში წარმოდგენილი მეგრულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების კვლევაც.

ენათა ურთიერთობის აუცილებელი შედეგია ენათა ურთიერთგავლენა, რომელიც ენის სხვადასხვა რგოლზე სხვადასხვა ინტენსივობისაა (ფოჩხუა 1974: 343). ბუნებრივია, ეს ურთიერთგავლენა, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში იჩენს თავს.

საყოველთაოდ ცნობილია აფხაზური და ზანური ენების, კერძოდ, მეგრული დიალექტის ურთიერთგავლენის ინტენსივობა. როგორც მოსალოდნელი იყო, მეცხენეობა-ცხენოსნობის ლექსიკაში თანხვედრა ყველაზე ხშირია აფხაზური ენის აბჟურ დიალექტსა და მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოებს შორის. ნასესხობას ძირითადად ლოკალური ხასიათი აქვს და პარალელები უფრო ნაკლები ინტენსიურობით იძებნება მთელ მეგრულ დიალექტსა და აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტს შორის, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ იშვიათად ცალკეული ლექსემები შედგნულია, ერთი მხრივ, აბაზურ ენაში, მეორე მხრივ კი, ქართული ენის დიალექტებსა და სვანურ ენაშიც.

მეგრულისა და აფხაზურის საერთო ენობრივ მასალაში (იგულისხმება საერთო ძირები და ნასესხობა) სოლიდური ადგილი უჭირავს მესაქონლეობის ლექსიკას. ჩვენ საშუალება გვქონდა, შემლებისდაგვარად დავკვირვებოდით ამ ლექსიკის

თემატიკას და საგულისხმო შედეგი მივიღეთ: მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის ნახევარზე მეტი მოიცავს მცირე მომთაბარეობის დარგს, ე. წ. „ტრანსჰუმანსეს“ (შამილაძე 1974: 59), რომელშიც მეცხენეობაც შედის.

ცნობილია, რომ მეგრელები და აფხაზები ისტორიულად მესაქონლეები იყვნენ. ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები (ბჟანია 1962; შამილაძე 1974; სახოკია 1985), აგრეთვე ჩვენ მიერ სოფელ მუჟავაში გამოკვლეული ტრანსჰუმანსური მარშრუტები გვიჩვენებს, რომ ენგურის ხეობის სოფლების საზაფხულო (სააფუნო) სამოვრები იწყებოდა სამეგრელოს ტერიტორიიდან და გრძელდებოდა აფხაზეთ-სვანეთის ქედზე თვით ყარაჩაიმდე. ამ გზებსა და სამოვრებზე მეგრელ და აფხაზ მესაქონლეებს ინტენსიური ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან და კონტაქტისათვის აქტიურად იყენებდნენ ერთმანეთის ენას.

ეს ურთიერთობა აისახა მეგრულისა და აფხაზურის საერთო ლექსიკაში, სადაც ყველაზე მრავლად მესაქონლეობასთან და მთის ლანდშაფტთან დაკავშირებული ტერმინებია წარმოდგენილი.

ყოველივე ეს გვადლევს საშუალებას, ახსნა მოვუძებნოთ ზემოთ მითითებული ლექსიკის სიმრავლეს ორსავე ენობრივ ერთეულში. ვფიქრობთ, მასალის სრული ანალიზი, ურთიერთნასესხობის ქრონოლოგიის, სესხების მიმართულების გარკვევა სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ, რომ ენობრივი კონტაქტები გაპირობებულია არა (ან არამარტო) ტერიტორიული სიახლოვით, არამედ სამეურნეო ყოფის თანმხლები აუცილებელი და გარდაუვალი ყოველდღიური ურთიერთობით ორი ენობრივი კოლექტივის



წარმომადგენლებს შორის.

მეცხენეობის ტერმინოლოგიაში გარკვეული ადგილი უჭირავს ნასესხებ ლექსიკას, რომლის უმეტესი წილი აღმოსავლურენოვანი სამყაროდან არის შეთვისებული. ამ ენობრივი ფენის სემანტიკური ჯგუფების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორი იყო ოდინდელი ვითარება მეგრული მეცხენეობის ლექსიკაში. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ძირითადად ნასესხებია ცხენის ჯიშის, აღკაზმულობის, სადგომის აღმნიშვნელი ტერმინები.

ნაშრომის მიზანია მეგრული მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკის მეტ-ნაკლებად სრული აღწერა, მისი ადგილის გარკვევა დიალექტის ლექსიკურ ფონდში, ტერმინთა წარმოქმნის საშუალებებისა და განვითარების გზების გამოკვლევა, აგრეთვე, ცალკეულ ლექსემათა ეტიმოლოგიური ანალიზი.

ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა წარმოშობის დასაზუსტებლად და სისტემატიზაციისათვის გამოვიყენეთ ქართველური და კავკასიური ენების ისტორიულ-ეტიმოლოგიური, თარგმნითი, განმარტებითი, დარგობრივი და დიალექტური ლექსიკონები (იხ. მითითებული ლიტერატურის სია).

ლექსიკონებში, ეთნოგრაფიულ წყაროებში, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში დაცულ ფორმებთან ერთად გაანალიზებულია სამეგრელოს თითქმის ყველა რეგიონში შეგროვილი მასალა, რომელთა საერთო რაოდენობა ხუთ ასეულს აღწევს.

## თ ა ვ ი I

### ცხენის ჯიშის, დანიშნულების, სქესის, ასაკისა და გახედნა-დაკოდვის აღმნიშვნელი ლექსიკა

#### § 1. ცხენის ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინები

მეგრელები, როგორც აღვნიშნეთ, ცნობილი მეცხენეები იყვნენ. ს. მაკალათიას მითითებით, კარგი და ჯიშიანი ცხენის მოშენება-გახედნას სამეგრელოში ძველთაგანვე მისდევდნენ. ეთნოგრაფი ასახელებს ცხენის ორ, XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის განსაკუთრებით ცნობილ ჯიშს – **ნა-მარგალუს** და **ხაინდრავას** (მაკალათია 1941: 195).

„**ნამარგალუ**-ს ჯიშის ცხენი ტანით დიდია და მუშაც, მაგრამ ტლანქია და მას ფეხმარდობა აკლია“ (იქვე). **ნა-მარგალუ** მიღებულია **მარგალ-** ეთნონიმიზე **ნა-უ** ცირკუმფიქსის დართვით. ძირი (**მ-არგ-ალ**) ნაწარმოებია ქართული **ეგრ-** ძირის მეგრულ-ლაზური **აგრ > არგ-** შესატყვისისაგან (გვანცელაძე 1997; 9-11). **ნა-უ** (< **ნო-უ**) მაწარმოებლის ძირითადი ფუნქცია წინა ვითარების ასახვაა და მორფოლოგიურად ქართული **ნა-არ-ს** შეესატყვისება (შდრ. **ნო-ხორ-უ > ნო-ხორ-გ** „ნა-

სახლ-არ-ი“, **ნო-ჯიხ-უ** „ნა-ციხ-არ-ი“...)). ამ ცირკუმფიქსის გამოყენება მესაქონლეობის ლექსიკაში მეორეულია და ლოკალური ხასიათი აქვს, – გვხვდება რამდენიმე შემთხვევაში. შდრ. **ნა-ყარაჩ-უ** „ყარაჩაული ჯიში“, **ნა-შონ-უ / ნა-შონ-ურ-ი** „სვანური ჯიში“ (მაკალათია 1941: 193). ვფიქრობთ, რომ **ნა-უ**-თი ნაწარმოები ჯიშის აღმნიშვნელი სახელების სემანტიკა მაინც წინა ვითარებისას ემყარება, რადგან მითითებაა წარმომავლობაზე, წინა ვითარებაზე. ტერმინები ზედმიწევნით ნიშნავს „ნა-მეგრელ-არ-ს“, „ნა-ყარაჩ-ალს“, „ნა-სვან-არს“. შდრ. **ნა-გვალ-გ ცხენი** „იალალზე, მთაზე ნამყოფი ცხენი“, ზედმ. „ნა-მთ-ევ-ი ცხენი“.

„**ხაინდრავა**-ს ჯიშის ცხენი ტანით უფრო მორჩილია, მაგრამ იგი კოხტაა და კარგი თოხარიკიც“ (მაკალათია 1941: 195).

ბშირად პირუტყვის ჯიშის სახელდება ხდებოდა იმ გვარის მიხედვით, რომლის წარმომადგენლებიც მეცხენეობით იყვნენ განთქმული. ს. მაკალათიას მიერ მოხსენიებული **ხაინდრავა** სწორედ ამაზე მიგვითითებს. ჯიშის ასეთი აღნიშვნა კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული. შდრ. ჩერქეზული **თრამ** – ცხენის ჯიშმა სახელწოდება მიიღო იმ გვარის მიხედვით, რომელიც თაობიდან თაობამდე მისდევდა მეცხენეობას (დაუროვი 1975: 91); **ჟიგრაშაგ**, **კოზნდათ**, **ჰალოზნდოკოზ**, **შადაჯარკოზ**, **აჩათერ** ცნობილი ადიღური გვარებია, რომელთა წარმომადგენლებიც მეცხენეები იყვნენ. ეს გვარები დღეს ცხენის ჯიშსაც აღნიშნავს (კუმახოვა 1975: 71). შდრ. **კვარაცხელიას** ჯიშის საქონელი, ოღონდ ამ უკანასკნელ

შემთხვევაში მესაქონლის გვარი ტერმინოლოგიური შესიტყვების ნაწილია, ტერმინოლოგიზაციის პროცესი დასრულებული არ არის.

**ნაყარაჩუ** „ყარაჩაული ჯიშის ცხენი“ (წალენჯ.). ტერმინი მიღებულია **ყარაჩ**- სატომო სახელზე **ნა-უ** ცირკუმფიქსის დართვით.

**ბანძური ცხენი** „ცხენის ჯიში“: ძღაბი, სქან დუდი გინომჩქვასი **ბანძურ** თუხარიკი ცხენო „გოგო, შენი თავი გადამიქცია ბანძურ თოხარიკ ცხენად“ (გუდავა, ცანავა 1975: 241). როგორც ჩანს, ზედსართავი სახელი **ბანძური** ჯიშით განსხვავებულ ცხენს აღნიშნავს, მაგრამ სიტყვის ტერმინად გაფორმება ბოლომდე არ მომხდარა, რადგანაც იგი დამოუკიდებლად კი არ იხმარება, არამედ სინტაგმის ნაწილია (წარმოდგენილია ატრიბუტივად სინტაგმაში **ბანძური ცხენი**). ტერმინი მიღებულია **ბანძა** ტოპონიმზე **-ურ** სადაურობის სუფიქსის დართვით.

**მარგალური ცხენი** „მეგრული ცხენის ჯიში“ (მარტვ.): **მარგალური ცხენი** შეაჯვარეს ჯიშიან ცხენს (ცხადაია 1987: 453). მეგრული ცხენი დიდი მოწონებით სარგებლობდა მეზობელ ტომებში. ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ცნობის მიხედვით, „в конце XIX века и в начале XX века абхазцы лошадей чаще всего покупают в Мингрелии, так как они ростом и выносливостью больше удовлетворяют местным условиям... (Н. В. Фон-Дервиз. Сухумский округ. ЗКОИРТО,

XXV, вып. VIII, Тифлис, 1906, стр. 41). В результате в Абхазии стала бытовать местная, несколько улучшенная порода лошади, известная в народе как мингрельская“ (რობაქიძე 1986: 215). აფხაზთა დაინტერესება მეგრული ჯიშის ცხენით გასაგებია, – აფხაზეთის ლანდშაფტსა და კლიმატურ პირობებს ადვილად და კარგად ეგუებოდა ადგილობრივი ჯიშის ა-გერუა ჩავ „მეგრული ცხენი“ (არშვა 1980: 17).

ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილ საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალებში ჩამოთვლილია სამეგრელოში გავრცელებული ცხენის სხვა ჯიშები: **ტაიჭი, მერანი, მეგრული, ჩერქეზული, ყარაჩის და ოსური** (ჯავახიშვილი 1986: 225).

ამ ჯიშების (თუ შეიძლება ყველა მათგანი ჯიშად ჩავთვალოთ და ინფორმატორის შეცდომას არ მივაწეროთ) მეგრული სახელწოდებები არ ჩანს, მაგრამ ჰიპონიმიაში შემონახულია სამეგრელოში გავრცელებულ ჯიშებზე მინიშნება, მაგ., არაბა, არაბია, ჩეგეზი...

**ჩერგეზული** „ცხენის ჯიში“. მეგრულ მეცხენეებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩერქეზებთან. ეთნოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ლიტერატურაში არაერთგზის არის მითითებული ამაზე. ტერმინი გადმოცემულია ეთნონიმზე **-ულ** (< **-ურ**) სადაურობის სუფიქსის დართვით. ხშირად გვხვდება ამ ძირისაგან მიღებული ჰიპონიმი **ჩერგეზს**, ინფორმატორის განმარტებით, არქმევდნენ უცხო ჯიშის, ან ჯიშნარევ ცხენს. სხვა ინფორმატორის მითითებით, **ჩეგეზი** (ჯვ.) ცხენის შეფე-

რილობის აღმნიშვნელი ლექსემაა, აღნიშნავს ჩერქეზული ცხენის ფერს, კერძოდ, შავს. ტერმინში **-რგ-** თანხმოვანთკომპლექსი გამარტივებულია, ჩავარდნილია **რ** სონორი.

ხშირად ინფორმატორები განსხვავებული ჯიშების სახელებად მიუთითებენ ტერმინებს, რომლებიც ძირითადად ნასესხებია, გამსესხებელ ენაში აღნიშნავს ჯიშს, მაგრამ ქართულში სემანტიკა გადაწეულია და მიუთითებს ცხენის რაღაც ნიშანდობლივ თვისებაზე. ამ რიგის სახელებია:

**ტაიჭი** (ჯავახიშვილი 1986: 225), რომელიც საბას მიხედვით, „გამოყვერული ცხენია“ (საბა 1993: 345), ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით – „ცხენი დაკოდილი, იაბო“ (ჩუბინაშვილი 1961: 375, 438). ლექსემა გვაქვს სვანურშიც **ტაიჭ** (ბზ.) / **ჭაიტ** (ლხმ.) ფორმით (ქერქაძე 1974: 160). ტერმინი მომდინარეობს იამანური წარმოშობის ჩრდილო-არაბული ტომის **ტაის** სახელწოდებიდან. ეს უკანასკნელი ეთნონიმის ფუნქციით გამოიყენებოდა სპარსულსა და თურქულში და არაბს ნიშნავდა. შემდგომ ეს სახელი ამოსავალი გახდა ქართული **ტაიჭის**თვის – არაბული ცხენისთვის (ანდრონიკაშვილი 1966: 375-376). სავარაუდოა, რომ **ტაიჭი** თავდაპირველად მეგრულშიც არაბულ ცხენს აღნიშნავდა, რადგან ეს ჯიში სამეგრელოში კარგად იყო ცნობილი. ჰიპონიმიაში ხშირად გვხვდება **არაბ** ეთნონიმისაგან მიღებული სახელები – **არაბ-ა**, **არაბ-ია** (ცხადაია 1987: 449).

**ბედაური**, პ. ჭარაიას განმარტებით, „კარგი ცხენია“

(ჭარაია 1997: 40), ი. ყიფშიძის მიხედვით კი – „ჯიშინი ცხენი“ (ყიფშიძე 1914: 202): არბა ცხენს „ცხენს“ უმახუნა, მარა „ბედაური“ გვალო შხვა რენია „ყველა ცხენს „ცხენს“ ემახიან, მაგრამ „ბედაური“ სულ სხვა არისო“ (შეროზია, მედიშიში 1994: 14).

**ბედაური** მომდინარეობს არაბული ტომის **ბედლინ**-ის სახელწოდებიდან. თავდაპირველად არაბული ჯიშის ცხენს აღნიშნავდა (ქეგლ I: 1016), შემდეგ მოხდა სემანტიკის გადაწევა და თანამედროვე ქართულში „კარგი მორბენალი, წვივმაგარი ცხენია“ (იქვე). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, **ბედაური** არის „ცხენი გუაროვანი ანუ ჰუნე“ (ჩუბინაშვილი 1961: 150). იმერულ დიალექტში ლექსემის სემანტიკა გაფართოებულია და კარგად შენახულ ღონიერ საქონელს აღნიშნავს (გაჩეჩილაძე 1976: 23), მეგრულში კი ზოგადად აღნიშნავს კარგს, პირუტყვისაც, ადამიანსაც და ნივთსაც (ხანდახან მოვლენასაც: **ბედაურგ** ამზე რე „მშვენიერი ამბავია“). შდრ. ქართული ხატოვანი გამოთქმა: **ბედაური** „დიდი, თვალსაჩინო; ყველასათვის დასანახავი, ცხადი“ (სახოკია 1950: 30).

ინფორმატორები ცხენის ჯიშის აღმნიშვნელ ტერმინებად ასახელებენ აგრეთვე **მერანს** (ხობი), **რაშს**, **თუხარიკს**, **იორღას** (წალენჯ.), თუმცა ვერ განმარტავენ, კონკრეტულად რომელი ჯიში იგულისხმება.

**მერანი** სულხან-საბას მიხედვით „კეთილმოარული ცხენია“ (საბა 1991: 465). ნ. ჩუბინაშვილი კი განმარტავს, როგორც ტაიჭს, კეთილმოარულს, თოხარიკს, იორღას (ჩუბინაშ-

ვილი 1961: 276, 430). ლ. ლეონიძეს მოჰყავს მისი მნიშვნელობები: „1. თოხარიკი ცხენი; 2. კეთილად მოარული ცხენი; 3. შავი რაში, ზღაპრული ცხენი. ფშაურად ნიშნავს სასწრაფო ცხენს, მტრის გზის მოსაჭრელად ვარგისს“ (ლეონიძე 1925: 41). ი. ჯავახიშვილი **მერანს** უკავშირებს გუდამაყრულში დაცულ **ვერანს** (ჯავახიშვილი 1937: 208). ვერ ვიტყვით, რა ნიშნის მიხედვით მოხდა მეგრულში ამ ტერმინის ჯიშის აღმნიშვნელ ლექსემად მიჩნევა. შესაძლოა, განსაკუთრებული სილამაზისა და სიძლიერის ცხენს ინფორმატორები ცალკე ჯიშად გამოყოფენ.

**რაში** ი. ყიფშიძეს განმარტებული აქვს, როგორც раша, перас (ყიფშიძე 1914: 303). ამჟამად იგივე სიტყვა განიმარტება აგრეთვე, როგორც ბედაური (ელიავა 1997: 269), კარგად მოვლილი, ნაპატიები ცხენი (ჯვ., წალენჯ., მარტვ.), ცხენის ჯიში (ხობი): ცხენი ჟუნცუ მუთი **რაში**, ბურინ-ბურინით გინილგ ნანწყვი, კაკლარონი ტყასგ „ცხენი ჰყავს, როგორც რაში, ქროლვით გადაიარა მეწყრები და შამბნარი“ (სამუშია 1971: 71).

სპარსულიდან შემოსული ეს ლექსემა ფართოდ არის გავრცელებული ქართველურ ენებში. შდრ. სვან. **რაშ** „სამფეხა ცხენი, ზღაპრული ცხენი, ჩქარი, მარდი“ (ლიპარტელიანი 1994: 251). **რაში** აქტიური ლექსემა იყო ძველ ქართულში. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „ზღაპართა შინა უხმობენ ბედაურს ცხენსა ფრთიანსა“, „მეზღაპრულად მოგონილი“ (ჩუბინაშვილი 1961: 334, 438). ლ. ლეონიძეს „მესაქონლეობის ლექსიკონში“ მოჰყავს მოხეურში, გუდამაყრულში, მთიულურში, გუ-



რულში დაცული ფორმები რეში, რეში, რაჟი (ლეონიძე 1925: 53), შდრ. ი. ყიფშიძისეული რუსული განმარტება рашь (იხ. ზემოთ). აფხაზურ ფოლკლორში გვხვდება ა-რამ „ფრთოსანი ცხენი“ (ამიჭბა 1975: 115, 121). ლექსემა შეიძლება განვიხილოთ სპარსულიდან ნასესხობად, სადაც შუალედურ რგოლად საგულისხმოა ქართველური ენები, კერძოდ, მეგრული დიალექტი, რადგანაც აფხაზებს უშუალო კონტაქტი მეგრელებთან ჰქონდათ. ეს ლექსემა აფხაზურში ქართველურიდან ნასესხებად მიაჩნია ა. შაგიროვსაც (შაგიროვი 1989: 143). ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უცნაურად ჟღერს ვ. კვარჭიას განცხადება: „Абхазами создан образ мифического коня Арашь“ (კვარჭია 1981: 31). რეალურად რაშის მითოლოგიური სახეცა და მისი სახელიც აფხაზებს მეგრული ფოლკლორიდან და მეგრული დიალექტიდან შეუთვისებიათ სუბსტრატის სახით.

როგორც აღვნიშნეთ, ინფორმატორები დამოუკიდებელ ჯიშებად მიიჩნევენ **თოხარიკსა** და **იორღას**, მაგრამ რადგანაც ისინი ცხენის თვისებას, სიარულის მანერას აღნიშნავენ, შესაბამის თემატურ ჯგუფში განვიხილავთ.

საკუთრივ ცხენის აღმნიშვნელი ტერმინი უცვლელადაა შემოსული ქართულიდან მეგრულსა და ლაზურში (ლაზურში ანლაუტში განვითარებულია ნ სონორი): მეგრ. **ცხენი** გვარშე ირულენია „ცხენი გვარზე ხტისო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 169), ლაზ. ზაბუნო **ნცხენითენ** მულენ, მეფოხეი იგზალუ „ავადმყოფობა ცხენით მოდის, ხოხვით მიდის“ (იქვე, 215).

არნ. ჩიქობავა მიიჩნევს, რომ ლექსემა შედგება **ცხ-** ძირეული მასალისა და **-ენ** დეტერმინანტისაგან და სვამს საკითხს: „გასარკვევია, არის თუ არა **ცხ-ენ**- ფუძე სახელისა ვარიანტი **სხ-ედ**- ფუძისა, რომელიც ზმნაში გვაქვს: **სხ-ედ-ან – სხ-ენ-ან / სხ-ენ-ედ**“... (ჩიქობავა 1938: 79).

საინტერესოა, როგორი უნდა ყოფილიყო ცხენის აღმნიშვნელი ტერმინის ოდინდელი ფორმა ზანურში, რა დროს მოხდა კომპოზიტით წარმოდგენილი ჰიდრონიმის **ცხენის-წყალი** გაფორმება (სტრაბონთან ეს ფორმა მოცემულია **ჰიპპოს**-ის სახით), ან ტოპონიმ **ჩხენიშ**-ის ძირი ხომ არ გვიბიძგებს იქითკენ, რომ შესაძლოა მასში **ცხენ**-ის მეგრული შესატყვისი ვივარაუდოთ? საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

## § 2. ცხენის დანიშნულების აღმნიშვნელი ტერმინები

წარსულში სამეგრელოს ყოფისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხენს. მისი საშუალებით ხდებოდა მიმოსვლა, ტვირთის გადაზიდვა (მაკალათია 1941: 195). ცხენს იყენებდნენ ბრძოლაში, სპორტულ პაექრობებში. შესაბამისად მეგრულ დიალექტში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ცხენის დანიშნულების აღმნიშვნელი ლექსიკა.

ამ თემატურ ჯგუფში წარმოდგენილი ტერმინები ყურადღებას იქცევენ ეტიმოლოგიისა და სტრუქტურული მოდელის თვალსაზრისით.

**საორინჯო რაში** „სანაშენო რაში“: ათე რაშის ჯოხო სა-

**ორინჯო** რაში „ამ რაშს ჰქვია სანაშენო („სადგამური“) რაში“ (დანელია, ცანავა: 1991, 112). ლექსემა დანიშნულების ქართული **სა-ო** ცირკუმფიქსითაა ნაწარმოები **ორინჯ-** ძირისაგან. თვით მეგრული **ორინჯი / ორიჯი / ორჯი** „საქონელს“ ნიშნავს (ყიფშიძე 1914: 294; ჭარაია 1997: 109). ი. ჯავახიშვილი სიტყვებს **ორინჯი / ორიჯი / ორჯი** განიხილავს მეგრულივე **ერჯ-**, **ორჯ-**თან (მამალი ცხვარი, დედალი ცხვარი) მიმართებაში, უკავშირებს მეგრულ **რინა** „არსებობა“ ზმნის ფუძეს და მისგან მიღებულ მიმღობებს: **მა-რინჯ-ი** „მყოფი, არსი“, **ნა-რენჯი** ანდა **ნა-რინჯი** „ნამყოფი“ და **ო-რენჯი** „მყოფადი“. მეცნიერი მიუთითებს, რომ საქონლის აღმნიშვნელი **ორინჯ-**ისა და **ერინჯ-**ის, აგრეთვე „არსების“ აღმნიშვნელი მიმღობის **მარინჯ-**ის ფონეტიკური და სემასიოლოგიური მსგავსება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს (ჯავახიშვილი 1937: 201-203). ვ. თოფურია საქონლის აღმნიშვნელ მეგრულ **ორინჯ-**ს მიიჩნევს მყოფადის მიმღობის **ო-რ-ენჯ-**ის „სამყოფელი, სამყოფი“ ფონეტიკურ სახეცვლილებად და ლექსემის ტრანსფორმაციას ასე წარმოადგენს: **ორინჯი > ორიჯი > ორჯი**. მეცნიერი მიუთითებს, რომ მის ასეთ წარმოება-გაგებას მხარს უჭერს ქართ. **სა-ცხოვ-არ-ი**, **ცხოვ-არ-ი**, **ცხოვ-ელ-ი** (თოფურია 1937: 142). **ორინჯი** სომხურ ენაშიც გვხვდება **ერინჯ**, **არინჯ**, **ერენჯ**, **ჰერინჯ**, **ჰერენჯ** სახით (ჯავახიშვილი 1937: 200) და ნიშნავს საქონელსაც და დეკეულსაც. ყველა ეს ფორმა სომხურს ზანური ენის ლაზური დიალექტიდან უნდა ჰქონდეს ნასესხები. ნ. მარიც ამ ფორმებს სომხურში ჭანურ-მეგრულიდან შეთვისებულად განიხილავს (მარი 1912: 834). ჩვენ შემთხვევაში მეგრული **საორინჯო** „სანაშენოს“, „საჯი-

შეს“, „საარსებოს“ (არსებობის გასაგრძელებლად გამოსაყენებელს), „სადგამურს“ (მოდგმის, შთამომავლობის მომცემს) ნიშნავს.

**მარულე** „მრბენი ცხენი, მჭენებელი ცხენი“ (ჭარაია 1997: 91), „სადოლე ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი, სენაკი), „მარულაში მონაწილე ცხენს **მარულე** ჰქვია“ (სამუშია 1971: 105): ართ **მარულეს** ოცქვანა დო რაშიშა რე გურაფილი „ერთ მარულას აქებენ და რაშსაა შედარებული“ (სამუშია, იქვე). ფორმა მიღებულია **რულა** ზმნური ძირისაგან (ნიშნავს „სირბილს“) **მა-ე** მიმღობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსით, ე. ი. **მა-რულ-ე** ზედმიწევნით მრბოლელი, მრბენალია.

**დოლიშ ცხენი** „სადოლე ცხენი“ (მარტვ.). ტერმინოლოგიური შესიტყვება გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით, სადაც მსაზღვრელად გამოყენებულია ქართულიდან შეთვისებული **დოლ**-ის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. სინტაგმა ზედმიწევნით ნიშნავს „დოლის ცხენს“.

**გიოხუნალი / გიოხვენჯი** „ცხენი, რომელიც მხოლოდ საჯდომად ჰყავს პატრონს“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., სენაკი): მუჰამბის **გიოხვენჯო** ეუნდუ ჩე რაში „მუჰამბის დასაჯდომად ჰყავდა თეთრი რაში“ (დანელია, ცანავა 1991: 106).

ფორმები (მყოფადი დროის მიმღობები) მიღებულია **ხ-** ზმნური ძირისაგან. **გე-ხ-უნ-ა** „შეჯდომას“ ნიშნავს. **გი-ო-ხ-უნ-ალ-ი** ფორმაში **გი-** პრევერბია, **ო-ალ** მიმღობის მაწარმოებელი (ქართული **სა-ელ**-ის მორფოლოგიური

ფარდი), **ხ**- ძირი, **-უნ**- თემატური ნიშანი, **-ი** სახ. ბრუნვის ნიშანი. ტერმინის მეორე ვარიანტი **გი-ო-ხვ-ენჯ-ი ო-ენჯ** მიმღეობის სუფიქსით ნაწარმოები ლექსემაა. პარალელური წარმოებისთვის შდრ. **მიკოქე-ენჯ-ი** და **მიკა-ქუნ-ალ-ი** „ტანსაცმელი“, **მა-ქვ-ენჯ-ი** და **მა-ქიმინ-ალ-ი** „საქმის მკეთებელი“, **მა-ხ-ენჯ-ი** და **მა-ხირ-ალ-ი** „ქურდი“, **ო-ხვ-ენჯ-ი** და **და-ხუნ-ალ-ი** „დასაჯდომი“ (თოფურია 1937: 143). ასეთი აღნიშვნა ამ დანიშნულების ცხენისათვის ქართულშიც ბუნებრივია. შდრ. **საჯდომი ცხენი** „ცხენი, რომელიც იხმარება მხოლოდ საჯდომად“ (ლეონიძე 1925: 65), „ისეთი ცხენი, რომელსაც ტვირთისთვის არ იყენებენ და მხოლოდ ჯდებათ“ (ფოჩხუა 1987: 231). საჯდომ ცხენს განსაკუთრებული პატივით ეყრობოდნენ და უფრო ხილდებოდნენ. არქ. ლამბერტის გადმოცემით, „საჯდომ ცხენს (პატრონის გარდაცვალების) პირველ დღეებში მეტად აუშნობენ: მას გადააცმევენ შავ ტილოს და შეჰკრეჭენ შუა-ფაფარს“ (ლამბერტი 1938: 65).

**მკვიდრი** „ცხენი, რომელიც მარტო ზედ საჯდომად ჰყავს პატრონს“ (ჩხორ.). ლექსემა ქართულიდან შეთვისებული ჩანს. ამოსავლად სავარაუდოა **მკვიდრი** „მკვირივი, მაგარი, მტკიცე, მყარი“ (ქეგლ V: 533). მეგრულმა სესხების შემდეგ დაკარგა **ვ** სონანტი, **ი** ხმოვანი იქცა **გ** ხმოვნად. ამასთანავე გადაწეულია სემანტიკაც: მეგრულში უნდა იგულისხმებოდეს ცხენის გამოყენების მუდმივობა, სიმკვიდრე.

**მარქაფა** „მეორე ცხენი, რომელზეც კაცი არ ზის და ისე მიჰყავს ცხენოსანს“ (ჭარაია 1997: 91), „სათადარიგო ცხე-

ნი“ (წალენჯ.): ცხენით მალუ კოს კუჩხით მალუ **ალამარქა-ფუდუა** „ცხენით მიმავალ კაცს ფეხით მიმავალი ეტოლებოდაო, ემარქაფებოდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 169). სპარსული ლექსემა მეგრულს შეთვისებული აქვს ქართულიდან, სადაც ნიშნავს „სათადარიგოს, შემცვლელს“ (ქეგლ V: 70), ხოლო მეგრულიდან შეითვისა აფხაზურმა ენამ **ა-მარქაფ** ფორმით.

**მალათგრე** „სათადარიგო ცხენი“ (ჯვ.). ლექსემა წარმოქმნილია **თირ-უა** „შეცვლა“ ზმნის ძირისაგან **მა-ე** მიმღობის მაწარმოებელი კონფიქსის დართვით. **მა-ლა-თგრ-ე** ში **ლა-** მარცვალი შეიძლება მეტათეზირებულ პრევერბად (პრევერბის ნაწილად) განვიხილოთ. **ელ[ა]-მა-თგრ-ე** „შემცვლელი, დამხმარე“-ა, **ელა-მა-თირ-უ-ა** „შეცვლა, დახმარება“.

**მეოღალუ, მაღალარგ, ოღალიშ ცხენი** „საპალნე ცხენი“ (ჯვ., ჩხორ., სენაკი). პირველი ვარიანტი მიღებულია ქართული მაწარმოებლით **მე-** (< **მე-ე**) **ოღალე** სიტყვისაგან **მე-ოღალ-უ** < **მე-ო-ღალ-უ-ე**. თვით **ო-ღალ-უ** წარმოქმნილია **ღალ-ა** „წაღება“ ზმნური ფუძისაგან **ო-უ** მყოფადის მიმღობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსის დართვით, ნიშნავს „წასაღებ რამეს, ბარგს“: შხვამ **ოღალგ** ეფი ეიოჭოფალი რენია „სხვისი ტვირთი ადვილი ასაწევი არისო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 159), ე. ი. **მეოღალუ** „წამღებია“.

რადგანაც ნაშრომში ხშირად გვხვდება ამგვარი მოდელის ტერმინები (**ო-უ** ცირკუმფიქსით ნაწარმოები), ორიოდე

სიტყვით შევჩერდებით მაწარმოებლებზე. **ო-** პრეფიქსი მორფოლოგიურად ქართული **სა-** დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი თავსართის ფარდია. -უ სუფიქსზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის წარმოადგენს ქართული სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენილი მიმდევრობის -ელ სუფიქსის რეფლექსს: -ალ# > აჟ# > ოჟ# > ჟ (ქართ. თელი : ზან. \*თალ# > \*თაჟ# > თოჟ# > თუ; ქართ. ბელელი: ზან. \*ბალალ > \*ბალაჟ > \*ბალოჟ > ბალუ). ამ გზითვე ითვლება მიღებულად მიმდევრობის მეგრული -უ სუფიქსიც (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 88-94). სხვა მოსაზრებით, ზანური -უ სუფიქსი შედეგია არა -ელ > ჟ გადასვლისა, არამედ ფუძის ლაბიალური ელემენტის სუფიქსის ხმოვანზე ზემოქმედებისა და აუსლაუტის **ლ-** (რ-)ს დაკარგვისა; მაგ. ქართველ-ი > ქორთ-უ; ცხოველ-ი > ჩხოუ; სხუილ-ი > შხუ (არაბული 1997: 23). ამ ორი ვარაუდიდან ჩვენ ა. არაბულის მოსაზრება უფრო მისაღებად მიგვაჩნია.

ტერმინის მეორე ვარიანტი (**მა-ღალ-არ-ე**) მიღებულია იმავე **ღ-ალ-ა** ზმნური ფუძისაგან **მა-არ** მოქმედებითი გვარის მიმდევრობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსის დართვით და ზედმიწევნით ნიშნავს „წამლებს“, ხოლო ამავე ტერმინის მესამე ვარიანტი **ოღალ-იმ ცხენი** მართულმსაზღვრელიანი სინტაგმაა, სადაც მსაზღვრელად გამოყენებულია ზემოთ განხილული **ო-ღალ-ი/-ე** (< **ოღალუ**). ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით ნიშნავს „ბარგის, „წასალების“ ცხენს“.

**საპანე, საპანეშ ცხენი, საპანეში** „საპალნე ცხენი“ (მარტვ., ჩხორ.). სამივე ვარიანტის ძირითადი ნაწილი **საპანე**

ქართულიდანაა შეთვისებული. თვით ქართულში კი სპარსულიდანაა ნასესხები. **საპალნე** „ცხენის, სახედრის და მისთანათა ასაკიდი ტვირთი“ (ქეგლ V: 764). **პალანი** – „ფაღან ძე. ვირის ან აქლემის კურტანი“ (იქვე, 107). მეგრული ვარიანტები სხვადასხვა აგებულებისაა. ერთ შემთხვევაში გვაქვს ქართულიდან შეთვისებული **სა-პალნ-ე** ფორმის სონორჩავარდნილი ვარიანტი **სა-პან-ე**. მეორე შემთხვევაში იგივე ფორმა დგას ნათ. ბრუნვაში და მართული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს სინტაგმაში. ზედმ. ნიშნავს „საპალნის ცხენს“. გვაქვს აგრეთვე **საპანე**-დან მიღებული ნანათესაობითარი ფორმა **სა-პან-ე-ში-ი**, ზედმ. „**სა-პალნ-ის-ი**“. **საპანე** და **საპანეში** დამოუკიდებელი ტერმინებია, **სა-პან-ე-ში ცხენი** კი ტერმინოლოგიური შესიტყვებაა.

**საკურტანო** „საპალნე ცხენი“ (ხოზი), **მეკურტანე** „ბარგის, კურტნის გადამზიდი ცხენი“ (ზუგდ.). ორივე ფორმის ძირიც და მაწარმოებლებიც შეთვისებულია ქართულიდან: ქართ. **კურტანი** „სატვირთავი მაღალი პალანია“ (საბა 1991: 399), აგრეთვე „ტვირთის საზიდავი კეხი“ (ქეგლ IV: 1442), **სა-ო** დანიშნულების ქართული ცირკუმფიქსია, **მე-ე** კი – ხელობისა. ეს ფორმები (**სა-კურტან-ო**, **მე-კურტან-ე**) საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ძირიც ნასესხებია და აფიქსებიც, მაგრამ ფორმები მთლიანად მაინც მეგრულია, რადგან არ მომხდარა რედუქცია (ქართულში ეს ძირი რედუცირდება – **კურტანი-კურტნ-ის**), თანაც პირველ შემთხვევაში იყენებს არა **სა-ე**, არამედ **სა-ო** ცირკუმფიქსს (შდრ. ქართ. **სა-კურტნ-ე** – მეგრ. **სა-კურტან-ო**).



**მეხაბარკე** „ბარგის ცხენი“ (ზუგდ.). **ხაბარკი** (< **ხაბაკი**) „ბარგია, ნივთია“ (ჭარაია 1997: 174), **მე-ხაბარკე-ე** ამ ლექსემიდან არის მიღებული **მე-ე** თავსართ-ბოლოსართით. **მეხაბარკე** ზედმ. „მეხარგე“.

იმავე მნიშვნელობით გამოიყენება მართულმსაზღვრელიანი სინტაგმა **ხაბარკ-იმ ცხენი** „ბარგის ცხენი“. ესეც არ არის ბოლომდე ლექსიკალიზებული და ტერმინოლოგიურ შესიტყვებად გვევლინება.

**ჯოლაშ ცხენი** „საპალნე ცხენი“ (წალენჯ.). მართულმსაზღვრელიანი სინტაგმაში მსაზღვრელია **ჯოლა** „ერთგვარი მოწყობილობა მთიდან ხეების ჩამოსათრევად, სათარი“. მასში ძირითადად კამეჩი და ხარი იყო გაბმული. ხანდახან ცხენსაც იყენებდნენ. ეს ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით „ჯოლის, სათარის ცხენს“ ნიშნავს.

**ჩალანდარე ცხენი**, **ჩალანდარიშ ცხენი** „ბარგის ცხენი“ (ჯვ.). ტერმინოლოგიური შესიტყვების ვარიანტები გადმოცემულია როგორც ატრიბუტულმსაზღვრელიანი, ასევე მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით. მსაზღვრელი **ჩალანდარი** ქართული **ჩალვადარ**- ფორმიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ქართულისათვის კი ამოსავალია სპარსული **ჩარვანდარ** „ოთხფეხის პატრონი“, „პირი, რომელიც ცხენს ქირაზე ატარებდა“ (ქეგლ VIII: 163), **ჩარვადრის ცხენი** „გასაქირავებელი ცხენი“. მეგრულმა ტერმინოლოგიური შესიტყვების მსაზღვრელი რამდენადმე შეცვლილი სახით შეითვისა.

კერძოდ, რ > ლ, დაიკარგა ვ და ენა-კბილისმიერი დ-ს წინ განვითარდა ნ სონორი. იმავე ჩალანდარ- სახით ლექსემა წარმოდგენილია იმერულსა და გურულ დიალექტებში (ქეგლ VIII: 160). ძნელია სესხების მიმართულების გარკვევა, ერთი მხრივ, მეგრულ და მეორე მხრივ, იმერულ და გურულ ფორმებს შორის. ერთი რამ ცხადია, – ორივეგან ერთი და იგივე ფონეტიკური პროცესები მოხდა, უფრო ზუსტად, მოხდა ერთ-ერთ დიალექტში (ან ზანურის მეგრულ დიალექტში, ან ქართულის იმერულ-გურულში) და ფორმა გადავიდა მეორეში. მეგრული ფორმა შეთვისებული აქვს აფხაზურ ენას, სადაც ჰიბრიდულ კომპოზიტში ა-ჩალანდარ ჩავ „вьючная лошадь“ (არშბა 1980: 82) (ა)ჩავ აფხაზური „ცხენია“, ა-ჩალანდარ კი მეგრულიდან შეთვისებული ჩალანდარი.

ყიარი, ყიარგ ცხენი „ურემში ან უდელში წყვილად შებმული ცხენები“ (ჯვ., სენაკი). ყიარ-ი ქართული ყივარ-ია (ქეგლ VII: 520). ზუსტად ასეთი ფონეტიკური ცვლილება (ევ > ი) აქვს განცდილი ქართულ მწევარ ფუძეს მეგრულში, სადაც გვაქვს წიარ-ი (გვანცელაძე 1988: 78). ლექსემა მეგრულიდან ნასესხები აქვს აფხაზურ ენას, სადაც ა-ყიარჩავ ნიშნავს „ტვირთის გადამზიდ ცხენს“ (კვარჭია 1981: 32). ამ შერეულ კომპოზიტში პირველი კომპონენტი მეგრულიდან შეთვისებული ყიარ-ია, მეორე ნაწილი კი აფხაზური (ა)ჩავ „ცხენი“. საინტერესოა, რომ ყიარ-ის მსგავსად ქართული მწევარ- ფორმიდან მომდინარე მეგრული წიარ-იც არის შესული აფხაზურში ა-წიარ ფორმით და იქვე დასტურდება ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან ნასესხები მაწევარი > ა-მაწუარ ვარი-

ანტიც (გვანცელაძე 1988: 76-77).

**ამწაკინე** „ულელში ან ურემში შესაბმელი ცხენი“ (ზუგდ.). ფორმა მიღებულია **აწოკინა** („წაწევა“) ზმნური ძირისაგან. ფორმაში **აწ-მა-კინ-ე აწ-** (< **აწო-**) პრევერბია, **მა-ე** მოქმ. გვარის მიმდებობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსი, **კინ-** ძირი. ზდმ. ნიშნავს „გამწევს“, „წამწევს“.

### **§ 3. ცხენის სქესისა და ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი ტერმინები**

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ხელთ არსებული ლექსიკონები და ეთნოგრაფიული მასალა (გარდა გ. ელიავას ლექსიკონისა და ჩვენ მიერ მოძიებული მასალისა) სულ ცოტა ნახევარი საუკუნის წინაა შედგენილი ან ჩაწერილი, ხოლო პ. ჭარაიასა და ი. ყიფშიძის ლექსიკონები უკვე თითქმის მთელ საუკუნეს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ბევრი ლექსემა დაკარგულია დარგის სპეციფიკურობისა და ტექნიკური პროგრესის მიზეზით ცხენის ნაკლებად გამოყენების გამო, ბევრს მნიშვნელობა შეცვლილი აქვს, ან სემანტიკურად გადაწეულია. ამიტომ დაფიქსირებული ტექსტების მონაცემები და ჩვენ მიერ მოძიებული მასალა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მეტ-ნაკლებად ეხება ცხენის სქესისა და ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელ ტერმინებსაც. ცხენის სქესის გარჩევა ლექსიკურად ადრეულ ასაკშივე ხდება, ამიტომ

თემატურად ცალ-ცალკე მდგომი ეს ტერმინები კომპლექსში უნდა განვიხილოთ.

მოვიყვანოთ ვრცელ ციტატას ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალებიდან. ერთ-ერთი ინფორმატორის (ხობი) მითითებით: „ცხენს სქეს-წლოვანების მიხედვით ვუწოდებდით: მამალს ერთი წლისას **ფაშატს**, ორი წლისას **ომარკინდაშს**, სამი წლისას **ონჭყაშს**, ოთხი წლისას **ვარყას**; დედალს ერთი წლიდან ოთხი წლის ჩათვლით – **ფაშატს**. გაუხედნავ ცხენს ვეძახით **ურეკს**“ (ჯავახიშვილი, 1986, 224). სხვა ინფორმატორის მიხედვით: „დედალს ერთი წლისას ეწოდება **ფაშატი**, ორი წლისას – **ფაშატი**, სამი წლისას – **ჭაკი**, ოთხი წლისას – **ჭაკი ცხენი**; მამალს ერთი წლისას – **ქვირა**, ორი წლისას – **კვიცი**, სამი წლისას – **ვაყა**, ოთხი წლისას და ზევით **ულაყი**“ (იქვე).

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ძირითადად მეორდება ზემოთ მოყვანილი ტერმინები, ოღონდ სემანტიკა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ქვემოთ წარმოვადგენთ თითოეული მათგანის ანალიზს და შევეცდებით ჩვენეული პოზიციის დაფიქსირებას.

**ქვირა.** ამ ტერმინს სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულად განმარტავს. კერძოდ, ი. ყიფშიძეს იგი კვიცის აღმნიშვნელად (*жеребенок*) მიაჩნია (ყიფშიძე 1914: 372), „შინამრეწველობის მასალებში“ განიმარტება, როგორც „ერთი წლის მამალი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224), პ. ჭარაიასა და გ. ელიავას განმარტებით, ზოგადად „კვიცი, ცხენის შვილია“

(ჭარაია 1997: 141; ელიავა 1997: 319). ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, „ცხენის ნაშიერი სამ წლამდე“ (ჯვ., ჩხორ., სენაკი): დიდაში გინულირი ქვირას ნგერი ოკკუმუნ-ცუ „დედის წინ გადასულ (მხტუნავ) კვიცს მგელი შეჭამს“ (დანელია, ცანავა 1991: 424).

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს სიტყვა მიღებული უნდა იყოს ურა-საგან უ ხმოვნის ჯერ გუ-დ, შემდეგ კი გვი / ქვი კომპლექსად შენაცვლების გზით (ჯავახიშვილი 1937: 178). ამ სიტყვას მ. ხუბუა სპარსულიდან ნასესხებად მიიჩნევს და უკავშირებს ქორრეკ ფორმას (ხუბუა 1945: 733).

ტერმინი არ ჩანს ძველ ქართულში, მაგრამ შემონახულია მთის კილოებში: თუშურში ქვირომ, ქვირანანდრ (ხუბუტია 1969: 159), მოხეურში ბავშვთა ენაში ქჭირა-ი (ქავთარაძე 1985: 345). ცხენის მოხმობის შემახილად გვაქვს მთიულურში ქვირა-ქვირა და ხევსურულში ქვირო-ქვირო (დლონტი 1974: 569). სიტყვის ფონეტიკური სახენაცვალი გვაქვს ინგილოურში კურიმ, კურიკკამ „იგივეა, რაც კუნ“. ცხენი ბაჭალას კუნს ან კურიმს ებნევიან (ლამბაშიძე 1988: 276). როგორც ჩანს, სიტყვა მართლაც სპარსულიდანაა შემოსული, მაგრამ ამოსავალი უნდა იყოს არა ქორრეკ (ამ შემთხვევაში ძნელი ასახსნელი გახდება ქართულ-მეგრულში გაჩენილი ინტერკონსონანტური ი ხმოვანი), არამედ სპარსულის რომელიმე დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმა, რომელიც ქართულმა (დიალექტებმა) შეითვისა ზეპირი გზით.

კვიცი „ორი წლის მამალი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224), „ცხენის შვილი, მამალი“ (ჭარაია 1997: 79); „ცხენის ნაში-

ერი სამ წლამდე“ (ჯვ., ჩხორ., ზუგდი.): რაშის ვასქუ კვიციში ფოლო „რაშს არ შვენის კვიცის ფლოქვი“ (სამუშია 1971: 92); ბოშეფც კართეს ოღურჯოლგე, არშიყენქ დო გილაკვიცე „ბიჭებს კალთაზე ეხვევი, არშიყოზ და კვიცივით ხტი“ (სამუშია 1971: 37).

როგორც ზემოთ ქვირა ტერმინთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, აქაც სიტყვის სემანტიკა სხვადასხვანაირადაა გადმოცემული. ჩვენ ამოსავლად მიგვაჩნია ცოცხალ მეტყველებაში დაცული სემანტიკა, რომელიც გულისხმობს ზოგადად ცხენის შვილს, ნაშიერს სამ წლამდე. ეს სიტყვა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ძველ ქართულში დაცულია კიგვ (საბა 1991: 376; ჩუბინაშვილი 1961: 250) სახით. დასტურდება სვანურშიც ოდნავი ფონეტიკური ცვლილებებით, ოღონდ სემანტიკა გადაწეულია: კვიცრა ნიშნავს „დედალ ჯიხვს“ (ქერქაძე 1974: 65). იგივე სიტყვა აფხაზურს გამოყენებული აქვს „ტყის ენაში“. თხის აფხაზური სახელი მონადირეთა ენაზე შეცვლილია კვტ ფორმით, რომელიც მომდინარეობს ძველი ქართული კიგვ-იდან (ლომთათიძე, 1991, 49). აფხაზური ფორმა გვაგარაუდებინებს, რომ მეგრულშიც პირვანდელი ფორმა ძველი ქართულის მსგავსად კიგვ უნდა ყოფილიყო. კვიცი დასტურდება ჰიპონომიაში. ინფორმატორთა განმარტებით, სახელდება ხდება ასაკისა და გარეგნობის მიხედვით – არქმევენ პატარა ტანის ცხენს.

**ფაშატი** „молодая кобыла, жеребенок вообще“ (ყიფშიძე 1914: 372); „ერთი წლის მამალი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224); „ცხენის შვილი, კვიცი“ (ჭარაია 1997: 134); „კვიცი“ (ელი-

ავა 1997: 308); „ცხენის ნაშიერი სამ წლამდე“ (წალენჯ., მარტვ., ჩხორ.): ცხენს გივობეჟ **ფაშატი**, მოთურქე მართა-ხისი „ცხენზე ვზივარ ფაშატზე, ვუქნევ მათრახს“ (გუდავა, ცანავა 1975: 13).

ტერმინი დასტურდება ძველ ქართულში. საბას განმარტებით, ის „ჭაკი კვიცია“ (საბა 1993: 186), იმავეს იმეორებს ნ. ჩუბინაშვილი (ჩუბინაშვილი 1961: 395), ლეონიძის მითითებით კი – „დედალი ცხენია“ (ლეონიძე 1925: 73). იგივე სიტყვა უმლაუტიზირებული ხმოვნით გვხვდება სვანურშიც: **ფაშატ** „ცხენი ერთი წლის შემდეგ“ (ჯავახიშვილი 1986: 205).

ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება სინტაგმაში: ოჭმარეს ადრე ედირთენი იქი ცხენს **კვიცი ფაშატი** ათახვილუა „დილით ადრე რომ ადგა, მას ცხენთან მოგებული კვიცი [კვიცი ფაშატი] დახვდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 143).

აქ ერთი რამაა საგულისხმო და ანგარიშგასაწევი: ერთ წლამდე **ფაშატი** ორივე სქესისთვის საერთო ტერმინია (ჯავახიშვილი 1986: 224). შემდეგ ხდება დიფერენცირება. საინტერესოა სქესისა და ასაკის ეს მარკირება. როგორც ჩანს (და ეს ბუნებრივიცაა), ერთ წლამდე კვიცი, სქესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ იყო ფასეული, ამიტომ სქესობრივი სხვაობა სემანტიკურად გაუდიფერენცირებელია. დედალსაც და მამალსაც **ფაშატი** ჰქვია. ეს არის მიზეზი ზემოთ წარმოდგენილი სემანტიკის ასეთი განსხვავებისა და წინააღმდეგობრიობისა. ასაკმცირე (ერთ წლამდე) ცხენის ნაშიერის სქესის მისათითებლად საგანგებო შემთხვევებში მას (**ფაშატს**) ატრიბუტივად ემატება **კვიცი**, გარკვეული სქესის (მამრობითი) აღმნიშვნელი შესიტყვება, ე. ი. **კვიცი ფაშატი** მამრობითი სქე-

სის ცხენის ნაშიერის აღმნიშვნელია ერთ წლამდე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ჩვენ მიერ განხილული ფორმები (**ფაშატი** და **ქვირა**) ერთი და იმავე საგნის კილოკავურად განსხვავებული ლექსიკური ერთეულებია. კერძოდ, **ფაშატი** ზუგდიდურ-სამურზაყანულია, **ქვირა** კი – სენაკური (მიქიაშვილი 1985: 34), მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ეს არ დასტურდება. ორივე ტერმინი ერთნაირად რეალიზდება ორივე კილოკავ-ში.

**ომარკინდაში** „ორი წლის მამალი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224). ამ ლექსემის ძირი **მარკინდ-** მატერიალურად იგივეა, რაც ქართული **მაკინტლ-** (**მაკინტლობა** „ზროხათა და ყურდგელთა მძუვნობა“ (საბა 1991: 430).

ფორმა მიღებულია დანიშნულების **ო-** პრეფიქსისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით და იმავე ტიპის წარმოებაა, რაც მეგრული **ო-ნჭყა-შ-ი** (იხ. ქვემოთ), **ო-ფეთა-შ-ი** „საჩეჩელი“, **ო-დგ-იშ-ი** „სადგისი“ და ა. შ. ეს მაწარმოებელი ქართული **სა-ის** ცირკუმფიქსის მორფოლოგიური ფარდია (შდრ.: ქართ. **სა-ცხოვრ-ის-ი**, **სა-ბრძან-ის-ი**, **სა-სმ-ის-ი** და ა. შ.).

ამ ტერმინზე ვრცლად მსჯელობს ი. ჯავახიშვილი ქართული წარმართული ღვთაებების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომში (ჯავახიშვილი 1950: 205-207). მეცნიერის მიერ მოხმობილი საანალიზო ფორმები (**კუტა**, **კუტუ**, **კუტულა**, **კუტავი**, **ნაკინტალა**, **ბუშ-კუტურა...**) და მათი გავრცელების არეალი (ყველა ფორმა გავრცელებულია მეგრულ-ლა-



ზურსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში), აგრეთვე შესადარებელ ფუძეთა ფონეტიკური შედგენილობა გვავარაუდებინებს, რომ ამოსავალი სწორედ მეგრული (resp. ზანური) **მარკინდ-** ფორმა უნდა იყოს. **მაკინტლ-** / **მარკინდ-** ფუძიდან არის მიღებული **სამაკინარი** „ზრდადამთავრებული მდედრი საქონელი, რომელიც შეიძლება დამაკდეს“ (ფოჩხუა 1987: 211), ქართლური **სამაკინარი** „მაკეობის ასაკში შესული, ზრდადამთავრებული საქონელი“ (ბეროზაშვილი 1981: 367), **გასამაკინარი**, **სამაკინებელი** „დეკეული, რომელსაც „მაკულობის“ („დამაკების“) დრო მოუვიდა“ (სალარიძე 1986: 39), **ლეჩხუმური სამაკინარო** „ზრდადამთავრებული დეკეული“ (დლონტი 1974: 467), **იმერული უმაკინარო** „უნაყოფო“ (ძოწინიძე 1974: 373), **აჭარული სამაკინარე ერინჯი** „დასამაკებელი დეკეული“ (სურმავა 1983: 8). აჭარულ შესიტყვებას აშკარა ზანიზმის კვალი ეტყობა (**ერინჯ-** < **ორინჯ-**ის შესახებ იხ. ზემოთ). მეგრული **ომარკინდაში** აღნიშნავს მამრობითი სქესის ცხენს, რომელსაც მდედრის განაყოფიერება შეუძლია.

**ონჭყაში** „სამი წლის მამალი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224), **ონჭყაშე** „კვიცი გასახედნი“ (ელიავა 1997: 256). **ონ-ჭყა-შ-ი** ვარიანტი ისევეა ნაწარმოები, როგორც ზემოთ განხილული **ომარკინდაში**, ე. ი. ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **ო-** პრეფიქსის დართვით. საყრდენად გამოყენებულია **ნჭყულა** / **ნჭყალა** ფორმა, ნიშნავს გახედნას. იგივე ფუძე გვაქვს სვანურშიც: **ლენჭყ ჩაჟ** „გახედნილი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 205). ჩვენ შემთხვევაში **ონჭყაში** / **ონჭყაშე** გასა-

ხედნად ვარგისი (ასაკობრივი თვალსაზრისით) ცხენია. საანალიზოდ წარმოდგენილი ორივე ფორმა – **ონჭყაში** და **ონჭყაშე** ისეთივე წყვილია, როგორიც **ოფეთაში** / **ოფეთაშე** „საჩეჩელი“. ი/ე შეიძლება სხვადასხვანაირად აიხსნას: ა. ი/ე მონაცვლეობა ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია მეგრულისათვის (**ალაგი** > **ალაგე**, **ფიცხი** > **ფიცხე**...); ბ. **ო-ე** მიმდებარის მაწარმოებელია, ე. ი. თავდაპირველი ფორმაა **ონჭყაშ-ე**. მოგვიანებით, ლექსემის გასუბსტანტივების შემდეგ ე მაწარმოებელი შეიცვალა სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნით; გ. ყველაზე ოპტიმალურ ახსნად მიგვაჩნია შემდეგი ვარაუდი: ერთ შემთხვევაში (**ონ-მარკინდა-ში-ი**, **ონჭყა-ში-ი**, **ონ-ფეთა-ში-ი**, **ონტყოლე-ში-ი** „საფლობი, ჭაობი“...) წარმოება ხდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმისგან ოდენ პრეფიქსის დართვით. მეორე შემთხვევაში (**ონჭყაშ-ე**, **ონ-ფეთაშ-ე**, **ონტყოლაშ-ე**...) ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის **ო-ე** მაწარმოებელი.

ლაზურში ცხენის ნაშიერის აღსანიშნავად გამოიყენება შესიტყვება: **ცხენიშ მოთალი** / **ცხენიშ მონთა** / **ცხენიშ მოთა** (მარი 1910: 168): **მოთალეფეში** ჯოხოფე რენ: ფუჯიში – გენი, ცხენიში – თად „ნაშიერთა სახელებია: ძროხისა – ხბო, ცხენისა – კვიცი“ (ჩიქობავა 1929: 153); ფუჯიში **მოთა**, ცხენიში „ძროხის ნაშიერი, ცხენის“ (ასათიანი 1974: 215). მეგრულში **მოთა** მხოლოდ ადამიანის მიმართ გამოიყენება და ნიშნავს შვილიშვილს. ლაზურში კი შვილიშვილსაც ნიშნავს, ცხოველის ნაშიერსაც და ფრინველის ბარტყსაც (ჩიქობავა 1938: 30). სავარაუდოა, რომ **მოთა**-ს პირვანდელი მნიშვნელობა ლაზური იყოს და ზოგადად ნაშიერს აღნიშნავდეს. მეგრულში მოხდა სემან-

ტიკის დავიწროება და ტერმინი მხოლოდ შვილიშვილს აღნიშნავს.

გარდა საკუთრივ მეგრულ-ლაზური ტერმინებისა, ლაზურში გამოიყენება თურქულიდან ნასესხები **თაი** (ყიფშიძე, 1914, 26), **თარი** (ჟღენტი, 1938, 186), **თაი / თაი** (ჯიქია 1975: 67) „კვიცი“, აგრეთვე მონღოლური წარმოშობის **კულუნი**, რომელიც თურქულის გზით ისესხა ლაზურმა (მარი 1910: 159; ყიფშიძე 1911: 26) და ადიღეურმა (შაგიროვი 1989: 93).

**ვარყა / ვაყა** „ულაყი“ (ყიფშიძე 1914: 372); „ულაყი“, „მამალი ცხენი“ (ჭარაია 1997: 166); „სამი წლის ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224): ბულა, ეთი სქანი **ვარყა** [...] პატენსქუაქ მიდეჟუნუ „ბულა, ის შენი ულაყი [...] ბატონიშვილმა წაიყვანა“ (სამუშია 1971: 63).

ი. ყიფშიძე პარალელურად მიუთითებს უსონორო და სონორგანვითარებულ ფორმებს და აღნიშნავს, რომ ტერმინი ქართულია (ყიფშიძე 1914: 372). იგულისხმება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დაცული ფორმები: იმერული **ვარყა** (ბერიძე 1912: 25), აჭარული **ვაყა** (ჯავახიშვილი 1986: 231), რაჭული **ვარყა / ვაყა** (კობახიძე 1987: 48). **ვაყა** მითითებულია „ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 233), გვაქვს სვანურშიც **უარყა** სახით. **ვაყა** ფორმას ნ. მარიც მიუთითებს ლაზურის ლექსიკონში და განმარტავს, როგორც „დაკოდილ ცხენს“ (მარი 1910: 143), ხოლო ულაყი, მამალი ცხენი გადმოცემულია **ყვაჯი / ყვაჯონი** (მარი იქვე, 203; ჯავახიშვილი 1950: 207) სიტყვით, აგრეთვე თურ-

ქულიდან ნასესხები **აგირ** / **აფირ** (მარი 1910: 125) ფორმით. **ვარყა** / **ვაყა** ტერმინის სემანტიკის ცვლილებაზე მსჯელობს ი. ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“: „საყურადღებოა აგრეთვე **ვაყა**, რომელიც იმერეთში „**მამალი ცხენი**“-ს ე. ი. ხვადი ცხენის, უფრო კი ახალგაზრდა ხვადი კვიცის სახელია (ვ. ბერიძე, სიტყვის კ.). ეს სახელი მეგრულშიც არის, მხოლოდ იქ **ვაყა**-ს გარდა **ვარყა**-საც ხმარობენ... დასასრულ, **ვაყა** ჭანურშიც მოიპოვება და იქაც **ხვადი ცხენის**, მაგრამ უკვე **დაკოდილის** მნიშვნელობა მიჰნიჭება“ (ჯავახიშვილი 1937: 178).

**ჭაკი** „მდედრობითი სქესის ცხოველი“ (ციფშიძე 1914: 385), „დედალი ცხენი“ (იქვე, 372); „სამი წლის დედალი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224); „ცხენი“ (ჭარაია 1997: 169): **ჭაკიში** კვარტი კვიცის ვაწყუნენია „ჭაკის წიხლი კვიცს არ ეტკინებაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 175). ეს სიტყვა დაცულია ძველ ქართულში და საბას განმარტებით „დედალი ცხენია“ (საბა 1993: 345). იგივე სიტყვა გამჟღერებული თანხმოვნითა და უმლაუტიზირებული ო ხმოვნით გვაქვს სვანურში: **ჭანგ** „დედალი ცხენი“ (ლიპარტელიანი 1994: 334). ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს ტერმინი, რომელიც მოიპოვება სამსავე ქართველურ ენაში, თავდაპირველად დედალ საქონელს აღნიშნავდა, დღეს კი ოდინდელი ზოგადობის მნიშვნელობა მეგრულმა შემოინახა (ჯავახიშვილი 1937: 213). ი. ციფშიძის მითითებით, „естественный род (пол) людей и животных обозначается различными словами: мужской пол людей

обозначается словом ქომოლი, а животных – მუმული – самец, женский пол людей словом – ოსური, а животных – დადული или ჭაკი. ვარყა – жеребец, ჭაკი ცხენი – кобыла (ყიფშიძე 1914: 016). ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ჭაკი უმეტესწილად სქესის აღმნიშვნელ ატრიბუტივად გამოიყენება ცხენ- სიტყვასთან: ათე მინდორც გილურცე ართი ჭაკი ცხენი „ამ მინდორში დადის ერთი ჭაკი ცხენი“ (დანელია, ცანავა 1991: 164). როგორც ჩანს, აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაზეც ზემოთ მივუთითეთ, კერძოდ, სახელი გამოიყენებულია სქესის აღმნიშვნელ მსაზღვრელად. სქესის ასეთი აღნიშვნა ბუნებრივია ქართულისათვის (არაბული 1989: 21).

ლაზურში დედალი ცხენი აღინიშნება თურქულიდან ნასესხები კისრალი სიტყვით (მარი 1910: 156), აგრეთვე ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულით ფინა ცხენი „დედალი ცხენი, ჭაკი“ (ყიფშიძე 1911: 31).

#### **§ 4. ცხენის გახედნასა და დაკოდვასთან დაკავშირებული ტერმინები**

საინტერესო სპექტრს წარმოგვიდგენს ცხენის გახედნასა და დაკოდვასთან დაკავშირებული ტერმინები.

ურა „გაუხედნავი ცხენი“ (ყიფშიძე 1914: 372; ჭარაია 1997: 132; ჩხორ.): ურაქ კვარტი მგმოგვ დო ქედგნომიტუუ

შეა წყარს „ურამ (ცხენმა) წიხლი მკრა და ჩამტოვა შუა წყალში“ (გუდავა, ცანავა 1975: 208); **ურა ცხენი** მართახის ვეგიმქვანსია „ურა ცხენი მათრახს არ დაიკრავსო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 134).

როგორც ჩანს, ადრე ამ სიტყვას ასაკობრივი დიფერენციაციის ასახვის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. საბას მიხედვით, **ურა** „ახტა კვიცია“ (საბა 1993: 166), ასევეა ნ. ჩუბინაშვილთან (ჩუბინაშვილი 1961: 438). მოგვიანებით მოხდა სემანტიკის გადაწევა და აღნიშნავს გაუხედნავ ცხენს (ჭარაია 1997: 132). ლ. ლეონიძის განმარტებით, **ურა** უხედნი ცხენია, რომელზეც ჯერ არავინ მჯდარა და არც უნაგირი დაუდგამთ (ლეონიძე 1925: 71). **ურა / ურო** ფორმები იმავე მნიშვნელობით გვხვდება ქართული ენის იმერულ დიალექტში: „ურა“-ს თუ ვხედნით, მაშინ ვეძახით“ (ჯავახიშვილი 1986: 188), „ურო“-ს ვეტყვით უხედნარ ცხენს“ (იქვე, 185). ქეგლ-ის მიხედვით, **ურა** „მამალი კვიცია“ (ქეგლ IV: 856). ასევეა განმარტებული „ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 233). ი. ჯავახიშვილის მითითებით, **ურა**-ს მეგრულში თავდაპირველი მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული (ჯავახიშვილი 1937: 177).

აფხაზურ ენაში გვხვდება მეგრულიდან ნასესხები **ა-ურა**, **ა-ჩაურა** „ურა ცხენი“ (ჯანაშია 1954: 269, 349), **ა-უგრა** „впервые оседланная лошадь“ (ამიჭბა 1975: 17), **ა-ურა** „неприрученный, необъезженный“ (არშბა 1980: 14). აფხაზური ფორმისთვის ამოსავლად არ გამოდგება თურქული **ადირ** „ულაყი“, როგორც ამას მიუთითებს ვ. კვარჭია (კვარჭია 1981: 108). **ურა**-ს მეგრულში ისევე, როგორც ქართული

ენის დიალექტებში, კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს „საქონელს, რომელიც ადამიანის დანახვაზე ფრთხილად“ (ლენინი 1925: 71), აგრეთვე „განებივრებულს, თავაშვებულს“ (გაჩეჩილაძე 1976: 42, 131). **ურა** ძირითადად მსაზღვრელად გვხვდება: **ურა ცხენი, ურა კვიცი...**

**ურეკი** „გაუხედნავი ცხენი“ (ჯავახიშვილი 1986: 224). ეს სიტყვა ქართულიდან ჩანს შეთვისებული **რეკ-ა** ზმნურ ფუძეზე **უ-** უარყოფის პრეფიქსის დართვით, ნიშნავს გაუხედნავ ცხენს. ძნელია ქართულ **რეკა** და მეგრულ-ლაზურ **რაცყა** ფორმებს შორის რეგულარული ბგერათშესატყვისობის დაძებნა, მაგრამ ასევე ძნელია ეს ორი ფორმა ერთმანეთს დავაშოროთ. ისინი ფონეტიკურადაც ახლოს დგანან და სემანტიკურადაც ფარავენ ერთმანეთს (ცხადაია 1999-ა: 106). მეგრული ძირიდან ნაწარმოები იმავე სემანტიკის მქონე ფორმა იქნება **ურაცყ**. რომ არა ქართ. **კ** : მეგრ. **ყ**-ს შეუსაბამობა, ფორმის ცვლილების წარმოდგენა ადვილია: **ურაცყ > \*ურაცგ > \*ურაკ-ი > ურეკი** (ისევე, როგორც **უკაკ-უ > უკაკ-გ > \*უკაკ-ი > უკეკი** „ჯიუტი, თავისნათქვამა“).

**უხენდ-უ** „გაუხედნავი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი). ფორმა მიღებულია ქართულიდან შეთვისებული **ხენდ-ღუა** (ქართული ხენდ-ის მეტათეზირებული ფორმა) სიტყვისაგან მიმდევობის უარყოფითი ფორმის მეგრული **უ-უ** მაწარმოებლის დართვით. შდრ. **უხენი ცხენი** (ქართლ., კახ.) „ცხენი, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარა და არც უნაგირი

დაუდგამთ“ (ლეონიძე 1925: 172).

**ოხენდალი** „გასახედნი ცხენი“ (ზუგდ.). ფორმა მიღებულია **ხენდუა**-საგან („ხედნა“) ვნებითი გვარის მომავალი დროის მიმღობის **ო-ალ** ცირკუმფიქსის დართვით. შდრ. ასეთივე წარმოების სხვა მიმღობები: **ო-ხანტ-ალ-ი** „სახატავი“, **ო-ჭარ-ალ-ი** „საწერი“...

გახედნილი ცხენი **ხენდ-ილ-ია** (ჩხორ.). აქაც იგივე **ხენდ-** ძირი გამოიყოფა, რომელსაც ერთვის ნამყო დროის მიმღობის მაწარმოებელი **-ილ-** სუფიქსი.

სახელდების თვალსაზრისით საინტერესო ფორმებს გვიჩვენებს ცხენის დაკოდვასთან დაკავშირებული ლექსემები.

**ლაბშა / ლაფშა** „იაბო“ (ყიფშიძე 1914: 269); **აბშა** „ცხენი, ლაფშა ცხენი, დაკოდილი ცხენი, იაბო“ (ელიავა 1997: 202); „დაკოდილი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., მარტვ., ზუგდ.): უჩა **ლაფშა** თუხარიკი, მა სკანოთი მაყვენუ „შავი ლაფშა თოხარიკი მე შენტვის მეყოლება“ (გუდავა, ცანავა 1975: 62);

ქეგლ-ის მიხედვით ქართ. **ლაფშა** კუთხურია (იმერული, გურული) და დაკოდილ ცხენს, იაბოს აღნიშნავს (ქეგლ IV: 1489). აფხაზურ-ადიღურ ენებში გავრცელებულია იმავე ფუძის ვარიანტები: აფხ. **ა-ლაშაა** (ჯანაშია 1954: 169), აბაზ. **ლაშაა**, უბიხ. **ლაშა**, ადიღ. **ალაშა**, **ალაშნ** (შაყრილი 1968: 77). მათგან აფხაზურს კ. ჭარაია უკავშირებს მეგრულ **ლაფშა**-ს და საერთო ფუძეს მიიჩნევს თურქულიდან ნასესხებად (ჭა-



რია 1912: 48). თურქულენოვან სამყაროდან ნასესხებად განიხილავს ამ ლექსემებს აფხაზურ-ადიღურში ა. შაგიროვიც (შაგიროვი 1989: 90). სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზური **ა-ლაშა** მიჩნეულია ყარაჩაულ-ბალყარიზმად (ხაბიჩევი 1980: 42). ჩვენ ვიზიარებთ ნ. ბალათურის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეგრული **ლაფშა** არის ამოსავალი რიგ ენებში, მათ შორის აფხაზურში გავრცელებული ფორმებისა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, დაკოდილი ცხენის სახელდებისათვის ამოსავალია **ლაშის** (ტუჩის, ბაგის) მეგრული, ასევე ქართული ენის დასავლური დიალექტებისათვის (გურული, იმერული, რაჭული) დამახასიათებელი ფონეტიკური ნაცვალი **ლაფში**. -ა აქტიური სიტყვაწარმოებითი სუფიქსია მესაქონლეობის ლექსიკაში (შდრ.: **ნისლა, ქურან-ა...**). **ლაფშა** ტუჩა ცხენს ნიშნავს. ნ. ბალათურიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მეგრულმა ყოფამ შემოინახა ცხენის გახედნის დროს ტუჩის გალახვის წესი: „სამი წლის კვიცს გავხედნიდით... ჩვენ მას გავულახავდით ტუჩს. გალახვას ვეტყვით, ტუჩს რომ თითქმის მათრახის ტარით გავუჩქვავდით... შემდეგ კვიცს გავუშვებდით, მივცემდით თავისუფლებას...“ (ჯავახიშვილი 1986: 186). ეტყობა, **ლაფშას** სწორედ ისეთ ცხენს უწოდებდნენ, რომელსაც გავლილი ჰქონდა ეს პროცედურა. ამას ადასტურებს ის, რომ **ლაფშად** უხმობენ ცხენს ორი, ან სამი წლიდან, თუ ის დაკოდილია ან გახედნილი. შემდგომ **ლაფშა** სხვა ენებშიც გავრცელებულა. შუალედურ გზას თურქულენოვანი სამყარო წარმოადგენს (ბალათურია 1996: 30-31).

**იაზო** „დაკოდირი ცხენი, ლაფშა“ (ელიავა 1997: 177). სპარსულიდან ნასესხები სიტყვა ფართოდ არის რეალიზებული ქართული ენის დიალექტებში. საბასთან არ გვხვდება. სალექსიკონო ერთეულად აქვს შეტანილი ნ. ჩუბინაშვილს: **იაზო** „დაკოდირი ცხენი“ (ჩუბინაშვილი 1961: 438). ლ. ლეონიძის განმარტებით, **იაზო** „დაყვერილი, დაკოდირი ცხენია“. მკვლევარს მოჰყავს მისი სინონიმებიც: **ლაფშა** (იმერ., გურ.), **ყვერული** (ძვ.), **ყვერილი** (სვ.) (ლეონიძე 1925: 28).

**ყვარილი** / **ყვარილი** „დაკოდირი ცხენი“ (ელიავა 1997: 331; ჯვ.). მიმდებარე ნაწარმოებია **ყვარუა** / **ყვარუა** ფუძისაგან (ფუძის ანალიზი იხ. ქვემოთ) -ილ სუფიქსის დართვით (ჩიქობავა 1938: 101). იგივე ფორმა გვაქვს ლაზურშიც ფონეტიკური ვარიანტების სახით: **ყვარელი** / **კვარერი** / **ვარერი ცხენი** (მარი 1910: 203). ყ-ს შეცვლა კ-თი ვიწურ-არქაბულში ბუნებრივი ფონეტიკური მოვლენაა (შდრ. მეგრ. **ყვა** – ლაზ. **კვა**; მეგრ. **ყვალი** – ლაზ. **კვალი**), ასევე ბუნებრივია ვ-ს წინ კ-ს დაკარგვა ათინურში (ჩიქობავა 1936: 16-17).

ეს ტერმინი ნასესხები აქვს აფხაზურს **ა-ყარგლ** სახით (ჭარაია 1912: 13; ლომთათიძე 1976: 59). ინტერკონსონანტურ პოზიციაში მოქცეული ი აფხაზურში გადავიდა გ-ში, სიტყვის სემანტიკაც დავიწროებულია და მხოლოდ ყვერულს, დაკოდირლ მამალს, ქათამს აღნიშნავს.

**ზაჩაჩია** „დაკოდირი ცხენი“ (ჩხორ.). ლექსემის ძირია **ზაჩა** „მშვიდი, თვინიერი ცხენი“ (ელიავა 1997: 30); „თოხარეკი, პატარა ცხენი, ფაფარგაკრეჭილი“ (ჭარაია 1997: 46). ფორ-

მა მიღებულია მეგრულისთვის დამახასიათებელი სიტყვა-წარმოების ხერხით **ბაჩა-ჩ-ია** (შდრ. **ბაბა-ჩ-ია** „მამა“ მოფერებით, **დედა-ჩ-ია** „დედა“, **ბაბუ-ჩ-ია** „ბაბუა“...). ჩვენს შემთხვევაში სახელდებისათვის ამოსავალია დაკოდირებული ცხენის თვისება – სიმშვიდე, თვინიერება.

### **ცხენის ჯიშის, დანიშნულების, სქესის, ასაკისა და გახედნა-დაკოდვის აღმნიშვნელი ტერმინების სტრუქტურული მოდელები**

მეცხენეობის ტერმინოლოგიაში ყველაზე მწირად ამ თემატურ ჯგუფებში გაერთიანებული ტერმინებია წარმოდგენილი და გადმოცემულია ქართველური თუ ნასესხები ფუძეებით, წარმოქმნილი ფორმებით, მიმღობებით.

ამ თავში განხილული ლექსიკა სტრუქტურული თვალსაზრისით შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- 1. მარტივი ფუძეები:** ა. **მეგრული ან ქართველური:** (აქვე იგულისხმება ფორმები, რომლებიც ეტიმოლოგიურად არც არის მარტივი, მაგრამ მათში დღეს აფიქსები აღარ გამოიყოფა): **ხაინდრავა** „ცხენის ჯიში“, **ყიარი** „ყევარი“, **მკვდრი** „ცხენი, რომელიც მხოლოდ დასაჯდომად ჰყავს პატრონს“...  
ბ. **ნასესხები ქართულიდან:** **მერანი**, **კვიცი**, **ფაშატი**... სხვა ენებიდან: **მარქაფა** (სპარს.) „სათადარიგო ცხენი“, **იაზო** (სპარს.) „დაკოდირებული ცხენი“, **ქვირა** (სპარს.) „ცხენის ნაშიერი“...

- 2. სუფიქსური წარმოების ფორმები:** **ჩერგეზ-ული** „ცხენის ჯიში“, **ლაფშ-ა** „დაკოდირებული ცხენი“, **ბაჩა-ჩ-ია** „დაკო-

დილი ცხენი“, **ყვარ-ილ-ი / ყვარ-ილ-ი** „დაკოდელი ცხენი“, **ხენდ-ილ-ი** „გახედნილი ცხენი“ (უკანასკნელი ორი ტერმინი ნამყო დროის მიმღეობითაა წარმოდგენილი).

3. **პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ფორმები:** ა. **ფორმები, სადაც ძირიც და აფიქსებიც მეგრულია:** **ნა-მარ-გალ-უ, ნა-ყარაჩ-უ** „ცხენის ჯიშები“, **აწ-მა-კინ-ე** „უღელში ან ურემში შესაბმელი ცხენი“, **გი-ო-ხუნ-ალ-ი, გი-ოხვ-ენჯ-ი** „ცხენი, რომელიც მარტო საჯდომად ჰყავს პატრონს“, **ო-ნჭყა-შ-ი** „სამი წლის მამალი ცხენი“, **ო-ხენდ-ალ-ი** „გასახედნი“; ბ. **ფორმები, სადაც ძირი მეგრულია, აფიქსები – ქართული:** **მე-ხაზარკ-ე** „ბარგის ცხენი“, **მე-ოღალუ-ე > მე-ოღალუ** „საპალნე ცხენი“... ამავე ქვეჯგუფში განვიხილავთ **სა-კურტან-ო, მე-კურტან-ე** ფორმებს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ძირიც და აფიქსებიც ქართულიდანაა შეთვისებული, მთლიანად ფორმა მაინც მეგრულია, რადგან არ ხდება რედუქცია, თანაც **სა-კურტან-ო-ში** ქართული ფორმისაგან განსხვავებული ცირკუმფიქსია გამოყოფილი.

4. **ტერმინოლოგიური შესიტყვებები:** ა. **ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი სინტაგმები:** **ბანძური ცხენი** „ცხენის ჯიში“, **საორინჯო რაში** „სანაშენო ცხენი“, **ჩალანდარ ცხენი** „ბარგის ცხენი“, **კვიცი ფაშატი, ჭაკი ცხენი, ურა ცხენი...** ბ. **მართულ-მსაზღვრელიანი სინტაგმები:** **დოღ-იშ ცხენი** „დოღის ცხენი“, **საპანე-შ ცხენი** „საპალნის ცხენი“, **ჯოლა-შ ცხენი** „საპალნე ცხენი“...

## თ ა ვ ი II

### ცხენის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა

მეცხენეობის ტერმინოლოგიაში ყველაზე მრავალრიცხოვან და უძველეს ფენას ქმნის ცხენის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა. ამ ჯგუფის ტერმინთა უმეტესობა აღდგება საერთოქართველური ენის დონეზე (ფოჩხუა 1974: 316). მასალის მოცულობისა და სემანტიკის სიფართოვის გამო წარმოვადგენთ და განვიხილავთ მხოლოდ იმ ტერმინებს, რომლებიც მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება, ან საერთოა მესაქონლეობისა თუ სხვა დარგობრივი ლექსიკისათვის, მაგრამ იმდენად აქტიურად რეალიზდება ცხენთან დაკავშირებით, რომ მათი განზე დატოვება შეუძლებელია. მასალის მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნების გამო საანალიზო პრინციპების (სემანტიკური ბუდეების მიხედვით) შესამუშავებლად ვისარგებლეთ ზ. ჯაფარიძის ნაშრომით „მესაქონლეობის ლექსიკა – სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად განლაგების ცდა ხუნძური ენის მასალაზე“ (ჯაფარიძე 1966). რადგანაც ეს სიტყვები ძალზე ფართო გამოყენებისაა, საილუსტრაციო მასალა მოგვყავს როგორც ცხენთან,

ასევე სხვა საგანთან მიმართებაში.

## 1. სხეული, ორგანო, ნაკვთი

**ტანი** „ცხენის ტანი“. სიტყვა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. თვით ქართულში ირანულიდან ნასესხობად ივარაუდება (ანდრონიკაშვილი 1966: 376). ტერმინის გამოყენების არეალი მეგრულში ისევე, როგორც ქართულში, ფართოა. გვხვდება არამარტო ცხენთან (საქონელთან), ან ადამიანთან მიმართებაში, არამედ უსულო საგნებთანაც.

**ხორცი** „ხორცი“ (ჭარაია 1997: 181). სიტყვა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულ-ლაზურს, ქართულისთვის კი ამოსავლად მიიჩნევა სკვითურ-ალანური **ხორც** „საკვები, ხორცი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 129).

სხვა მოსაზრებით, სიტყვა ჯორცი მიმღეობური ფორმაა: **ჯოც-ს** > **ჯორც-ი**. **ჯოც**- ფუძეში **რ** ფონეტიკური დანართი ჩანს. ამავე კონტექსტში განიხილება სვანური **ლეღუ** „ხორცი“ სიტყვა, რომელიც მეგრულსა და ლაზურში დაცულ **ღ-ურ-ა** სიტყვასთან („კვდომა“) უნდა ავლენდეს საერთოს. სვან. **ლეღუ** (ლე-ღ-უ) „ხორცი“ ქართ. **სა-კლ-ავ** („სა-ჯოც-“) სიტყვის ფარდი ერთეული ჩანს“ (ბედომშვილი 1986: 11). „**ჯოცა** ზმნამ შეიძინა მნიშვნელობა „კვდომა, კვლა“ იმის გათვალისწინებით, რომ „ჯორცთა“ სიკვდილი იწვევს „ჯორცთა“ – სხეულის კვდომას, დაშლას, რღვევას, დანამცეცებას („მიწა“ ხარ და მიწადმცა მიიქცევი“ – დაბადება)“ (ღლონტი 1986: 33).

ჩვენ ვიზიარებთ გ. ბედომვილისა და დ. ლლონტის შეხედულებას. შდრ. აფხ. ა-კაგ „ხორცი“ (ჯანაშია 1954: 153), რომელიც შესაძლებელია ქართულ-მეგრულიდანაც იყოს ნასესხები.

მეგრულში ეს სიტყვა გვხვდება იდიომურ გამოთქმებში: **ხორც დო კანიშ შქას ჭუა** „ხორცსა და კანს შუა დაწვა“, „უმწეობის შეგრძნება“ (ჩიქვანაია 1998: 93), **ხორციშ დორღვაფა** „ხორცის დაყრა, გახდომა, დასუსტება“ (იქვე).

**კუთი** „კუნთი, ფეხის კუნთი“. ეს სიტყვა მეგრულში, ისევე, როგორც სვანურში, წარმოდგენილია ძველ ქართულში დაცული ფორმით **კუთ-**. საბას მიხედვით, **კუთი** „სისქე ჯორცთა“ (საბა 1991: 395). ახალ ქართულში **ნ** სონორი განვითარდა. ლაზურში მისი მნიშვნელობით გამოიყენება **ტუტული** (ნარაკიძე 1983: 68), რომელიც გარდა კუნთისა, ბარკალსაც აღნიშნავს.

## 2. სისხლი, ლორწო

**ზისხირი** „სისხლი“. ამ სიტყვის ფუძე საერთოქართველური ენის უძველეს ფენას განეკუთვნება. წარმოდგენილია სამსავე ქართველურ ენაში: ქართული **სისხლ-ი**, მეგრ. **ზისხირ-ი**, ლაზ. **დიცხირ-ი** / **დინცხირ-ი**, სვან. **ზისხ**. ქართული და მეგრული ფორმების იდენტურობას პირველმა ყურადღება ალ. ცაგარელმა მიაქცია, როცა განიხილავდა ქართ. **ს** : მეგრ. **ზ** ბგერათმესატყვისობას (ცაგარელი 1880: 58). ამ ძირსვე უკავშირდება რაჭული **ზისხა** „უმი ხორცის ნაწყენის სის-

ხლად გახეთქა“ (ჩიქობავა 1942: 51). არნ. ჩიქობავა საერთო-ქართველურ ძირად ვარაუდობს -სხ-ს (ლაზური -ცხ- < -სხ-). მკვლევარს ქართული სი-, მეგრ. ზი-, ლაზ. დი- ნივთის კლასის გაქვევებულ ფორმებად მიაჩნია; -ლ ქართულში და -ირ-ზანურში კი ფუძის დეტერმინანტ სუფიქსად (ჩიქობავა 1938: 72-73). სხვა მოსაზრებით, ამოსავალ ფორმად ივარაუდება **ზისხირ-** (კლიმოვი 1964: 87), საიდანაც ასიმილაციით მივიღეთ **სისხლ-** < **ზისხირ** (მაჭავარიანი 1965: 27). რ. გორდეზიანის ვარაუდით, ქართული **სისხლ-**ი უკავშირდება წინარებერძნულ ἰχθῆ „ღვთაებრივი სისხლი“, სადაც ამოსავალი ქართული (resp. ქართველური) ფორმა უნდა იყოს (გორდეზიანი 1985: 60).

სიტყვა ხშირად გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმებში: **ზისხირი** უფუნს „სისხლი უდულს, უფუის“ (ჩიქვანაია 1998: 26), **ზისხირი** უმახუ „სისხლი უმახის, უყვიის“ (იქვე), **ზისხირიშ** გოსქირაფა „სისხლის გამრობა“ (იქვე).

**ლეზვა / ლეჟვა** „ლეზვი, დორბლი“ (ჭარაია 1997: 87), „საქონლის დორბლი“ (ჯკვ., წალენჯ., ჩხორ.): თურქულე ოკო ოჭირდან, **ლეზვა** მანტუუ ნიჩვისია „თურქული უნდა სჭირდეთ, ლორწო გასდით ცხვირიდან“ (სამუშია 1979: 148). ლაზურში ამ ფორმას შეესაბამება **ლეჟვი / ლეჟვი** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 198). მეგრულში გვხვდება ქართული **ლეზვა-**ს კანონზომიერი შესატყვისი **ლეჟვა** (შდრ. ქართ. **მზე** : მეგრ. **ბჟა**, ქართ. **ზე** : მეგრ. **ჟი**), აგრეთვე საკუთრივ ქართული ფორმა **ლეზვა**.



### 3. ძვალი, ხრტილი, მყესი, სახსარი, ძარღვი

ძვალი „ძვალი“ (ციფშიძე 1914: 374; ჭარაია 1997: 163):  
[...] ძვალი გამანგრებული, ძელი გამანგარებული, შენალორ-  
სი შერგებული „[...] ძვალი გამანგრებული, რბილი გამანგრებუ-  
ლი, შენალოცი – შერგებული“ (დანელია, ცანავა 1991: 488).  
არნ. ჩიქობავა ქართული ძვალ- ფუძის კანონზომიერ შესა-  
ტყვისად ვარაუდობს მეგრულ იჯგვიჯგვინანს („უხეზად,  
ტლანქად გამოიყურება“) ფორმის ძირს ჯგვიჯგვ- და ძვალ-  
ფუძის აგებულებას ქართველურ ენათა მონაცემების გათვა-  
ლისწინებით შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: ქართ. ძვ-ალ  
(ძვ. ქართ. ძუ-ალ-ი), ლაზური \*დი-ჯგ-, სვან. ჯი-ჯგ-ი, გურ.  
ჯი-ჯგვ-ი (გარკვეულ გამოთქმებში), მეგრ. ჯგვი-ჯგვ- ზმნურ  
ფუძეებში იჯგვიჯგვინანს, მიმღ. ჯგვიჯგვიერე (ჩიქობავა 1940:  
96). ლაზურში ძვალს აღნიშნავს ყვილი (მარი 1910: 203): ყვი-  
ლეფე ჩქიმი-ა დომლოუდის ქოლოლობდი-ა „ჩემი ძვლები ზაგა-  
ში ჩაყარეო“ (ასათიანი 1974: 104). ლაზური ფუძის ძირი და-  
ცულია ქართულ ფორმაში ყვლივი „მხარის ძვალი“ (საბა  
1993: 273). გარდა ყვილ-ისა, ლაზურში გვაქვს ამ ძირის ფონე-  
ტიკური სახენაცვალები: ცილ-ი (არქ. ათინ.), ილ-ი (ათინ.). ეს  
ძირი გვაქვს მეგრულ ყვიყვილ-ში, ნიშნავს მენჯის ძვალს. ამ  
შემთხვევაში მეგრულში სემანტიკა დავიწროებულია და რე-  
დუპლიცირებულია ძირი (ყვილყვილ > ყვიყვილ-ი).

ძვალი ხშირად გვაქვს მეგრულ იდიომურ გამოთქმებ-  
ში: ძვაიშ მატახალი „მარცხენალი“, ზედმ. „ძვლის გამტეხი“  
(ჩიქვანაია 1998: 84); ძვაი დო ტყებო გინორთადა „ძვალ-ტყა-

ვად ქცევა, გამვალტყავება. გახდომა, დასუსტება“ (იქვე).

**ხინტკირი / ხენტკვრი** „ხრტილი“ (ჭარაია 1997: 179). როგორც ჩანს, ქართული და მეგრული ფორმები გასუბსტანტივებული მიმდებარებია (**ხრტ-ილ-ი**, **ხინტკ-ირ-ი**), გამოიყოფა **-ირ** / **-ილ** მაწარმოებლები. ძირი კი ზმნურ ფორმებშია დაცული: **ხრტ-ილ-ი**. **ხუტ-ორ-უნ-ს** (მეგრ.) „ღრღნის“, **ხინტკ-ირ-ი უ-ხინტკ-უ-ან-ს** „ღრღნის“ (გელენიძე 1974: 22), აგრეთვე **ო-ხინტკ-ორ-ა-ია** „საღრღნელი“. **ხინტკირი** შეთვისებული ჩანს მეგრულიდან გურულ დიალექტში იმავე მნიშვნელობით **ხინტრ**-ის სახით (შარაშიძე 1938: 92).

**საზინდი** „მყესი“ (ჭარაია 1997: 121; ხობი). ტერმინის ძირად გამოყენებულია **ზინდ-უა** ზმნა, რაც „ზიდვასთან“ ერთად ნიშნავს „გაჭიმვასაც“. მიღებულია დანიშნულების ქართული **სა-** პრეფიქსის დართვით და ზედმიწევნით ნიშნავს „გასაჭიმს“.

**სახსარი / სარსხალი / სახვარი** „სახსარი, კიდურის ორი ძვლის შეერთების ადგილი“ (ჭარაია 1997: 123; ფოჩხუა 1974: 316). **სახსარი** ვარიანტი ქართულიდანაა შეთვისებული უცვლელად, მეორე შემთხვევაში ფუძის შიგნით, ინტერვოკალურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსში მოხდა მეტათეზისი (**ხს** > **სხ**), განვითარდა სონორი და დისიმილაციის საფუძველზე **რ** > **ლ** (**სარსხარი** > **სარსხალი**). მესამე ფორმა ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით ცალკე დგას. შეიძლება უკავშირდება **შახვარ**-ს „ბარძაყი“ (ელიავა 1997:

335). შდრ. აფხ. ა-შახ<sup>ა</sup>რ „წვრილფეხა საქონლის კანჭი და ძვლის ტვინი“. ქართულში ეს სიტყვა გასუბსტანტივებული მიმღეობაა. ასევეა მეგრულშიც. ლაზურში გვაქვს იმავე ძირი-საგან ნაწარმოები მე-**[მ]**-ცხვ-ერ-ი, მე-**ცხ**-ულ-ი (ჩიქობავა 1938: 59).

**ოდრიკალი** / **ოდირაკი** „სახსარი“ (ჩხორ.). ეს ვარიანტები მიღებულია **დირიკუა** / **დირაკუა**, **ღირიკუა** / **ღირაკუა** ზმნური ფუძისაგან, ნიშნავს „დრეკას“, „ღრეკას“. პირველ შემთხვევაში მაწარმოებელია ვნებითი გვარის მყოფადი დროის მიმღეობის **ო-ალ** ცირკუმფიქსი, მეორე შემთხვევაში სავარაუდოა **ო-უ** თავსართ-ბოლოსართი, რომლის დართვის შემდეგ ტერმინმა ასეთი ცვლილება განიცადა \***ოდირაკუ** > \***ოღირაკე** > / **ოდირაკი** (შდრ. **რჩინუ** > **რჩინგ** > / **რჩინი** „მოხუცი“, **ჩიხუ** > **ჩიხგ** > / **ჩიხი** „ბურვაკი“). ლაზურში გვაქვს იმავე ძირიდან ნაწარმოები მე-**დრიკ-ონ-ი** / მე-**[ნ]**-**დრიკ-ონ-ი** / მე-**ნ-დიკ-ონ-ი** (ჩიქობავა 1938: 60). შდრ. ძვ. ქართული **სადრეკელი** „სახსარი“ (გელენიძე 1974: 89), ქართლური **სადრეკი** „სახსარი მუხლისა“ (ბეროზაშვილი 1981: 362). მეგრული ფორმა **ო-დირიკ-ალ-ი** სტრუქტურულად ისეთივე აგებულებისაა, როგორც ძვ. ქართ. **სა-დრეკ-ელ-ი**, ხოლო **ო-დირაკ-ი** ფორმობრივ ემთხვევა ქართლურ **სა-დრეკ-** ფორმას. მეგრული **ო-დრიკ-ალ-ი** გვხვდება ძველ ქართულში. საბას მიხედვით, **ოდრიკალი** „მოხრილი, დარჭმული-ა“ (საბა 1991: 601). ეს ფორმა სალექსიკონო ერთეულად შეტანილია ქეგლ-ში (ქეგლ VI: 11).

**ორცხუა** „სახსარი“ (ჭარაია 1997: 109); „ცხენის მენჯ-ბარძაყის სახსარი“ (ხოზი, ზუგდ.). ტერმინი დანიშნულების **ო-** პრეფიქსით არის ნაწარმოები **რცხუალა** ზმნური ფორმისაგან, რომელიც ნიშნავს „შეერთებას, მიმაგრებას“. ამოსავალი ფორმა იქნებოდა **ო-რცხუ-ალ-ი**, ე. ი. მაწარმოებლად ივარაუდება **ო-ალ** ცირკუმფიქსი, **-უ** კი (**ო-რცხ-უ-ალ-ში**) **-უნ** თემის ნიშნის ნაწილია (**რცხ-უნ-ს** „აერთებს“), ე. ი. სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „მისამაგრებელი, შეერთების ადგილი“.

**ჯერღვი** „ძარღვი“ (ყიფშიძე 1914: 394; ჭარაია 1997: 184): არგუნ-ბურჭული! სუმ ნოწკერია გოწკირილი, **ჯერღვი** სკვირი გოწყუმილი (ყიფშიძე 1914: 285) „ნაჯახ-წალდი! სამი ნაჭერი (შეშა) დაჩეხილი, შეკრული ძარღვი – გახსნილი“ (შელოცვა); ფუძე საერთოქართველურია. ამ ფაქტს პირველმა ყურადღება მიაქცია ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 64). ქართულ **ძარღვ-ს** მეგრულში **ჯერღვ-** ფორმა შეესატყვისება საერთო წესის წინააღმდეგ (ქართულ **-ა-ს** მეგრული **ო** უნდა ჩანაცვლებოდა). ამის მიზეზი კი უმლაუტის მოქმედება უნდა იყოს: **ჯერღვ < \*ჯორღუ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 167). იგივე ლექსემა გვაქვს სვანურშიც **ჯარღუ** („ძარღვი“) ფორმით (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 429).

ლაზურში ძარღვს აღნიშნავს თურქულიდან შეთვისებული **დამაი** < თურქ. **დამარ** „ძარღვი“ (ზასკაკოვი 1977: 208).

#### 4. ბეწვი, ბალანი

**ფოფორი / ფაფარი** „ფაფარი“ (ჭარაია 1997: 137; ელიავა 1997: 307; ჯვ., წალენჯ., მარტვ., ჩხორ., ხობი): კისერი დო ცუჯიშქასე **ფაფარ** ათორდუაფილი „კისერსა და ყურებს შორის ფაფარი ჰქონდა შეზრდილი“ (სამუშია 1971: 106). სულხან-საბას განმარტებით, **ფაფარი** „ცხენის კისრის თმა“-ა (საბა 1993: 186). მისი კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ფოფორი** „ფაფარი“. არნ. ჩიქობავა მიიჩნევს, რომ ძირეულია **ფაფ-**, ხოლო **-არ** დეტერმინანტი სუფიქსია (ჩიქობავა 1938: 102). „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ კი მითითებულია, რომ **ფაფარი** რედუპლიცირებული ფუძე უნდა იყოს: **ფა-ფარ** < \***ფარ-ფარ**- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 313). ლაზურში წარმოდგენილია ვარიანტები **ფამფარი / ფანფარი / ფანფაი**, რომელიც აღნიშნავს ბოლოს, ბიბილოს, რომლებშიც **ფ-**ს წინ **მ/ნ** სონორია განვითარებული. შდრ. **ყუჯიშ ფამფარი** „ყურის ბიბილო“ (მარი 1910: 193), მთიულური **ფანფარა** „ფაფარი“ (კაიშაური 1978: 122), ხოლო თვით **ფაფარი** ლაზურში აღინიშნება **ჩოჩოქა** სიტყვით (მარი 1910: 211). ამავე ფუძის კანონზომიერი შესატყვისი გვაქვს სვანურშიც **ფაფალ** ფორმით (ლიპარტელიანი 1994: 274).

**ფაფარი / ფოფორი** გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმაში **ფოფორიშ ჩანაფა** „გათამამება“, ზედმ. „ფაფრის წამოზრდა“, შდრ.: **ფოფორჩანაფილი** „გათამამებული“, ზედმ. „ფაფარწამოზრდილი“, **ფოფორ** ქიჩანუ „გათამამდა“ ზედმ. „ფაფარი წამოიზარდა“.

**ფაჭაჭი** „ფაფარი“ (ჭარაია 1997: 134). მეგრულში, გარდა ფაფრისა, აღნიშნავს „ქოჩორს, ადამიანის შუბლზე

წამოზრდილ თმას“. ამ სიტყვას ვერ დავაშორებთ აფხაზურ **ა-ფჭაჭარ-ს** (ჯანაშია 1954: 288). ა. შაგიროვი აფხაზურ **ა-ფჭაჭარ-ს** ქართველურიდან (მეგრულიდან) შეთვისებულად მიიჩნევს, თუმცა ამოსავალ ფორმად **ფაფარს** თვლის (შაგიროვი 1989: 146).

**ძუა** „ცხენის კუდის თმა“ (ყიფშიძე 1914: 376; ჭარაია 1997: 164): ართი ცხენი მათ ქოპუნსი, ფაფარ ჩე დო **ძუა** ფალო „ერთი ცხენი მეცა მყავს, ფაფარი თეთრი და ძუა მთლად“ (გუდავა, ცანავა 1975: 141). **ძუა**, საბას განმარტებით, „ცხენის კუდის თმაა“ (საბა 1993: 359), ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი **ძუა** / **ძუვა** „ცხენთ კუდის გრძელი ბალანია“ (ჩუბინაშვილი 1961: 443). პ. ჭარაია ქართული **ძუა** ფორმის მეგრულ შესატყვისად მიუთითებს **ჯუა-ს** (ჭარაია, 1997-ა, 225). იმავე ფუძის შესატყვისი სვანურშიც **ჯგ** / **ჯი** ფორმით, ე. ი. ძირი წარმოდგენილია სამსავე ქართველურ ენაში: ქართ. **ძუა**, მეგრ. **ჯუა**, სვან. **ჯგ** / **ჯი** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, : 436). ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში ზემოთ მოყვანილი **ჯუა** ფორმა ამ მნიშვნელობით ვერ დავადასტურეთ (მეგრული **ჯუა** „ძუკნა“-ს ნიშნავს).

ლაზურში ამ ფორმათა ლექსიკური შესატყვისია **წარი** (მარი 1910: 218), **წწაი**, **წცხენიშ წწაი** (ყდენტი 1938: 198). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს ფორმა უკავშირდებოდეს ქართულ **წარბ-**, მეგრულ **წარ-** / **წაბ-**ს (გელენიძე 1974: 18). ამ მოსაზრებაში წინააღმდეგობრივს ვერას ვხედავთ და ვეთანხმებით მას.

**ბოდორი / ბონძორი / ბონძგორი** „ბეწვი, უშნოდ აჩეჩილი ბალანი“ (ყიფშიძე 1914: 207; ელიავა 1997: 33): მუ ბორჯის **ბოდორც** ქემანტუუ დაჩხერქე დო ინტე უკვნუჯინუუო, კოჩი, ნამუთი ნდემც ოლაყაფუდუნი, ოჭოფესე (ყიფშიძე 1914: 62) „როდესაც ბალანზე ცეცხლი წაეკიდა და უკანმოუხედავად გაიქცა, ის კაცი რომელიც დევთან თამაშობდა, დაიჭირეს“.

ლექსემა მეგრულში წარმოდგენილია ფონეტიკური ვარიანტებით: განვითარებული სონორით – **ბოდორი** > **ბონძორი**, ასევე სონორიან ფორმაში უკანაენისმიერი მჟღერის ჩართვით – **ბონძორი** > **ბონძგორი**. ეს უკანასკნელი ფორმა, როგორც ჩანს, უკავშირდება ქართულ **ბანჯგვლ**-ს, თუმცა ქართ. **ჯ** : მეგრ. **ძ** ძნელი ასახსნელია. უნდა იყოს პირიქით. ქართულ-ზანური რეგულარული ბგერათმქესატყვისობის მიხედვით ქართ. **ძ** : მეგრ. **ჯ**.

## 5. ტყავი

**ტყევი** „ტყავი“ (ყიფშიძე 1914: 331; ჭარაია 1997: 130): ეფერ-ეფერი მართახი ქიგმამუქვია, ნამდა ართი შორტი **ტყევი** ართი ცურე გემონწყია დო მაჟირა ცურე მაჟირა შორტი **ტყევი** გემონწყია (ყიფშიძე 1914: 77) „ისეთი მათრახი დამარტყი, რომ ერთი წყება („შოლტი“) ტყავი ერთ მხარეს გამაძრო და მეორე მხარეს მეორე წყება („შოლტი“) ტყავი გამაძვრო“.

ფუძე ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე აღდგება: ქართ. **ტყავი**, მეგრ. **ტყევი**, ლაზური **ტკევი** / **ტევი** (მარი 1910: 190; ჟღენტე 1938: 210). არნ. ჩიქობავა ამ ფუძეებში გამო-

ყოფს -ავ, -ებ ფუძის მაწარმოებელ სუფიქსს, თან დასაშვებად მიიჩნევს -ებ- < -ევ- (ჩიქობავა 1938: 70). სხვა მოსაზრებით ვ(-ჟ) : ზ შესატყვისობა შესაძლოა საერთოქართველური ეპოქიდან მოდიოდეს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 111). შდრ. ქართ. კრავი : მეგრ. კირიბი. ტყავ- ფუძის ზანურ შესატყვისად ტყოვ ფორმაცაა აღდგენილი (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 908).

ლაზურში ეს სიტყვა წარმოდგენილია ტკები (ხოფ., ვიწ., არქ.) / ტები (ათინ.) სახით (ჟღენტი 1953: 60).

ტყები სიტყვა გვხვდება მეგრულ სინტაგმებში დუდიშ ტყები „თავის ტყავი“ (ჯვ., ჩხორ., ხობი), თხითხ ტყები „ცხენის ფერდის ტყავი“ (მარტვ., სენაკი), ზედმიწევნით ნიშნავს „თხელ ტყავს“.

ძირეულ ტკებ- / ტებ-ს ლაზურში ხშირად ენაცვლება თურქულ-სპარსული ფოსტი: დიდი მთუთიში ფოსტი ქეჭო-ფუ „დიდი დათვის ტყავი იყიდა“ (ჟღენტი 1938: 210). იმავე ფუნქციით გამოიყენება ლაზურში თურქული გონი: აშო ვორეშა, ამა ცხენიში გონი უხუინკანუ „სანამ ასე ვარ, ეს ცხენის ტყავი შეინძრა“.

მეგრული ტყები გვხვდება იდიომურ გამოთქმებში: ტყებიშ კვარჩხიშე გონწყუმა „მკაცრად დასჯა“, ზედმ. „ტყავის უკუღმა გაძრობა“ (ჩიქვანაია 1998: 63), სქანი ტყებიშოთ უჯგუ „შენთვის ჯობია, გამიფრთხილებიხარ“, ზედმ. „შენი ტყავისთვის ჯობია“ (იქვე, 61).



## 6. საჭმლის მონელების პროდუქტები

**ჩონჩორი / ჩონჩორიკი** „ცხენის განავალი“ (ჭარაია 1997; 157; ჯვ., მარტვ., ჩხორ., ხობი). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, **ჩონჩორიკი** „ცხენთა, ჯორთა, ვირთა სკორესა ეწოდების“ (საბა 1993: 322). ასევეა განმარტებული ნ. ჩუბინაშვილთანაც (ჩუბინაშვილი 1961: 432). გვაქვს სვანურშიც **ჩორ** სახით (ლიპარტელიანი 1994: 317). როგორც ჩანს, ქართულ-მეგრული ფუძე რედუპლიცირებულია, სვანურმა კი ოდინდელი მარტივი ფორმა შემოინახა. სვანური **ჩორ** ფორმა ფუძის ცვლილების ასეთ პროცესს დაგვაშვებინებს: **ჩორჩორ** > **ჩონჩორი** (სონანტთა მონაცვლეობით) > **ჩონჩორ-იკი** (კნინობითობის -იკ სუფიქსის დართვით).

**ნაფსუმა / ნაფსგმა / ნასუმა** „ცხენის შარდი“ (ჩხორ., ხობი, მარტვ.). ვარიანტები მიღებულია **ფსუმა** „შარდვა“ ფორმისაგან (შდრ. ქართ. **ფსმა**) ნამყო დროის მიმდევობის **ნა-**პრეფიქსის დართვით. ვარიანტები ასეა მიღებული: **ნაფსგმა** < **ნაფსუმა** (უ > გ მეგრულისთვის ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია) და **ფს** კომპლექსის გამარტივებით > **ნასუმა**.

ლაზურში ამ ფორმას შეესატყვისება **მსელი**: ცხენიში **მსელითენ** ბგბუფთ „ცხენის შარდით ვხარშავთ“. მეგრულ-ლაზური ძირი ქართულიდან ჩანს შეთვისებული.

## 7. თავი

**დუდი** „თავი“ (ყიფშიძე 1914: 228; ჭარაია 1997: 62): **დუდიმ** ქანცაფი უჭირს, ვარა არმა ცხენი თუხარიკი რე „თავის განძრევა უჭირს, თორემ ყველა ცხენი თოხარიკია“ (დანელია, ცანავა 1991: 425). ეგევე სიტყვა გვაქვს ლაზურშიც: **დუდი** „თავი, კევა, სათავე“ (მარი 1910: 140). ეს ფუძე მეგრულიდან ნასესხებია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: იმერულში **ამო-დუდ-ება** „თავამდე ავსება“, **უ-დუდ-ური** „უჭკუო, მოურიდებელი“ (ბერიძე 1912: 24), გურულში **დუდი** „ქათმის ბიბილო“ (ღლონტი 1974: 213), აჭარულში **დუდი** „თავის თხემი“ (ნიჭარაძე 1957: 143). იგივე ძირი ნასესხები აქვს სვანურსაც, სადაც **დუდ-ულ** ნიშნავს „ძუმუსთავს“ (კლიმოვი 1964: 75). ლაზურში **დუდ-ს** ხშირად ენაცვლება ქართული **თავ-** ფორმის შესატყვისი **თი**: გულოკიდაფან ოხოს, ზამანის, ცხენიში **თი**, ფუჯიში -თი იყვენ, ხოჯიში -თი იყვენ „ჩამოჰკიდებენ სახლზე, ძველად, ცხენის თავს, ძროხისაც შეიძლება, ხარისაც“ (ასათიანი 1974: 126). ხშირად გვხვდება მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი **თიშიდუდი** „თხემი“ (იქვე, 126), ზედმ. „თხემის თავი“.

სიტყვა გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმაში **დუდიმ** **ეკინა** „გაამაყება, გამედიდურება“, ზედმიწევნით ნიშნავს „თავის აწევას“ (ჩიქვანაია 1999: 19).

**ხოკო / ხოპო, დუდიმ ხოპო** „თავის ქალა“, „ცხენის თავის სარქველი“ (ზუგდ., ჯვ., წალენჯ.). ცნება აღინიშნება როგორც მარტივი ფუძის მქონე ტერმინის სახით, ასევე ტერმინოლოგიური შესიტყვებით, სადაც მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში დასმული მეგრული „თავია“.

შესიტყვება ზედმიწევნით ნიშნავს „თავის სარქველს“. ამ სიტყვის ძირი გვაქვს აჭარულ **ხაპერ-** / **ხოკერში** (ღლონტი 1974: 739, 758; ფუტკარაძე 1990: 44).

**ყვა** „შუბლი“ (ჭარაია 1997: 149; ელიავა 1997: 331). ფუძე განეკუთვნება საერთოქართველური ლექსიკის უძველეს ფენას. ამოსავალი ფორმაა ქართული **ყუა** (ჩიქობავა). ლაზურში წარმოდგენილია **ყუა** / **ყვა** (მარი 1910: 204), **კვა** (ქლენტი 1938: 190) ფორმებით. გვაქვს სვანურშიც **ყტა** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 373). სიტყვა მეგრულში ხშირად გვხვდება კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტად: **ყვარჩე** „შუბლთეთ-რი“, **ყვასადარი** „შუბლსადარი“ .

**ჩხვინდი** „ცხვირი“ (ყიფშიძე 1914: 368; ჭარაია 1997: 149). ისე, როგორც სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინთა უმეტესობა, **ჩხვინდ**-იც საერთოქართველური ენის კუთვნილებაა. აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე: ქართ. **ცხვირი**, მეგრ.-ლაზ. **ჩხვინდი** / **ჩხინდი** (ცაგარელი 1880: 37). არქეტიპად სავარაუდოა **ცხტირ**- ფორმა (კლიმოვი 1964: 232). არნ. ჩიქობავა გამოყოფს **ცხვ** : **ჩხვ**- ძირსა და **-ირ** : **-ინდ** (< **-ინჯ**) სუფიქსს. ამ უკანასკნელში **ნ** განვითარებულია. მეგრულისათვის ამოსავალი **ჩხვინჯ**- უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა 1938: 48). **ჯ** > **დ** დეზაფრიკატიზაციის ნიადაგზეა მომხდარი (როგავა 1947: 353).

იმერულ დიალექტში დასტურდება **ცხვინჯა** („დიდი და უშნო ცხვირიანი“) ფორმა (ბერიძე 1912: 73). ვ. ბერიძე იმერულთან შესადარებლად უთითებს მეგრულ-ლაზურ

**ჩხვინდს** „ცხვირს“. იმერული **ცხვინჯა** ფორმა ძალზე საინტერესოა: ქართულ სისინა **ც** თანხმოვნიან ვარიანტს დართული აქვს მეგრული **-ინჯ** დაბოლოება, ე. ი. მთლიანად ფორმა კონტამინაციაა ქართულ-მეგრული ვარიანტებისა. სხვაგვარად **ც** თანხმოვნის არსებობა იმერულ ფორმაში აუხსნელია, მას მთლიანად მეგრულიდან შეთვისებულად ვერ მივიჩნევთ. ამგვარი კონტამინირებული ფორმები ბუნებრივია იმ ენებისათვის, ან დიალექტებისთვის, რომლებიც ტერიტორიული სიახლოვის გამო აქტიურ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. შდრ. იმერულივე **ყვაჭიჭა / ყვარჭიჭა** „ბაყაყი“, რომელიც კონტამინირებული კომპოზიტია და პირველი კომპონენტი **ყვარ** > **ყვა**- ძველ ქართულში დაცული **მყვარი / მყუარი** „ბაყაყა“ (საბა 1991: 537), მეორე კომპონენტი **ჭიჭა** კი „პატარა“ მეგრულად, ე. ი. კომპოზიტი მთლიანად ნიშნავს „პატარა ბაყაყს“.

**სარსე** „ხრტილოვანი ძვალი ცხენის ცხვირში, რომელიც ძოვაში უშლის ხელს. ჭრიან დადაღვის დროს“ (მაკალათია 1941: 201). ფორმა ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ. ეტიმოლოგიაც გაურკვეველია ჩვენთვის. ფორმის სტრუქტურა გვაპარაუდებინებს, რომ უნდა გამოვყოთ დანიშნულების ქართული **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსი.

**ოშურე** „ცხენის ცხვირის ღრუების დასაწყისი; ნესტო“ (ჯვ.). ფორმა მიღებულია მეგრული არსებითი სახელისაგან **შური** „სული“. დართული აქვს დანიშნულების მეგრული **ო-ე** პრეფიქს-სუფიქსი (ქართული **სა-ო | სა-ე-ს** მორფოლოგიუ-

რი ადეკვატი). ზედმიწევნით ნიშნავს „სასულეს“, ე. ი. „ადგილს, საიდანაც სუნთქავს“ (შდრ. ქართული **სასულე**, რომელიც სასუნთქ მილს აღნიშნავს). ლაზურში მას შეესაბამება ტერმინოლოგიური შესიტყვება **ჩხვინდიშ ღორმა**, ზედმ. „ცხვირის ხვრელი“ (ასათიანი 1974: 126).

ნესტოს მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება აგრეთვე **ხენტკვრი** (ჩხორ.), რაც „ხრტილს“ ნიშნავს (ქართული **ხრტილ**-ის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სემანტიკური შესატყვისია).

**სუჯი** „ყური“ (ციფშიძე 1914: 420; ჭარაია, 1997 150): [მუჰამბიქ] რაში **სუჯით** ოჭოფე „[მუჰამბიქ] რაში ყურით დაიჭირა“ (დანელია, ცანავა 1991: 114). მეგრული **სუჯ**-ი ქართული **ყურ**-ის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია (ცაგარელი 1880: 26, 64): ქართ. ყ : მეგრ. ს (შდრ.: **ყუა – სუა, ყურძენი – სურზენი**); ქართ. რ : მეგრ. ჯ, თუ ჯ-ს მოსდევს -ი ხმოვანი (შდრ.: **პირი – პიჯი; მხარი – მხუჯი > ხუჯი, ღორი – ღეჯი**) (როგავა 1959: 278). იგივე ფუძე გვაქვს ლაზურში ფონეტიკური ვარიანტების სახით: **ყუჯი > სუჯი / დუჯი / უჯი** (ჩიქობავა 1938: 46). ამავე ჯგუფში აერთიანებენ სვანურ **ყორ**-ს „კარი“ (ფოჩხუა 1974: 318). რ. გორდეზიანი ამ ფუძესთან აკავშირებს შუმერულ **კურ** „ყარაულობა, დარაჯობა“-ს და აღნიშნავს, რომ **ყურ**- ფუძეს ქართული ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჰქონდა „თვალყურის დევნების, თვალთვალის“ მნიშვნელობა (გორდეზიანი 1985: 47).

სიტყვა ხშირად გვხვდება მეგრულ იდიომურ გამო-

თქმებში. მაგ.: თოი და **სუჯიში** მეჩამა „თვალყურის დევნება, მეთვალყურეობა, ყურადღების მიქცევა“ (ჩიქვანაია 1998: 29); **სუჯიშ ელახორხუა** „მოტყუება“, **სუჯი** ქალმოხორხუ „მომატყუა“, ზედმიწ. „ყური ჩამომახერხა“.

**თოლი** „თვალი“ (ყიფშიძე 1914: 243; ელიავა 1997: 174): **თოლი თოლიში** ტერი რე (ყიფშიძე 1914: 177) „თვალი თვალის მტერია“. მიიჩნევენ, რომ მეგრული **თოლ**-ი მიღებული ქართული **თვალ**-ისაგან (< **თუალ**-) **უა** > **ო** შერწყმის შედეგად. ეს ფონეტიკური პროცესი ბუნებრივია ქართველური ენებისათვის. შდრ. მთიულური **კვალი** – **კოლი**, **ცხვარი** – **ცხორი** (ჩიქობავა 1938: 45). სხვა შეხედულებით მეგრულ-ლაზური არქეტიპი უნდა იყოს \***თუოლ**-. **ო**-ს წინ **უ**-ს დაკარგვის შედეგად მივიღეთ **თოლ**-ი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 148-149). გ. კლიმოვი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგენს \***თუალ** არქეტიპს (კლიმოვი 1964: 93). როგორც ჩანს, ამოსავალი ფორმა \***თუალ** უნდა იყოს, საიდანაც მივიღეთ მეგრული **თოლი**.

მეგრული **თოლი**, ქართული **თვალი** საერთოქართველური ენის უძველესი ფენის კუთვნილებათ. იგი აქტიურად რეალიზდება სხვადასხვა სფეროში. ეს სიტყვა ძალზე ხშირად გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმებში: **თოიდოდგინელი** „თვალდამდგარი“ (ჩიქვანაია 1998: 28), **თოიმონახვამიფი** „თვალნაცემი, გათვალული“ (იქვე, 29), **თოიშ გერშუმაფა** „თვალის დადგმა, მოწონება ვინმესი, რაიმესი“ (იქვე, 30), **თოიშა ეწოძირაფა** „მოლანდება, მოჩვენება“ (იქვე, 32).

**ნაკაკა-თოლი, თოლიშ ნაკაკა** „თვალის გუგა“ (ყიფშიძე 1914: 243; ელიავა 1997: 244). ერთ შემთხვევაში გვაქვს კომპოზიტი, მეორეში კი მართულმსაზღვრელიანი ტერმინოლოგიური შესიტყვება. ორივე შემთხვევაში გამოიყოფა (პირველში ატრიბუტივად, მეორეში – საზღვრულად) **ნაკაკა** ფორმა, რომელიც სტრუქტურულად ნამყო დროის მიმდებობას ჰგავს **ნა-კაკა-ა** (შდრ. **ნა-ხანტ-ა** „ნახატი“, **ნა-ჭარ-ა** „ნაწერი“). შესაძლოა, გასუბსტანტივებული მიმდებობის ძირი იგივე იყოს, რაც **კაკალ-ში** – **თოლიშ კაკალი** „თვალის კაკალი“. ეს ცნება ლაზურშიც ასევეა წარმოდგენილი: **თოლიშ კაკალი** „თვალის კაკალი“ (ასათიანი 1974: 126). შდრ. სპარსული **კაკ** „თვალის გუგა“ (აბაევი 1958: 505).

**თოლიშ ლუბა / თოლიშ უბა** „თვალის უპე“ (ყიფშიძე 1914: 243; ჯვ., წალ.). **ლუბა / უბა** ქართული უპე-ა „თვალის გარეთა ნაწილი ღაწვის თავიდან ქვედა ქუთუთომდე“ (ქეგლ VI: 1561). მეგრული ფორმის ანლაუტში **ლ** სონორია განვითარებული. ეს მეგრულისათვის ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია. შდრ. **აკაცია – ლაკაცია** (ყიფშიძე 1914: 07). ქართული **უპე უბე** სიტყვის ვარიანტი ჩანს, შდრ. ლაზური, სადაც იგივე ფუძე **უბა /> ობა** ნიშნავს „ქალის უბეს, ძუძუებს“ (კლიმოვი 1964: 185). მეგრულში ტერმინოლოგიური შესიტყვება წარმოდგენილია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით, სადაც მსაზღვრელია **თოლ-ი** („თვალი“).

**გუგა** „თვალის გუგა“. ფუძე მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული. ვ. აბაევის ვარაუდით, ეს ლექსემა ქართუ-

ლიდან აქვს ნასესხები ოსურ ენასაც (აბაევი 1958: 505).

**თოლიმ ჭურჭული** „თვალის გუგა“ (ყიფშიძე 1914: 243). ტერმინოლოგიური შესიტყვება წარმოდგენილია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით, სადაც ნათესაობით ბრუნვაში დგას **თვალ-**ის აღმნიშვნელი მეგრული ფუძე. საზღვრული რედუპლიცირებული ფუძით არის წარმოდგენილი. ამოსავალია \***ჭურ-ჭურ-**, შემდგომ პროგრესული დისიმილაციით მივიღეთ **ჭურჭული**.

**პიჯი** „პირი“ (ყიფშიძე 1914: 298, ჭარაია 1997: 113); „ცხენის ტუჩი“ (მარტვ., ჩხორ.). **პიჯ-**ი ქართული **პირ-**ის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია: ქართ. **რ** : მეგრ. **ჯ**, როცა **რ-**ს მოსდევს **ი**, რაც იწვევს მის პალატალიზაციას (როგავა 1959: 278). იგივე **პიჯ-** ფორმა გვაქვს ლაზურში. ფუძე წარმოდგენილია სვანურშიც **პილ-** ფორმით (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 248). **პიჯი** ცხენთან, ზოგადად საქონელთან მიმართებაში იშვიათად გამოიყენება, თუმცა გვაქვს კომპოზიტი **პირჩე** „პირთეთრა“.

**ლაფში / ლაბში / ააბში** „ცხენის ლაში, ტუჩი“ (ყიფშიძე 1914: 271; ჭარაია 1997: 86; ელიავა 1997: 203): ცხენს [...] **ლაფში-**ნოლი დოუნჭყოლგ „ცხენის [...] ღრძილ-ბაგე დაშავებია“ (სამუშია 1971: 64). მეგრული **ლაფში / ლაბში / ააბში** ფონეტიკურად და სემანტიკურად თანხვედბა ქართულ **ლამ-**ს. თვით მეგრულში წარმოდგენილი ფონეტიკური ვარიანტები წარმოგვიდგენს **ფ-**ს გამჟღერების (**ფ > ზ**) და მარტვილურის-თვის ბუნებრივ **ლ > მ** პროცესს. მეგრულად გაბგერებული



ფუძე (ნაპრალოვანი შ-ს წინ ფ-ს გაჩენა მეგრულისთვის ბუნებრივი ფონეტიკური მოვლენაა. შდრ. **შქერი** > **ფშქერი**, **ხშირი** > მეტათეზისით **შხირი** > **ფშხირი** გვხვდება იმერულში (ბერიძე 1912: 38; გაჩეჩილაძე 1976: 87), გურულში (ჟღენტი 1936: 231), რაჭულში (მიქიაშვილი 1987: 36). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ცხენის ერთ-ერთი სახეობის სახელდებისათვის ამოსავალი მეგრული **ლაფში** უნდა იყოს (ბალათურია 1995: 30-32).

**ლეჩქვი** / **ლერჩქვი** „ტუჩი“ (ყიფშიძე 1914: 367; ჭარაია 1997: 87), „ცხენის ტუჩი“ (ჩხორ.). ამ სიტყვის ძირითად, ამოსავალ ფორმად მიიჩნევენ ქართულ **ლაშ**-ი „პირუტყვის ქვეითა ტუჩი“ ფორმას, თუმცა რეალურად საერთოქართველურ ფუძედ უნდა მივიჩნიოთ. მას მეგრულში **ლეჩქვი** შეესატყვისება, ლაზურში კი **ლეშქი** (ჩიქობავა 1938: 51), **ლეშკი** (ჩიქობავა 1942: 193). ნ. მარი ორივე ფორმას მიუთითებს ლაზურში: „**ლეშქი**, слышал и **ლეშკи**“ (მარი 1910: 208).

მეგრული ვ-იანი ფორმის გათვალისწინებით არნ. ჩიქობავა ქართულისათვის აღადგენს \***ლაშვ**- ფორმას (ჩიქობავა 1938: 52). სხვა ვარაუდით, ამოსავალი **ლაშ**- ფორმაა, რომელმაც მეგრულ-ლაზურში მოგვცა **ლოშქ**-, ხოლო უმლაუტის შედეგად ლაზურში მივიღეთ **ლეშქ**-ი, მეგრულში კი **ლერჩქ**- < \***ლეშქ**- (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 167). თ. გამყრელიძე მიუთითებს, რომ რაკი ვ არ ჩანს არც ქართულსა და არც ლაზურ ფორმაში, იგი განვითარებულად უნდა ჩავთვალოთ მეგრულში (გამყრელიძე 1959: 19). მეგრულში ფუძე წარმოდგენილია რ სონორჩართული სახითაც: **ლერჩქვი**.

**ნიჩვი** „ტუჩი, დრუნჩი“ (ციფშიძე 1914: 364; ჭარაია 1997: 103): ევერ ცხენი ქომუჩას, **ნიჩვიწკუმა** ჯორა დას „ისეთი ცხენი მომცა, დრუნჩთან ჯორა იყოს“ (გუდავა, ცანავა 1975: 255).

ი. ციფშიძე მიიჩნევს, რომ **ნიჩვ** ტერმინს საერთო ძირი აქვს მეგრულ **ლერქვ**-თან და ქართულ **ნიჩვირ-**, **ჩიჩვირ-**, **ქვიქვირ-** ფორმებთან, ამასთან **ჩიჩვირ-** და **ქვიქვირ-** რედუპლიცირებული ფუძეებია (ციფშიძე 1914: 364). **ნიჩური** გვხვდება საბასთან და ლექსიკოგრაფის განმარტებით, „ჩიჩვირია“ (საბა 1991: 595). საკუთრივ **ნიჩვი** გვაქვს იმერულ დიალექტში და „ცხვირს, დინგს“ ნიშნავს (გაჩეჩილაძე 1976: 109).

ლაზურში არის იმავე ძირისაგან ნაწარმოები **ჩუნჩურ(ი) / ჩი[ნ]ჩვირი** „დრუნჩი“ (ნარაკიძე 1983: 70).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი: ხომ არ არის **-ჩურ-** / **-ჩვირ-** **ცხვირ-** ფუძის ზანური ფორმა საერთოდ (ქერქაძე 1974: 126). ამ მოსაზრებას გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს: თუ მას მივიღებთ, უნდა დავუშვათ, რომ ქართულში **ხ** თანხმოვანი განვითარებულია და გვექონდა **ცვირ-** ფუძე, მაგრამ ამ შემთხვევაში ასახსნელია, თუ რატომ გვაქვს კანონზომიერი შესატყვისობა **ხ** თანხმოვნიანი ფორმებით: ქართ. **ცხვირ-** : ზან. **ჩხვინდ-**.

**ღვა / ღვანჭვი** „ლოყა“ (ციფშიძე 1914: 350; ელიავა 1997: 324); „ცხენის ყბა“ (ჯვ., მარტვ.). არნ. ჩიქობავა მეგრულ-ლაზურ **ღვა**-ს უკავშირებს ქართულ **ღაწვ-**ს და მიიჩნევს, რომ

მეგრული ღვა მომდინარეობს ღო-სგან, რომელიც ქართულში ღა- კომპონენტს შეესაბამება. ქართული ღა-წვი კომპოზიტია ისევე, როგორც მეგრული ღვა-ნ-წვი. უფრო ზუსტად, მეგრული ღვანწვი < ქართ. ღაწვ-ისაგან. წ-ს შემდეგ კ არის განვითარებული, წ-ს წინ კი -ნ-, ვ დაკარგულია (ჩიქობავა 1938: 52).

ეს სიტყვა მესაქონლეობის ლექსიკაში ხშირად გამოიყენება, მაგრამ ცხენტან მიმართებაში იშვიათად გვხვდება.

**კიბირი** „კბილი“ (ყიფშიძე 1914: 256; ჭარაია 1997: 79). ფუძე საერთოქართველურია და მას ლაზურში შეესაბამება **კიბირ-ი / კიბი-ი / კიბრ-ი / ჭიბრ-ი / კირბ-ი** ფორმები (ჩიქობავა 1938: 54): ეგ ორას მოხთუ ცხენი, გეჩენუ **კიბირითენ** ნანა ღო ბერეს და დაჩხურიშენ ქაგამიყონუ „იმ დროს მოვიდა ცხენი, კბილებით მოჰკიდა დედასა და შვილს და ცეცხლიდან გამოიყვანა“. სვანურში გვაქვს **კიპულ** სახეობა (გელენიძე 1974: 59). არნ. ჩიქობავა ქართულ-ზანურ ფუძეებში გამოყოფს **კბ-** / **კიბ-** ძირსა და **-ილ** / **-ირ** სუფიქსს. ძირის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს **კიბ-ს**, ქართულ **კბ-**ში კი **ი-**ს დაკარგვას ვარაუდობს (ჩიქობავა 1938: 54). გ. კლიმოვი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგენს \***კბ-ილ** არქექტიპს (კლიმოვი 1964: 106-107).

ქართულსა და ლაზურში გვაქვს მასდარი **კბენა**, **გაკიბინუ**. მეგრულში მათ **ჩამინი** (ეტიმ. „ცემა“) ჩაენაცვლება, მაგრამ პირიან ფორმაში აღდგება **კიბირ-** ძირი: **კიბირანს** „კბენს“, **მა-კიბირ-ალო** აწოკუნა „საკბენად გაწევა“.

სიტყვა გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმებში:

**კიბირით დაკინება** „კბილით დაჭერა. ძლივს, ძალათი დაკავება, დაჭერა ვინმესი, რაიმესი“ (ჩიქვანაია 1998: 36), **კიბირიმ გედგუმა** „კბილის დადგმა, ჩასობა. ა) ავად ნათქვამი სიტყვით წყენინება, გამწარება ვინმესი, გაკენწვლა, ბ) ცოტა რამის შეჭმა, გემოს გასინჯვა“ (იქვე).

**სალაგამო / სალარგამო / სალაგმე** „ცხენის კბილი, წინა და უკანა კბილებს შუა“ (ჯვ., წალენჯ., მარტვ., ჩხორ.). ფუძის ვარიანტები დანიშნულების ქართული **სა-ო, სა-ე** ცირკუმფიქსითაა ნაწარმოები **ლაგამ-** / **ლარგამ-** ძირისაგან. ძირიც ქართულის გზითაა შეთვისებული. მიუხედავად ამისა, ფორმა მაინც მეგრულია, რადგანაც ძირში არ მომხდარა ქართულისთვის ბუნებრივი რედუქცია (შდრ. ქართ. **ლაგამ-ი\_ლაგმ-ის**). იგივე სიტყვა გვაქვს ქართულში: **სალაგმე** „ცხენის გვერდითი დიდი კბილი ქვედა ყბაზე, წინა და უკანა კბილებს შუა, ამოდის სამი წლის შემდეგ“ (ფოჩხუა 1987: 131).

**საქერე** „ცხენის კბილი, წინა და უკანა კბილებს შუა“ (სენაკი). ფორმა მთლიანად შეთვისებულია ქართულიდან. მასში გამოიყოფა დანიშნულების **სა-ე** ცირკუმფიქსი. **ოტ-ვიტვალი** „ცხენის კბილი, წინა და უკანა კბილებს შუა“ (ჩხორ.).

ფუძეში გამოიყოფა მომავალი დროის **ო-ალ** მაწარმოებელი. ამოსავლად ვვარაუდობთ **ტვიტვუა / ტვიტუა** ზმნურ ფუძეს, ნიშნავს „გაპუტვას, გაგლეჯას“, ე. ი. **ოტვიტვალი** „გა-საპუტავი, გასაგლეჯია“.

**სახოპი** „ცხენის ზედმეტი ღრძილი, აჭრიდნენ და-  
დაღვის წინ“ (მაკალათია 1941: 201). ფორმა დაცულია ქარ-  
თული ენის დიალექტებში ვარიანტების სახით: **სახმოზი**  
(მთიულური) „ცხენის დაავადება, რომლის დროსაც ცხენს  
ნესტოში ძვალი ეზრდება“ (კაიშაური 1967: 230); **სახმოზო**  
(იმერ.) „ზედმეტი ხრტილი, რომელიც ხელს უშლის ბალახო-  
ბას და ვერ გასუქდება“ (ჯავახიშვილი 1986: 187). მეგრული  
**სახოპი** ქართულიდანაა შეთვისებული: -**ხმ**- კომპლექსი გა-  
მარტივდა სონორის ჩავარდნით, **ხ** > **პ**, სუფიქსის -**ო** გასუბ-  
სტანტივების შემდეგ > **ი**.

**ნინა** „ენა“ (ყიფშიძე 1914: 289; ჭარაია 1997: 103). ფუ-  
ძის ვარიანტები წარმოდგენილია სამსავე ქართველურ ენაში:  
ქართ. **ენა**, მეგრ. **ნინა**, ლაზ. **ნენა**, სვან. **ნინ** (ჩიქობავა 1938:  
53). არნ. ჩიქობავა ძირეულად მიიჩნევს -**ნა** ელემენტს. **ნე**-  
ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელ თავსართადაა მიჩნეული.  
ქართული ე- კი „აღბათ ჰე-საგანა მიღებული, ეს თავსართი  
ფუნქციით უდრის **ნე**-ს, ხოლო აგებულიებით განსხვავებუ-  
ლია: **დე**- / **ნე**- / **სე**- / **ჰე**-“ (ჩიქობავა, იქვე). გ. კლიმოვი საერ-  
თოქართველურ არქეტიპად მიიჩნევს \***ნენა** ფორმას (კლიმო-  
ვი 1964: 143). ლაზურში, გარდა ენისა, აღნიშნავს სიტყვასაც.  
ეს ტენდენცია მეგრულშიც იჩენს თავს: ნინა ვაუთქუალე „სი-  
ტყვა არ უთქვამს“, ზედმ. „ენა არ უთქვამს“.

ეს სიტყვა ხშირად გვხვდება მეგრულ იდიომურ გამო-  
თქმებში: **ნინა** დო კიბირიშ შქას ვერაგადე „ენასა და კბილს  
შორის არ ითქმის, ენით არ გამოითქმის“ (ჩიქვანაია 1998: 47);

ნინა ოჭიშიშა გიფუმუ „ენის ზურგს იფხანს, ბევრი ლაპარაკი უყვარს“ (იქვე, 47), ზედმ. „ენა ზურგზე უდევს“.

## 8. კისერი, მკერდი

**კისერი** „კისერი“ (ციფშიძე 1914: 259; ჭარაია 1997: 80): [ცხენს] **კისერი** დო ცუჯიშქასგ ფაფარი ათორდუაფილი [აფუ] „[ცხენს] კისერსა და ყურებს შორის ფაფარი აქვს შერდილი“ (სამუშია 1971: 106). მეგრულში სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

ტერმინი გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმებში: **კისერიშ კვათუა** „ყელის გამოჭრა. სირცხვილში ჩაგდება, შერცხვენა“ (ჩიქვანაია 1998: 37), **კისერშა ეკულა** „გაბრაზება, მოთმინების დაკარგვა“, ზედმ. „ყელში ამოსვლა“.

**ყორყელი** „ყელი“ (ციფშიძე 1914: 355; ელიავა 1997: 330). „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მითითებულია, რომ მეგრული **სორსელ-ი** / **სურსელ-ი**, საიდანაც მოდის **ყორყელი**, ქართული **ყორყ-**ის კანონზომიერი შესატყვისებია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 373).

ყელს ლაზურში აღნიშნავს **ყირყინტი** (მარი 1910: 203), **ყიყინტონი** (ასათიანი 1974: 119), რომლებიც მიიჩნევა ქართული **ყანყრატო-**ს შესატყვისად (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 365). საბას განმარტებით, **ყანყრატო** არის „ხორხი პირუტყუთა“ (საბა 1993: 263). შდრ. აჭარული **ყირყიტონი** „სასულე, ყია“ (ფუტკარაძე 1990: 43). იგივე სიტყვა მეგრულიდან ნასესხებია აფხაზურში: **ა-ყვრყვ** „ყელი“ (ჯანაშია 1954: 318;

არშბა 1980: 38). პ. ჭარაია ამ ფუძეს საერთოკავკასიურ ძირად განიხილავს. ეს ტერმინი აფხაზურ-ადიღურ ენებში ასეთი ფორმით გვაქვს წარმოდგენილი: აფხ. **ა-ყგრყგ**, აბაზ. **ყგრყგ**, ადიღ. **ჭგრბჰგგ**, ყაბარდ.**კორგმკე**, უბიხ. **ყგმბგრ** (შაყრილი 1971: 125), თუმცა აფხაზურ-აბაზურში წარმოდგენილ ფუძეთა დაკავშირება ადიღურ, ყაბარდოულ და უბიხურ სიტყვებთან დამაჯერებლად არ გამოიყურება. აფხაზურ-აბაზური (ა)**ყგრყგ** უნდა მომდინარეობდეს მეგრულში ნაკლებად რეალიზებული **ყგრყი** ფორმისაგან (სახელობითი ბრუნვის ნიშნიანი ფორმიდან). სხვა შემთხვევაში აფხაზურსა და აბაზურში უნდა გვქონოდა \***ა-ყარყალ** < მეგრ. **ყორყელ**-ი ვარიანტი სესხების კანონზომიერებათა დაცვით.

**ხორხოტა** „ხახა, ხორხი“ (ყიფშიძე 1914: 407; ჭარაია 1997: 181): ხორციე ხორცი ჭკომ დო **ხორხოტაქ** ვაყინტუა „ხორცმა ხორცი ჭამა და ხახამ არ გადაყლაპაო“ (შეროზია, მემიშიმი 1994: 185). **ხორხოტა** საერთოა ქართულ **ხორხ**-თან. საბას განმარტებით, **ხორხი** / **ჯორჯი** „მკერდის კერძი ნაწილი ყელისა“ (საბა 1993: 443). მარტვილში ინფორმატორმა დაასახელა ამ ლექსემის ფონეტიკური სახენაცვალი **ყორყოტა**. მეგრულ ლექსემაში გამოიყოფა **-ოტ-ა** სუფიქსი (**ხორხ-ოტ-ა**, **ყორყ-ოტ-ა**). ვ. აბაევი აღნიშნავს, რომ „ოსური **ხურხ** / **ხორხ**-ის ძირი იძებნება ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ენებში: ძველ ინდურში, ძველ სლავურში, ჩეხურში, რუსულში, ნორვეგიულში, შვედურში; ქართულში, მეგრულში, სვანურში, აფხაზურში, ყაბარდოულში, ადიღურში; ფინურში, ესტონურში, მორდოვულში... ამ შემთხვევაში ზედმე-

ტია ყველა ფორმისათვის ამოსავალი ფუძის მოძებნა, ან სესხების გზების კვლევა. ეს ფორმები შეიძლება ნებისმიერ ენაში დამოუკიდებლად წარმოშობილიყო. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ეს ლექსემა ნოსტრატულ ენათა საკუთრებად განიხილება“ (აბაევი 1989: 249).

**კიდირი / კვდგრი** „მკერდი“ (ყიფშიძე 1914: 257; ჭარაია 1997: 81): [ცხენს ულუ] **კვდგრი** ალაბი დო გვერდი, ჩხემა აკოხუაფილი „[ცხენს აქვს] მკერდი ადლნახევარი, თემო ჩაფსკვნილი“ (სამუშია 1971: 106).

**კიდირი** ქართული **მკერდ**-ის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია: ანლაუტში ჩქამიერის წინ ბაგისმიერი მ დაკარგულია (გუდავა 1979: 80-84). ქართულმა ე-მ მეგრულში ი მოგვცა (მელიქიშვილი 1975: 122-128). შემდგომ ძირში მოხდა მეტათეზისი: **კიდრი** < **კირდი** და ინტერკონსონანტურ პოზიციაში განვითარდა ი ხმოვანი.

ლექსემა მეცხენეობის ლექსიკაში ხშირად გამოიყენება: **ე-კიდირ-ელ-ი** „ყალყზე შემდგარი ცხენი“, **მო-კიდირ-ე** „მოჭიდავე ცხენი“, **კიდირ-აფ-ა / კიდირ-უა** „ცხენებით ჭიდაობა“.

## 9. ზურგი, წელი, მუცელი, გვერდი

**ოჭიში** „ზურგი“ (ყიფშიძე 1914: 295; ჭარაია 1997: 111). ფორმა მომდინარეობს არსებითი სახელისაგან **ჭი / ჭვ** „წალავი“ (ყიფშიძე 1914: 396). ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დანიშნულების **ო-** პრეფიქსია დართული, ზედმ. **სა-წელ-ის-ი** (ჩიქობავა



1938: 70). **ოჭიში** ისევეა ნაწარმოები, როგორც **ო-ნჭყა-ში-ი, ო-მარ-კინდა-ში-ი**.

ლაზურში ზურგის მნიშვნელობით გამოიყენება **კაპულა** (მარი 1910: 153): **კაპულაში** ყვილეფე „ზურგის ძვლები“ (ასათიანი 1974: 119).

**ოჭიში** მეცხენეობის ლექსიკაში ხშირად გამოიყენებულა ცხენის გარეგნობის აღმნიშვნელი კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტად: **ოჭიშენოდირაკილი** „ზურგჩადრეკილი“, **ოჭიშგინორჩე** „ზურგგადათეთრებული“... ეს სიტყვა ხშირად გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმებშიც: **ოჭიშიშ ძირაფა** „ზურგის ჩვენება, ვინმესგან ან რაიმესგან გაქცევა, წასვლა, მიტოვება“ (ჩიქვანაია 1998: 52); **ოჭიშიშ ენოტახუა** „ღალატი“, ზედმიწევნით „ზურგის ჩატეხა“.

**ქინდირი** „ცხენის კისრისა და ზურგის საზღვრის ამალღებული ადგილი“ (სენაკი, ჩხორ., ხობი). მეგრული **ქინდ-ირ-ი** ქართული **ქედ-ის** კანონზომიერი შესატყვისია. **ნ** მეგრულში განვითარებული სონორია: ქართულ **ე-ს** მეგრულში **ი** ხმოვანი ჩაენაცვლა, რაც მისი პოზიციით არის განსაზღვრული (მელიქიშვილი 1975: 122-128). იგივე სიტყვა გვაქვს გურულში **ქინდრი** „მსუქანი კისერი“ (ჟღენტე 1936: 249), რაც ზანიზმად უნდა იქნეს განხილული. **ქინდრ-** ელემენტი გვაქვს აგრეთვე ქართულ ზმნურ ფორმაში **თავი ჩა-ქინდრ-ა** (გელენიძე 1974: 64). იგივე **ქინდრ-** ფუძე დასტურდება აგრეთვე ოკრიბულში ოდენმრავლობითის ფორმით: **ქინდრები** ნიშნავს ადამიანის ფეხის ძალზე დიდ და ფორმაშეცვლილ ფრჩხილებს. **ქინდრები-ც** ზანიზმია ოკრიბულში.

**ქინჩი / ქონჩი / ქენჩერი** „ცხენის კისრისა და ზურგის საზღვრის ამალღებული ადგილი“ (მარტვ., ჩხორ.). **ქინჩი / ქონჩი** ფორმები ფონეტიკური ვარიანტებია, რომელთაც უპირისპირდება -**ერ** დაბოლოებიანი **ქენჩერი** მორფოლოგიური ვარიანტი. ქენჩ-ერ-ში ძირისეული ე შეიძლება ასიმილაციის შედეგად განვიხილოთ: **ქინჩ-ერი > ქენჩ-ერ-ი**.

მარტივი **ქინჩი** გვაქვს იმერულ დიალექტშიც: **ქინჩი** „საქონლის კისრის დასასრულის და ზურგის დასაწყისის საზღვრის ამალღებული ალაგი“ (ლეონიძე 1925: 47), შდრ. აგრეთვე გურული **ქიჩინჩური** „საქონლის კისრის ზევითა ნაწილი“ (შარაშიძე 1938: 70).

**კინჩხი** „ხერხემლის დაბოლოება თავისა და კისრის შეერთების ადგილას“ (ყიფშიძე 1914: 258; ჯვ.). ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: იმერულში, გურულში, აჭარულში (ბერიძე 1912: 35; ჟღენტი 1936: 229; ნიჟარაძე 1957: 147; ძოწენიძე 1974: 198; გაჩეჩილაძე 1976: 83). გვაქვს სვანურშიც (ჯავახიშვილი 1986: 211). ი. ყიფშიძე მიუთითებს, რომ მეგრულში შესულია ქართულიდან (ყიფშიძე 1914: 258). როგორც ჩანს, ფორმა უკავშირდება **ქინჩ-ს**.

**საკეხე** „ცხენის კისრისა და ზურგის საზღვრის ამალღებული ადგილი“ (ჩხორ.). ფორმა დანიშნულების ქართული სა-ე ცირკუმფიქსითაა ნაწარმოები არსებითი სახელისაგან კეხ-ი. კეხი ცხენის აღკაზმულობის ერთ-ერთი ატრიბუ-

ტია, საკვებე კი – ადგილი, სადაც კები უნდა დაიდგას.

**ხმელო** „ცხენის კისრისა და ზურგის საზღვრის ამალ-  
ლებული ადგილი“ (წალენჯ.). სიტყვის ეტიმოლოგია ჩვენ-  
თვის ბუნდოვანია. იქნებ ეს ქართული **ხმელ**- ძირი იყოს.  
ხმელ-ო, ე. ი. უკუნთო, ხმელი ადგილი სხეულზე (შესაძლოა,  
ამობურცული ძვლებით). ვფიქრობთ, რომ აუსლაუტის -ო  
სუფიქსი უნდა იყოს (შდრ. ფოლ-ო, ჩორქ-ო).

**აფხაშ დუდი** „ცხენის კისრისა და ზურგის საზღვრის  
ამალლებული ადგილი“ (ჯვ.). ტერმინოლოგიური შესიტყვე-  
ბა წარმოდგენილია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით.  
**აფხა** მეგრულად „ბეჭია“ (ყიფშიძე 1914: 197; ჭარაია 1997: 37).  
ეს ფუძე შესაძლოა უკავშირდებოდეს აფხ. **ა-ბლა** „ზურგი“,  
ადილ. **ბღვ**, ყაბარდ. **ბღვ** „ბეჭისთავი“ ფუძეებს (შაყრილი  
1971: 114). ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწე. ნიშნავს  
„ბეჭის თავს“.

**ქვარა / ქორა** „მუცელი“ (ყიფშიძე 1914: 343; ჭარაია  
1997: 140; ელიავა 1997: 318, 321): ბოშიქე **ქვარასე** ქათაასხაპუ  
[ცხენც] „ბიჭი მუცელზე მოევლო [ცხენს]“ (დანელია, ცანავა  
1991: 48). მეგრულში ფუძე ვარიანტებად არის წარმოდგენი-  
ლი კილოკავების მიხედვით: მარტვილურ-სენაკურში გვაქვს  
**ქორა**, ზუგდიდურ-სამურზაყანულში **ქვარა**. შდრ. მარტვილ-  
სენაკური **გოლა**, ზუგდ.-სამურზ. **გვალა** „გორა“. იგივე სი-  
ტყვა გვაქვს ლაზურშიც: **ქორბა / ქოლბა** (მარი 1910: 198):  
ოკოლე მიწვეს-ქი, ცხენიში **ქორბას** ქომეშაფთატი „მერე მი-

თხრე,ს რომ ცხენის მუცელში შევსულიყავი“.

მეგრულ-ლაზური ფორმების შედარებისას არნ. ჩიქო-ბავა აღნიშნავს, რომ აუხსნელი რჩება ლაზურის **ბ-ქორ-ბ-ა**-ში (ჩიქობავა 1938: 68).

მუცლის აღმნიშვნელ აფხაზურ **ა-მგა**-ს კ. ჭარაია უდარებს ქართულ **გუამ**-ს და აქედან მომდინარედ თვლის (ჭარაია 1912: 30). ეს მოსაზრება მართებული ჩანს.

**ხასილა** / **ხასგლა** / **ხასლა** „გვერდი“ (ყიფშიძე 1914: 399; ჭარაია 1997: 176; ელიავა 1997: 384): რაშის ოკოდგ დი-ხასგ ქიგიომერგკონი, ბოშიქე **ხასილასგ** ქიმკაასხაკუ „რაშს უნდოდა მიწაზე დაესრისა, ბიჭი გვერდზე („ვერდზე“) ჩააფრინდა“ (დანელია, ცანავა 1991: 48).

ფუძე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტების სახით გვხვდება მეგრულში. განსხვავება გამოწვეულია რედუქციით. მეგრულში **ი** და **უ** ხმოვანთა რედუქცია ხდება, როცა სიტყვა ორზე მეტმარცვლიანია, სარედუქციო **ი / უ** ხმოვანი მოქცეულია სიტყვის შუა მარცვალში, მარედუცირებელი მომდევნო ხმოვანი **ი / უ**-ზე ფართოა (როგავა 1962: 42-43). ამიტომ **ხასილა**- ფორმაში რედუქციის შემდეგ რედუცირებული **ი**-ს ადგილას ჩნდება **გ**. ან საერთოდ იკარგება: **ხასილა** > **ხასგლა** > **ხასლა**. ფუძე ზანიზმის სახით გვხვდება გურულ დიალექტში: **ხასილა** „გვერდი“ (ნიკოლაიშვილი 1986: 36).

**ჩხემა** „ცხენის ზურგის უკანა ნაწილი, თემო“ (ყიფშიძე 1914: 367; ჭარაია 1997: 158; ელიავა, 1997, 351): [ცხენც ულუ-დუ] კვდერი ალაბი დო გვერდი **ჩხემა** აკოხუაფილი „[ცხენს

ჰქონდა] მკერდი ადლ-ნახევარი, თემო ჩაფსკვნილი“ (სამუ-  
შია 1971: 106). ლექსემის ეტიმოლოგია ჩვენთვის გაურკვევე-  
ლია.

ლაზურში თემოს აღნიშნავს **ტუტული**, რომელიც  
მხოლოდ ცხოველებთან და ფრინველებთან მიმართებაში  
გამოიყენება (მარი 1910: 191).

**ლაცვა** „ცხენის ზურგის ნაწილი ბოლო ნეკნიდან გავა-  
მდე, ფერდი“ (ჩხორ., ხობი). სიტყვა ფართოდ გამოიყენება  
როგორც საქონელთან, ასევე ადამიანთან მიმართებაში.  
გვხვდება კომპოზიტში **ლაცვაელაღაფირი** „მიმშლისაგან  
ფერდჩავარდნილი“. სიტყვის სტრუქტურა და ეტიმოლოგია  
ბუნდოვანია.

## 10. კიდურები

**კუჩხი** „ფეხი“ (ყიფშიძე 1914: 263; ჭარაია 1997: 84):  
ცხენს მუში **კუჩხი** ოდინუანსია „ცხენს თავისი ფეხი ლუპავ-  
სო“ (შეროზია, მემიშიძე 1994: 169). იგივე სიტყვა გვაქვს ლა-  
ზურშიც: **კუჩხე** „ფეხი“, ცხენიმ **კუჩხე** „ცხენის ფლოქვი“, ცხე-  
ნიმ **ნოკუჩხენი** „ცხენის ნაფეხური“ (მარი 1910: 160): ცხენიმ  
მტეი – **კუჩხი** მუში „ცხენის მტერი – მისი ფეხი“ (შეროზია,  
მემიშიძე 1994: 261). ნ. მარი მიიჩნევს, რომ **კუჩხი**-ი ძველი ქარ-  
თული **კუარცხლ**- ფუძის (კომპოზიტში **კუარცხლ-ბეკი**) ზანუ-  
რი ვარიანტია. არნ. ჩიქობავა კი უკავშირებს **მ-კვირცხ-ლ**  
ფორმას (ჩიქობავა 1938: 63). **მკვრცხლ** „ქვეითი, ფერწივ მავა-  
ლი“ (საბა 1991: 481). მეცხენეობის ლექსიკაში ეს სიყტყვა ხში-

რად გვხვდება კომპოზიტებში: **კუჩხმორჩე** „ფეხთეთრა“, **ჩე-კუჩხამი** „თეთრფეხიანი“... სიტყვა ხშირად გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმებში: **კუჩხიშ გოდგუმა**, **კუჩხიშ გობიჯგაფა** „ფეხის გადგმა, გაჯიქება, გაჯიუტება“ (ჩიქვანაია 1998: 39), **კუჩხიშ გედგუმა** „აბუჩად აგდება, არაფრად ჩაგდება“, ზედმიწ. „ფეხის დადგმა“.

**ბორკი** „ფეხი“ (ყიფშიძე 1914: 206); „ბარკალი, კანჭი, ფეხი“ (ჭარაია 1997: 43): [ცხენც] აწმუსოთა ნაცალას, ცუჯეფ გეგლუსოთამუ დო **ბორკეფ** ქუუცანცალანს „[ცხენს] ვუყრი თივას, ყურები ჩამოუყრია და ფეხები უცანცალებს“ (გუდავა, ცანავა 1975: 204). მეგრული **ბორკი** კანონზომიერი შესატყვისია ქართული **ბარკ-ალ** ფორმის ძირისა, რომელიც ძველ ქართულში „ფეხსაც“ აღნიშნავდა. მეგრულში ამავე სახელური ფუძისაგან იწარმოება ზმნური ფორმები, სახელზმნები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ცხენთან მიმართებაში (**ბორკილი**, **ობორკალი**, **დობარკალაფა**... იხ. ქვემოთ). მეგრული **ბორკ-** ფორმა გვაქვს ქართულშიც **ბორკილ-** ფუძის სახით (საბა 1991: 110). ეს ფორმა ჯერ კიდევ ძველ ქართულში გვხვდება. ძველ ქართულშივე დასტურდება **ბორკილ-** ძირი ზმნურ ფუძეებში: **შებორკილა იგი**, **შებორკილებული** (დანელია 1984: 77). იგივე **ბორკ-** გვხვდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, რაც, ისევე, როგორც ძველი ქართულის ფორმები, ზანიზმებია. თვით აგებულების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ერთი შეხედულებით, **ბარკ-** / **ბორკ-** ძირია, ქართული ფორმის **-ალ** კი დეტერმინანტი სუფიქსი (გელენიძე 1974: 81). შდრ. ამ მი-

რიდან მიღებული **ბრკოლ-** ფუძე, სადაც **ბრკ-** ძირია -**ოლ** კი დეტერმინანტი სუფიქსი (ჩიქობავა 1942: 46, 57-58). სხვა მოსაზრებით, **ბარკალ-** სამმორფემიანი ფუძეა – **ბარ-კ-ალ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 281). გ. როგავა ფუძეს ჰყოფს **ბა-რ-კ-ალ** სეგმენტებად და უკავშირებს მეგრულ **ბუ-რ-გ-ულ** ფუძეს, რაც ნიშნავს „მუხლს“ (როგავა 1946: 10).

ლაზურში **ბორკ-** ლექსემა არ ჩანს. მისი ფუნქციით გამოიყენება **ტრიკი** (მარი 1910: 191): ტკეები ქოგონწკუ, მუოქ ქოგოძკირუ დო ოთხი **ტრიკითე** ნულუნ „ტყავი გაადრო, მან შემოიკრა და ოთხი ფეხით დადის“ (ქლენტი 1938: 208); ამავე მნიშვნელობისაა **ტუტული** (ნარაკიძე 1983: 68).

**აბხა** „ცხენის წინა ფეხები“ (ჯავახიშვილი 1986: 224). ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით ჩვენ ხელთ არსებულ მასალაში მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვხვდება (ტერმინი დაფიქსირებულია „მინამრეწველობის მასალებში“, ჩაწერილია 1935 წელს ხობში). როგორც ჩანს, ფორმა არასწორადაა ჩაწერილი, მეგრულისთვის ბუნებრივია **აფხა** ფორმა. შეიძლება გვევარაუდა, რომ **აბხა / აფხა** იგივე იყოს, რაც აფხაზური **ა-ბლა** „ზურგი“, მაგრამ ამ ვარაუდის შემთხვევაში ასახსნელი რჩება აფხ. -ბლ- კომპლექსის შეცვლა მეგრულისთვის არაბუნებრივი -ბხ- კომპლექსით. ამგვარი ცვლილების ფონეტიკური საფუძველი სიტყვაში თითქოს არ არსებობს.

**ჩუბა** „ცხენის უკანა ფეხები“ (ჯავახიშვილი 1985: 224). ეს სიტყვაც „მინამრეწველობის მასალებში“ დასტურდება. იგი ჩაწერილია ხობში. ვერც იქ და ვერც სხვაგან ეს ფორმა

ვერ მოვიძიეთ. ეტიმოლოგიაც გაურკვეველია.

**ჩორქო** „ცხენის წინა ჩლიქები“ (ჯავახიშვილი 1986: 224), „საქონლის ფეხის რქოვანი დაბოლოება“ (ჯვ., ჩხორ., სენაკი, მარტვ.), **ჩორქოლო** „ცხენის წინა ფეხი; ადგილი ქაჩაჩს ზევით, სადაც ბორკილს ადებენ ხოლმე“ (ჩხორ.). ეს ფორმები ისევე, როგორც მათი ქართული სემანტიკური კორელატები **ჩლიქი** და **ქაჩაჩი** კომპოზიტებად არის მიჩნეული (როგავა 1941: 471-474). ფუძეები ასე დაიყოფა: **ჩო-რქო**, **ჩლი-ქი**, სადაც **-რქო**, **-ქ რქა** (მეგრ. ქა)-ს ნაწილი უნდა იყოს. კომპოზიტის ზედმიწევნითი მნიშვნელობა იქნება ფეხის რქა ან ფეხ-რქა. იგივე **ქა** უნდა იყოს წარმოდგენილი **ქა-ჩაჩ-ში** (ეს სიტყვა გვაქვს ლაზურშიც), ოღონდ უკანასკნელ შემთხვევაში **ქა (რქა)** კომპოზიტის პირველი ნაწილია, **ჩლი-ქ-სა** და **ჩო-რქო-ში** – მეორე. მეგრულში ეს კომპოზიტები ორნაირი ფორმითაა წარმოდგენილი: **ჩორქო** და სუფიქსით გართულებული **ჩორქ-ოლ-ო**. ინფორმატორის მითითებით (ჩხორ.) **ჩორქოლო** ცხენის წინა ფეხებია. სხვა განმარტებით, ქაჩაჩს ზევით ადგილი, საბორკილე. მეგრული **ჩორქო** ფორმა უნდა იყოს ამოსავალი გურული და აჭარული **ჩლოქო**-სათვის (ლეონიძე 1925: 87; ღლონტი 1974: 660).

**ფოლო** „ჩლიქი, ფოლო“ (ყიფშიძე 1914: 337; ჭარაია 1997: 136), „ფლოქვი“ (სენაკი, ხობი, ჯვ.): მერთე ხოლოშანი, რაშიში **ფოლოში** გინადგმა ქიიჩინე (ყიფშიძე 1914: 79) „ახლოს რომ მივიდა, რაშის ფლოქვის „დანადგამი“ იცნო“. ეს სიტყვა გვაქვს ლაზურშიც, მაგრამ ზოგადად აღნიშნავს ფეხს:



ბიჭის ხორცი დაჩოდუ, კუჩხეში **ფოლო** ნაკვათუ დო ქურის ქომეჩუ „ბიჭს ხორცი გაუთავდა, ფეხის წვივზე ხორცი მოიჭრა და ქორს მისცა“ (ქლენტი 1938: 210). **ფოლო** / **ფოლი** სალიტერატურო ქარულში არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს დიალექტებში: ქართლურში (ბეროზაშვილი 1981: 411), იმერულში (ლეონიძე 1925: 75-76; ძოწენიძე 1974: 391; გაჩეჩილაძე 1976: 136), გურულში (დლონტი 1974: 546). გურულში **ფოლო** გარდა ჩლიქისა, დიდი უშნო ფეხის მნიშვნელობითაც გამოიყენება (შარაშიძე 1938: 67). იგივე სიტყვა გვაქვს სვანურშიც: **ფოლ** „ჩლიქი“ (ლიპარტელიანი 1994: 278). ე. ი. ფუძე საერთოა სამივე ქართველური ენისათვის, ოღონდ მეგრულ-ლაზურში ძირს ერთვის -**ო** სუფიქსი (შდრ. **ჩლიქი** – **ჩორქ-ო**, **ჩორქ-ოლ-ო**).

მეგრულში იგივე ფუძე გვხვდება კომპოზიტში და იდიომურ გამოთქმებში, **ფოლოგოჩილათირი** „ჩლიქაყოფილი პირუტყვი“, იგულისხმება მსხვილფეხა საქონელი: იმთის **ფოლოგოჩილათირი** მუთა იპალუნია „მის სახლში ჩლიქიანი (ჩლიქაყოფილი) არარა მოიძებნებაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 62). იმავე მნიშვნელობისაა **ფოლოგოჩხვათილი** „ჩლიქაჭრილი პირუტყვი“. **ფოლომოცემილი** გადატანითი მნიშვნელობით „ღარიბი კაცია“, ზედმიწევნით ნიშნავს „ჩლიქმორღვეულს“, ნაი დო ფოფოში შქას გითუდა „ნალსა და ფლოქვს შუა გაძვრომა“, „ნემსის ყუნძი გაძვრომა“ (ჩიქვანაია 1998: 45).

მეგრულშივე იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ქართული **ფლოქვ**-ის მეტათეზირებული ფორმა **ფლოქვი** (ჯვ.).

**ქურსი / ქურცი / ქური** „ქუსლი“ (ყიფშიძე 1914: 377; ჭარაია 1997: 143; ელიავა 1997: 322). იგივე ფუძე გვაქვს ლაზურშიც **ქუი / ქური** სახით (მარი 1910: 199), ხოლო **ქურს**-ის მეტათეზირებული **ქრუს**-ი ფორმა „ჩაწიხვლას, ქუსლის ჩართყმას“ ნიშნავს: ცხენიქ **ქრუსი** გეჩუ „ცხენმა წიხლი მოიქნია“ (იქვე). არნ. ჩიქობავა ერთმანეთს უკავშირებს ლაზურ, მეგრულ და ქართულ ფორმებს და მიიჩნევს, რომ -ლ ქართულში დეტერმინანტი სუფიქსია. მეგრულ-ლაზურ ფორმებში მოხდა მეტათეზისი: **ქუსრი** > **ქურსი**. სონორის მომდევნო პოზიციაში **ს > ც**: **ქურსი** > **ქურცი** (ჟღენტი 1953: 155). მეორე მხრივ, მეტათეზისამდე -სრ- კომპლექსი გამარტივდა და მოგვცა **ქურ**-ი (ჩიქობავა 1938: 65). გ. კლიმოვი ქართულ-ზანურ არქეტიპად მიიჩნევს \***ქურსლ** ფორმას (კლიმოვი 1964: 200). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამ ფუძის სვანური შესატყვისი დაცული უნდა იყოს ფორმაში **ჰა-გჷ** „ქუსლი“, სადაც **ჰა**- ისეთივე ოდენობაა, როგორცაა სიტყვებში **ჰა-ყბა** „ლოყა“, **ჰა-კუდულ** „კუდუსუნი“, **ჰა-კუად** „კუდი“. ძირია **გჷ**-სვანური **გ** : ქართულ-ზანური **ქ** შესატყვისობა არსებობს – სვან. **გატ** „ქატო“, **გიცარ** : მეგრ. **ქაცარი** „თიკანი“ (გელენიძე 1974: 87).

ქართული ენიდან სიტყვა **გუსლი** ფორმით შეთვისებული აქვს ოსურ ენას (აბაევი 1958: 527).

**ქა / რქა** „ცხენის წინა ფეხებზე მუხლის ზემოთ შიგნითა მხრიდან ამოსული თხილისოდენა მეჭეჭი“ (ჯვ.). ეს ფუძე საერთოა ქართულ-ზანურისთვის. ლაზურში გვაქვს **ქრა / ქია** (ჩიქობავა 1938: 93). ი. ყიფშიძე ნ. მარის მიერ მითითებულ

აქრა-ს მიიჩნევს „აფხაზურ გაფორმებად“ (ყიფშიძე 1914: 34). „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ ვარიანტთა მიღების სქემა ასეა წარმოდგენილი:

ქართ. რქ-ალ > რქ-ა

ჭან. რქ-ალ > რქ-ა > ქრ-ა / ქია

მეგრ. რქ-ალ > რქ-ა > ქრ-ა / ქა (ჩიქობავა 1938: 94).

ჩვენს შემთხვევაში სემანტიკა გადაწეულია და სიტყვა აღნიშნავს რქოვან წამონაზარდს ცხენის ფეხზე.

**სარაშე** „ცხენის წინა ფეხებზე მუხლის ზევით შიგნითა მხრიდან ამოსული თხილისოდენა მეჭეჭი“ (სენაკი). სიტყვა გარეგნულად დანიშნულების სა-ე ცირკუმფიქსით ნაწარმოებს ჰგავს, მაგრამ სემანტიკურად გაუგებარია, რატომ უნდა დაეკავშირებინა ენას მუხლზე ამოსული მეჭეჭი რაშის თვისებასთან. შეიძლება სიტყვა რომელიმე ენიდან ჰქონდეს ნასესხები მეგრულს და ფონეტიური ცვლილებების შემდეგ ასეთი სახე მიიღო. საბოლოოდ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სანამ სემანტიკა ბოლომდე არ გაირკვევა, ძნელია ფორმის აფიქსაციაზე ლაპარაკი.

**ობორკალი, ობორკუე ძვალი** „ადგილი ქაჩაჩს ზევით, სადაც ბორკილს ადებენ ხოლმე“ (ჯვ.). **ობორკალი** და **ობორკუე** ფორმები მიმღეობებია. ერთ შემთხვევაში გამოყენებულია ო-ალ მაწარმოებელი, მეორე შემთხვევაში ო-უ. **ობორკუე** ვარიანტი ჯერ ო-უ ცირკუმფიქსითაა ნაწარმოები, შემდეგ მიმღეობა ხელახლაა გაფორმებული -ე (ო-ე) დანიშნულების მაწარმოებლით. **ობორკალი** ზედმიწევნით ნიშნავს

„სა-ბორკ-ალ“-ს, **ობორკუე** კი „სა-ბორკ-ილ“-ეს ე. ი. **ობორკუე ძვალი** ზედმიწ. „საბორკილე, ბორკილდასადები ძვალია“. შრდ. ქართ. **საბორკილე** „კოჭები, რომლებზედაც ბორკილს ადებენ ძოვის დროს“ (ჩუხუა 1987: 231).

**კონჭი** „ცხენის წინა ფეხის კოჭი“ (ჯავახიშვილი 1986: 224), „ფეხის ძვალი მუხლს ქვემოთ“ (ხობი). ეს სიტყვა განხილულია არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“, მაგრამ მითითებულია, რომ ფეხის ძვლის მნიშვნელობით მეგრულში ის არ გამოიყენება და აღნიშნავს „კარის საკეტს“ (ჩიქობავა 1938: 63). რეალურად **კონჭი** (ჭ-ს წინ განვითარებულია **წ** სონორი) აქტიური ლექსემაა როგორც მესაქონლეობის, ასევე ადამიანის ანატომიის აღმნიშვნელ ლექსიკაში.

**თვათვი** „სამკუთხედი სირბილე ცხენის ქაჩაჩის უკანა ნაწილში“ (ჩხორ.). შესაძლოა, სიტყვა ქართული **თათ**-ისაგან არის მიღებული (ყიფშიძე 1914: 242) ორი ვ-ს განვითარებით. ი. ყიფშიძე პარალელურ ფორმებად მიუთითებს **თოთი** (იქვე 243), **ტოტი** (იქვე, 330) სახეობებს. შდრ. ქართ. **ტოტი** – ცხენის (ცხოველის) წინა ფეხი, – **ტორი** (ქეგლ IV: 1325; VI: 1322). არ არის გამორიცხული, რომ ეტიმოლოგიის დასადგენად გამოგვადგეს ქართ.-მეგრ. **თოთო** „ახალი, ნედლი, ჩვილი“ (ქეგლ IV: 470). მისგან ნაწარმოები **ოთვათვაია** მეგრულში „რბილს“ ნიშნავს. განსახილველი სიტყვის სემანტიკა მეორე ვარაუდისკენ გვიბიძგებს.

უღია „სამკუთხედი სირბილე ცხენის ქაჩაჩის უკანა ნაწილში“ (ჩხორ.). ეტიმოლოგია ჩვენთვის დაუდგენელია.

**ბირგული / ბურგული** „მუხლი“ (ყიფშიძე 1914: 203; ჭარაია 1997: 42; ელიავა 1997: 32). არნ. ჩიქობავა ამ მეგრულ-ლაზურ სიტყვაში გამოყოფს **ბი-**, **ბუ-** თავსართს და უდარებს სვანურ **ლულა-**ს (ჩიქობავა 1938: 64), რაც, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი არ ჩანს. გ. როგავა **ბირგულ-** / **ბურგულ-** ფორმას უკავშირებს ქართულ ბარკალ-ს (როგავა 1946: 10). **ბირგულ-** / **ბურგულ-** კავშირში ჩანს სვანურ **ლიბგრგიელ** „ჭიდაობა“ სიტყვის **ბგრგ-** ძირთან (**ლიბგრგიელ** „მუხლზე დაყენება, დაჩოქება“). მეგრულ-სვანური ფორმების შედარება საშუალებას მოგვცემს მეგრულში გამოვყოთ **-ულ** სუფიქსი.

სიტყვა გვხვდება იდიომურ გამოთქმაში: **ბირგულეფიშ დოციმა** ზედმ. „მუხლების დაცემა“, „მუხლების მოკვეთა, მუხლებში ძალის წართმევა“ (ჩიქვანაია 1998: 10); **ბირგულიშ დოშქუმადა** „მუხლის მოყრა. დაჩოქება“.

**ბირგულიშ კვარი, კვარ-ბირგული** „მუხლის თავი“ (ყიფშიძე 1914: 204). პირველ შემთხვევაში ტერმინოლოგიური შესიტყვება მართულმსაზღვრელიანი სინტაგმიტაა წარმოდგენილი, სადაც ნათ. ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი მეგრული „მუხლია“, საზღვრული კი ქართული კვერ-ის შესატყვისი მეგრული **კვარი** (**მუხლის კვერი – ბირგულიშ კვარი**). მეორე ვარიანტი წარმოდგენილია კომპოზიტით, სადაც იგივე სიტყვა გვაქვს. შდრ. ასეთივეა წარმოების **თოლიშ ნაკაკა** და **ნაკაკა-თოლი** „თვალის გუგა“.

**ჩირქე** „ფეხი, უკანა კიდურის ნაწილი მუხლიდან მე-  
ნჯამდე“ (ჯვ.). სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრული **ჩირქე**  
შედარებულია ქართულ **ჩლიქ**-თან და მის შესატყვისად მი-  
იჩნევა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 390). ეს ორი ფუძე ფონე-  
ტიკურად ფარავს ერთმანეთს. ქართულ **ჩ**-ს მეგრულში **ჩქ**-  
კომპლექსი უნდა მოეცა, მაგრამ ძირში არსებულმა **ქ**-მ შეუშა-  
ლა ხელი (გამყრელიძე 1959: 21). ქართულ და მეგრულ ფორ-  
მებს შორის ფონეტიკური ურთიერთობის ახსნა დამაჯერებე-  
ლია, მაგრამ ჩვენთვის მაინც ძნელად მისაღებია ეს თვალ-  
საზრისი სემანტიკის დაშორების გამო. ცხენტან მიმართებაში  
სიტყვა იშვიათად გამოიყენება.

**ჩირქემ ძვალი** „ბარკლის ძვალი“ (ჯვ.). ტერმინოლო-  
გიური შესიტყვება წარმოდგენილია მართულმსაზღვრელია-  
ნი სინტაგმით. ზემოთ განხილული **ჩირქე** მსაზღვრელია, სა-  
ზღვრულად კი **ძვალ** სიტყვაა გამოყენებული.

**კონკერი** „წვივის წინა ნაწილი“ (ყიფშიძე 1914: 280),  
„კანჭი, წვივი“ (ჭარაია 1997: 81). შესაძლოა, რედუპლიცირე-  
ბული ფუძე იყოს, მაგრამ ამის მტკიცებისგან ამჯერად თავს  
ვიკავებთ ზოგი საკითხის გარკვევამდე.

**კვინჭიხე** „თემოს ძვალი“ (ყიფშიძე 1914: 257; ჭარაია  
1997: 79), „ცხენის წინა ბარკალი“ (ჯავახიშვილი 1986: 224). ეს  
სიტყვა სხვადასხვანაირადაა განმარტებული ლექსიკონებსა  
და ეთნოგრაფიულ მასალაში. ზოგადად, ჩვენს მიერ ველზე

მოპოვებული მასალების მიხედვით (ისევე, როგორც ლექსიკონებში), თემოს ძვალია, „შინამრეწველობის... მასალების“ მიხედვით, „ცხენის წინა ბარკალი“. შეიძლება, ეს უკანასკნელი ინფორმატორის იდიოლექტურ თავისებურებას მივაწეროთ. სიტყვის აგებულება ჩვენთვის ნათელი არ არის.

**კირდაში** „მხარ-ბეჭის სახსარი“ (ხოზი). სიტყვაში გამოიყოფა **მკერდ-**ის აღმნიშვნელი **კირდ-** ძირი და -**აშ** ნათ. ბრუნვის ნიშანი. შესაძლოა, ეს **კიდირ** > \***კიდრ-** > \***კირდ** ძირზე დართული ნათ. ბრუნვის ნიშნის გაფორმებული ფუძე იყოს. ამ შემთხვევაში ლექსემის ზედმიწ. მნიშვნელობა იქნებოდა \***მკერდ-ის-ი**".

## 11. კუდი

**კუდელი** „კუდი“ (ყიფშიძე 1914: 262; ჭარაია 1997: 82): ცხენქ ულას გეურკუ დო **კუდელს** ქემუქვათუანს „ცხენმა სვლას უკლო და კუდს აქანავებს“ (გუდავა, ცანავა 1975: 204). სიტყვა საერთოქართველურია. ლაზურში გვაქვს იგივე **კუდელი** (მარი 1910: 158): ქოსე ქოჭოუფან, გამიყონოფან, ცხენიმ **კუდელის** ნუკიდაფან დო შუი ქდუმელან „ქოსას დაიჭერენ, გამოიყვანენ, ცხენის ქუდზე გამოაბამენ და სულს ამოხდიან“ (კარტოზია 1968: 170). სვანურში გვაქვს **ჰაკუად** (ბზ.), **აკუად** (ლშხ.) ფორმები. მეგრულ-ლაზურის -**ელ** სუფიქსი არ გვაქვს ქართულსა და სვანურში. სვანურში ფუძე წარმოდგენილია ამ ენისათვის დამახასიათებელი „ბგერამეტობით“. შდრ. **ჰაყბა** „ყბა“, **ლივდი** / **ლიჰვდი** / **ლივედი** „ნატვრა“ (სუ-

ხიშვილი 1989: 62).

გ. კლიმოვი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგენს \***კუდ**- არქეტიპს (კლიმოვი 1964: 117). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სვანურში დაცული **ჰაკუად** ფორმა საერთოქართველურისთვის აღგვადგენინებს სრულსაფეხურიან \***კუად**- ფორმას, რომლის ნულსაფეხურიანი **კუდ**- ვარიანტი ქართულსა და მეგრულ-ლაზურშიც არის წარმოდგენილი. **კუად** - / **კუდ**- ალომორფების არსებობა საერთოქართველურში შეპირობებული უნდა ყოფილიყო სრულ- და ნულსაფეხურიან ვარიანტთა მონაცვლეობით ბრუნების პარადიგმაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 285).

მეგრულში, ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, სიტყვა გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ასევე ტერმინოლოგიური შესიტყვების ერთ-ერთ კომპონენტად **ცხენიმ კუდელი** „ცხენის კუდი“, **ფუჯიმ კუდელი** „ფურის კუდი“, **ხოჯიმ კუდელი** „ხარის კუდი“... **კუდელი** მეგრულ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით, ნიშნავს „ვისიმე თანამდევს, მომხრეს“ (ჩიქვანაია 1998: 38). გვაქვს იდიომურ გამოთქმაში **კუდემ გეჭოფუა** „კუდის დაჭერა, დანაშაულზე წასწრება“ (იქვე, 39). იგივე ფუძე, უფრო სწორად, ქართულიდან შეთვისებული **კუდა**, გვხვდება ჰიპონიმიაში (ცხადაია 1987: 451).

**კუდელიმ ჯინჯი** „კუდის მოქნილი ძვლოვანი ჩონჩხი“ (ხოზი). ხრისტანქე ქიმეკინდგ ხე ბელთაგანიში რაშიში **კუდელიმ ჯინცგ** (ყიფშიძე 1914: 38) „ხრისტაგანმა ხელი ჩაავლო ბიელთაგანის რაშის კუდის ძირს“. ტერმინოლოგიური



შესიტყვება მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით არის წარმოდგენილი. მსაზღვრელი ზემოთ განხილული **კუდელ-**ია ნათ. ბრუნვაში, საზღვრული კი **ჯინჯი** „ძირი“. ქართული **ძ** : მეგრ. **ჯ**, ქართ. **რ** : მეგრ. **ჯ** ფონეტიკური კანონზომიერებაა. **ნ** ფონეტიკურად განვითარებული სონორია.

**კუდუსუნი** „კუდის მოქნილი ძვლოვანი ჩონჩხი“ (მარტვ., ჩხორ.). სიტყვა მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული. გვაქვს სვანურშიც ამ ენისთვის დამახასიათებელი გაბგერებით – **ჰაკუდულ** ფორმით (გელენიძე 1974: 87).

**ძვარე** „ადგილი ცხენის კუდის თავზე, აჭრიდნენ, რადგან ქავილს იწვევდა“ (მაკალათია 1941: 201). ამ ტერმინის ამოსავალი ფორმა გვაქვს ქართული ენის დიალექტებში: **მძუანა** (მთიულ.), **მძუარა** (გუდამაყრ., გურ.) (ლეონიძე, 1925, 90), **ძოვარი** (იმერ.) (ჯავახიშვილი 1986: 187). ქართული ფორმები მომდინარეობს მოქმ. გვარის **მ-ძოვ-არ-**ი მიმღეობისაგან. მეგრული ფორმისათვის ამოსავალია იმერული **ძოვარი**. მიმღეობური ფორმის შეთვისების შემდეგ მეგრულში **ო** ჩავარდა, აუსლაუტში **ი > ე**.

## 12. ხერხემალი, ნეკნები

**გაგაჩი** „ხერხემალი“ (ყიფშიძე 1914: 212; ჭარაია 1997: 46). ეს ცნება, გარდა ამ ლექსემისა, გადმოიცემა მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით **გაგაჩიშ ძვალი** (წალენჯ.), ზედმიწ. „ხერხემლის ძვალი“. სიტყვის ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

**გორგალი** „ხერხემალი“ (ყიფშიძე 1914: 219; ჭარაია 1997: 53). ლექსების სტრუქტურა ჩვენთვის ბოლომდე გარკვეული არ არის, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ წარმოქმნილია და გამოიყოფა -**ალ** სუფიქსი. ხერხემლის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე **ოჭიში** (ჯვ., ჩხორ., ხობი), რომლის ძირითადი მნიშვნელობა „ზურგია“ (ზედმიწ. „სა-წელ-ის-ი“). შდრ. თუმური **ზურგის ძვალი** „ხერხემალი“ (ხუბუტია 1969: 101).

ლაზურში ხერხემალს აღნიშნავს **შკა / შქა** „შუა“ (ასათიანი 1974: 119): მან ნა მევაგნი თქვანი ამბაი, ემედენი ქომოფთი დო ერეი ნა მოიწკი, **შქა** ქეშამილუ „მე რომ გავიგე თქვენი ამბავი, უცხად წამოვედი და უნაგირი რომ მოვიხსენი, წელი (ხერხემალი) ამომივარდა“.

**ხასლაშ ძვალი, ხასაა** „ნეკნი“ (ჯვ., წალენჯ., ხობი, სენაკი, მარტვ.). ტერმინოლოგიური შესიტყვება გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით. ნათ. ბრუნვაში დასმულია **ხასლა** „გვერდი“, რომელიც ამ შემთხვევაში აღნიშნავს ნეკნს. სინტაგმა ზედმიწევნით ნიშნავს „ზურგის ძვალს“. მარტვილურში **ხასაა** < **ხასლა** მთლიანად შეენაცვლება **ხასლაში ძვალი** სინტაგმას და მის მაგივრობას ეწევა, ე. ი. ხდება ტერმინოლოგიური შესიტყვევის გადაქცევა ტერმინად.

**კვრდაში** „ნეკნი. მკვრდის ყაფაზის შემკვრელი ძვლები“ (ჩხორ.). ეს სიტყვა, გარდა ნეკნისა, აღნიშნავს მხარ-ბეჭის სახსარსაც (იხ. ზემოთ). აქ მოყვანილი მნიშვნელობა კიდევ

უფრო გვარწმუნებს, რომ ფორმაში მკერდის აღმნიშვნელი მეგრული კიდირ-ია წარმოდგენილი ნათესაობით ბრუნვაში.

ლაზური ნეკნის აღსანიშნავად იყენებს თურქულიდან ნასესხებ კაბურღა-ს (ჯიქია 1975: 67), ხოლო ზურგის ძვლები კაბულაში ყვილეფე-ა (ასათიანი 1974: 119).

### 13. შინაგანი ორგანოები

**გური** „გური“ (ყიფშიძე 1914: 220; ჭარაია 1997: 55): მუხამუზის მუმოგანდე, **გური** დო ჩხონჩხიშა ოკო ქიმერთასია „დეზს რომ მკრავდე, [ტკივილი] გულსა და ღვიძლზე უნდა მივიღეს“ (დანელია, ცანავა 1991: 150). საერთო წარმოშობის ფუძე გვაქვს სამსავე ქართველურ ენაში: ქართ. **გული**, მეგრ. **გური**, ლაზ. **გური** / **გული**, სვან. **გუი**, **გუილდ**. არნ. ჩიქობავას შეხედულებით, ამ სიტყვის ძირია **გ**-. ქართული **-ულ**, მეგრული **-ურ** კი ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია. სვანურში **უ** დაშლილია **უი**- მარცვლად და გვხვდება **ლ**-ს მოკვეციტაც და **ლ**-იანადაც (ჩიქობავა 1938: 65-66). მკვლევარი აღნიშნავდა: „იშვიათად სხვა რომელიმე სიტყვაში თუ ჩანს კავკასიურ ენათა ერთიანობა ისე ცხადად, როგორც აქ: ქართ. **გ-ულ**-, მეგრ. **გ-ურ**-, ჭან. **გ-ურ**-, სვან. **გ-უ** / **გ-უი** / **გუილ-დ**, აფხ. **ა-გ-უ**, ჩაჩნ. **დუო-გ**, ლაკ. **და-კ**, ხუნძ. **რა-კ**, კიურ. **რი-კ**, დარგ. **ურ-კი**...“ (ჩიქობავა 1942: 41).

**გული** საერთოკავკასიური ძირის სიტყვაა. აფხაზური **ა-გგ**-ს ნათესაობა ქართველურ და ადიღურ ფორმებთან პირველად პ. უსლარმა აღნიშნა (უსლარი 1887: 127). ამ სიტყვას საერთო აფხაზურ-ქართველურ ლექსემათა რიგში განიხილა-

ვენ პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 22) და ბლაჟბა (ბლაჟბა 1948: 39). გ. კლიმოვი საერთოქართველურ არქექტიპად აღადგენს \*გულ-ფორმას (კლიმოვი 1964: 66).

სიტყვა ხშირად გვხვდება იდიომებში: **გური** დო შური ვადურკებუ „გული და სული არ დაუკლია, ყველაფერი გაუკეთა, ზრუნვა და ყურადღება არ დააკლო“ (ჩიქვანაია 1998: 13). **გური** ვაულუ „ხასიათზე, გუნებაზე არ არის“, ზედმ. „გული არა აქვს“ (იქვე), **გური** მირაგადუ „გული მეუბნება“... გვხვდება ჰიპონიმად **გურა** ფორმით, სადაც **გურ-** ძირია, -ა კი თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი. ინფორმატორის განმარტებით, არქმევენ კარგ, უშიშარ, გულად ცხენს (ცხადაია 1987: 450).

**ფირტი** „ფილტი“ (ჭარაია 1997: 136; ელიავა 1997: 310). **ფირტი**- ფორმა გვხვდება საბასთან (საბა 1993: 193), ე. ი. ქართული ფორმის **ლ-**ს გადასვლა **რ-**ში მეგრულ სინამდვილეში კი არ მოხდა, არამედ ძველ ქართულში. ლაზურში გვაქვს **ფურფუ** (მარი 1910: 195). ამ ფორმებს უკავშირებს გ. მაჭავარიანი სვანურ **პერშუტა-ა** < **პერშუტ** < \***ფერშოტ** ფორმებს, სადაც ფ > პ პროცესს რეგრესული დისიმილაციით ხსნის და ქართული **ფირტი**-ის ამოსავლად **ფირთუ**-ი მიაჩნია პროგრესული დისიმილაციით, ლაზ. **ფურფუ** < \***ფირთუ** ასიმილაციით (**თ** > **ფ** ლაბიალურ გარემოცვაში) (მაჭავარიანი 1965: 18). ქართულ-მეგრული **ფირტი**-ის დაკავშირება მეგრ. **ფიჟ**-, ლაზ. **ფურფუ** და სვანურ **პერშუტა**-სთან ეჭვქვეშაა დაყენებული „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 319).

**ფურფუ**-ს ლაზურში ხშირად ჩაენაცვლება კომპოზიტი **ქრე-ჯიგერი / ჩხე-ჯიგერი** (მარი 1910: 236), სადაც პირველი კომპონენტი ლაზური **ქრე / ხრე** „თეთრია“, მეორე კი სპარსულიდან ნასესხები **ჯიგარ**, რომელიც ნიშნავს როგორც საქონლის შიგნეულს, ასევე ღვიძლს (ქეგლ VIII: 1588). მთლიანად **ქრე-ჯიგერი / ხრე-ჯიგერი** „თეთრი ჯიგარია“. შდრ. **ურა-ჯიგერი** „ღვიძლი“, ზედმიწ. „შავი ჯიგარი“ (მარი 1910: 236).

მეგრულში ცოცხალ მეტყველებაში **ფირტვ**- ფორმა იშვიათად გამოიყენება. ჩვეულებრივ იხმარება **ფიჟვი**.

**ფიჟვი** „ფილტვი“ (ჭარაია 1997: 136; ელიავა 1997: 310) ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: იმერულში, გურულში **ფიჟუა / ფიჟუე, და-ფიჟვიანება** „დასივება“ (ბერიძე 1912: 57), **ფიჟვი** (გაჩეჩილაძე 1976: 136), რაჭულში, ლეჩხუმურში, აჭარულში **ფიჟვი** (ღლონტი 1974: 544; კობახიძე 1987: 106). იმერულში გვხვდება **ფირტვისა და ფიჟვ**- ფორმების კონტამინაცია **ფირფიჟა** (ძოწენიძე 1974: 389).

**მაგარა** „ღვიძლი“ (ყიფშიძე 1914: 373). ი. ყიფშიძე მიუთითებს, რომ ფორმა ქართულია. შეიძლება გვევარაუდა, რომ ლექსემა მიღებულია სპარსული **ჯიგარ**-ისაგან. ქართული ამ შემთხვევაში სესხების შუალედურ რგოლად მოგვევლინებოდა, მაგრამ ასახსნელია **ჯ** თანხმოვნის ცვლა **ძ** ფონემით. სპარსულიდან ნასესხები იგივე სიტყვა გვაქვს ლაზურშიც: **ჯიგერი** „ღვიძლი“ (მარი 1910: 236). ნ. მარი დასაკონკრეტებლად და ერთმანეთისაგან გასარჩევად მიუთითებს კომ-

პოზიტებს: **ქჩე-ჯიგერი** / **ხჩე-ჯიგერი** „ფილტვი“, ზედმიწ. „თეთრი ჯიგარი“ და **ურჩა-ჯიგერი** „ღვიძლი“, ზედმიწ. „შავი ჯიგარი“ (იქვე). ლექსემა **ჯიგარი** ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში.

**ჩხონჩხი** „ღვიძლი“ (ციფშიძე 1914: 368; ჭარაია 1997: 159). ეს სიტყვა მეგრულში გაცილებით აქტიურია, ვიდრე ზემოთ მითითებული **ძაგარა**. იგი აბსოლუტურად განსხვავდება ქართული **ღვიძლ**- და მისი სვანური შესატყვისი **ყვიყე**-საგან. გვიჭირს იმის თქმა, შეიძლება თუ არა სემასიოლოგიური კავშირის ვარაუდი ქართულ **ჩონჩხ**-სა („ადამიანის ჩონჩხი“) და მეგრულ **ჩხონჩხ**-ს შორის (ფონეტიკურად ფარავენ ერთმანეთს). საკითხი შემდგომ კვლევას მოთხოვს.

**ჭაჭა** „თირკმელი“ (ციფშიძე 1914: 387; ჭარაია 1997: 130). ეს სიტყვა გვაქვს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში – გურულსა და იმერულში (ღლონტი 1974: 718; დოწენიძე 1974: 491), აგრეთვე აფხაზურ ენაში **ა-ჭაჭა** სახით (ჯანაშია 1954: 394; არშბა 1980: 83; კვარჭია 1981: 54). გ. კლიმოვი მიუთითებს, რომ სიტყვა აფხაზურიდან აქვს ნასესხები მეგრულს (კლიმოვი 1986: 182). სესხების მიმართულების ცალსახად წარმოდგენა ჭირს (ქართულში ეს სიტყვა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ დასავლურ დიალექტებშია წარმოდგენილი, სადაც ადვილად შეიძლებოდა გავრცელებულიყო მეგრულის გავლენით).

სიტყვა გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმაში: **ჭაჭამ მეტახუა** ნიშნავს „სირცხვილში ჩაგდებას, სირცხვილის

კმევას, ძნელი, მძიმე შრომისაგან დაღლას“, ზედმიწევნით კი „თირკმლის (წელის) მოტეხაა“ (ჩიქვანაია 1998: 88).

**რტყილი / რტყიი / ტყილი / ტკე** „ელენთა“ (ელიავა 1997: 275; ჯვ., ჩხორ., ხობი). ეს ფორმები უნდა უკავშირდებოდეს ქართულ **ტყირპ-** ფუძეს. აუსლაუტის -პ მეგრულში დაკარგულია (შდრ. ქართ. **წარბი** – მეგრ. **წარი**). რიგ შემთხვევებში ანლაუტში განვითარებულია **რ** სონორი, მარტვილურში **ლ** > **მ**, ხან კი საერთოდ დაკარგულია. ფუძე სვანურში შემორჩენილია წარმოქმნილ სახელში **ნა-ტყერბ-ელ** „ჭორფლი“, ზედმიწ. „ნა-ტყირპ-ალ-ი“ (გელენიძე 1974: 115).

**ნაღმელი / ნოღმელი / ნოღველი, ნე** „ნაღველი“ (ყიფშიძე 1914: 287; ელიავა 1997: 248; ჯვ., წალენჯ...). ვარიანტები მატერიალურად უკავშირდება ქართულ **ნაღველ-** ფუძეს. ამ ვარიანტთაგან ორში დაცულია ქართულ-მეგრული რეგულარული ბგერათმესატყვისობა (ქართ. **ა** : ზან. **ო**), ხანდახან მხოლოდ **ვ/მ** სუბსტიტუცია ხდება. სვანურში გვაქვს **ნაღლტელ / ნანღტელ / ლანღტელ**, რომელიც ქართულიდან ნასესხებად ივარაუდება (გელენიძე 1974: 114), შდრ. ძვ. ქართ. **ნავღელი** („ვეფხისტყაოსანი“). **ნე** ფორმის შესახებ გადაჭრით რისამე თქმა ამჯერად გვიჭირს.

**ფარდა** „დიაფრაგმა“ (ჩხორ.). სიტყვა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს სემანტიკური გადაწევით.

**ზადურა** „ხორცის ფარდა, რომელიც ყოფს მუცლისა

და მკერდის ღრუებს, დიაფრაგმა“ (ჩხორ.). ეს სიტყვაც, მისი ძირიცა და მაწარმოებლებიც (**ბად-ურ-ა**) ქართულიდან არის ნასესხები.

**ნახირიტა** „თხელი აპკი, რომელიც აკრავს შიგნითა ორგანოებს“ (ჯვ., ზუგდ.). ფორმა ნამყო დროის მიმდევობაა. ნაწარმოებია **ნა-ა** ცირკუმფიქსით **ხირიტ-** „რღვევა“ ზმნური ძირისაგან, ე. ი. სიტყვის ზედმიწ. მნიშვნელობაა „განარღვევი“.

**კუჭი** „კუჭი“ (ელიავა 1997: 201). სიტყვა ყოველგვარი ცვლილების გარეშე გადმოღებულია ქართულიდან. გვაქვს სვანურშიც **კუჭი** ფორმით (ლიპარტელიანი 1994: 162).

**ფაში** „ფაში“ (ჭარაია 1997: 134; ელიავა 1997: 302). ეს სიტყვა ინტერკონსონანტურ პოზიციაში **ა-უ** მონაცვლეობით გვხვდება ლაზურში: ცხენის **ფუში** ქამამუღეს „ცხენს ფაში გამოუღეს“. სიტყვა მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზურ ენაში **ა-ფაში** „ფაში“ (არშბა 1980: 47), სადაც დაკარგულა ლაზიალური ელემენტი სესხების კანონზომიერების საფუძველზე.

**ჭე / ჭი** „წელი“ (ყიფშიძე 1914: 396; ჭარაია 1997: 170). ფუძე საერთოქართველურია. ქართ. **წელი** (> **ნა-წლ-ევ-ი** > **ნა-წლავი**), მეგრული **ჭი / ჭე**, ლაზური **ჭუ / მჭუ**, სვან. **ჭინჭილ** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 460). არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ქართული **-ელ** სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტი ჭანურში არის **-უ**. ამ **უ-ს** **ი-თი** შენაცვლება გვაქვს მე-



გრულში (ჩიქობავა 1938: 69). გ. როგავა მეგრულისთვისაც აღადგენს **ჭუ** ფორმას. ტრანსფორმაციას ასე წარმოგვიდგენს: ზუგდიდურ-სამურზაყანულში **ჭუ** > **ჭგ**; სენაკურში **ჭუ** > **ჭგ** > **ჭი** (როგავა 1962: 74). ლაზურში **ჭინჭყვალა** / **ჭინჭვალა** (მარი 1910: 219), როგორც ჩანს, რთული ფუძეა. წელს, ნაწლავს ლაზურში აღნიშნავს **წიწი**-ც (იქვე).

**ბუმტი**, **შარდიშ ბუმტი**, **ოფსუმალ ბუმტი** „ბუმტი, შარდის ბუმტი“ (ზუგდ., ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი). ამავე მნიშვნელობით **ბუმტი** სიტყვის **ბუსტი** ვარიანტია წარმოდგენილი ლაზურში (მარი 1910: 132). მეგრულში სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება როგორც მარტივი ფორმა **ბუმტი**, ასევე ტერმინოლოგიური შესიტყვეებები. მათგან პირველი (**შარდიშ ბუმტი** „შარდის ბუმტი“) მართულმსაზღვრელიანი სინტაგმაა, მეორე კი (**ოფსუმალ ბუმტი** „საფსამი ბუმტი“) – ატრიბუტულმსაზღვრელიანი სინტაგმა, სადაც ატრიბუტივი **ო-ალ** ცირკუმფიქსით ნაწარმოები მომავალი დროის მიმღეობაა. ამოსავალია **ფსუმა** „შარდვა“.

**ოსარე** „ბუმტი, სადაც იმყოფება ცხენის ნაყოფი, მიმყოლი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., სენაკი, ზუგდ.). ფორმა დანიშნულების **ო-ე** ცირკუმფიქსითაა ნაწარმოები სადამოს აღმნიშვნელი **სერ-** ძირისაგან **ო-სარ-ე** < \***ო-სერ-ე** „სადამური“ მეგრულში „პერანგის“ მნიშვნელობით გამოიყენება, ჩვენს შემთხვევაში კი მას შეძენილი აქვს ბუმტის, აპკის მეორეული მნიშვნელობა.

**საშო** „ბუმტი, სადაც იმყოფება ნაყოფი“ (ხოზი, სენაკი). სიტყვა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. არის **შევ**- ძირისაგან მიღებული გასუბსტანტივებული მიმღეობა. მეგრულში სინონიმად **სა-სქუ-ო** „საშვილე“ სიტყვაც ენაცვლება, მაგრამ ცხენტან მიმართებაში ეს ლექსემა ვერ დავადასტურეთ.

## **ცხენის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკის სტრუქტურული მოდელები**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხენის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ლექსემათა უმეტესი ნაწილი საერთო-ქართველურია. ამ თემატურ ჯგუფში გაერთიანებული ტერმინები სტრუქტურული თვალსაზრისით შემდეგ მოდელებად ნაწილდება.

1. **მარტივი ფუძეები:** ა. **ფორმები, რომლებიც სამსავე ქართველურ ენაში იძლევა ბგერათშესატყვისობებს:** ძუა / ჯუა „ძუა“, ჭგ / ჭი „ნაწლავი, წელი“, ჯერღვი „მარღვი“... აქვე განვიხილავთ ისეთ ფორმებს, რომლებიც ეტიმოლოგიურად შეიძლება არც იყოს მარტივი, მაგრამ მათში დღეს, სინქრონიულ დონეზე აფიქსები აღარ გამოიყოფა: გური „გული“, ზისხირი „სისხლი“, კიბირი „კბილი“.. ბ. **მეგრულ-ქართული ფორმები:** ბორკი „ფეხი, ბარკალი“, ლეჟვა „ლეზვა, დორბლი“, ტყები „ტყავი“.... გ. **ლექსემები, რომლებიც მხოლოდ მეგრულშია წარმოდგენილი:** გაგაჩი „ხერხემალი“, დუდი „თა-

ვი“, ხასილა / ხასგლა / ხასლა „ფერდი“... დ. ნასესხები ტერმინები ქართულიდან: ბუმტი, კისერი, კუჭი, ფარდა, ხორცი... სხვა ენებიდან: აბხა (აფხ.) „ბეჭი“, მაგარა (სპარს.) „ღვიძლი“... ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ ქართულ წარმოქმნილ ფორმებს, რომლებიც მეგრულისთვის მარტივი ფუძეებია: სახსარი, საშო, საქერე... ე. გაურკვეველი ეტიმოლოგიის სახელები, რომლებიც მარტივი ჩანს: ლაცვა „ფერდი“, ჩუბა „ცხენის უკანა ფეხები“...

2. პრეფიქსული წარმოების ტერმინი: სა-ზინდ-ი „მყესი“ (ფორმაში პრეფიქსი ქართულია, ძირი – მეგრული).

3. სუფიქსური წარმოების ტერმინები: ფოლ-ო „ფლოქვი“, ხმელ-ო „ცხენის კისრისა და ზურგის საზღვრის ამალღებული ადგილი“, ხინტკ-ირ-ი „ხრტილი“, ყორყ-ელ-ი „ყელი“, ხორხ-ოტ-ა „ხორხი“...

4. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ტერმინები: დანიშნულების სახელები: ო-შურ-ე „ნესტო“, ო-სარ-ე „ბუმტი, რაშიც ცხენის ნაყოფია მოთავსებული“, ო-ჭ-იშ-ი „ზურგი“... მომავალი დროის მიმღეობები: ო-დირიკ-ალ-ი „სახსარი“, ო-ღირაკ-უ / > ო-ღირაკ-ი „სახსარი“, ო-ტვიტვ-ალ-ი „ცხენის კბილი“... ნამყო დროის მიმღეობები: ნა-ხირიტ-ა „აპკი, რომელიც აკრავს ცხენის შინაგან ორგანოებს“, ნა-ფს-უმ-ა / ნა-ფს-გმ-ა / ნა-ს-უმ-ა „შარდი“...

5. კომპოზიტები: კვარ-ბირგული „მუხლისთავი“, ნა-

კაკა-თოლი „თვალის გუგა“, ჩო-რქო „ქაჩაჩი“, ყვი-ყვილ-ი „მენჯის ძვალი“...

6. ტერმინოლოგიური შესიტყვებანი: ა. ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი სინტაგმები: თხითხ ტყები „ფერდის ტყავი“, ობორკუე ძვალი „კოჭის ზევითა ძვალი“, ოფსუმალ ბუმტი „შარდის ბუმტი“... ბ. მართულმსაზღვრელიანი სინტაგმები: აფხა-შ დუდი „ბეჭისთავი“, გაგაჩ-იშ ძვალი „ხერხემალი“, თოლ-იშ კაკალი „თვალის გუგა“, ხასლა-შ ძვალი „ნეკნი“...

### თ ა ვ ი III

## ცხენის შეფერილობის, გარეგნობის, ფიზიოლოგიისა და ავადმყოფობის აღმნიშვნელი ლექსიკა

### § 1. ცხენის შეფერილობის აღმნიშვნელი ტერმინები

მეცხენეობის ლექსიკაში სემანტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ჯგუფს ქმნიან ცხენის შეფერილობის აღმნიშვნელი ტერმინები. ამ თემატურ ჯგუფში წარმოდგენილია საკუთრივ მეგრული (resp. ზანური), საერთოქართველური და ნასესხები ლექსიკა. ტერმინების გადმოსაცემად ენა იყენებს არსებითსა (იშვიათად) და ზედსართავ სახელებს.

საანალიზო მასალა სემანტიკური ნიშნის მიხედვით დაყოფილია ორ ჯგუფად: ა. ცხენის საერთო (ბალნის) შეფერილობისა და ბ. სიჭრელისა და სხეულზე გამოსახული ლაქების აღმნიშვნელი ტერმინები.

#### ა. ცხენის საერთო შეფერილობის აღმნიშვნელი ტერმინები

რაში „თეთრი ფერის ცხენი“ (ჩხორ.). სპარსული

წარმოშობის სიტყვა მეგრულში საერთოდ ზღაპრულ ცხენს ნიშნავს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ცხენის ფერის აღმნიშვნელადაც გველინება.

**კანჯარი** „მოთეთრო ლურჯი ცხენი“ (ჭარაია 1997: 75). საბასა და ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, **კანჯარი** ველური ვირია (საბა 1991: 951; ჩუბინაშვილი 1961: 243). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, გარდა ამ მნიშვნელობისა, მითითებულია, რომ ფშაურ დიალექტში ის ზოლებიან, ჭრელ საქონელს აღნიშნავს (ქეგლ IV: 1058).

**კანჯარი** წარმოშობით სპარსული სიტყვაა და „ველურ სპილოს“ ნიშნავს (ქერქაძე 1974: 83). როგორც ჩანს, სიტყვა მეგრულში ქართულის მეშვეობით გარეული ვირის მნიშვნელობით შემოვიდა, შემდეგ კი მოხდა სემანტიკის გადაწევა, კერძოდ, სიტყვამ აღნიშნა ამ ცხოველის ფერი. ამ შემთხვევაში არსებითმა სახელმა ზედსართავის ფუნქცია იტვირთა. **კანჯარი** ფერის აღ-მნიშვნელ სიტყვად მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება, თანაც საზღვრულის გარეშე. **კანჯარი** ხშირად ქცეულია ჰიპონიმად. სახელდების მოტივაციად ინფორმატორი ასახელებს შეფერილობას. მისთვის ეს არის არც წითელი, არც თეთრი, რაღაც ერთმანეთში არეული ფერი (ცხადაია 1987: 450).

**ჩეგეზი** „შავი ფერის ცხენი“ (ჩხორ.). ამ შემთხვევაში ფერის აღსანიშნავად ამოსავალია ცხენის ჯიში – ინფორმატორის განმარტებით, ჩეგეზის ფერის შეიძლება იყოს ჩერქე-

ზული ჯიშის ცხენი. როგორც ჩანს, სამეურნეო (ჯიშების შესაჯვარებლად) თუ სხვა დანიშნულებით საუკეთესოდ მიიჩნეოდა შავი ფერის ჩერქეზული ცხენი. ფერის აღსანიშნავად სიტყვა გამოყენებულია არა სადაურობის -ურ სუფიქსით, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ სატომო სახელის აღმნიშვნელი მარტივი ფუძის სახით გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით, კერძოდ, ამოვარდნილია რ სონორი, ქ > გ (მეგრულში ეს სიტყვა გამჟღერებული ჩერგეზი ვარიანტის სახით წარმოითქმის). სიტყვა გამოიყენება მხოლოდ ცხენის შეფერილობის აღსანიშნავად საზღვრულის გარეშე. ამ სემანტიკურ ჯგუფში წარმოდგენილ ზედსართავ სახელთა ნაწილი მხოლოდ ცხენის შეფერილობას აღნიშნავს, ნაწილი – საქონლის ფერს, ნაწილი კი – ზოგადად საგნის ფერს.

ჩე „თეთრი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი): ჩე გოლას ჩე კოჩი მეურს, ჩე ცხენი ეკოყუნს „თეთრ მთაზე თეთრი კაცი მიდის, თეთრი ცხენი მისდევს“ (დანელია, ცანავა 1991: 138). ლაზურში გვაქვს ამ ფუძის ხჩე / ქჩე / ჩქე / ჩე ვარიანტები: არაბიქ არ ხჩე ცხენი ქომუცონუ „არაბმა ერთი თეთრი ცხენი მოუყვანა“. ეს ფორმები სემანტიკურადაც და ფონეტიკურადაც შეესატყვისება ძველ ქართულ მჯცე-ს (ჩიქობავა 1938: 235-236; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 501-502). ზანურში ამოსავალი სახეობა დაცულია ლაზური ხჩე ფორმის სახით. მეგრული ფორმა მიღებულია ჩხე-საგან ხჩ თანხმოვანთკომპლექსის გამარტივებით (უკანაენისმიერი+წინაენისმიერი მეგრულისათვის არაბუნებრივია). ლექსემის ტრანსფორმაცია შემდეგნაირად ხდება \*ხჩე > \*რჩე > ჩე (მაჭავარიანი 1965:

70). კომპოზიტებში ან ნაზმნარ სახელებში **რ** აღდგება (ცვა-**რჩე** „შუბლთეთრი“, **პი-რჩე** „პირთეთრი“, **მო-რჩე** „მოთეთრო“). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართულ-ზანური ფორმების ბოლოკიდური -ე უმლაუტის შედეგია: ა-ი > ე (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 166). მეგრული **ჩე**, ლაზური **ხჩე** / **ქჩე** / **ჩქე** / **ჩე** ცალკე, არსებითი სახელის გარეშე არ გამოიყენება, გვხვდება მსაზღვრელად, გამოიყენება ნებისმიერ საგანთან, რომელსაც შეიძლება თეთრი შეფერილობა ჰქონდეს.

**ჩელაია** „თეთრონი“ (ჯვ., ჩხორ.): მეჯინელო **ჩელაია**, უმახგნა ცოციკას, ის ვაშქურუ ცხენეფიშა, ვეშქიდანც მორიგას „შეხედულებით თეთრონია, ემახიან ცოციკას, მას ცხენების არ ეშინია, არ იკადრებს დათმობას“ (სამუშია 1971: 105). ფორმა ნაწარმოებია ზედსართავი სახელისაგან **ჩე** „თეთრი“ - **ლა** კნინობითობის სუფიქსის დართვით. **ჩელა** ტერმინი ფერის აღსანიშნავად გამოიყენება მხოლოდ მესაქონლეობის ლექსიკაში, კერძოდ, ძროხისა და კამეჩის შეფერილობის აღმნიშვნელად. ფართოდ გავრცელებული ზოონიმია (ცხადაია 1987: 436, 445, 448, 453). გვხვდება ასე გაფორმებული ანთროპონიმიც. **ჩელა** ფორმისაგან მომდინარე -ია სუფიქსდართული ფორმა გვაქვს ცხენის შეფერილობის აღმნიშვნელად. -ია დაბოლოებაც კნინობითობის მაწარმოებელია. ჩვეულებრივ არსებით სახელს ახლავს მსაზღვრელად. იშვიათად გვხვდება ადამიანის სახელებთან: **ჩელაია** ძღაბი „თეთრი პირისახის გოგო“.



**უჩა** „შავი“ (წალენჯ., მარტვ., სენაკი): რაშეფს ოკათუ ართი რაში, **უჩა** რაში „რაშებში ურევია ერთი რაში, შავი რაში“ (დანელია, ცანავა 1991: 112). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეგრული **უ-ჩ-ა** მიღებულია ჩე „თეთრი“ ფუძისაგან, უ- უარყოფითობის თავსართია (ჩიქობავა 1938: 236). იგივე ფორმა გვაქვს ლაზურში. ცხენის შეფერილობის აღსანიშნავად მეგრულშივე გამოიყენება **უჩა**-ს ოდნაობითი ხარისხის ფორმაც **მო-უჩ-ე** „მოშავო“. სიტყვა **უჩა** გვხვდება მსაზღვრელად ყველანაირ არსებით სახელთან. მათ შორის მესაქონლეობის ლექსიკაშიც.

**ყორანა** „შავი ფერის ცხენი“ (ჯვ.). მსგავსების აღმნიშვნელი -ა სუფიქსით გაფორმებული ეს სიტყვა მთლიანად ნა-სესხებია ქართულიდან, თუმცა იმავე ფუნქციის -ა სუფიქსი გვაქვს მეგრულშიც: **ჭუბურ-ა** „წაბლა“, **ქვიშორ-ა** „ქვიშისფერი“ ... ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ეს სიტყვა მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება მეგრულში.

**ქვიშორი / ქვიშორა / ქვიშორე / ქვიშორია** „რუხი, ნაცრისფერი ცხენი“ (წალენჯ.): ბათაიაშ(ი) **ქვიშორია** მეკვნჯ(ი) ყოფე ბალანგარი „ბათაიას ქვიშორია თვითნება ყოფილა ტიალი“ (გუდავა, ცანავა 1975: 262). ფორმა **ქვიშ-ორ-ი** მიღებულია **ქვიშა** არსებითი სახელისაგან -**ორ** სუფიქსის დართვით. **ქვიშორ-** ფორმისაგან არის მიღებული -ა სუფიქსის დართვით **ქვიშორ-ა**, მისი ფონეტიკური სახესხვაობა **ქვიშორე** (< \***ქვიშორაი**). გარდა -ა სუფიქსიანი ფორმისა, გვაქვს კნინობითობის -ია ბოლოსართით გაფორმებული **ქვიშორ-ია** ვარიან-

ტიც. ფორმობრივად ქვიშორი / ქვიშორა-ს ანალოგიურია სვანური ქუიშარაჲ / ქუიშერაჲ / ქუიშარაჲ „რუხი, ნაცრისფერი ცხენი“ (გოგებაშვილი 1999: 22).

მეგრული ვარიანტები ხშირად გვხვდება ჰიპონიმად (ცხადია 1987: 453).

**ქვიშაშფერი** „ქვიშისფერი ცხენი“ (ზუგდ.). კომპოზიტი მიღებულია ქვიშა არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **ფერ** სახელის დართევით. ეს რთული სიტყვა მსაზღვრელად გამოიყენება არსებით სახელთან და ზოგადად ფერს აღნიშნავს.

**ტუტაშფერი** „რუხი, ნაცრისფერი ცხენი“ (ჯვ., მარტვ.). კომპოზიტში გამოიყოფა ნათესაობით ბრუნვაში დასმული **ტუტა** „ნაცარი“ და არსებითი სახელი **ფერი**. ეს რთული ფუძე გამოიყენება არსებითთან ერთად არამარტო მესაქონლეობის ლექსიკაში, არამედ სხვა ჯგუფის სახელებთანაც.

**ფერო** „ფერო, მოშავო-თეთრი, ლურჯი, თეთრისა და შავის საშუალო“ (ჭარაია 1997: 135). ეს სიტყვა ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული იყო და, როგორც აღნიშნავს ბ. გიგინეიშვილი, „ხან თეთრს აღნიშნავდა, ხან – ჭრელს, ხან – ნაცრისფერს. შესაქმის ტექსტში ვკითხულობთ: „განყავით მუნით ყოველი ცხოვარი **ფეროდ** კრავთა შორის და ყოველი **მოთეთრე** და სხურებული თხათა შორის...“ (შეს. 30, 32, A-179). ოშკური, A-51, K-28 და H-1207 ხელნაწერების ტექსტი ზემოთ მოყვანილისგან რედაქციულად განსხვავდება: „...“

გამოარჩიე მიერ ყოველი ცხოვარი **თეთრი** ტარიგთაგან და ყოველი სპეტაკი და **ჭრელი** (**თეთრი** O) თხათაგან...“ როგორც ვხედავთ, პირველი ტექსტის **ფერო**-ს მეორეში ენაცვლება **თეთრი**. აქვე **ჭრელი**-ს მაგიერ ოშკური ნუსხა კვლავ **თეთრს** გვიჩვენებს. ბერძნული **ფერო**-ს შესატყვისად გვაწვდის ηαιμος-ს („ნაცრისფერი“, „მოშავო“, „მუქი“)( გიგინეიშვილი 1981: 136).

საბას განმარტებით, **ფერო** „თეთრსა და შავს საშუალოა“ (საბა 1993: 189). ბ. გიგინეიშვილი ამ სიტყვას ადასტურებს ლაზურშიც, რომელიც ქართულიდან ნასესხობად განიხილება (იქვე, 137). „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ შეპირისპირებულია ქართული **ფერ-ო** „ნაცრისფერი“ და სვანური **ფჳრუ** „ნაცრისფერი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 316). ინფორმატორთა მითითებაზე დაყრდნობით შეიძლება დავუშვათ, რომ მეგრული **ფერო**-ც ნაცრისფერის, რუხის აღმნიშვნელ ლექსემათა შორის განვიხილოთ.

**ჭითა** „მოწითალო ფერის ცხენი“ (მარტვ., ჩხორ.): პირველ საათ ქორენ დო ქემურს მუდგარენი, **ჭითა ცხენი**, ჭითა კოჩი „პირველი საათი არის და, მოდის რაღაცა: წითელი რაში, წითელი კაცი“ (დანელია, ცანავა 1991: 138). წითელი ცხენი საერთოდ არ არსებობს. არსებობს მოწითალო შეფერილობის ცხენი, მაგრამ ქართულშიც და მეგრულშიც მის აღსანიშნავად მაინც გამოიყენება ზედსართავი სახელი **წითელი** : **ჭითა**. იგივე **ჭითა** განვითარებული მ სონორით გვაქვს ლაზურში: **მჭითა** „წითელი“ (მარი 1910: 224). ზანურში ეს ტერმინი მხოლოდ ცხენის შეფერილობას კი არ აღნიშნავს, არამედ გა-

მოიყენება ყველა იმ საგნის სახელთან, რომელიც შეიძლება წითელი იყოს. **ჭითა** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **წით-ელ-ს**. არნ. ჩიქობავას მითითებით, ქართული **-ელ** დეტერმინანტი სუფიქსია, მეგრულ-ლაზური **-ა** დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი (ჩიქობავა 1938: 235). **-ელ**-ისა და **-ა**-ს ურთიერთმიმართება სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება შემდეგნაირად: ქართ. **-ელ**-ს მეგრულ-ლაზურში შეესატყვისება **\*-ალ > -ა** (**ლ**-ს დაკარგვით) (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 88).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **წით-** / **ჭით-** ლექსემა კავშირშია ოსურ-დიგორულ ფორმებთან **c'etum** : **c'tt** „ნათება, განათება“ და **c'itta** „სხივი“ (ანდრონიკშვილი 1966: 127). რაკი არსებობს ქართულ-ზანური ბგერათმესატყვისობა, ნათელია, რომ სიტყვა ოსურს ნასესხები აქვს ქართულიდან.

მეგრულში ცხენის შეფერილობას აღნიშნავს ამ სიტყვის ოდნობითი ხარისხის ფორმაც **მო-ჭით-ე** „მოწითალო“.

**რასი**, **რასი-ჭითა** „მუქ-წითელი ფერის ცხენი“ (ზუგდ.). როგორც ჩანს, **რასი** მიღებულია **რახს-** ფორმისაგან ბგერის დაკარგვით (ჩავარდნილია **ხ** თანხმოვანი). საბასთან **რახსი** „შავმოწითალო ცხენია“ (საბა 1993: 6), ნ. ჩუბინაშვილთან – „წაბლისფერი ცხენი“ (ჩუბინაშვილი 1961: 334), ლ. ლეონიძესთან – „შავი ცხენი“ (ლეონიძე 1925: 55). მეგრულმა სესხების შემდეგ სემანტიკა გააფართოვა და ეს სიტყვა ზოგადად საქონლის (ძროხის) შეფერილობას აღნიშნავს.

**ქურანა** „მოწითალო ფერის ცხენი“ (ჯვ.). ეს სიტყვა საბასთან „წაბლისფერი ცხენია“ (საბა 1993, 240). ნ. ჩუბინაშვილთან მას სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, მამალ კვიცს აღნიშნავს (ჩუბინაშვილი 1961: 438) ისევე, როგორც ქიზიყურ დიალექტში, სადაც კვიცია, ოღონდ ორივე სქესისა (მენტეშაშვილი 1943: 198). ვფიქრობთ, ქართულისათვის ამოსავალი უნდა იყოს თურქული **ქულა** „წითური, წაბლისფერი ცხენი“ (ბასკაკოვი 1977: 570). გარდა მორფონოლოგიური მსგავსებისა, ამას გვაპარაუდებინებს ის, რომ გამსესხებელ ენაში მარკირება ძალზე კონკრეტულია და უკავშირდება სწორედ ცხენის შეფერილობას, ვვარაუდობთ, რომ მეგრულმა ისესხა ქართულიდან ქართული მორფემებით გაფორმებული თურქული სიტყვა, რომლის სტრუქტურა და ტრანსფორმაცია ასე წარმოგვიდგენია: **ქულ-ონ-ი** (შდრ. **თეთრ-ონ-ი**) > **ქულონ-ა** : **ქურონა** > **ქურანა** (რეგრესული ასიმილაციით **ო**→**ა**). მეგრულშიც და ქართულშიც სიტყვა ამჟამად გასუბსტანტივებულია.

**ვასკა, ვასკა-ჭითა** „ყვითელ-მოწითალო ფერის ცხენი“ (ზუგდ., მარტვ.). ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ეს მარტივი ფუძეცა და კომპოზიტიც გამოიყენება მხოლოდ მესაქონლეობის ლექსიკაში. **ვასკა** / **ვასქა** ვარიანტები მეგრულში ხშირად გვხვდება ჰიპონიმად და ერქმევა მხოლოდ მოწითალო შეფერილობის ცხენს (ცხადაია 1987: 450).

**მონჭირელე ჭითა** (ზუგდ.), **მონჭირეი ფერი** (მარტვ.)

„მუქწითელი ფერის ცხენი“. პირველი შესიტყვევა (**მონჭირელ ჭითა**) შედგება მიმღეობისა და ზედსართავი სახელისაგან, მეორე (**მონჭირეი ფერი**) იმავე მიმღეობისა და არსებითისაგან. მიმღეობაში **მო-ნჭირ-ელ-ე** გამოიყოფა ძირი **ჭირ-**, რომელიც ქართული **მო-ჭერ-**ის **ჭერ-** ძირის ფარდია. **ნ** მეგრულისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესით განვითარებული სონორია, **-ელ** წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებელი, **-ე** სახ. ბრუნვის ნიშნის ბგერინაცვალი. სინტაგმებში ერთ შემთხვევაში საზღვრულია ზედსართავი სახელი **ჭითა** „წითელი“, მეორეში – არსებითი სახელი **ფერი**. მიუხედავად იმისა, რომ **ფერი** ზოგადი სემანტიკის მქონე არსებითია, მეგრულის ამგვარ სინტაგმაში ყოველთვის წითელი ფერის გაგებას შეიცავს. სინტაგმები ზედმიწევნით ნიშნავს „**მო-ჭერილ [ფერის] წითელს**“.

**ზერდაგი** „ზერდაგი ცხენი, ჩალისფერი ცხენი“ (ჭარაია 1997: 67); „ყვითელ-ოქროსფერი“ (ჯვ.). სიტყვის ძირი თურქული წარმომავლობისაა – **ზერ** „ყვითელს“ ნიშნავს (ბასკაკოვი 1977: 945), სპარსულში კი **ზარდანგი** „მუქი ყვითელია“ (ქეგლ IV: 142). ქართულში ნასესხებია სპარსული ვარიანტი. საბას განმარტებით, **ზერდაგი** „ყვითელ-შავი ფერია“ (საბა 1991: 280), „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით კი „ჩალისფერი“ (ფოჩხუა 1987: 232). სიტყვა ფართოდ არის დამკვიდრებული ქართული ენის დიალექტებში, ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს.

ეს სიტყვა ქართულ-მეგრულიდან აქვს ნასესხები აფხაზურ ენას, სადაც დამკვიდრებულია **ა-ზარდაჯ**, **ა-**

**ჩაგზარდაგ** (ჯანაშია 1954: 108; არშა 1980: 87; კვარჭია 1981: 33, 89, 126) ფორმით. სესხების ამ გზაზე მიუთითებს პალატალიზებული **გ** თანხმომავანი აფხაზურში. იგი ქართული (resp. ქართულ-მეგრული) სახელობითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსია. **ე > ა** აფხაზურ ენაში ნასესხებ სიტყვებში ბუნებრივი მოვლენაა. შდრ. **ჩელტი > ა-ჩალტ**, მეგრ. **კამბეში > ა-კამბაშ** „კამეჩი“, **წესი > ა-წას** (ლომთათიძე 1976: 47). ვ. კვარჭია მიიჩნევს, რომ აფხაზური **ა-ზარდაგ** თურქული **ზერთ** „ყვითელიდან“ არის შეთვისებული, თუმცა არ განმარტავს, რა უნდა იყოს სიტყვის მეორე ნაწილი **-დაგ** ან **-აგ** (კვარჭია 1981: 89). ვ. კვარჭიასგან განსხვავებით სიტყვას ქართველურიდან ნასესხობათა რიგში განიხილავს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 143). ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ ზემოთ დასახელებულ ფონოტაქტიკურ წესებზე დაყრდნობით. „აფხაზურის მიერ ქართულიდან ნასესხებ მასალაში ზოგჯერ ისეთი სიტყვებიც შეიძლება მოჰყვეს, რომლებიც თვით ქართულში უცხო ენობრივი სამყაროდან მომდინარეობენ... აფხაზური ამ სიტყვებს ისევე ეპყრობა, როგორც ქართულიდან შესულ საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვებს“ (მაჭავარიანი 1966: 165).

ქართულსა და მეგრულში სიტყვა ძირითადად გამოიყენება დამოუკიდებლად, საზღვრულის გარეშე, რადგანაც აღნიშნავს მხოლოდ ცხენის შეფერილობას.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ თემატურ ჯგუფში გვხვდება ისეთი ლექსემები, რომლებიც მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება (**ზერდაგი**, **კანჯარი**, **სვისვი**, **ლურჯა...**). ასეთივე ლოკალიზებული მარკირება გვაქვს თხის (**შქირუ**), ძროხის (**კორობა**, **აფანია**), ღორის (**დინცხი**, **კახი**) შეფერილო-

ბის აღმნიშვნელ ლექსემებში.

**ჭამფერი** „ჩალისფერი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., სენაკი), „ყვითელ-ოქროსფერი ცხენი“ (ჩხორ.). კომპოზიტი მიღებულია ქართული **ჩალა**-ს მეგრული ლექსიკური შესატყვისის **ჭა**-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **ფერ**- ლექსემის დართვით. ტერმინი ძირითადად საქონლის, მათ შორის ცხენის შეფერილობის აღმნიშვნელ მსაზღვრელად გამოიყენება შესაბამის საზღვრულთან.

**ორქომფერი / ოქრომფერი** „ყვითელ-ოქროსფერი ცხენი“ (წალენჯ., მარტვ.). ტერმინი მიღებულია არსებითი სახელის **ოქრო**-ს ან მისი მეტათეზირებული **ორქო** ვარიანტის ნათ. ბრუნვის ფორმაზე **ფერ** ლექსემის დართვით. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, **ოქრომფერი / ორქომფერი** მესაქონლეობის ლექსიკაში მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება მსაზღვრელად.

**ოქრო** ფუძე **ფერ**- კომპონენტის გარეშე და -ა ბოლოსართის დართვით გვხვდება ჰიპონიმად: **ოქრუა** ოქრომფერი რდუ; ოქრომფერი იყიი „ოქრუა ოქროსფერი იყო, ოქროსფერი იქნება“ (ცხადაია 1987: 452).

**ჭუბურა / ჭუბრა / ჭუბურიშფერი** „წაბლისფერი“ (ზუგდ.), „მოწითალო ფერის ცხენი“ (წალენჯ.). ეს ვარიანტები ძალზე ხშირად გამოიყენება საქონლის შეფერილობის აღსანიშნავად. მათი ძირი არის **ჭუბურ**-, ქართული **წაბლ**-ის კანონზომიერი ზანური შესატყვისი. მეგრულში უნდა გვქონო-



და \***ჭობ-ურ**, მაგრამ ბაგისმიერი **ბ**-ს მეზობლობაში **ო > უ** (ჩიქობავა 1938: 128). **ჭუბურ-ა** გაფორმებულია **ჭუბურ-** ძირზე -ა მსგავსების აღმნიშვნელი სუფიქსის დართვით (ქართულში -ა-ს ფუნქციაზე იხ. შანიძე 1953: 127). **ჭუბრ-ა** **ჭუბურ-ა**-ს რედუცირებული ფორმაა. ლაზურში ამ ფუძის ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტია **ჭუბრ-ი** (ჩიქობავა 1938: 127; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 456). **ჭუბურ-** ძირის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **ფერ-** ლექსემის დართვით მიღებულია **ჭუბურიშფერი**.

**ჭუბურა / ჭუბრა** ხშირად გვხვდება ჰიპონიმად.

**ლურჯი; ლურჯა / აურჯა** „ლურჯი ცხენი“; „მუქ-ნაცრისფერი ცხენი“, „ცხენის სახელი“ (ელიავა 1997: 205; წალენჯ., ზუგდ.): ცოცკაქ ართ კუჩხიში გორქიას უკახალე ქკვნიტუუ **ლურჯა**, უჩა, ნოდია „ცოცკამ ერთი ფეხის მოქნევით უკან მოიტოვა ლურჯა, შავი, ნოდია“ (სამუშია 1971: 107). წითლის მსგავსად, ოპტიკური ლურჯი ფერის ცხენი საერთოდ არ არსებობს. **ლურჯი** სიტყვით აღინიშნება მუქი ნაცრისფერი ცხენი. დასახელებულ ვარიანტაგან პირველი ზედსართავი სახელია და მსაზღვრელად გვხვდება **ცხენ-** არსებით სახელთან. **ლურჯ-ა** ფორმა კი გასუბსტანტივებულია და მიღებულია ზედსართავზე მსგავსების -ა სუფიქსის დართვით, **აურჯა** სენაკურ-მარტვილური თქმისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებით არის წარმოდგენილი, კერძოდ, **ლ > ა**. **ლურჯა** და **სისვი** სინონიმურ სიტყვებად აქვს შეტანილი ბ. ფოჩხუას „ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 232).

სიტყვა **ლურჯი** ქართულ-მეგრულიდან აქვს ნასესხები აფხაზურ ენას, სადაც წარმოდგენილია **ა-ლარჯ**, **ა-ჩაგლარჯ** სახით და ნიშნავს „ლურჯ-ნაცრისფერ ცხენს“ (არშა 1980: 85). **ა-ჩაგლარჯ** ორ კომპონენტად იყოფა. პირველი აფხაზური **ა-ჩაგ** „ცხენია“, მეორე კი ქართული **ლურჯი** > (ა)**ლარჯ**, რადგან ინტერკონსონანტური უ ხმოვანი აფხაზურში კანონზომიერად იძლევა **ა** და **გ** ხმოვნებს. იგივე სიტყვა გვაქვს აზაზურშიც **ლარჯ** სახით (შაგიროვი 1989: 139), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სესხება მოხდა აფხაზურ-აზაზური ენობრივი ერთობის დაყოფამდე, ე. ი. XVI ს-ის მეორე ნახევრამდე, რადგან ამ პერიოდისათვის ივარაუდება აფხაზთა მიგრაცია დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე (გვანცელაძე 1997-ა: 28-31).

**სისვი** „სისვი, ლურჯი ცხენი“ (ჭარაია 1997: 124). ინფორმატორთა მითითებაზე დაყრდნობით შეიძლება დაზუსტდეს, რომ ეს არის ღია ნაცრისფერი ცხენი. საბასა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, **სისვი** „თეთრ-შავარეული ბალანია“ (საბა 1993: 94; ჩუბინაშვილი 1961: 366). ქეგლ-ის მიხედვით კი ამ სიტყვას სამნაირი მნიშვნელობა აქვს: „1. თეთრ-შავარეული ბალანი, 2. ლეგა, რუხი ფერი, 3. კუთხ. (იმერ., გურ.) – ლურჯა ცხენი“ (ქეგლ VI: 1065). ხევსურულში ეს სიტყვა მწვანე ფერს აღნიშნავს (დლონტი 1974: 455), მოხეურში – ჭადარას (ლეონიძე 1925: 66), აჭარულში (**სისე**) – მოთეთრო ფერის ცხვარს (ფუტყარაძე 1990: 34), გურულში – ნაცრისფერ ცხენს (შარაშიძე 1938: 82), იმერულში – ლურჯა ცხენს (ჭყონია 1910). როგორც ჩანს, მეგრულში ეს ფორმა და-

სავლური დიალექტებიდან არის შემოსული და აღნიშნავს ღია ნაცრისფერ ცხენს. სიტყვა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მეგრულში მხოლოდ ცხენის შეფერილობის აღმნიშვნელად გამოიყენება.

## **ბ. სიჭრელისა და ცხენის სხეულზე გამოსახული ლაქების აღმნიშვნელი ტერმინები**

**აბლაკი / აბლაკია** „ჭრელი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ.). სიტყვა მეგრულს შეთვისებული აქვს ქართულიდან, რომელმაც, თავის მხრივ, ისესხა თურქულიდან. სულხან-საბა ორბელიანს მოჰყავს **ამლაკი** ფორმა (საბა 1991: 51). ინგილოურ დიალექტში **აბლაყ** „უფერულ ცხენს“ აღნიშნავს (ლეონიძე 1925: 1). ქეგლ-ში არის ვარიანტები: **ამლაკი** „ჭრელი ცხენი“ და **ამლაყი** „ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი“ (ქეგლ I: 314). იგივე სიტყვა გვაქვს სვანურ ენაშიც: **ამლჷკ** (ზს) „ჭრელი, ჭროლა ცხენი“ (გოგებაშვილი 1999: 22).

მარტივი **აბლაკ**-ისაგან მიღებულია **აბლაკ-ია** კნინობითობის -ია სუფიქსის დართვით. ტერმინი გამოიყენება დამოკიდებლად, აღნიშნავს მხოლოდ ცხენის შეფერილობას და არსებითი სახელის ფუნქცია აქვს შეძენილი.

**სალარი / სალარა / სალარია / სოდრა** „ცხენი, რომელსაც შუბლსა და ცხვირზე თეთრი ლაქა აქვს“ (მარტვ., ჩხორ., ჯვ., წალენჯ.): მა სი ვართირანდი სუმომიან **სალარიშა** „მე შენ არ გაგცვლიდი სამასიან სალარში“ (გუდავა, ცანავა 1975: 228).

სულხან-საბას მიხედვით, **საღარი** „შუბლთეთრა ცხენია“ (სა-  
ბა 1993: 62). ლექსმა ფართოდ არის გავრცელებული ქარ-  
თული ენის დიალექტებში. გვაქვს სვანურ ენაში: **საღარ / სა-  
ღირა** „საღარი, ნიშა ცხენი“ (გოგებაშვილი 1999: 22).

ზემოთ წარმოდგენილი ვარიანტები ასეთი აგებულებ-  
ისაა: ძირეულ ფორმაზე მსგავსების აღმნიშვნელი -ა სუფიქ-  
სის დართვით მიღებულია **საღარ-ა**, -ია კნინობითობის მაწარ-  
მოებლითაა გაფორმებული **საღარ-ია**, **სოღრა**-ში კი რედუცი-  
რებულია -ა ხმოვანი (შდრ. **საღრა** „თეთრშუბლიანი ცხენი“ –  
ლეონიძე 1925: 63). გარდა ამისა, ლაბიოველარიზაციის წესის  
საფუძველზე **ღ-მ** გამოიწვია **ა-ს** ლაბიალიზაცია **ა > ო**.

ტერმინი ხშირად გვხვდება ჰიპონიმად (ცხადაია 1987:  
452).

ამავე შინაარსის გადმოსაცემად მეგრული ხშირად  
იყენებს კომპოზიტს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ჩვენს  
მიერ განხილული ფორმაა: **ცვასაღარი** „შუბლზე თეთრნიშნი-  
ანი ცხენი“ (ზუგდ.), ზედმიწ. ნიშნავს „შუბლსაღარს“.

იგივე სემანტიკური დატვირთვა აქვს კომპოზიტებს:  
**ცვარჩე / ცვარე** ზედმიწ. „შუბლთეთრი“. **ცვა** „შუბლია“, **რჩე /  
ჩე** – „თეთრი“, აგრეთვე **პირჩე**, ზედმიწ. „პირთეთრი“. **პი** (<  
**პიჯი**) „პირია“, **რჩე** კი ზემოთ განხილული „თეთრი“. ეს  
ფორმა ხშირია ჰიპონიმად (ცხადაია 1987: 452).

**კიოფი** „ცხენი შუბლზე პატარა თეთრი ნიშნით“ (ჭა-  
რაია 1997: 80); **კიაფი / კიაპი / კიაპა / კიოპა** „შუბლზე თეთ-  
რხალიანი ცხენი“ (ფოჩხუა 1987: 232). ი. ჭყონიას განმარტე-  
ბით, „ცხენის შუბლზე პატარა თეთრი ნიშანია, თუ დიდი წი-

ლი შუბლისა თეთრი აქვს, მაშინ ნოთას (სადარს) ეტყვიან“ (ჭყონია 1910; ღლონტი 1974: 292). იმერულში გვაქვს **კიოფა** (გაჩეჩილაძე 1976: 83), აგრეთვე **შუბლკიოფა** (ჯავახიშვილი 1986: 180). შესაძლოა, ფუძე უკავშირდებოდეს **კიაფ-** (**კიაფ-ობ-ს**) ზმნას. მეგრულში ორი ვარიანტი წარმოდგენილია ფუძეზე -ა სუფიქსის დართვით. ცალკეულ შემთხვევებში ფუძისეული **ა > ო**, რაც **ა** ხმოვნის ლაბიალურ პ-სთან მეზობლობით უნდა აიხსნას (**კიოფი**, **კიოპა**). უმეტეს წილად ძირში **კ**-ს გავლენით მკვეთრდება **ფ > პ** (**კიაპი**, **კიაპა**, **კიოპა**).

სიტყვა ხშირად გვხვდება ჰიპონიმად ფონეტიკური ვარიანტების სახით.

**კაფშირი** „თეთრფეხებიანი ცხენი“ (სენაკი). სულხან-საბას მიხედვით **კავში** „ფერჯის საოლაგ-თეთრი“ (საბა 1991: 346). სიტყვის ვარიანტები ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში: გურულში **კავშირი** „ჩლიქთეთრი“ (შარაშიძე 1938: 82), აჭარულში **კავში** „ფეხთეთრი პირუტყვი“ (ფუტკარაძე 1980: 33), **ფეხკავშია** „ჩლიქთეთრი, ფეხთეთრი პირუტყვი“ (იქვე, 42). მეგრულ ფორმასთან ყველაზე ახლოსაა გურული **კავშირი**. როგორც ჩანს, მეგრული ფორმა სწორედ მისგან მომდინარეობს **შ** თანხმოვნის მეზობლად **ვ > ფ** ცვლის შედეგად. შდრ. **ვ > ფ**: **სავსე – ეფშა...** ამავე მნიშვნელობით მეგრულში გამოიყენება კომპოზიტები: **ჩეკუჩხამი** „თეთრფეხიანი ცხენი“. შედგება ზედსართავი სახელისაგან **ჩე** „თეთრი“ და არსებითი სახელისაგან. ნაწარმოებია მქონელობის სუფიქსიანი ზედსართავისაგან **კუჩხ-ამ-ი** „ფეხიანი“ (**კუჩხ** „ფეხია“, -**ამ** ქართული -**იან** სუფიქსის მორფოლოგიუ-

რი ეკვივალენტი).

**კუჩხგითორჩე** „თეთრფეხიანი“ (ზუგდ.). ამ სიტყვაში იგივე კომპონენტები გვაქვს, მაგრამ წარმოდგენილია გარკვეული ცვლილებებით. კერძოდ, კომპოზიტი შედგება არსებითი სახელისა (**კუჩხ-ი**) და მიმღეობისაგან **გითო-რჩე** (**გითო-პრევერბია**) და ზედმიწ. ნიშნავს „ქვემოდან თეთრად შეფერილს“ (მდრ. **გინორჩე** „ზემოდან გადათეთრებული“).

**კუჩხმორჩე** „თეთრფეხიანი ცხენი“ (ზუგდ.). როგორც ზემოთ განხილულ კომპოზიტში, აქაც გამოიყოფა **კუჩხ-** „ფეხი“ და **ჩე** ზედსართავი სახელის ოდნაობითი ხარისხის ფორმა **მო-რჩე**, ე. ი. ტერმინი ზედმიწ. ნიშნავს „ფეხმოთეთრო“-ს.

სხეულის რომელიმე ნაწილის სიჭრელეს მეგრული აღნიშნავს ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები მიმღეობით: **გითო-უჩა** „ფეხშავი“, ზედმ. „გამომავებული“, **გინო-ჭითა** „ზურგწითელი“, ზედმიწ. „გადაწითლებული“, **ელა-ჭარგა** „ფერდწითელი“, **ელა-რჩე** „ფერდთეთრი“. **გითო-**, **გინო-**, **ელა-** პრევერბებია.

**ჭარგა** „ჭრელი“ (ჭარაია 1997: 169), „მრავალფეროვანი, დახატული“ (ელიავა 1997: 374), **ჭარგა ცხენი** „ჭრელი ცხენი“ (ხოზი, ჩხორ.). **ჭარგა** სიტყვა მეგრულში სულიერ საგანთან მიმართებაში გამოიყენება. ცხენის შეფერილობის აღსანიშნავად წარმოდგენილია სინტაგმაში მსაზღვრელად. ხშირად გვხვდება კომპოზიტში **უჩა-ჭარგა** „შავადაჭრელებული“.

**უფერული „ჭრელი ცხენი“** (მარტვ.). სიტყვა მთლიანად, ძირიც და აფიქსებიც, ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს, ოღონდ სემანტიკა აბსოლუტურად განსხვავდება ქართულისაგან.

**ქვარაგითორჩე „ჭრელი ცხენი“** (ზუგდ.). კომპოზიტის შედგენილობა გვიჩვენებს, რომ იგულისხმება ცხენი, რომელსაც მუცელი სხეულის სხვა ნაწილთან შედარებით ღია ფერისა აქვს. **ქვარა** მეგრულად „მუცელია“. **გითორჩე კი ჩე < რჩე** ზედსართავისგან მიღებული მიმღეობა, გულისხმობს „ქვემოდან გათეთრებულს“.

**ჯორია „დრუნჩთან და შუბლთან თეთრნიშნისანი ცხენი“** (მარტვ.): ეფერ ცხენი ქომუჩას, ნიჩვიწყუმა **ჯორა** დას „ისეთი ცხენი მომცა, დრუნჩთან ჯორა იყოს“ (გუდავა, ცანავა 1975: 255). ფუძე წარმოდგენილია როგორც მარტივი სახით, ისე კომპოზიტის შემადგენლობაში (**ჯორაშ-ფერი**). **ჯორა** გვხვდება ზემოიმერულშიც, ოღონდ სხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს, კერძოდ, აღნიშნავს მოწითალო-მოშავო ფერს: **წაჯორავო ფერი „წაღვინისფრო“** (წერეთელი, 1938, 131), **ჯორაფერი „მოწითალო-მოშავო“** (იქვე, 135). ქეგლ-ის მიხედვით, ფორმა დიალექტურია (იმერ., რაჭ.) და მუქ წითელ ან წაბლისფერ საქონელს აღნიშნავს (ქეგლ VII: 1605).

**ჯორა** ხშირად გვხვდება ჰიპონიმად.

**წრუბელა „ცხენი, რომელსაც ზურგზე სხვა ფერის (თეთრი) ვიწრო ზოლი გასდევს“** (ჯვ., ჩხორ., ხობი, სენაკი).

ტერმინი მიღებულია **წურბელა** ფორმისაგან ბგერათა გადასმით. მეგრულში გვაქვს **წურბელი / წურბელა / წრუბელა** ვარიანტები. ამოსავალია ქართული **წურბელა**. შდრ. აფხაზური **ა-ბლა აწარბელ გქდან** „ცხენი, რომელსაც ზურგზე შავი ზოლი გასდევს“ (ამიჭბა 1975: 118), სადაც **ა-წარბელ** მეგრულიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1976: 63).

**მარლი** „მარლი, თვალჭრელი“ (ჭარაია 1997: 91); „თვალჭრელი საქონელი“ (ჯვ., წალენჯ., ხობი, ზუგდ.), „ელამი ცხენი“ (წალენჯ., ჩხორ.). ეს სიტყვა გვხვდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში, გვაქვს სვანურშიც (ლიპარტელიანი 1994: 213).

ქართულიდან მეგრულის გზით აქვს ნასესხები აფხაზურ ენას: **ა-მარლა** „ცალთვალთეთრი, მარლი“ (ჯანაშია, 1954, 185), **ა-ჩაემარლ** „თვალმარლი ცხენი“ (არშბა 1980: 85). აფხაზურ ენაში **ლ-ს** პალატალიზაცია გამოწვეულია ქართულ-მეგრულ სახელობითი ბრუნვის ნიშნით. ბოლოკიდურა -ა ხმოვანი **ა-მარლა** ფორმაში აფხაზურში სესხების შემდეგაა განვითარებული.

**ჯლარი / ჯლარგ / ჯლარუ** „ჭრელთვალა“ (ელიავა 1997: 298), **ჯლართოლამი** „თვალჭრელი ცხენი“ (წალენჯ., ჩხორ.). **ჯლარ-** ფუძე გვხვდება კომპოზიტში **ჯლარ-თოლამი**, სადაც მეორე კომპონენტი ქართული **თვალ-**ის შესატყვის **თოლ-**ზე **-ამ** მქონებლობის სუფიქსდართული ფორმაა. მეგრულიდან ჩანს გადასული გურულ დიალექტში დაფიქსირებული **ჯლა-მარა** „ჭრელთვალა“ (ჟღენტი 1936: 262).



**თოლი-უჩა / თოლეფ-უჩა** „თვალის ირგვლივ შავლა-ქებიანი ცხენი“ (ზუგდ.). კომპოზიტი შედგება არსებითი სახელი **თოლ**-ის „თვალი“ მხოლ. და მრავლ. რიცხვის ფორმისა და **უჩა** ზედსართავი სახელისაგან.

## § 2. ცხენის გარეგნობის აღმნიშვნელი ტერმინები

მეგრულში ცხენის გარეგნობის აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება დალაგდეს შემდეგი თემატური ჯგუფების მიხედვით:

### ა. მსუქანი, გამხდარი

**გვანილი / გვანი** „მსუქანი“ (ელიავა 1997: 61), „კარგად მოვლილი ცხენი“ (მარტვ., ჩხორ.). სიტყვა მიღებულია **გვან-აფ-ა** „ჭმევა, გასუქება“ ზმნისაგან (ყიფშიძე 1914: 215; ჭარაია 1997: 49). ზმნის **გვან**- ძირზე დართულია მიმღეობის - **ილ** მაწარმოებელი. წარმოდგენილია მეგრულის ორივე კილოკავისთვის დამახასიათებელი ფორმა: **გვან-ილ-ი** > **გვან-იი** > **გვანი** (მარტვილურში). იგივე სიტყვა გვაქვს ლაზურშიც: **გუანერი / მგუანერი** „მსუქანი, ჭმეული“ (მარი 1910: 126), ოღონდ იქ **გვან**- ზმნური ძირისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმები არ ჩანს, შემონახულია მხოლოდ მიმღეობური

ფორმა. იგივე ძირი დასტურდება სვანურ ენაშიც: **ლუ-გუ-არ** „მსუქანი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 77).

**ჩამ-ილ-ი** „კარგად მოვლილი ცხენი“ (ჩხორ.). მიმდებარეობს მიღებულია მეგრული **ჩ-ამ-ა** „ჭმევა“ ზმნური ფუძისაგან - **ილ** მიმდებარის სუფიქსის დართვით. არნ. ჩიქობავა ამ ძირს (**ჩ-ამ-ა**) უკავშირებს **მი-ც-ემ-ა-ს** (ჩიქობავა 1938: 370). სიტყვა ზედმიწევნით ნიშნავს „ჭმეულს“. შდრ. ქართ. ენის დიალექტების **კვებულა-** (ქართლ.) „ოთხი წლის საქონელი“ (მენტე-შაშვილი 1970: 266); (ერწო) „სახარე ხბო წლისაზე მეტი“ (ლეონიძე 1925: 32); (ჯავახ.) „ორი წლის კარგად გასუქებული საქონელი“ (ბერიძე 1981: 72).

**მუკოლუაფირი** „მოვლილი, ნაპატიები ცხენი“ (ჯვ.) მიმდებარეობს მომდინარეობს **მუკოლუაფა** „მოვლა“ ზმნური ფორმისაგან. **მუკო-ლუ-აფ-ირ-**ში **მუკო-** პრევერბია, **ლუ-** ძირი, **-აფ-** თემატური ნიშანი, **-ირ** წარსული დროის მიმდებარის მაწარმოებელი.

**ნაპატიები** „კარგად მოვლილი, ნაპატიები ცხენი“ (ხო-ბი). სიტყვის ძირიც და აფიქსებიც (**ნა-პატი-ებ-ი**) მთლიანად შეთვისებულია ქართულიდან. შდრ. გუდამაყრული **ნაპატი-ვარი** „გასუქებული საქონელი“ (ლეონიძე 1925: 49).

**თუთულობა** „თუნთრიება. იტყვიან მსუქან საქონელზე“ (ჭარაია 1997: 71). ლ. ლეონიძის განმარტებით, **თუნ-თრობა** (გურ.) „ძალიან მსუქანი ხორცია, უმეტესად ღორისა“

(ლეონიძე 1925: 38). ს. ჟღენტის მიხედვით, გურულსავე დიალექტში „მეტად მსუქანია“ (ჟღენტი 1936: 225). მეგრულში ამ სიტყვას ცხენთან მიმართებაშიც იყენებენ: თიჯგურა მუკოლუაფირი რე, ართო **თუთულობა** „ისეთი მოვლილია, ერთიანად თუთულობა“ (ზუგდ.).

**ჭკოლა** „მჭლე“ (ყიფშიძე 1914: 391; ჭარაია 1997: 172), **დაჭკოლებული** „დაუძღვრებული, გამხდარი ცხენი“ (ზუგდ.): სინჯამ ცხენია **ჭკოლა** რენია „სიძის ცხენი მჭლე არისო“ (გუდავა, ცანავა, 189). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეგრული **ჭკოლა** კანონზომიერი შესატყვისია ქართული **მჭლე** ფუძისა (ჭარაია 1997-ა, 227; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 272), ჩქამიერის წინ მეგრულში მ სონორი დაკარგულია (გუდავა 1979: 80-84).

**და-ჭკოლ-ებ-ულ-ში** მეგრულ ძირზე დართულია ქართული აფიქსები: ზმნისწინი, თემის ნიშანი და მიმღეობის მაწარმოებელი. შესაძლოა, ამ ძირს უკავშირდებოდეს იმერული **ჩქოლა**, რომელიც „ახალგაზრდას, ნორჩს“ ნიშნავს (მოწენიძე 1974: 458). შდრ. მეგრ. **ჩქვალა / ჩქოლა / ჩქოლი** „ახალი ხორცი“ (ჭარაია 1997: 158).

**გათებული** „გამხდარი ცხენი“ (ჩხორ.). მიმღეობა მიღებულია მეგრ. **თება / გათება** < ქართ. **გათავება** ზმნისაგან, ძირზე დართულია ქართული აფიქსები: **გა-თ-ებ-ულ-ი**. სესხებისას სიტყვამ ასეთი ტრანსფორმაცია განიცადა: **გა-თავ-ებ-ა** > **გათაება** > **გათება**. შდრ. ჯავახური **გამოთავებული** „დავარდნილი საქონელი“ (მელიქიძე 1974: 124).

**ბაჩა** „ბუნებრივად დაბალი ტანის ცხენი“ (ჯვ.). ამ სიტყვას მეგრულში სხვა სემანტიკაც აქვს: „1. ბაჩა, თოხარიკი, პატარა ტანის ფაფარგაკრეჭილი ცხენი“ (ჭარაია 1997: 40); 2. „მშვიდი, თვინიერი“ (ელიავა 1997: 30). იგივე ძირი საფუძვლად უდევს დაკოდილი ცხენის აღმნიშვნელ ერთ-ერთი ფორმას **ბაჩაჩია** (იხ. ზემოთ). ლ. ლეონიძის მითითებით, „მხოლოდ შეძლებულ მებატონეებს ჰყავთ (სამეგრელოში) გვარიანი ჯოგი, რომელშიც კარგი, **ბაჩად** წოდებული თოხარიკი ცხენები გამოერევა ხოლმე“ (მოამბე 1900: #III 5 II-28. ლეონიძე 1925: 7). ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: მთიულურში „პატარა, დაბალი ცხენი“ (კაიშაური 1967: 185), ქართლურში „დაბალი, პატარა ტანისა; დაბალი, ნაკლები ჯიშის საქონელი“ (ბეროზაშვილი 1991: 55); იმერულში „დაბალი, ტანმორჩილი“ (ძოწენიძე 1974: 47). სიტყვას აქვს სხვა სემანტიკაც: **ბაჩა** „ფაფარგაკრეჭილი“ (ფოჩხუა 1987: 231). სიტყვა ნასესხებია აფხაზურში **ბაჩაა** ფორმით.

**მორჩილი, ტანმორჩილი** „პატარა ტანის ცხენი“ (ჩხორ.): ი დროს მათ ქოგიციდე თიცალი ცხენს, **ტანმორჩილს** „იმ დროს მეც გიყიდი იმისთანა ცხენს, ტანმორჩილს“ (გუდავა, ცანავა 1975: 205). პ. ჭარაიას განმარტებით, **მორჩილი** „მოპატარავე, პატარა“-ა (ჭარაია 1997: 96). განსხვავებული სემანტიკური დატვირთვის გვერდით იმავეს იმეორებს განმარტებითი ლექსიკონი: **მორჩილი** „მომცრო, პატარა“ (ქეგელ V: 359). მეგრულში ფორმები **მორჩილი** / **ტანმორჩილი** მთლიანადაა

ნასესხები ქართულიდან.

**ჯანდრაკი** „პატარა ტანის გამხდარი ცხენი“ (სენაკი). სიტყვა ქართულიდან არის ნასესხები. შდრ. მთიულური **ჯანდაგი** „გამხდარი საქონელი“; „უვარგისი მჭლე ხორცი“ (კაიშაური 1967: 54, 89). ასეთივეა ფორმა გვაქვს ქართლურში, კახურში, ქიზიყურში, მოხეურში, თუმურში (ლლონტი 1974: 774), იმერულში **ჯანდაკი** „მჭლე, გამხდარი, დაუძღურებული საქონელი“ (მოწენიძე 1974: 134), ჯავახურში **ჯანდაქი** „გამხდარი საქონელი“ (მელიქიძე 1974: 42). მეცხენეობის ლექსიკაში გვხვდება ამ სიტყვისაგან ნაწარმოები მიმღეობაც და-**ჯანდრაკ-ებ-ულ-ი**. აქ ყველა აფიქსი (ძირთან ერთად) ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს.

## ბ. ნაავადარი ცხენი

**ლესუანი** „დაუძღურებული, ავადმყოფი ცხენი“ (წალ., ჯვ. ხობი). ფორმა მიღებულია **ლეს-** ფუძისაგან, ნიშნავს „ავადმყოფს“ (ყიფშიძე 1914: 273). ფუძეზე დართულია მქონებლობის -**ამ** სუფიქსი და ზედმიწევნით ნიშნავს „სნეულეზიანს“. ისეთივე მოდელია, რაც ქართული **ნაკლ-**ის მეგრული შესატყვისიდან **კილ-**იდან ნაწარმოებ **კილ-უ-ან-**ში გვაქვს. ფორმა **ლესუანი** ასეა მიღებული: \***ლეს-ი-ამ-ი** > \***ლეს-გ-ამ-ი** > **ლეს-უ-ამ-ი** > / **ლეს-უ-ან-ი**, შდრ. \***კილ-ი-ამ-ი** > **კილ-გ-ამ-ი** > **კილ-უ-ამ-ი** > **კილ-უ-ან-ი** (ი> გ > უ მონაცვლეობის შესახებ იხ. როგავა 1962). შდრ. ქართლური **დალესილი**

„ავადმყოფი, დავარდნილი საქონელი, ადამიანი“ (ბეროზაშვილი 1991: 172), ჯავახური **გალახილი** „მჭლე საქონელი“ (მელიქიძე 1974: 126).

**დაჩიჩიებული** „პატარა ტანის, მოუვლელიობისა და ავადმყოფობისაგან დაუძღვრებული ცხენი“ (წალენჯიხორ., ზუგდი.). ფორმა მიღებულია ზედსართავი სახელისაგან **ჩიჩია / ჩიჩიე** „მათხოვარი, ლატაკი, ცუდი“ (ყიფშიძე 1914: 365; ჭარაია 1997: 157). მეგრული ძირი მიმღეობის საწარმოებლად დაირთავს ქართულ აფიქსებს: **და-** პრევერბს, **-ებ** თემატურ ნიშანს, მიმღეობის **-ულ** მაწარმოებელს (**და-ჩიჩი-ებ-ულ-ი**).

იგივე **ჩიჩია** სიტყვა გვაქვს აფხაზურ ენაშიც, მხოლოდ იქ ამ სიტყვას სოციალური სემანტიკა აქვს: **ა-ჩიჩია** (ჭარაია 1912: 48), **ა-ჩჩია** (ჯანაშია 1954: 346) „გლახაკი, მათხოვარი“. პ. ჭარაია ამ სიტყვას მეგრულში აფხაზურიდან ნასესხობად მიიჩნევს (ჭარაია 1912: 48), მაგრამ აფხაზურში მას დამაჯერებელი ეტიმოლოგია რა ეძებნება. მაგ. აუხსნელია აუსლაუტის -ია-ს რაობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვა მეგრულიდან აქვს შეთვისებული აფხაზურ ენას.

**დონთხაფილი** „დაუძღვრებული ცხენი“ (ჩხორ.). მიღებულია **დონთხაფა** „დავარდნა“ ზმნური ფუძისაგან ნამყოფი მიმღეობის **-ილ** სუფიქსის დართვით, ნიშნავს „დავარდნილს“. მისი შესატყვისი ქართული მიმღეობაც იმავე სემანტიკის მატარებელია: **დავარდნილი** „სიჯანდაღის თუ ავადმყოფობის გამო დაუძღვრებული და მუშაობისთვის

უვარგისი საქონელი“ (ლეონიძე 1925: 17).

**დაღამაკებული** „დახუთული, დაკოჭლებული ცხენი“ (ჯვ.). მიმღობაში გამოიყოფა **ღამაკ-** ძირი, რაც „უბედურ შემთხვევას, მარცხს“ ნიშნავს. მიმღობის საწარმოებლად მეგრული იყენებს ქართულ აფიქსებს (**და-ღამაკ-ებ-ულ-ი**), ე. ი. მაწარმოებლები ქართულია, ძირი – მეგრული. სიტყვა ზედმიწევნით „უბედური შემთხვევის გამო დაშავებულს“ უფრო ნიშნავს.

**დახუნკებული** „დახუთული, დაკოჭლებული ცხენი“ (ჯვ.). მიღებულია **ხუნკ-** ძირისაგან ქართული თავსარ-ბოლოსართის დართვით. **ხუნკი** „უფეხო“ (ყიფშიძე 1914: 409), „საპყარი, კუტი“ (ჭარაია 1997: 182), „დავრდომილი“ (ელიავა 1997: 391).

სტრუქტურის მიხედვით **და-ხუნკ-ებ-ულ-ი** ისეთივეა, როგორც **და-ღამაკ-ებ-ულ-ი**, **და-ჩიჩი-ებ-ულ-ი**, **და-ჯანდრაკ-ებ-ულ-ი**.

## გ. სხეულის რომელიმე ნაწილდაზიანებული ცხენი

**პუხა, პუხუამი** „ზურგგაზნექილი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., ზუგდ., ჩხორ.). ფორმათა ძირია მეგრული **პუხუ** „კუზი“ (ჭარაია 1997: 114; ელიავა 1997: 265). ერთ შემთხვევაში ფორმა ნაწარმოებია მქონებლობის -ა სუფიქსით (**პუხ-ა**), მეორე შემთხვევაში კი (**პუხუ-ამ-ი**) კვლავ მქონებლობის -ამ სუ-

ფიქსით. ზედმიწ. ნიშნავს „კუზიანს“. მეგრული **პულუ / პუხუ** „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ და კავშირებულია ქართულ ფორმასთან **პალუ-ი** „დიდი მუცელი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 247). შდრ. აფხაზური **ა-პგბ** „კურტუმო“ (ჯანაშია 1954: 224), რომელიც მეგრულიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1976: 150).

**გორდა** „ზურგაზნექილი, მრუდე“ (ჭარაია 1997: 53). „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ სიტყვა დაკავშირებულია ქართულ **გუერდ**-თან (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 79). მ. ხუბუა მეგრულ **გორდა** სიტყვასა და მისგან მიღებულ ფორმებს **გირდა**, **გორდოლ-ო**, **გირდალი** უკავშირებს სპარსულში გავრცელებულ **გორდა** „ჭაჭა, წელი“, **გირდა** „მრგვალი (რამ) დისკო, წრე“, **გირდაქ** „მომცხრო მრგვალი კარავი“ და ამოსავლად მიიჩნევს სპარსულ ფორმებს (ხუბუა 1945: 731). ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია **გორდა**-ს დაკავშირება ქართულ **გვერდ**-თან. **გორდ**-ა ფორმაში -ა მქონებლობის სუფიქსია. **გორდა** ამავე მნიშვნელობით გვაქვს ლექსუმურში, სადაც „ზურგაზნექილ კაცს“ ნიშნავს (ალავიძე 1938: 244) და მეგრულიდანაა ნასესხები.

**ოჭიშინოლაფირი** „ზურგაზნექილი ცხენი“ (ჯვ.). კომპოზიტი შედგება არსებითი სახელისაგან **ოჭიში** ნიშნავს „ზურგს“ (იხ. ზემოთ) და წარსული დროის მიმღეობისაგან **ინო-ლ-აფ-ირ-ი** (**ინოლაფა** მეგრულში „ჩავარდნას“ ნიშნავს). მიმღეობაში **ინო**- პრევერბია, **ლ-** – ძირი, -**აფ** – თემატური ნიშანი, -**ირ** – წარსული დროის მიმღეობის ნიშანი.



**ოქიშდინოდირაკილი** „ზურგადრეკილი ცხენი“ (მარტვ.). ფორმა კომპოზიტია, სადაც პირველი კომპონენტი **ოქიშ**-ია („ზურგი“), მეორე კი – წარსული დროის მიმღობა **დინო-დირაკ-ილ-ი**. მიმღობის ძირია **დირაკ-უა / დირიკ-უა**, რომელიც ქართული დრ-ეკ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 101).

**გორგალენოდირაკილი** „ზურგადრეკილი ცხენი“ (ზუგდ.). ფორმა ისეთივე აგებულებისაა, როგორც ზემოთ განხილული სიტყვა, ოღონდ მოცემულ შემთხვევაში კომპოზიტის პირველი წევრი არსებითი სახელი **გორგალ**-ია, რაც ნიშნავს „ხერხემალს“, მეორე კი ზემოთ გაანალიზებული **დირაკ-უა-საგან** („დრეკა“) მიღებული **ენო-დირაკ-ილ-ი**, ე. ი. სიტყვის ზედმიწ. მნიშვნელობაა „ხერხემალჩადრეკილი“.

**კაჭა** „მრუდეფეხებიანი“ (ჭარაია 1997: 76). ეს სიტყვა ქეგლ-ის მიხედვით კუთხურია (ქეგლ IV: 1109), გვაქვს იმერულ დიალექტში (ღლონტი 1974: 277). თუ ამ ფუძეს ქართულ **კანჭ**-ს დავუკავშირებთ, -ა მქონებლობის სუფიქსად უნდა იქნეს განხილული. სიტყვა გვხვდება კომპოზიტის ნაწილადაც. გვაქვს **გალენ-კაჭა**, რაც ზედმიწ. ნიშნავს „გარეთ ფეხმრუდეს“ და **დინახალენ-კაჭა**, ზედმიწ. „შიგნით ფეხმრუდე“, ე. ი. „შიგნით ფეხშექცეული“.

**თოჭუ** „ცალი თვალით ბრუციანი ცხენი“ (ჯვ.). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ **თოჭუ** ზედმი-

წევნით „თვალდამწვარი“ (თოლი-ჭვილი). **თო[ლი]** მეგრული „თვალა“, **ჭუილი / ჭვილი** „დამწვარი“ (ფენრიხი, სა-რჯველაძე 1990: 148). შდრ. ქართ. **თვალდამრეტილი**.

**ცალთოლამი** „ცალი თვალით ბრუციანი ცხენი“ (ხო-ბი). ეს ფორმაც კომპოზიტია. პირველი კომპონენტი ქართუ-ლიდან შეთვისებული **ცალ**-ია, მეორე – წარმოქმნილი სახე-ლი, კერძოდ, მქონებლობის -**ამ** სუფიქსიანი ფორმა **თოლ-ამ**-ი. კომპოზიტი ზედმიწ. ნიშნავს „ცალთვალაინს“.

**სვერე** „ბრმა“ (ყიფშიძე 1914: 418; ჭარაია 1997: 149). ამ სიტყვის ვარიანტი, -**ია** ბოლოსართით გაფორმებული **სვე-რე-ია** აღნიშნავს არამართო უსინათლოს, არამედ ელამსაც (ჯვ., მარტვ.).

**ელანი** „ელამი ცხენი“ (ჩხორ., სენაკი). სიტყვა შეთვი-სებულია ქართული ენიდან თანხმოვანთა სუბსტიტუციით, კერძოდ **მ > ნ**. შდრ. ქართ. **მდიდარი** – მეგრ. **ნდიდარი**, ქართ. **მდელო** – მეგრ. **ნდოლო**.

## დ. დამახასიათებელნაკვთიანი ცხენი

**სვატკიფალი** „შუბლგამობერილი ცხენი“ (ჯვ.). კომპო-ზიტის პირველი წევრი **სვა** „შუბლის“ აღმნიშვნელი მეგრუ-ლი სიტყვაა, მეორე კი -**ალ** სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა (**ტკიფ-ალ-ი**), რომელიც „გამობერილს, გადატკეცილს“ ნიშ-

ნავს, ე. ი. კომპოზიტი ზედმიწ. ნიშნავს „შუბლგადატკეცილს“.

**ქვარაგითომზარილი** „დიდმუცელა ცხენი“ (ზუგდ.). კომპოზიტი შედგება არსებითი სახელისაგან **ქვარა** „მუცელი“ (იხ. ზემოთ) და მიმღეობისაგან **გითო-მზარ-ილ-ი** „გამობერილი“. მიმღეობის ძირი {**მზარ-უა** ქართული **ბერ-ვ**-ის ზუსტი შესატყვისია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 48). მეგრულ ფორმაში **მ-** ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული. ასეთივე სემანტიკა აქვს კომპოზიტს **დიდქვარამი**, რომლის პირველი კომპონენტი ზედსართავი სახელია (**დიდი**), მეორე კი – მქონებლობის -**ამ** სუფიქსიანი **ქვარა**.

**ბიჯვალქვარამი** „გამობერილმუცლიანი“ (ყიფშიძე 1914: 204). კომპოზიტი შედგება მიმღეობისა და მქონებლობის -**ამ** სუფიქსიანი არსებითი სახელისაგან. **ბიჯვ-ალ-ი** „გაბერილი“ წარსული დროის მიმღეობაა (შდრ. ქვ. იმერ. **გაბეყვილი** / **გაბეყილი** „გაბერილი“), **ქვარ-ამ-ი** „მუცლიანი“ (იხ. ზემოთ).

**წიარგ** „წვრილი, სწორტერფიანი ცხენი“ (წალენჯ.). მეგრულში გვაქვს ფორმა **ო-წიორ-ა-ია** „წვრილწელა, გამხდარი (ადამიანი)“. როგორც ჩანს, ამ სიტყვის ძირი, ისევე, როგორც ჩვენი საანალიზო ტერმინი, უკავშირდება **წიარს** „მწევარს“ (**ო-წიარ-ა-ია** > **ო-წიორ-ა-ია** პროგრესული ასიმილაციით). მით უმეტეს, იმავე მნიშვნელობით ინფორმატორები ასახელებენ შესიტყვებას **წიარცალგ კუჩხამი** „მწევარივით ფეხია-

ნი“. ქართულშიც **მწევარი** ფეხებმაღალ ან წვრილფეხება არ-სებაზე ითქმის. გამოიყენება მეტაფორადაც: **მწევარივით არისო**, იტყვიან გამხდარ, მაღალფეხება, ან წვრილფეხება ადამიანზე. ამ მოსაზრებას ფონეტიკური დაბრკოლება არ უნდა ახლდეს: ქართ. მ-წევ- არ-ი > მეგრ. წიარი, აგრეთვე ქართ. ყევარი > ყიარი (გვანცელაძე 1988: 78).

**გითოწირილი** „წვრილი, სწორტერფიანი ცხენი“ (ჯვ.). საექვოა, ეტიმოლოგიის დასადგენად გამოდგეს მიმღობის პირდაპირი მნიშვნელობა „გამოწურული“. აქ ძირად უნდა ვიგულისხმოთ ზემოთ მოხმობილი წიარ- / წიორ- ფორმა. ამ შემთხვევაში ფუძე შემდეგნაირად დაიშლება: გითო-წი[ო]რ-ილ-ი, სადაც გითო- პრევერბია, წი[ო]რ- ძირი, -ილ წარსული დროის მიმღობის მაწარმოებელი.

### **§ 3. ცხენის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინები**

ამ თემატურ ჯგუფში განვიხილავთ მხოლოდ იმ მასა-ლას, რომელიც უშუალოდ ცხენის ფიზიოლოგიასთან არის დაკავშირებული, ან სხვა ცნებასთან მიმართებაშიც გამოიყე-ნება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მათი მიუთითებლობა არ შე-იძლება. ლექსიკის ამ ჯგუფში ჭარბობს ზმნური ფორმები, მაგრამ გარკვეული მოსაზრებით ვაანალიზებთ მხოლოდ შე-საბამის მიმღობებსა და მასდარებს.

**აბორბოზება** „ცხენის ახურება, დასამაკებელი დროის დადგომისას ცხენის დამახასიათებელი მოუსვენრობა“ (წალენჯ., სენაკი). ეს ზმნა მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება. რედუპლიცირებულ ძირზე დართულია ქართული აფიქსები: პრეფერბი ა-, თემატური ნიშანი -ებ, მასდარის მაწარმოებელი -ა. ამ ფუმიდან იწარმოება **ა-ბორბოზ-ებ-ულ-ი** „ატეხილი, ავარდნილი ცხენი“, ზედმიწევნით „აბრიალებული, აგიზგიზებული“. პირიანი ფორმაა **ებორბოზუ** „ახურდა, ავარდა“.

**ახურება** „ჭაკი ცხენისაგან აჯილდას დევნა დასამაკებლად“ (წალენჯ.). ტერმინი (მასდარი **ა-ხურ-ებ-ა**) ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს ოღონდ სემანტიკური ცვლილებით. გამოიყენება ზოგადად საქონელთან მიმართებაში.

**ეტახუა** „ატეხა, ავარდნა, მაკინტლობა, ხურაობა“ (ჭარია 1997: 64). ზმნის ძირია ქართული **ტეხ-ვ**-ის მეგრული შესატყვისი **ტახ-უ-ა**. ე- ქართული ა-ს ტოლფარდი პრეფერბია. აქედან იწარმოება მიმღეობა **ე-ტახ-ილ-ი** „ატეხილი, ახურებული“. ეწარმოება პირიანი ფორმები. მაგ. **გეტირხუ** „ატყდა, ავარდა“.

**დამაკება** „დამაკება, ცხენის განაყოფიერება“ (ელიავა 1997: 11; წალენჯ., ხობი, ჩხორ.). ზმნა ქართულიდან არის შეთვისებული (ძირიც და აფიქსებიც). თუმც ი. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ მასდარის ძირი ზანური უნდა იყოს (ჯავა-

ხიშვილი 1950: 205-207). **დამაკება** „განაყოფიერება, დაგრი-  
ლება პირუტყვისა“ (ქეგლ III: 500). აქვს პირიანი ფორმები.  
მაგ. **დემაკუ** „დამაკდა“.

**მაკე** „დანერბილი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ.,  
ზუგდ.): ასე ერთი ცხენი **მაკე** ორე „ახლა ის ცხენი **მაკე** არის“  
(დანელია, ცანავა 1991: 166). ეს სიტყვა საერთოა ქართულ-  
ზანურისათვის. ქართული **მაკე**-ს მეგრულ-ლაზურში შეე-  
სატყვისება **მონკა**. **ნ** ფონეტიკურად განვითარებულად ივა-  
რაუდება (ჩიქობავა 1938: 272), ხოლო -ე ქართულში – დე-  
ტერმინანტი სუფიქსის ნარჩენად (ჩიქობავა 1942: 18). უნდა  
აღვნიშნოთ, რომ მეგრულში მოხდა ერთგვარი დიფერენცი-  
რება: ჩვეულებრივ, ქალის ორსულობის აღსანიშნავად **მონკა**  
გამოიყენება: **მონკა-თ-ალ-ა** „ფეხმძიმობა“, **მონკათ ოსური**  
„ფეხმძიმე ქალი“, მაგრამ საქონელთან მიმართებაში **მაკე** იხ-  
მარება.

ფორმა **მაკე** მეგრულიდან აქვს ნასესხები აფხაზურ  
ენას. ნასესხებ მასალაში აფხაზურში ე ხმოვანი უკანაენისმი-  
ერთა მომდევნოდ გადმოცემულია ა ხმოვანით, თანაც იწვევს  
წინა თანხმოვანთა პალატალიზაციას (ლომთათიძე 1976: 47).  
ამდენად, ფორმა აფხაზურში ტრანსფორმირებულია ასე: **ა-**  
**მაკ-ა, ა-ჩგაან მაკ-ა** „მაკე, მაკე ცხენი“ (არშბა 1980: 43, 84). **ა-**  
**მაკ-ა**-ს ქართველური ენებიდან ნასესხობად მიიჩნევს ა. შაგი-  
როვი (შაგიროვი 1989: 143).

**ჩინოდუა** „ცხენის განაყოფიერება“ (ჯვ.). ეს ზმნა მხო-  
ლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება: ძირია **ჩინოდ-**. მი-

სგან იწარმოება წარსული დროის მიმღობა **ჩინოდ-ილ-ი** „დამაკებული ცხენი“. ეწარმოება პირიანი ფორმები. მაგ. **ჩინოდუნს** „ანაყოფიერებს, ამაკებს“, **იჩინოდუ** „მაკდება“.

**დომქუმალა** „ფაშატის მოგება“ (წალენჯ., ზუგდი.). ამ მასდარისაგან იწარმოება პირიანი ფორმები, მაგ. ჭკადუქ უწუ: ჭახან მითვინია, ართი ვითოხუთიშა ფაშატის **ქვდაშქვანცია** „მჭედელმა უთხრა: ცოტა ხანს მოითმინეო ერთ თხუთმეტ (რიცხვამდე) ფაშატს მოიგებსო“ (დანელია, ცანავა 1991: 166); ცხენქ ფაშატი **ქვდაშქვ** „ცხენმა ფაშატი მოიგო“ (იქვე, 168). ეს ზმნა მეგრულში მხოლოდ ცხენთან მიმართებაში გამოიყენება, ზედმიწ. ნიშნავს „დასმას“. ლაზურში ადამიანის მიმართაც იხმარება: მან ჩივთი ბერე **ქოდოფუხუნაფ**-და „მე წყვილ (ტყუპ) ბავშვს დავუსვამო“. ასეთივე სემანტიკა (**დასმა** „მოგება, გაჩენა“) აქვს ამ ზმნას იმერულსა და გურულ დიალექტებში.

ლაზურში ნაშიერის გაჩენა, შობა აღინიშნება ლექსემით **დოინუ**: ჩქიმი ცხენიქ არ მსქვა თაი **ქოდოინუ** „ჩემმა ცხენმა ერთი ლამაზი კვიცი მოიგო“.

**ხალა / ხაფა / ხუალა** „შობა, გაჩენა“ (ყიფშიძე 1914: 396; ჭარაია 1997: 175; ელიავა 1997: 382). მიმღობური ფუძეები მეგრულში გაფორმებულია სხვადასხვანაირად, კერძოდ, -**ალ-ა**, -**აფ-ა** დაბოლოებებით.

ბ. ბლაჟბა აფხაზურ **ა-წარა**-ს „გაჩენა“ უკავშირებს მეგრულ **ხალა**, **ხაფა**, **ხუალა**-ს და საერთო ქართველურ-აფხაზურ ლექსემად განიხილავს (ბლაჟბა 1948: 42).

მოსაგებად გამზადებული ცხენი **მა-ხ-ალ**-ია (ჯვ., ხობი, ზუგდ.). **მა-ალ** მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელია. ზმნას აქვს პირიანი ფორმები. მაგ. **ხანს** „შობს, აჩენს“... **ქოხუ** „გააჩინა, შვა“.

**ბურჭი** „ბერწი“ (ყოფშიძე 1914: 210; ჭარაია 1997: 45). ქართ. **ბერწ-**, მეგრ. **ბურჭ-**, სვან. **ბრუჭუ** საერთოქართველური ფუძეებია (ფოჩხუა 1974: 328). გ. კლიმოვი მეგრული **ბურჭ-** ფორმისაგან გამომდინარე აღადგენს **\*ბარწ-** არქტიპს (კლიმოვი 1964: 49). ქართულ **\*ბარწ-** ზანურში შეესატვისებოდა **\*ბორჭ-** ფორმა, სადაც **ო-**ს ბაგისმიერ **ბ-**სთან მეზობლობის გამო **ბორჭ** > **ბურჭ**. სვანური **ბრუჭუ** მეგრულიდან შეთვისებულიად ივარაუდება.

იმავე სემანტიკისაა მიმღეობა **გინოკინელი** (წალენჯ.). **გინო-კინ-ელ-ი** ზედმიწ. ნიშნავს „გადაწეულს“. იგულისხმება შობადობის ასაკის გადაწევა.

**გოჩილათირი** „ცხენი, რომელიც ერთ-ორ წელს გამოტოვებს ისე, რომ ნაშიერს არ გააჩენს“ (ხობი). მიმღეობის ამოსავალია **ჩილ-ათ-{უა} / ჩირ-ათ{უა}** „{მო}ცდენა“. ნამყო დროის მიმღეობა (**გო-ჩილ-ათ-ირ-ი**) ზედმიწ. ნიშნავს „გაცდენილს“.

**გოთამა / გოკოთამა** „ცხენის მიერ ნაშიერის ნაადრევად გაჩენა“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ზუგდ.). მასდარი ემყარება მიმღეობას **კოთ-{ამ-ა} > თო-{ამ-ა}**, რაც ნიშნავს „[და]გდება“-ს, ე. ი. ფორმის ზედმიწ. მნიშვნელობა ჩვენს შემთხვევაში



არის „დაგდება“. შდრ. მოხეური **დაგდება** „მკვდარი ნაშიერის შობა პირუტყვის მიერ“ (ქავთარაძე 1985: 214). **გოთამა / გოცოთამა**-საგან მიღებული პირიანი ფორმა იქნება **გაცოთუ** „დააგდო, ნაადრევად გააჩინა“.

**გაცუდება** „საქონლის მიერ ნაადრევად გაჩენა“ (წალენჯ.). მასდარი ქართულიდან არის შეთვისებული მეგრულში. პირიანი ფორმა იქნება **გეცუდუ** „ნაადრევად გააჩინა“.

#### § 4. ცხენის ავადმყოფობის აღმნიშვნელი ლექსიკა

მეცხენეობის ლექსიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცხენის ავადმყოფობის აღმნიშვნელ ტერმინებს. ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო მხოლოდ მივუთითებთ ამ თემატურ ჯგუფში გაერთიანებულ ტერმინებს და მათ შესატყვისებს ქართული ენის დიალექტებში.

**თურქული / თურქულა / თურქულე** „პირუტყვის ავადმყოფობა, ჩლიქისა და პირის ინფექციური დაავადება“ (ჯავახიშვილი 1986: 222; ჯვ., წალენჯ., მარტვ., ხობი). შდრ. ქართული **თურქული** „სენი ცხოვართა და ზროხათა“ (საბა 1991: 313); „ენის ტკივილი“ (ფოჩხუა 1987: 293). ფუძეში გამოიყოფა **თურქ-** ეთნონიმიზე დართული **-ულ** სუფიქსი (**თურქულ-ი**), მეორე ფორმა ამ ფუძიდან მომდინარეობს **-ა** ბოლოსართის დართვით (**თურქულ-ა**), **თურქულ-ე** კი **თურქულ-**

ა-ს ფონეტიკური სახენაცვალა: \***თურქ-ულ-ა-ი** > **თურქულე** (შდრ. **ქვიშორა** > **ქვიშორე**).

**თოლიშ ბირცხა** „ერთგვარი ავადმყოფობა საქონლისა“. შდრ. ქართული **ფრჩხილი** „თვალში რამ თეთრი შევა ტკვილითა“ (საბა 1993: 201); იმერ. **საფრთხილე** „საქონლის თვალის ავადმყოფობა“ (ბერიძე 1912: 58). ტერმინოლოგიური შესიტყვება გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით. მსაზღვრელია ქართული **თვალ-**ის შესატყვისი მეგრული **თოლი**, საზღვრული კი ასევე საერთოქართველური **ბირცხა** „ფრჩხილი“ (ჩიქობავა 1938: 61-62). შესიტყვება ზედმ. ნიშნავს „თვალის ფრჩხილს“.

სინტაგმა გვაქვს იდიომურ გამოთქმაში **თოიშ ბირცხაშ** იალადა „შემაწუხებლად, მომაბეზრებლად დიდხანს ტრიალი ვისიმე მხედველობის არეში“, ზედმ. „თვალის ფრჩხილის (ლიბრის) ამოღება“ (ჩიქვანაია 1998: 29).

**კვერცხი** „ცხენის ავადმყოფობა, უჩნდება მუხლზე“ (მაკალათია 1941: 205). სიტყვა ქართულიდან არის შეთვისებული. მარკირება მეტაფორულია – ცხენს მუხლში უჩნდება კვერცხის მაგვარი სიმსივნე. სახელწოდებაც ამის მიხედვითაა შერჩეული.

**ლაქა** „ცხენის ავადმყოფობა, უბალნო ადგილები უწითლდება, უსივდება, აყრის და ექავება“ (ჭარაია 1997: 96; მაკალათია 1941: 205; წალენჯ.). შდრ. ქართ. **ლაქა** „ცხენის სენი. უბალნო ადგილები გაუწითლდება და გაუსივდება,

წვრილად დააყრის და ექავება“ (ლეონიძე, 1925, 37; ფოჩხუა, 1987, 23). ტერმინი მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული.

**ოფა** „ცხენის ფეხების სატკივარი“ (ჭარაია 1997: 110); შდრ. ქართ. **ოფა** „ცხენის ქაჩაჩის სენი, ფეხის სატკივარი“ (საბა 1991: 608; ბერიძე 1912: 45; მოწინიძე 1974: 298; გაჩეჩილაძე 1976: 111; ფოჩხუა 1987: 235). ეს სიტყვაც ქართულიდანაა შეთვისებული.

**სინჩხუა** „ცხენის ცხელეზა“ (ჯვ., მატვ.). შდრ. **ციეზა** (იმერ.) „საქონლის ავადმყოფობა“ (მოწინიძე 1974: 462). ტერმინი მეგრულში გადმოცემულია **სინჩხე**- „სიცხე“ ფუძიდან ნაწარმოები მასდარით. **სინჩხე** ქართული **სიცხე**-ს კანონზომიერი შესატყვისია. მეგრულში **ნ** ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული. სიტყვა ზედმიწ. ნიშნავს „დასიცხვას“.

**სურსუ** „სურსულა, სირსვილი“, „მუწუკი, რომელიც ბალანს აცვენს“ (ჭარაია 1997: 126; ელიავა 1997: 291; მარტვ., წალენჯ., სენაკი). ლაზ. **მსურსუ** (მარი 1910: 169). შდრ. ქართული **სურსულა/ე-ი** „კანის ერთგვარი დაავადება, რომელიც დაშუმხვაში გამოიხატება“ (ყდენტი 1936: 244). ტერმინი საერთოა ქართულისა და ზანურისათვის. ლაზურში ანლაუტში განვითარებულია **მ** სონორი, ქართულში კი გართულეებულია სუფიქსით.

**უა** „ცხენის ავადმყოფობა“ (ჭარაია 1997: 131), **უკა**

„ცხენის ავადმყოფობა, უსივდება კისერი“ (მაკალათია 1941: 205). შდრ. უა (იმერ.) „ცხენის ავადმყოფობა, ყელის ტკივილი“ (ბერიძე 1912: 55; მოწინიძე 1974: 370; ჯავახიშვილი 1986: 187). სიტყვა ნასესხები ჩანს ქართულსა და მეგრულში.

**ქანთელა** „პირუტყვის ენის სნეულება“ (ჭარაია 1997: 139), შდრ. ქართული ქანთელი / ქანთელა „პირუტყვის პირის სატკივარია“ (გაჩეჩილაძე 1976: 139; ღლონტი 1974: 565). ეს სიტყვაც ქართულიდანაა შეთვისებული. მეგრულ ფორმაში გამოიყოფა მესაქონლოეობის ლექსიკაში აქტიური სიტყვა-წარმოებითი -ა სუფიქსი, შესაძლოა, -ელ ბოლოსართიც (ქანთ-ელ-ა).

**ქუთა** „ცხენის ავადმყოფობა, ცხვირის კაკნატელაზე აყრის მუწუკებს“ (ჯვ.). შდრ. ქოთაო (გურ., ქართლ., კახ.) „ცხენის სენი“ (ღლონტი 1974: 574; მოწინიძე 1974: 407; ფოჩხუა 1987: 233). სიტყვა ქართულიდან აქვს ნასესხები მეგრულს. სესხების შემდეგ მეგრულში აუსლაუტის ხმოვან-თკომპლექსი გამარტივდა აო > ა, გარდა ამისა, ძირში ო > უ.

**შუშაყი** „ცხენის საოლავის სენი – სინესტისაგან წვრილი, სითხიანი მუწუკები უჩნდება“ (ჯვ.). შდრ. ქართ. შუშაყი / შუყაყი / ჩოყაყი „ფეხის დაავადება, ემართება სველ, უსუფთაო თავლაში“ (ფოჩხუა 1987: 233). აგრეთვე გურული ჩოყაყი (შარაშიძე 1938: 80), ქართლ. ჩუყაყი (ბეროზაშვილი 1981: 479), ქიზიყური შუშაყი (მენტეშაშვილი 1943: 219; ღლონტი 1974: 638). სიტყვა ნასესხები ჩანს ქართულშიც და მეგრულ-

შიც.

**ჩაბრი** „ცხენის ავადმყოფობა, უბალნო ადგილები უწითლდება, უსივდება, აყრის და ექავება“ (ჩხორ.). ეტიმოლოგია გაურკვეველია.

**ჩაგრები / ჩამრები** „ცხენის ავადმყოფობა, ახველებს“ (წალენჯ.). შდრ. იმერ. **ჩამომრები** „ინფექცია, სახადი, გადამდები სენი“ (ლეონიძე 1925: 86). თუ მეგრული ფორმებისთვის ამოსავლად ქართული ენის იმერულ დიალექტში დაცული ნამიმღობარ **ჩამო-მ-რ-ებ**-ს ვივარაუდებთ, უნდა დავუშვათ, რომ სესხების შემდეგ გამარტივდა პრევერბი (**ჩამო- > ჩა-**), შემდეგ კი მოხდა თანხმოვანთა სუბსტიტუცია: **ჩა-მ-რ-ებ-ი > ჩაგრები**.

**წინკე / წინიკე** „წელკავი, ცხენის ავადმყოფობა“ (ჭარაია 1997: 168). შდრ. **წელკავი** (გურ., იმერ.) „ცხენის დაავადება, იწვევს წელის იმგვარ მწვავე ტკივილს, რომ სიკვდილით მთავრდება“ (ჟღენტი 1936: 257; ძოწენიძე 1974: 480). ქართულიდან შეთვისებულ კომპოზიტში საინტერესო ფონეტიკური პროცესები მოხდა, კერძოდ, **წელკავი > \*წელკავი** (ვ-ს ჩავარდით) > **\*წელკე** (შდრ. **მოსართავი > მოსართე, ამზავი > ამბე > \*წილკე** (შდრ. **ძღვინი > ძღვინი, კეცი > კიცცი > წინკე** (ლ > ნ შდრ. ქართ. **წელი > მეგრ. წანა, ქართ. ნამგალი > მეგრ. მაგანა...**). ე. ი. რთული ფონეტიკური პროცესების შემდეგ ქართ. **წელკავ**-ისაგან მივიღეთ მეგრ. **წინკე**. მეორე მხრივ, სრულხმოვნობისკენ მიდრეკილმა მეგრულმა თანხმოვნებს შორის

ი ხმოვანი გააჩინა > წინიკე.

**წიფრე** „ცხენის ავადმყოფობა. იწვევს სიმსივნეს“ (მაკალათია 1941: 203). ტერმინის სტრუქტურა და ეტიმოლოგია ჩვენთვის გაუკრვეველია.

**ხურება** „ცხენის ცხელება“ (წალენჯ.). ტერმინი, რომელიც მასდართაა გადმოცემული (**ხურ-ებ-ა**), ქართულიდანაა შეთვისებული.

**ჯვრთვ** „ცხენის ქეცი“ (წალენჯ.). ტერმინის სტრუქტურა და ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

## **ცხენის შეფერილობის, გარეგნობის, ფიზიოლოგიისა და ავადმყოფობის აღმნიშვნელი ტერმინების სტრუქტურული მოდელები**

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ყველაზე მრავალფეროვან ფორმებს წარმოგვიდგენს ამ თავში განხილული ტერმინები.

1. მარტივი ფუძეები: ა. მეგრული ან ქართველური: კიოფი / კიოპი / კიაპი „შუბლთეთრა“, სისვი „მოლურჯო, ღია ნაცრისფერი“, ჩე „თეთრი“, ჭარგა „ჭრელი“, ელანი „ელამი“, ცვერე „ბრმა“, წიარი „სწორფეხება“, ბურჭი „ბერწი“... ბ. ნასესხები: აბლაკი (თურქ.) „ჭრელი“, ზერდაგი (თურქ.-სპარს.) „ჩალისფერი“, კანჯარი (სპარს.) „მოლურჯო“...

2. ოდენპრეფიქსოვანი წარმოება, სადაც პრეფიქსად ზმნისწინები გვევლინება: გითო-უჩა „ფეხშავი“, გითო-რჩე „ფეხთეთრი“, ელა-ჭარგა „ფერდჭრელი“...

3. ოდენსუფიქსოვანი წარმოება: კიაპ-ა / კიოპ-ა „შუბლთეთრა“, ქვიშ-ორ-ი „ქვიშისფერი“, აბლაკ-ია „ჭრელი“, ფერ-ო „ნაცრისფერი“, პუხუ-ამ-ი „კუხიანი“, გვან-ილ-ი „გასუქებული“, ჩინოდ-ილ-ი „დამაკებული“, თურქ-ულ-ი „ცხენის ავადმყოფობა“...

4. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება: ა. ფორმები, სადაც ძირიც და აფიქსებიც მეგრულია: მო-უჩ-ე „მოშავო“, მო-ჭით-ე „მოწითალო“, გითო-წირ-ილ-ი „სწორფეხება“, დონთხ-აფ-ილ-ი „დავარდნილი“, გინო-კინ-ელ-ი „ბერწი“, გო-ოთ-ამ-ა / გო-ცოთ-ამ-ა „ნაადრევად გაჩენა“... ბ. ფორმები, სადაც ძირი მეგრულია, აფიქსები – ქართული: და-ლამაკ-ებ-ულ-ი „დაკოჭლებული“, და-ჩიჩი-ებ-ულ-ი „მოუვლელობისგან დაუძღურებული“, და-ჭკოლ-ებ-ურ-ი „გამხდარი“, ა-ბორბოზ-ებ-ა „ცხენის ახურება“... გ. ქართულიდან შეთვისებული ფორმები: გა-თ-ებ-ულ-ი (< გა-თავ-ებ-ულ-ი) „გამხდარი“, და-მაკ-ებ-ა...

5. კომპოზიტები: ა. კომპოზიტები, რომელთა შემადგენლობაში შედის სიტყვა ფერი: ოქროშ-ფერი / ორქოშ-ფერი „ოქროსფერი“, ტუტაშ-ფერი „ნაცრისფერი“, ჭამ-ფერი „ჩალისფერი“... ბ. ტოლადშერწყმული კომპოზიტები: ვასკა-

ჭითა „ყვითელ-მოწითალო“, უჩა-ჭარგა „შავად აჭრელებული“, რასი-ჭითა „მუქწითელი“... გ. კომპოზიტები, სადაც ერთი სიტყვა ფერს აღნიშნავს, მეორე კი – ფერის მიხედვით მისათითებელი ცხენის სხეულის ნაწილს: თოლი-უჩა / თოლეფ-უჩა „თვალის ირგვლივ შავი ლაქის მქონე ცხენი“, პირჩე „პირთეთრი“, ცვა-რჩე „შუბლთეთრი“, ცვა-სადარი „შუბლზე თეთრი ნიშნის მქონე“... დ. კომპოზიტები, სადაც პირველი კომპონენტი ცხენის სხეულის ნაწილის სახელია, მეორე კი – მიმღობა: გორგალ-ენოდირაკილი „ხერხემალ-ჩადრეკილი“, თო-ჭუ (< თოლ-ჭვილი) „ცალთვალა“, ოჭიმ-დინოდირაკილი „ზურგჩადრეკილი“, ცვა-ტკიფალი „შუბლგამობერილი“... ე. კომპოზიტები, სადაც პირველი კომპონენტი ზედსართავია, მეორე კი – მქონებლობის სუფიქსიანი სახელი: ბიცვალ-ქვარ-ამ-ი „დიდმუცლიანი“, ცალ-თოლ-ამ-ი „ცალთვალა“, დიდ-ქვარ-ამ-ი „დიდმუცლიანი“... ვ. კომპოზიტები, რომლებიც შედგება ზმნისართისა და ზედსართავისაგან: გალენ-კაჭა „გარედან ფეხმრუდე“, დინახალენ-კაჭა „შიგნით ფეხშექცეული“... ზ. ქართულიდან ნასესხები კომპოზიტები: ტან-მორჩილი, წინკე / წინიკე < წელკავი.

6. ტერმინოლოგიური შესიტყვეებები: ა. ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი სინტაგმები: მონჭირელ ჭითა „მუქწითელი“, მონჭირედ ფერი „მუქწითელი“. ბ. მართულმსაზღვრელიანი სინტაგმა: თოლიშ ბირცხა „თვალის დაავადება“.

7. გაურკვეველი სტრუქტურისა და ეტიმოლოგიისა: ჩაბრი „კანის დაავადება“, წიფრე „სიმსივნე“, ჯვრთუ „ქეცი“...



## თავი IV

### ცხენის ხმიანობის, ზნის, მოძრაობის, ცხენოსნობისა და სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკა

#### § 1. ცხენის ხმიანობის აღმნიშვნელი ტერმინები

მცირერიცხოვან, მაგრამ სემანტიკურად და წარმოების თვალსაზრისით საინტერესო თემატურ ჯგუფს ქმნის ცხენის ხმიანობის აღმნიშვნელი ტერმინები. აქ ძირითადად წარმოდგენილია ხმაბაძვითი სიტყვები.

**ჭირხინი / ჭერხინი** „ჭიხვინი“ (ყიფშიძე 1914: 390; ჭარაია 1997: 171,); „ცხენის ხმამაღალი ხმიანობა“ (ჯვ., მარტვ., ხობი): სუმი **ჭირხინს** გათენს დო ქიგეგონენს უჩა ნდი უჩა ზღვას „სამჯერ ჭიხვინს რომ გაათავებს, გაიგონებს შავი დევი შავ ზღვაში“ (დანელია 1991: 112); ღურელი ცხენიში დუს ხოლო **ქაჭირხინაფუანსია** „მკვდარი ცხენის თავსაც ააჭიხვინებსო“ (შეროზია, მეძიშიძე 1994: 152). **ჭირხინი** ხმაბაძვითია და შეიძლება გვევარაუდა, რომ საკუთრივ მეგრულ ნიადაგზეა წარმოშობილი, მაგრამ მასში განვითარებული ფონეტიკუ-

რი პროცესები და პარალელები სხვა ფორმებთან (**ჭიხვინი** – **ჭირხინი**, **ხვიხვინი** – **ხირხინი**) გვაფიქრებინებს, რომ იგი ქართული **ჭიხვინ**-იდან მოდის. უკანაენისმიერი **ხ**-ს წინ **რ** სონორია განვითარებული, შემდეგ კი **ვ** დაკარგულია **ხვი**- კომპლექსში (ჩიქობავა 1938: 428). იგივე ფუძეა დაცული სვანური ენის ბალსზემოურ კილოში **ლიჭგრხენი** ფორმით (ქერქაძე 1974: 143), რაც აშკარად მეგრულიდან ნასესხები ჩანს. ქიზიყურ კილოში ამოსავალი **ჭიხ**- ძირის რედუქციაციით არის მიღებული ფორმა **ჭიხჭიხ**-ი „ცხენის ხმამალალი ხმიანობა“ (მენტეშაშვილი 1943: 250). მეგრულსა და ქართულში გამოიყოფა **-ინ** მასდარის მაწარმოებელი. სიტყვა გვაქვს მეგრულ იდიომურ გამოთქმაში: **ჭირხინქ გაყუ** „სასიხარულოდ გექნეს საქმე“, ზედმიწ. „საჭიხვინოდ გექნეს საქმე“.

**ხირხინი** „ცხენის ხმიანობა“ (ჯვ.). **ხირხინუნს** „ხვიხვინებს“. ლექსიკონებში ეს ხმაბადვითი სიტყვა გათანაბრებულია **ხურხინ** „ხვრინვა“ ფორმასთან (ყიფშიძე 1914: 409; ჭარაია 1997: 180; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 490). თუმცა არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ჭანური **ხირხინ**- / **ხიხინ**-ის შესატყვისი მეგრული ზმნა არა გვაქვს (ჩიქობავა 1938: 428), მაგრამ ეს სიტყვა ჯვარულ თქმაში (და არა მარტო აქ) რეალურად დასტურდება ცხენის ხმიანობის მნიშვნელობით. ლაზური **ხირხინ**- / **ხიხინ**-ის ფარდად ქართულში მიიჩნევა **ხვიხვინ**- (ჩიქობავა, იქვე). როგორც ჩანს, ორივე სიტყვაში (**ჭირხინ**-, **ხირხინ**-) ერთნაირი ფონეტიკური მოვლენებია მომხდარი, კერძოდ უკანაენისმიერი **ხ**-ს წინ განვითარდა **რ**-სონორი, შემდეგ **ხვი** კომპლექსი გამარტივდა – დაიკარგა **ვ**.

ლექსებმა ასეთი ტრანსფორმაცია განიცადეს: **ჭიხვინი** > \***ჭირხვინი** > **ჭირხინი**; **ხვიხვინი** > \***ხვირხვინი** > **ხირხინი**. **ხირხინ**-შიც გამოიყოფა მასდარის ძველი მაწარმოებელი **-ინ** (ხირხ-ინ-ი), რომელიც გაჰყვება ზმნას პირიან ფორმებშიც.

**თხირინი / თხერინი / თხირინუა** „ცხენის ხმადაბალი ხმიანობა, ფრუტუნი“ (ზუგდ., მარტვ.): რაშიქ ქედაჭყე **თხერინი** „რაშმა დაიწყო ფრუტუნი“ (დანელია, ცანავა 1991: 172). **თხირინუნს** „ფრუტუნებს“. ამ ხმაბამვითი სიტყვის ვარიანტები წარმოდგენილია, ერთი მხრივ, თემისნიშნის ფორმაზე მასდარის **-ა** მაწარმოებლის დართვით, მეორე მხრივ, უთემისნიშნო **-ინ** მასდარის სუფიქსიანი სახით.

**ფურთხინი** „ცხენის ხმადაბალი ხმიანობა, ფრუტუნი“ (ჯვ.). ცხენქ **ქიმოფუოთხინუ** „ცხენმა დაიფრუტუნა“. გამოიყოფა ხმაბამვითი ფუძე **ფურთხ-** და მასდარის **-ინ** მაწარმოებელი. **ფურთხინუა** მეგრულში „ენამოჩლექით ლაპარაკსაც“ ნიშნავს.

**შვიტინი** „ცხენის ხმიანობა ნესტოებით“ (ჯვ.). ხმაბამვითი სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობა „სტვენაა“. **შვიტ-** ძირია, **-ინ** – საწყისის მაწარმოებელი. შდრ. გურული დიალექტის **ფშვიტინი** „სტვენა“ (ყდენტი 1936: 248; ღლონტი 1974: 555). იგივე **ფშვიტინი** ფორმა არის ქვემოიმერულშიც, შდრ.: **ფშვიტინოფს / უფშვიტინეფს** „უსტვენს“.

**-ინ** სუფიქსიანი მასდარების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მაწარმოებელი ქართულ ენაში ძალზე იშვიათია

და ფუძესთან შეზრდილია (ჩიქობავა 1938: 218). მეგრულში -  
ინ სუფიქსი ჯერ კიდევ აქტიური, ცოცხალი აფიქსია, რომ-  
ელიც პირიან ფორმებში ხან შენარჩუნებულია (ჭირხ-ინ-ი –  
ჭირხ-ინ-უნ-ს, შვიტ-ინ-ი – შვიტ-ინ-უნ-ს, ფურთხ-ინ-ი –  
ფურთხ-ინ-უნ-ს...), ხან ჩამოსცილდება (ქვექვ-ინ-ი – მი-ქვექ-  
უ „მსუბუქად მირბის“, ქენჩ-ინ-ი – მი-ქენჩ-უ „ენერგიულად  
მირბის“, ჯექ-ინ-ი – მი-ჯექ-უ „გრძელი ნახტომებით მი-  
რბის“...). გარდა ამისა, მეგრული -ინ სუფიქსიანი მასდარი  
ხანდახან თემის ნიშნიან ფორმაზე დაირთავს მასდარის -ა მა-  
წარმოებელს: ჭირხ-ინ-ი – ჭირხ-ინ-უ-ა „ჭიხვინი“, ხირხ-ინ-ი  
– ხირხ-ინ-უ-ა „ხვიხვინი“, თხირ-ინ-ი – თხირ-ინ-უ-ა „ფრუ-  
ტუნი“, ფურთხ-ინ-ი – ფურთხ-ინ-უ-ა „ფრუტუნი“... ამ შემ-  
თხვევაში ჭირხ-ინ-ი, ხირხ-ინ-ი... ნამასდარალი არსებითე-  
ბია, ჭირხ-ინ-უ-ა, ხირხ-ინ-უ-ა... კი აქტიური მასდარები.

თქაფაფი / რთქაფაფი „ცხენის ფეხის ხმა, თქარუნი“  
(ჯვ). ლექსემის ძირია თქაფ- / რთქაფ- (რ ფონეტიკურად გან-  
ვითარებულია). შდრ. ქართ. თქაფათქუფი „იგივეა, რაც თქა-  
რათქური“, თქარათქური „ხმაბაძვ. ცხენებისა და მისთ. ფე-  
ხის ხმაური (ჭენებისას ჩვეულებრივ, ტალახში) – თქარუნი“  
(ქეგლ IV: 497).

ტრახუნი „ცხენის ფეხის ხმა“ (ჩხორ.). ლექსემის ძირი  
ტრახ- (-უნ მასდარის ნიშანია) იგივეა, რაც იმერული ტრიხ-  
ინ-ი „ხმაურით სეირნობა, სიარული“ (დლონტი 1974: 517),  
აგრეთვე ტრახ-უნ-ი. ამავე ძირისა უნდა იყოს ინგილოური  
ტრანყ-უნ-ი, ტრანყუნ, დატრანყუნევა „რაიმე მაგარი სხეუ-

ლის სხვა მაგარ სხეულზე ცემა და ცემისას გამოცემული ხმა, ბრახუნი, რახუნი“ (ლამბაშიძე 1988: 427).

აქვე აღვნიშნავთ ცხენის გასამხნევებელ, გასარეკ შორისდებულად გამოყენებულ **აჩუ** / **აჩი** ფორმას (ჭარაია 1912: 48), რომელიც გვხვდება მთელ ქართველურენოვან სამყაროში როგორც ამ ფუნქციით, ისე ბავშვთა ენაში ცხენის აღსანიშნად. შდრ. **აჩუა** „ცხენი“ ბავშვთა ენაში (ფოჩხუა 1987: 231). **აჩუ** / **აჩი** ფორმათა ამოსავალია აფხაზური **ა-ჩაგ**, შდრ. აბაზ. **ჩაგ**, ადიღ. **შაგ**, ყაბარდ. **ჩაგ**, უბიხ. **ჩგ** (შაგიროვი 1977: 141). ივ. ქავთარაძის აზრით, ეს სიტყვა საერთოკავკასიურია (ქავთარაძე 1972: 177-179), თუმცა ა თავსართის არსებობა ქართულში მის აფხაზურიდან შესხებაზე უნდა მიაწინებდეს.

## § 2. ცხენის ზნის აღმნიშვნელი ტერმინები

სიტყვაწარმოებისას და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით მრავალფეროვან ლექსიკურ სპექტრს წარმოგიდგენს ცხენის ზნის აღმნიშვნელი ტერმინები.

### ა. ცხენის სიძლიერისა და სისწრაფის აღმნიშვნელი ტერმინები

**ჭვიროთ** ცხენი „სწრაფი ცხენი“ (ჩხორ.). გ. როგავა **ჭვიროთ**- ფუძეს განიხილავს **ჭოროთ**-ის ფონეტიკურ სახესხვაობად. **ჭოროთი** „წვეტიან ჯოხს, სარს, ისარს“ აღნიშნავს. მისი-

ვე განმარტებით, „ჭვირთის მეორე სახეობაა ბრტყელპირიანი ისარი, რომელსაც იყენებდნენ სანადიროდ“. აქედანაა მეგრული გამოთქმა: **ჭვირთცალო** მეურსი „ჭვირთივით (ისარივით, შურდულივით) მიდის“ (როგავა 1987: 18). ამ ფუძიდან მომდინარეობს პირიანი ფორმა **მიჭვირთუ** „შურდულივით მიქრის“.

**ღირგალური / გირგალური** „სწრაფი ცხენი“ (სენაკი). ტერმინი მიღებულია **ღირგ-** ზმნური ძირისაგან: ღირგუა „атаковать, бороться“ (ყიფშიძე 1914: 227). სიტყვის თავდაპირველი სემანტიკა გაფართოებულია და, გარდა ზემოთ მითითებული მნიშვნელობისა, აღნიშნავს სწრაფად გაქცევას, გავარდნას (**გოდირგუ** „გავარდა“, **მიდირგუ** „მირბის“). სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მეგრული **ღირგ-** და ქართული **თრგ-{უნ}** ძირების ურთიერთმიმართება და ივარაუდება, რომ **დ** თანხმოვანი პირვანდელი ვითარების ამსახველია (არაბული 1988: 100). შდრ. ქვ. იმერ. **დრიგინი** – „სწრაფი, ხმაურიანი სირბილი“. **გირგალური** მეორეულია, მიღებულია ასიმილაციის გზით. სხვა დასაშვები ახსნა (**გრიგალ** > **გირგალ**- ფუძიდან წარმოების შესახებ) ნაკლებად სარწმუნოა.

**ბორია** „სწრაფი ცხენი“ (ჯვ.). ტერმინი ნასესხებია ბერძნული ენიდან, რომელშიც **ბორეას** ნიშნავს „ქარს“. სწრაფი ცხენის ასეთი სახელდება ქართულისთვის უცხო არ არის. შდრ. **ქარ-ფერხი** „სწრაფი ცხენი“ (ლეონიძე 1925: 70). **ქარფეხა** „ძლიერ სწრაფი“ (ფოჩხუა 1987: 232). ასევე ხშირია ამ ლექსე-

მის გამოყენება ჰიპონიმად (ცხადია 1987: 450).

**ფიცხე** „სწრაფი ცხენი“ (ჩხორ.). სიტყვა მიღებულია **ფიცხ-** ფუძისაგან. **ი > ე** კანონზომიერი მოვლენა მეგრულში (**ალაგი > ალაგე, ზვინი > ზვენი**). შდრ. ქართ. **ფიცხი ცხენი**, რომელიც სწრაფ ცხენსაც ნიშნავს და ძნელად დასამორჩილებელსაც.

**სკვილუ ცხენი** „ფეხმაგარი და გამძლე ცხენი“ (ჩხორ.). მიმღეობის ძირად გამოყენებულია **სკუალა** ზმნური ფორმის ძირი **სკვ-** / **სკუ-** „შეკვრა, სკვნა“ (ყიფშიძე 1914: 319; ჭარაია 1997: 127). მიმღეობის მაწარმოებლად გამოყენებულია **-ილ** ბოლოსართი, ე. ი. სიტყვის ზედმიწ. მნიშვნელობაა „შეკრული, ჩაფსკვნილი ცხენი“.

**ბირგულამი** „ფეხმაგარი და გამძლე ცხენი“ (ყიფშიძე 1914: 204; წალენჯ.). სიტყვა წარმოქმნილია **ბირგულ-**ი „მუხლი“ არსებით სახელზე (ყიფშიძე 1914: 203) **-ამ** მქონებლობის სუფიქსის დართვით. შრდ. ქართ. **მუხლმაგარი** „ლონიერი ფეხის მქონე“ (ფოჩხუა 1987: 232), **მუხლადი**.

**ბირგულიშ ცხენი** „ფეხმარდი ცხენი“ (ზუგდ.): მიდგენ შორშე მოძვადვალე [...] ჯგერ **ბირგულიშ ცხენიცალო** „ვიდაც შორიდან მოძუნძულეებს ისე, ვით ფეხმარდი ცხენი“ (სამუშია 1971: 63). ტერმინოლოგიური შესიტყვება გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით. მსაზღვრელია ნათ. ბრუნვაში დასმული **ბირგულ-** „მუხლი“, საზღვრული – **ცხე-**

ნი. სინტაგმა ზედმიწ. ნიშნავს „მუხლის ცხენს“.

**კუჩხმანგარი** „ფეხმაგარი და გამძლე ცხენი“ (ჯვ.). კომპოზიტი წარმოდგენილია არსებითი სახელით **კუჩხი** „ფეხი“ (ყიფშიძე 1914: 263; ჭარაია 1997: 84) და ქართული **მაგარი**-ი ზედსართავის მეგრული, სონორგანვითარებული ვარიანტით. იგივე შინაარსი ქართულშიც ანალოგიური კომპოზიტით გადმოიცემა: **ფეხმაგარი** „ლონიერი ფეხის მქონე“ (ფოჩხუა 1987: 232).

**მეკიდირე / მოკიდირე** „მოჭიდავე ცხენი“ (ჯვ.): დიდი ნგერეფი უკვრგნა **მეკიდირე** ცხენიცალო „დიდი მგლები დაბმული ჰყავთ მოჭიდავე ცხენივით“ (სამუშია 1971: 164). ფორმაში გამოიყოფა **კიდირ-** „მკერდი“. მიღებულია მიმღეობის მაწარმოებელი **მო-ე (მე-ე)** ცირკუმფიქსით.

## **ბ. ძნელად დასაურვებელი, ურჩი ცხენის აღმნიშვნელი ტერმინები**

**მეკენჯი / მეკინჯი / მეკვნჯი** „ძნელად დასაურვებელი, კისერმაგარი ცხენი“: ბათაიამ ქვიშორია **მეკვნჯი** ცოფე ბალანგარი „ბათაიას ქვიშორია თვითნება ყოფილა ტიალი“ (გუდავა, ცანავა 1975: 262). სავარაუდოა, ვარიანტები მიღებული იყოს **ქენჯუა** ზმნური ფორმისაგან, ნიშნავს „ჭენებას“, აგრეთვე „ენერგიულ, სწრაფ მოძრაობას“. ფონეტიკური ცვლილებები და სემანტიკა ამგვარი ეტიმოლოგიისათვის წი-



ნააღმდეგობას თითქმის არ ქმნის. ვარიანტებში გამოიყოფა მე-პრეფიქსი და შესაძლოა -ენჯ სუფიქსიც.

**ჯორია** „ურჩი, ჯიუტი ცხენი“ (ჩხორ.). გამოიყოფა **ჯორ-** ძირი და -ია ბოლოსართი, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს. მინიშნებულია ჯორივით სიჯიუტე.

**კისერმანგარი** „ძნელად დასაურვებელი ცხენი“ (ჯვ., მარტვ.). კომპოზიტი შედგება არსებითი სახელისა (**კისერ-**ი) და ზედსართავისაგან (**მანგარი** < ქართ. **მაგარი**).

**აჯამი** „ჯიუტი ცხენი“ (ჩხორ.). სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული მეგრულში. ქართულს კი, თავის მხრივ, ნასესხები აქვს არაბულიდან, სადაც ნიშნავს „არაარაბს, ირანელს“. ქართულში ეს სიტყვა „უჭკუოს, ბრიყვს, რეგვენს“ აღნიშნავს (ქეგლ I: 933). შდრ. ზემოაჭარული **აჯამი** „ცხენი, რომელსაც სიარული უჭირს“ (კობერიძე 1999: 13). გვხვდება ამ სიტყვის კნინობითის ფორმაც **აჯამ-ია** „ჯიუტი“, რომელიც იხმარება ადამიანთან მიმართებაშიც.

**აჯია** „ურჩი, ჯიუტი ცხენი“ (ჩხორ.). ეს სიტყვა გვაქვს ქვემოიმერულშიც და „ათხაჯელას, ალქაჯს“ ნიშნავს (ღლონტი 1974: 52). შესაძლოა, უკავშირდებოდეს **აჯამ-**ს (იხ. ზემოთ): **აჯამ-ია** > \***აჯაია** > **აჯია**.

**ორჩანი** „ზარმაცი, ოჩანი, უკუღმართი“ (ყიფშიძე 1914: 294; ჭარაია 1997: 109; ელიავა 1997: 258). ქართულიდან შე-

თვისებულ სიტყვაში განვითარებულია **რ** სონორი.

მეგრულიდან სიტყვა ნასესხები აქვს აფხაზურ ენას **ა-ჭარჩან**, **ა-ჩაჭარჩან** (ჯანაშია 1954: 265; არშბა 1980: 88; კვარჭია 1981: 33) სახით. კომპოზიტში **აჩაჭარჩან** პირველი კომპონენტი **ცხენის** აღმნიშვნელი აფხ. **ა-ჩაჟ** ლექსემაა, მეორე კი – მეგრული ორჩანი. აფხაზურში **ო** ხმოვანი სხვა ენათაგან დიდი ხნის წინათ შესულ სიტყვებში ჩვეულებრივ გადმოცემულია **ჭა** დიფთონგით (ლომთათიძე 1976: 51). ამ წესის შესაბამისად მეგრული **ორჩანი** > აფხ. **ა-ჭარჩან**. ქართულიდან სიტყვა ნასესხები აქვს ოსურ ენასაც (აბაევი 1973: 224).

ლექსემა ხშირად რეალიზდება მეგრულ ჰიპონიმიაში (ცხადაია 1987: 452).

**ნოდი** / **ნოღია** „ცხენი, რომელიც უცებ დადგება და არ იძვრის“ (წალენჯ.). აფხაზურ ენაში ურჩი, ზარმაცი ცხენის აღმნიშვნელად გამოიყენება **ა-ნადი**, **ა-ჩაგნადი** (ჯანაშია 1954: 202; კვარჭია 1981: 33). პ. ჭარაიას თვალსაზრისით, სიტყვა ზემოთ მოყვანილი მეგრული **ნოდი**-დან უნდა იყოს გადასული აფხაზურში (ჭარაია 1912: 14). ქართულიდან (resp. ქართველურიდან) შეთვისებულად განიხილავს აფხაზურ ფორმას ა. შაგიროვიც (შაგიროვი 1989: 143). ვ. კვარჭიას ვარაუდით, ამოსავალი უნდა იყოს სპარსული **ენად**, რაც „სიჯიუტეს, ურჩობას, შეუსმენლობას“ ნიშნავს (კვარჭია 1981: 90), მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუხსნელი რჩება აფხაზურში ბოლოკიდურა ი ხმოვნის რაობა. **ინად** ფორმა ნასესხობის სახით გვაქვს ლაზურში: **ინადი** „სიჯიუტე“ (ჯიქია 1975: 63), ქართული ენის დიალექტებში: ჯავახურში **ინადი** „ქიშპი, სიჯი-

უტე“ (მელიქიძე 1974: 34), ქართლურში **ინადი ქნა** „გაჯიუტდა“ (ბეროზაშვილი 1981: 231), იმერხელში **ინათი** „ჟინიანობა, სიჯიუტე“ (ნიკოლაიშვილი 1993: 231), აჭარულში **ინათია-ნი** „ჯიუტი ცხენი“ (კობერიძე 1999: 13). ამ ფორმათაგან, მიუხედავად სემანტიკური იგივეობისა, შორს დგას მეგრული **ნოდი / ნოდია**, თუმც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სესხებისას ანლაუტში ი ხმოვანი დაიკარგა, თვით ფუძეში კი **ა > ო**. ერთი რამ ცხადია, მეგრული **ნოდი / ნოდ-ია** არის საფუძველი აფხაზური **ა-ნადი** ფორმისათვის. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სესხების ფონოტაქტიკური წესები, კერძოდ, აფხაზურში ნასესხებ სიტყვებში გამსესხებელი ენის **ო** ხმოვნის ადგილს იჭერს **ა**, როცა მის წინ დგას სონორი (ლომთათიძე 1976: 51). აფხაზურ ფორმაში ბოლოკიდურა ი ხმოვნის შენარჩუნება (რომელიც, როგორც ჩანს **ნოდ-ი** ფორმის სახ. ბრუნვის ნიშანია) ამ სიტყვის სესხების სიახლეზე უნდა მიგვანიშნებდეს. წესით იგი ამ პოზიციაში ან უნდა რედუცირებულიყო, ან **გ** ხმოვანი მოეცა.

**გენჯორგლე** „ცხენი, რომელიც ადგილიდან არ იძვრის“ (ჯვ.). მიმღეობაში **გე-ნჯორ-ელ-ი** ძირად გამოიყოფა **ჯორ-** ფორმა. წარსული დროის მიმღეობა აღნიშნავს ჯორივით (იგულისხმება ჯორის სიჯიუტე) გაჩერებულ ცხენს.

**დორნელე** „ცხენი, რომელიც უცებ გაჩერდება და ადგილიდან არ იძვრის“ (სენაკი). მიმღეობა მიღებულია **რინა > [[გე]რინა „დგომა“** ზმნური ფორმისაგან. **დო-რნ-ელ-ი** (დო-პრევერბია, -ელ მიმღეობის მაწარმოებელი), სიტყვა ზედმიწ.

ნიშნავს „დამდგარს“.

**ჯიუტი** „ცხენი, რომელიც ადგილიდან არ იძვრის“ (ჩხორ.). ნასესხებია ქართულიდან და არ არის შეცვლილი არც ფონეტიკურად, არც სემანტიკურად. თვით ქართულში კი არაბულიდანაა შეთვისებული სომხურის გზით: არაბ. **ძაჰუდ** („ებრაელი“) > სომხ. **ჯიჰუტ** > ქართ. **ჯიუტი** (უთურ-გაიძე 1976: 40). მეგრულში ურჩი ცხენის აღსანიშნავად გამოყენებულია ჯიუტ- ფუძის ფონეტიკური სახენაცვალი **ჯიუმტი / ჯოუმტი**.

### გ. მშიშარა, მკბენარა, წიხლის კვრას ჩვეული ცხენი

**შქურინჯა** „ცხენი, რომელიც ადამიანის დანახვაზე კრთება“ (მარტვ.). სიტყვა მიღებულია **შქურ-ინ** „შიში“ ზმნური ფუძისაგან მიმღობის **-ინჯ** სუფიქსის დართვით. **-ინჯ** სუფიქსი **-ენჯ-ის** ფონეტიკური სახესხვაობაა (თოფურია 1937: 141), -ა თვისების აღმნიშვნელი სუფიქსია.

**ზურა** „მშიშარა ცხენი“ (ჩხორ.): ბედაურენქ ქკვნოსქედგ, **ზურა** წგმი მიიქანჩგ (ყიფშიძე 1914: 146) „ბედაურები ჩამორჩნენ, მხდალი წინ მირბის“. ი. ყიფშიძის განმარტებით, **ზურა** „მშიშარა, სუსტი, ავადმყოფია“ (ყიფშიძე 1914: 238). პ. ჭარაია დაწვრილებით განიხილავს სიტყვის სემანტიკას: „**ზურა** – „ლაჩარი, მშიშარა“. ლაზ. **ზურა** „ძუ, დედალი“. მაგ. **ზურა** ლაკი „ძუ ლეკვი (ძალლი)“. შეიძლება აქედან გადა-

ღებთი მნიშვნელობა ჰქონდეს მეგრულში ამ სიტყვას. დია-  
ციო, რომ იტყვიან ქართულად მშიშარა, მხდალ მამაკაცზე,  
ისევე აფხაზურად და მეგრულადაც. ასევე იხმარება სხვა  
მრავალ ენებზედაც“ (ჭარაია 1997: 68).

სიტყვის ამოსავალი, პირვანდელი მნიშვნელობა და-  
ცულია ლაზურში, სადაც მდედრობითი სქესის ცხოველს აღ-  
ნიშნავს (როგავა 1962: 93). იგივე სიტყვა წარმოდგენილია  
სვანურშიც, სადაც **ზურა** „დედალია“, ხოლო **ზურალ** „ქა-  
ლი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 137). თუ გამსესხებლად  
სვანურ ენას ვივარაუდებთ, უნდა დავუშვათ, რომ ზანურმა  
ეს სიტყვა ისესხა ლაზურის მეგრულისაგან ტერიტორიუ-  
ლად გათიშვამდე (დაახლ. VIII-IX საუკუნეებამდე).

**ურა** „ცხენი, რომელიც ადამიანის დანახვაზე კრთება“  
(წალენჯ., ჩხორ). ამ სიტყვის ძირითად სემანტიკაზე ზემოთ  
გვექონდა საუბარი და მითითებული იყო, რომ გარდა ასაკისა  
და გაუხედნავი ცხენის მნიშვნელობისა, აღნიშნავს მშიშარა  
საქონელს (ლეონიძე 1925: 71). სიტყვა **ა-ურა** ფორმით ნასეს-  
ხები აქვს აფხაზურს. ამოსავალია ცხოველის ასაკის აღნიშ-  
ვნის სემანტიკა.

**ანჩხი** „ცხენი, რომელიც ადამიანის დანახვაზე კრთე-  
ბა“ (ჯვ.). სიტყვა ქართული ენიდანაა შეთვისებული მე-  
გრულში. ქართული **ანჩხლ-ი** ფორმის სესხებისას **ლ** თანხმო-  
ვანი დაიკარგა. გარდა ამისა, გადაიწია სემანტიკა. ქართულ-  
ში **ანჩხლია** „ვინც ადვილად ცეცხლდება, ვინც თავმეუკავე-  
ბელია გაბრაზებისას, კაპასი, ავი“ (ქეგლ I: 514).

**ფინთი / ფინთია** „ფრთხილი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ.). ამ ვარიანტთაგან ნაწარმოები პირიანი ფორმები გვავარაუდებინებს, რომ ეს არის ქართ. **ფეთ-ებ-ა** ზმნის მეგრული შესატყვისი, კერძოდ, სონორგანვითარებული ფორმა: **ი-ფინთ-ებ-უ** „ფეთდება“, **ა-ფენთ-ებ-ულ-ი** „დაფეთებული“. **ფინთ-ია** მიღებულია **ფინთ-ისაგან** -ია სუფიქსის დართვით, მიუთითებს თვისებაზე. შდრ. **ჯორ-ია** „ჯორივით ჯიუტი“. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეგრული **ფინთი** შეთვისებული იყოს ქართულისაგან, სადაც „ცუდს, სამაგელს, საზიზღარს“ **ფინთი** სიტყვა აღნიშნავს (ქეგლ VII: 113), ვინაიდან მეგრულში ამ სემანტიკით ეს სიტყვა საერთოდ არ გვხვდება.

**ფოცანი** „ცხენი, რომელიც ადამიანის დანახვაზე კრთება“ (ხოზი). მიღებულია **ფოც-** ძირზე მქონებლობის -იან სუფიქსის დართვით. **ფოცება** კ. ჭარაიას განმარტებით, არის „გაოცება, გაგიჟება“ (ჭარაია 1997: 137). შესაძლოა, უკავშირდებოდეს ქართული **ფეთ-ებ-ა** ზმნის დიალექტურ ფორმებს, კერძოდ, იმერული **გაფოცებული** „გაშმაგებული, გაცოფებული“, **გაფეციანდება** „გაცოფდება, გაშმაგდება, დაფეთდება“ (მოწენიძე 1974: 89, 90), შდრ. აგრეთვე იმერულივე **ფოთ-ებ-ა**, **გაფოთებული** „დამფრთხალი, დაფეთებული“.

**მაჩამინჯა / მაჩამინჯე** „მკბენარა ცხენი“ (ჯვ., წალენჯ.). ვარიანტები მიღებულია **ჩ-ამ-ინ** „კბენა“ ზმნური ფუძისაგან (ეტიმოლოგიურად „ცემა“). **მა-ინჯ** მოქმედებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელია, -ა თვისების აღმნიშვნე-

ლი სუფიქსი, რომელიც აუსლაუტში იცვლება ე ხმოვნით. ვ. თოფურიას განმარტებით, „მკბენარა“ **მაჩამინჯა-ა** (თოფურია 1937: 142).

**მაკიბირალი** „მკბენარა ცხენი“ (ზუგდ.). ფორმა წარმოდგენილია მოქმედებითი გვარის მიმდევრით. მიღებულია **მა-ალ** ცირკუმფიქსით **კიბირ-უ-ა** ფორმიდან, ნიშნავს „კბენას“.

**მეკვარტე** „წიხლის კვრას ჩვეული ცხენი“ (ჯვ., წალენჯ.). წარმოქმნილია **მე-ე** პრეფიქს-სუფიქსით **კვარტ-** ძირისაგან. **კვარტი** „წიხლი“ (ყიფშიძე 1914: 255; ჭარაია 1997: 78). **მეკვარტე** ზედმიწ. „მეწიხლე“.

**ტორიანი** „წიხლის კვრას ჩვეული ცხენი“ (ხობი). ტერმინი მიღებულია **ტორ-** „ზოგი ცხოველის ფეხი, ტოტი, თათი“ (ქეგლ VI: 1322) ძირისაგან **-იან** მქონებლობის სუფიქსის დართვით. მეგრულში **ტორ-ი** „ცხენის უკანა ფეხის მოქნევა მოსაგერიებლად“ (ჯვ., მარტვ., ჩხორ., ხობი).

### § 3. ცხენის მოძრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა

ცხენის მოძრაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია რამდენიმე ჯგუფს აერთიანებს. ტერმინთა ერთ ნაწილს წარმოადგენს ომონიმური ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს როგორც ცხენის სახეობას (ინფორმატორები ჯიშადაც კი ასახე-

ლებენ, იხ. ზემოთ), ასევე ამ სახეობისათვის დამახასიათებელ მოძრაობას.

**თუხარიკი** „ჩორთით მავალი“ (ციფშიძე 1914: 245); „მარდად და კობტად მავალი ცხენი“ (მაკალათია 1941: 202); „კარგად მატარებელი ცხენი“ (ჭარაია 1997: 71; ელიავა 1997: 175), „ცხენის სიარული“ (ჯვ., წალენჯ., მარტვ., ჩხორ.): დუდიშ ქანცაფი უჭირს, ვარა არძა ცხენი **თუხარიკი** რენია „თავის განძრევა უჭირს, თორემ ყველა ცხენი თოხარიკია“ (შეროზია, მემიშიში 1994: 14). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, **თოხარიკი** „ცხენთა კეთილი სიარულია“ (ჩუბინაშვილი 1961: 363), ქეგლ-ის მიხედვით კი „ერთგვარი სიარული ცხენისა, როდესაც ერთდროულად აბიჯებს ცალი მხარის წინა და უკანა ფეხებს, გოგმანით სიარული; აგრეთვე ამგვარად მოარული ცხენი“ (ქეგლ IV: 479). ასევეა ეს ტერმინი განმარტებული „მესაქონლეობის ლექსიკონში“ (ლეონიძე 1925: 27), „ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 234). ს. მაკალათიას მითითებით, **თოხარიკი** ახლადგახედნილი ცხენის ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა იყო: „თოხარიკში გასავარჯიშებლად ცხენს ოსტატი ბარკლებს შეუთრავდა და ისე ატარებდა, რომ ცხენი შეჩვეოდა მოკლესა და მარდი ნაბიჯის გადადგმას“ (მაკალათია 1941: 202). ამ ლექსემის ქართულიდან მეგრულში სესხების შემდეგ მოხდა ხმოვანთა სუბსტიტუცია, კერძოდ, **ო > უ**. ეს ფონეტიკური პროცესი ჩვეულებრივია მეგრულისთვის. შდრ. **ლომი > ღუმუ**, **ბოლოკი > ბულეკი**.

ცხენის მოძრაობის მანერა, სიარული მეგრულში უფ-



რო ხშირად ამ ფორმიდან ნაწარმოები **თუხარიკ-ულ-ი** სიტყვით გადმოიცემა, **თუხარიკი** კი უმეტესად მოძრაობის ამგვარი მანერის მქონე ცხენის აღსანიშნავად გამოიყენება. ქართულისაგან განსხვავებით ეს დიფერენცირება მეგრულში ისეთი მკვეთრია, რომ ინფორმატორები ხშირად **თუხარიკ-ს** შეცდომით ცხენის ჯიშის აღმნიშვნელ ტერმინადაც კი აღიქვამენ. მეგრულში **თუხარიკი** სახელიდან იწარმოება აგრეთვე პირიანი ფორმები ზმნისა. მაგ.: **მითუხარიკუ** „მითოხარიკობს“.

**იორღა** „თოხარიკი ცხენი“ (ჭარაია 1997: 73), „კარგად მატარებელი ცხენი“ (წალენჯ.), „ცხენის სიარული“ (ჯვ.). გვიანდელი ნასესხობაა თურქულიდან და გამსესხებელ ენაში ცხენის მოძრაობას აღნიშნავს: თურქ. **დორღა** „**руцара**“ (ბასკაკოვი 1977: 932).

ნ. ჩუბინაშვილი ამ ტერმინს **თოხარიკ-** სიტყვასთან ერთად განმარტავს და წერს, რომ „ცხენთა კეთილი სიარულია“ (ჩუბინაშვილი 1961: 363), ქეგლ-ში მითითებულია, რომ „იგივეა, რაც თოხარიკი“ (ქეგლ IV: 772). ლ. ლეონიძე და ბ. ფოჩხუა ამ ტერმინს ისევე განმარტავენ, როგორც **თოხარიკს**: „ცხენის მოძრაობის მანერა, როცა ცხენს ერთდროულად გააქვს ჰაერში მარცხენა წინა და უკანა ფეხი, ან მარჯვენა“ (ლეონიძე 1925: 29; ფოჩხუა 1987: 234).

ინფორმატორები **იორღას** ხშირად ცხენის ჯიშის აღმნიშვნელ ტერმინთა შორის მოიხსენიებენ. როცა ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით გამოიყენება, ხშირად წარმოდგენილია სინტაგმაში ატრიბუტულ მსაზღვრელად **ცხენ-** არსებით სა-

ხელთან ერთად: **იორღა ცხენი**.

**ლაფშური** „ცხენის ჩქარი ნაბიჯით სიარული, ვარჯიშის სახეობა ცხენის ხედნისას“ (მაკალათია 1941: 202); სხვა განმარტებით, **ლაფშური** „ცხენის ნელი, მაგრამ დიდი ნაბიჯებით სიარულია“ (სენ., ჯვ.). ქეგლ-ის მიხედვით, „**ლაფშა** ცხენის დამახასიათებელი მოკლე და ჩქარი ნაბიჯით სვლაა“ (ქეგლ IV: 1490). „მესაქონლეობის ლექსიკონში“ დასტურდება **ლაფშრული სიარული** (ლექს.) „როცა ცხენი მიდის ნელა, მაგრამ დიდი ნაბიჯებით“ (ლეონიძე 1925: 37), „ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ – **ლაფშური** „მოკლე და ჩქარი ნაბიჯებით სვლა“ (ფოჩხუა 1987: 234). ფორმა მიღებულია **ლაფშა** ფორმაზე (იხ. ზემოთ) –**ურ** თვისების აღმნიშვნელი მაწარმოებლის დართვით (შდრ. **თუხარიკ-ულ-ი**).

მეგრულში იგივე შინაარსი გადმოცემულია შესიტყვევებით **ლაფშური ულა** „ცხენის სიარულის მანერა“, ზედმიწ. „ლაფშური სიარული“. შდრ. ზემოთ მითითებული ლექსურ-მური **ლაფშრული სიარული** (ლეონიძე 1925: 37).

**ჩორთი** „ცხენის სირბილი, როცა ერთდროულად გააქვს წინა მარჯვენა და უკანა მარცხენა ფეხი და პირიქით“ (ჯვ., წალენჯ.). ტერმინი მეგრულში შემოსულია ქართულიდან.

**ტკუპური** „ცხენის სირბილი, როდესაც ერთდროულად გააქვს წინა მარჯვენა და უკანა მარცხენა ფეხი და პირიქით“ (მარტვ.); „ფეხების ტყუპად, წყვილ-წყვილად გადადგ-

მა“ (ჩხორ.). ფორმა მიღებულია საერთოქართველური **ტყუბ-** ფუძის მეგრულ შესატყვის **ტკუბ-** / **ტყუბ-** (ყიფშიძე 1914: 329; ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 305) ფუძეზე თვისების აღმნიშვნელი **-ურ** ბოლოსართის დართვით. ამ ფორმიდან გვაქვს მიღებული კომპოზიტი **ტკუტკუბურო** „ტყუპად“: **ტკუტკუბურო** ქიმიოგვ კვარტი ცხენქ „ორივე ფეხით (ერთად) დაარტყა ცხენმა წიხლი“. რედუპლიცირებულ **ტკუბ-ტკუბ-**ში **ბტკ** კომპლექსი გამარტივდა ბ-ს დაკარგვით. **-ურ** თვისების აღმნიშვნელი სუფიქსია, **-ო** ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, ე. ი. კომპოზიტი ზედმიწ. ნიშნავს „ტყუპტყუპად“ (შენგელია 1999: 178).

**ბუქნარი** „ცხენის მსუბუქად, თამაშით სიარული“ (ჩხორ.): [ცხენი] მუში ოქროში საკვდეროთ ჯარც **ბუქნარც** აშართედგ „[ცხენი] თავისი ოქროს სამკერდულით ჯარში ბუქნაობდა“ (სამუშია 1971: 106). ფორმა მიღებულია ქართულიდან შეთვისებული **ბუქნა** ზმნური ძირისაგან (ქეგლ I: 1192).

**ლაყაფი** „ცხენის მსუბუქად, თამაშით სიარული“ (ჩხორ.): ქოჩორაქ **ქალააფინუ** რაში (ყიფშიძე, 1914, 98) „ქოჩორამ აათამაშა რაში“. **ლაყაფი** „თამაშს“ ნიშნავს (ჭარაია 1997: 86). ქართულ ენაშიც **თამაშის** ერთ-ერთი მნიშვნელობა „ცხენის მოხდენილად ტარებაა“ (ფოჩხუა 1987: 203). ზმნის პირიდან ფორმებში ორ ა ხმოვანს შორის რედუცირებულია **ყ** თანხმოვანი.

**ქვაქვალი** „ცხენის მსუბუქად, თამაშით სიარული“ (ჯვ.), **მიქვაქვალუ** „თამაშით მირბის“. ფორმა წარმოდგენილია რედუბლიცირებულ ფუძეზე მასდარის -**ალ** მაწარმოების დართვით. შდრ. თუშური **ქაქვაკი** „თავმომწონედ, კოხტად სიარული იორღა ცხენისა“ (ხუბუტია 1969: 156).

**ქვექინი** „ცხენის მსუბუქად, თამაშით სიარული“ (ჩხორ.), **მიქვექვუ** (< **მიქვექვუ**) „მსუბუქად მირბის“. ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა რედუბლიცირებული ფუძე, რომელზეც დართულია მასდარის მაწარმოებელი -**ინ**. შდრ. ძვ. ქართული **ქვექვი** „ცხენის მიქუსლ-მოქუსლვა“ (საბა 1993: 219).

**როკუა** „ცხენის სათამაშო ხტუნაობა“ (ხოზი), **როკუნს** „ხტის“, **მეროკუნს** „მიხტის“. იგივეა, რაც ცეკვის, როკვის აღმნიშვნელი მეგრული **როკუა** „როკვა“ (ჭარაია 1997: 118), სადაც **როკ-** ქართული **როკ-ვ-ა-ს** ძირია.

რადგან **-უ-ა** სუფიქსიანი მასდარის წარმოება ყველაზე პროდუქტულია მეგრულში და ჩვენს ნაშრომში ამგვარად გაფორმებული ტერმინები მრავლად გვხვდება, ორიოდ სიტყვით მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ამ ტიპის წარმოებასთან დაკავშირებით.

**-უ-ა** სუფიქსიან ფორმათა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული: ნ. ნათაძე მიიჩნევს, რომ მეგრულში **-უნ** (< **-უმ**) თემისნიშნთან ზმნას **-უ-ა** დაბოლოებისანი მასდარი შეესატყვისება: **თასუნს** – **თასუა** „თესავს – თესვა“ (ნათაძე 1959: 140-142). იმავე ნაშრომში მი-

თითებულია ტ. გუდავას მოსაზრება, რომ -უ-ა დაბოლოები-  
ან მასდარში -უ -ოვ (< -ავ)-ისაგან მომდინარეობს და ამდე-  
ნად თემის ნიშნის ნაშთს წარმოადგენს. იგი წარმოქმნილია ვ-  
ს წინამავალ უ-სთან შერწყმის გზით ხმოვნის წინა პოზიცია-  
ში: ტახ-ავ-ს – ტახ-უნ-ს, \*ტახ-ავ-ს > ტახოვა > ტახუა „ტეხს  
(„ტეხავს“) – ტეხვა“ (ნათაძე 1959: 142).

სხვა შეხედულების მიხედვით, მასდარის ფორმებში  
წარმოდგენილი უ აჟ-ჟ თემის ნიშნის ვარიანტია #(C)C-V#  
პოზიციაში. აქედანაა გადასული სხვა პოზიციაში (გამყრე-  
ლიძე, მაჭავარიანი 1965: 56-62). ლ. ნადარეიშვილი ვარაუ-  
დობს, რომ -უნ თემისნიშნისაგან ნაწარმოები -უ-ა  
დაბოლოებიანი მასდარის ანალოგიით გავრცელებულია იმ  
მასდარებშიც, რომელთაც შესაბამისი ზმნური ფუძეები აწ-  
მყოში არ იწარმოება -უნ თემატური სუფიქსით: ტყაბარუა –  
ტყაბარანს „[გა]-ტყავება – [ა]-ტყავ-ებ-ს“ (ნადარეიშვილი  
1964: 262-263). ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია ის თვალსაზრისი,  
რომლის მიხედვითაც -უ-ა დაბოლოებიანი წარმოება ანალო-  
გიითაა გაჩენილი იმ ფორმებშიც, რომლებიც -უნ თემის ნი-  
შანს არ დაირთავენ.

**ტორიში** „ცხენის სათამაშო ხტუნაობა“ (ჯვ.), **მოტირი-**  
**შუ** „მიხტის“. მასდარი **ტორიში** ნანათესაობითარი ფორმა,  
სადაც **ტორ-** ძირია, -**იმ** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.  
**ტორი** „ზოგი ცხოველის ფეხი, ტოტი, თათი“ (ქეგლ VI: 1922).

**რულა** „ცხენის ჭენება“ (ჩხორ.): კოს სინდისით აფასე-  
ნა, ცხენს – **რულათია** „კაცს სინდისით აფასებენ, ცხენს – სირ-

ბილითო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 70), **ქარულეს** ცხენეფი წოხოლე დუდი კათაქე (ყიფშიძე 1914: 99) „გააჭენეს ცხენები წინ თავკაცებმა“. **რულა** სირბილის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვაა (ყიფშიძე 1914: 309; ჭარაია 1997: 119). შდ. **მა-რულ-ა**, **გე-რულ-აფ-ა** / **გო-რულ-აფ-ა** (იხ. ქვემოთ).

**მორქია** „ცხენის მაგრად გაჭენება“ (წალენჯ.): [უკლამ ჯიმაქ] ტყაშა **გურქუ** რაშის (ყიფშიძე 1914: 79) „[უმცროსმა ძმამ] ტყისკენ გააქანა რაში“. სიტყვა ზედმიწ. ნიშნავს „მოქნევას“, გულისხმობს ერთი მოქნევით, სწრაფად გავარდნას (სხვა მნიშვნელობის შესახებ იხ. ქვემოთ ცხენოსნობის ლექსიკასთან).

**ნჯილიში** / **ჯილიშტი** „ჭენება“ (ჩხორ.): ქიმიონჯილი-შუ მუში რაში შენობაშა „მიაჯირითა თავისი რაში შენობასთან“ (დანელია, ცანავა 1991: 170). მეგრული **ნჯილიში** / **ჯილიშტი** სირბილს ნიშნავს, **მინჯილიშუ** „ხმაურით, ენერგიულად მირბის“. როგორც ჩანს, სიტყვა უკავშირდება **ჯილით-** / **ჯილით-უ-ა** ფორმებს (იხ. ქვემოთ). ერთ შემთხვევაში ანლაუტში **ნ** სონორია განვითარებული, მეორე ფორმაში კი **შ**-ს შემდგომ **ტ** თანხმოვანი.

**გოქურსუა** / **გოქურცუა** / **გოქუცუა** „ცხენის მაგრად გაჭენება“ (ხობი). ამ ვარიანტებში ისევე, როგორც მის ქართულ შესატყვისში **გაქუსლვა** „ცხენის ჩქარი ჭენება“ (საბა 1991: 150; ლეონიძე 1925: 14), გამოიყოფა **ქურს-** / **ქურც...** „ქუსლი“. პირიანი ფორმა იქნება **გო-ქურს-უ** „გაქუსლა“.

**გოლენდუა** „ცხენის მაგრად გაჭენება“ (ჯვ.). შესაძლოა, ძირად გამოყენებული იყოს **ლანდ-** ფორმა. **გოლენდ** (< **ლანდ**)-**უ-ა-ში გო-** პრევერბია, **ლენდ-** (< **ლანდ**) ძირი, **უ** თემის ნიშნის ნაწილი, -ა მასდარის მაწარმოებელი. სიტყვა ხშირად გამოიყენება სხვა შემთხვევებშიც. მაგ.: **გოლენდუ, ლანდცალო** ქეწმოდინუ „გავარდა, ლანდივით დამეკარგა“.

**ქენჩუა, ქენჩინი** „ცხენის ჭენება“ (ხოზი), ცხენი **მიქენჩუ** „ცხენი მირბის“. ერთი ძირისაგან სხვადასხვანაირად ნაწარმოები მასდარებიდან ერთ შემთხვევაში -**უნ** თემატური ნიშნის ნაწილზე (-**უ-ზე**) დართულია სახელზმნის -ა მაწარმოებელი, მეორე შემთხვევაში კი – ძირზე -**ინ** ბოლოსართი. გამოიყოფა **ქენჩ-** ძირი (**ქენჩ-ინ-ი, ქენჩ-უ-ა**), რომელიც მიიჩნევა თურქულიდან ნასესხობად (ბაღათურია 1991: 3). ამოსავალ ფუძედ უთითებენ თურქ. **ქეჩი** „თხა“ და მის გადატანით მნიშვნელობას **ქეჩი ქაჭალუ** „ჯიუტი“ (ბასკაკოვი 1977: 528). სესხებისას მეგრულში განვითარებულია **ნ** სონორი. **ქეჩ-** ძირი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში და მნიშვნელობა თავდაპირველ სემანტიკასაან საკმაოდ დაშორებულია, მაგ. ლეჩხუმურში **ქეჩალი, ათხაჯი** „შეუპოვარი, აწყვეტილი, მოუსვენარი“ (ალავიძე 1938: 157), ქართლურში **გაუქეჩავს** „მამალ ცხვარს, ქეჩს წაუძლოლებს ფარას“, **ქეჩერობს** „ყოყლოჩინობს, დიდგულობს“ (ბეროზაშვილი 1981: 123, 420), თუშურში **გაქეჩვა** „ცხვრის ფარის წინ ვაცის დაყენება, რომ ფარა მას გაჰყვეს“ (ხუბუტია 1969, 81), „გზის მიმართულების მი-

ცემა ფარის ან ჯოგისათვის“ (გურგენიძე 1989: 141).

მეგრულში **ქენჩ-უ-ა**, **ქენჩ-ინ-ი** ადამიანთან მიმართე-  
ბაშიც გამოიყენება და მოუსვენარ, ენერგიულ მოძრაობას აღ-  
ნიშნავს.

**დურინუა / ტურინუა**, **დურინი / ტურინი** „ცხენის  
სწრაფი ჭენება“ (ზუგდ.).

ზემოთ განხილული **ქენჩუა** – **ქენჩინ-ის** მსგავსად, ვა-  
რიანტთა ერთ წყვილში (**დურინ-უ-ა / ტურინ-უ-ა**) თემის  
ნიშნიან ფორმაზე დართულია მასდარის -ა ნიშანი, მეორე შე-  
მთხვევაში კი (**დურ-ინ-ი / ტურ-ინ-ი**) ძირზე მასდარის -ინ  
მაწარმოებელი. შევნიშნავთ, რომ ამ ფორმებში მასდარის მა-  
წარმოებელი ფუძესთან შეზრდილია ისევე, როგორც **ჭირხ-  
ინ-**, **ხირხ-ინ-**... შემთხვევებში (იხ. ზემოთ). ვარიანტები,  
გარდა მასდარის პარალელური წარმოებისა, წარმოდგენი-  
ლია ანლაუტში მჟღერი და ყრუ სახეობებით. ი. ყიფშიძე ამ  
ვარიანტებს წარმოადგენს **ფურინ-ის** („ფრენა“) პარალელუ-  
რად (ყიფშიძე 1914: 06). აქვს პირიანი ფორმები: ცხენი **მიდუ-  
რინუ / მიტურინუ** „ცხენი სწრაფად მირბის, მიქრის“.

**ჯექუა**, **ჯექინი** „ცხენის გრძელ-გრძელი ნახტომებით  
სირბილი“ (ჩხორ.). მასდარები წარმოდგენილია სხვადასხვა  
ფორმით: -უ თემისნიშნიან და უთემისნიშნო ფუძეებზე და-  
რთულია -ა და -ინ მაწარმოებლები (შდრ. **ქენჩუა** – **ქენჩინი**,  
**დურინუა** – **დურინი**). პირიანი ფორმა იქნება **მი-ჯექ-უ** „მი-  
ხტის“. შესაძლოა, უკავშირდებოდეს **ჯექურ-ს** „პირდაპირი,  
შეუპოვარი“ (ქეგლ VIII: 1596), **ჯექურო / ჯუქურო** მეურს



„ჯიქურად“ (პირდაპირ, უშიშრად) მიდის“ (ჭარაია 1994: 185).

**ჟუმინუა, ჟუმინი** „ცხენის სწრაფი სირბილი“. **გილა-ჟუმინუა** „ცხენის სწრაფი ჭენება აქეთ-იქით“ (ზუგდ.). ცხენი **მიჟუმინუ** „ცხენი სწრაფად მირბის“. მ. ხუბუა **ჟუმინ-** ფორმას, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც სულიერთა, ისე უსულო საგანთა მიმართებაში (ისინდიშორო **მიჟუმინუ** „ისარივით მიქრის“, **იჟუმინუანს** ბიგას „იქნევს ჯოხს“), მიიჩნევს სპარსულიდან ნასესხობად (ხუბუა 1945: 733). შესაძლოა, **ჟუმ-ინ** სიტყვა მეგრული ხმაბაძვითი ფუძისაგან მომდინარეობდეს (შდრ. **ზუზუნი – მიზუზუნებს, ჩაიზუზუნა** „ჩაიქროლა“) და არა სპარსული **ჟუმინ-** / **ზუბინ-**. ასეთ შემთხვევაში **-ინ** მასდარის მაწარმოებლად განიხილებოდა, რომელიც ძირთან შეზრდილია და მასდარის ფორმისაგან აწარმოებს პირიან ფორმებს: **ჟუმინი > ჟუმინუნს**, შდრ. **ჭირხინი > ჭირხინუნს**.

**ჟვენგუა, ჟვენგინი** „ხტომა“ (ზუგდ.): ცხენქ **გვენოჟვენგუ** „ცხენი გადახტა“. აქაც საქმე გვაქვს მასდარის პარალელურ წარმოებასთან **-ა** და **-ინ** სუფიქსებით, რომლებიც დაერთვის **-უ** თემისნიშნიან ან უმისო ძირს.

**თხირიში** „თხლაშუნი, ცხენის ხმაურით სირბილი“ (ზუგდ.), **მითხირიშიუ** „ხმაურით მირბის“. „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ეს ლექსემა სხვა ფორმებთან – **თხირაში-** / **თხიროში-**თან ერთად დაკავშირებულია ქართულ **თხლეში-** / **თხლიში-** / **თხლაში-** ძირებთან და განმარტე-

ბულია, როგორც „თხლეშა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 160). როგორც ჩანს, მეგრულიდან შეთვისებულად უნდა განვიხილოთ იმერული **თქირიში** „ჭენება, ხმაურით სირბილი“, გადატ. „უთავბოლო და უმიზნო სირბილი“ (ლლონტი 1974: 255).

**გილაბურგონი** „ცხენის უგზოუკვლოდ, უმისამართოდ სირბილი“ (ზუგდ.). **გილებურგონუ** „ხმაურით დარბის“. გამოიყოფა **ბურგ-** ძირი, რომელიც „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ დაკავშირებულია **ბრაგ-{უნ}**-თან. ეს ძირი სვანურშიც იძებნება **ბერგენ** სახით, რომელიც მეგრულიდან ნასესხობად ივარაუდება (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 58).

**ძვამძალი** „ცხენის უხეირო ძუნძულით სიარული“ (ხოზი). **ძვამძავი** „ცხენის უხეირო ძუნძულით ტარება“ (ხოზი): ქოჩორაშ ცხენი ეშა-გგმა **ქიმიძვამძუ** ურიაში ცხენიგალო (ყიფშიძე 1914: 94) „ქოჩორას ცხენი ზევით-ქვევით მიძუნძულებს ურიას ცხენივით“. ფორმა წარმოდგენილია რედუპლიცირებული ფუძით. პირველ შემთხვევაში -**ალ** მასდარის მაწარმოებელია, მეორე შემთხვევაში -**ავ** კაუზატივის ნიშანი.

**ძაგვალი** „ცხენის ძუნძულით სიარული“ (მაკალათია 1941: 202). ს. მაკალათიას მითითებით, **ძაგვალით** სიარული აუცილებელი მომენტი იყო ცხენის გახედნისას და მის სწავლებას 2-3 თვეს ანდომებდნენ (იქვე). გამოიყოფა **ძაგვ-** ძირი და -**ალ** მასდარის მაწარმოებელი. პირიან ფორმას აწარმოებს

როგორც ძირისაგან, ასევე მასდარისაგან: **მიძაგუ / > მიძეგუ** და **მიძაგვალუ** „მიძუნძულეbs“.

**ყალყი** „ცხენის უკანა ფეხებზე შედგომა“ (ჯვ.). სიტყვა ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. თვით ქარულში კი თურქულიდანაა შემოსული.

**მოთინუა** „ყალყზე შედგომა“ (მარტვ.). სიტყვა მიღებულია **თინ-** ძირისაგან, ნიშნავს „სწორს“. **მოთინუა** „გასწორება, გამართვა“. ცხენქ **მოთინუ** „ცხენი ყალყზე შედგა“, ცხენი **მითინუ** „ცხენი ყალყზე შეაყენა“.

**ჟირკუჩხიშ გერნა** „ყალყზე შედგომა“ (სენაკი). ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით ნიშნავს „ორ ფეხზე დგომას“. მეგრულში მსაზღვრელი კომპოზიტითაა წარმოდგენილი.

**დობარკალაფა** „ცხენის ფეხის წამიერი წაფორხილება“ (ჯვ.). ფორმა ასე დაიყოფა: **დო-ბარკ-ალ-აფ-ა**. ვფიქრობთ, **ბარკ-** ძირი, რომელიც გამოიყოფა ლექსემაში, უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ **ბორკ-** და ქართულ **ბარკ-ალ** ფუძეებს. ლექსემაში **ლ-** პრევერბია, **ბარკ-** ძირი, **-ალ-** მასდარის მაწარმოებელი, **-აფ** თემატური ნიშანი, **-ა** კი კვლავ მასდარის ნიშანი, რომელიც თემისნიშნიანი ფორმისგან აწარმოებს საწყისს. ამ მასდარის პირიანი ფორმა იქნება **ობარკ-ალ-აფ-უ-ან-ს**.

**დოჩარქალაფა** „ცხენის ფეხის წამიერი წაფორხილება“

(წალენჯ.). ზემოთ მითითებული ტერმინის სტრუქტურა გვავარაუდებინებს, რომ **დო-ჩარქ-ალ-აფ-ა** ფორმაც იმავე მოდელისაა და ძირად გამოიყოფა **ჩარქ < ჩორქო**, რაც ცხენის ფლოქეს, ჩლიქს ნიშნავს.

**ბორჯღივი** „ცხენის ფეხის წამიერი შებრკოლება“ (ჯვ.). როგორც ჩანს, სიტყვა მატერიალურადაც და სემანტიკურად უკავშირდება ქართულ **ბორძიკ**-ს „ფეხის გადაბრუნება ან წამოდება რამეზე და წაბარბაცება“ (ქეგლ I: 1108). ფუძეში ქართულიდან მეგრულში სესხების შემდეგ განვითარებულია **ღ** თანხმოვანი.

#### **§ 4. ცხენოსნობისა და სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკა**

მეგრელები ოდითგანვე განთქმული მოჯირითეები იყვნენ. „მეგრელები კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან“, – აღნიშნავდა ცნობილი მოგზაური ჟან შარდენი (შარდენი 1975: 119). „ცხენის ჯირითი და გათამაშება სამეგრელოში ძალიან გავრცელებული იყო. ცხენის „მარულა“-ს აწყობდნენ წელიწადში რამდენჯერმე რომელიმე დიდ დღესასწაულთან დაკავშირებით“ (მაკალათია 1941: 202). არქ. ლამბერტი აღწერს ცხენოსნობასთან დაკავშირებული სპორტული თამაშობის ორ სახეობას – ბურთაობას და ნიშანში მშვილდით ისრის სროლას (ცხენბურთი და ყაბახი), მაგრამ არ მიუთითებს მათ მეგრულ სახელწოდებას (ლამბერტი 1938: 94-

97). სამწუხაროდ, დღეისათვის იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც ჯირითობა შემორჩა და არც ცხენოსნობასთან დაკავშირებული სპორტული თამაშობები. შესაბამისად, იკარგება მასთან დაკავშირებული ლექსიკაც. ეთნოგრაფიული ხასიათის შრომები გვიჩვენებენ, რომ ცხენოსნობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ტერმინთა საკმაოდ ფართო სპექტრს აერთიანებდა. დღეს ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში ეს სიტყვები, გარდა ფართოდ გავრცელებული სპორტული სახეობების აღმნიშვნელი ტერმინებისა, გამქრალია, ან შემორჩენილია, მაგრამ გაბუნდოვანებულია მათი სემანტიკა.

**მარულა** „დოლი“, „შეჯიბრება ცხენების ჭენებაში“ (ციფშიძე 1914: 310; ჭარაია 1997: 91; წალენჯ., ჩხორ., ხობი, სენაკი). ძირად გამოყენებულია **რულა**-ა „სირბილი“. **მარულა** ეყრდნობა **რულა**-ა ძირისაგან მიღებულ **მა-რულ-ე-ს** („მორბენალი“), რაც ზედმიწ. ნიშნავს „მორბენალობას“ (დანელია 1991: 625). ლ. ლეონიძე მიუთითებს, რომ სიტყვა გავრცელებულია იმერულსა და გურულში (ლეონიძე 1925: 39), სადაც ზანიზმად უნდა მივიჩნიოთ. ეს ტერმინი მეგრულიდან ქართულში გადავიდა და ცხენოსნობის სხვა ტერმინებთან ერთად სრულფასოვანი ლექსიკური ერთეულია სალიტერატურო ენაში (ქეგლ V: 70). ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ქვემოთ მითითებულ სხვა ტერმინებთან დაკავშირებით, საქმე გვაქვს მნიშვნელოვან ფაქტთან, როცა ქართული სალიტერატურო ენა – საერთოეროვნული და სახელმწიფო ენა მდიდრდება უმწერლობო ენის მასალით.

**გერულაფა / გორულაფა** „ცხენის გაჭენება მარულას დაწყებამდე“ (ზუგდ., წალენჯ.) ჯირითობაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო. „გერულაფას მარულას წინა დლით მოწყობილ საცდელ დოდს უწოდებენ ოდიშარები... მარულას წინა დდეს ცხენოსნები ველზე გაიყვანენ თავიანთ ტაიჭებს, აჯირითებენ, აჭენებენ, სხაპს აქნევინებენ, გულს უხურვებენ“ (გამსახურდია 1990: 156). ორივე ვარიანტი წარმოადგენს ზემოთ მითითებული **რულა** ფუძის კაუზატივის ფორმას: **გე- / გო-რულ-აფ-ა-ში გე- / გო-** პრევერბია, **რულ-** ზმნის ძირი, -**აფ** კაუზატივის ნიშანი, -**ა** მასდარის მაწარმოებელი. დოდის აღსანიშნავად გამოიყენება ამ მასდარის უზმნისწინო ფორმა **რულ-აფ-ა / რუა-აფ-ა** (ჯვ., მარტვ.): [სი] ბოშალას გიცქვანდეს ცხენეფიშ **რულაფას** „[შენ] ბიჭობას გიქებდნენ ცხენების ჭენებაში“ (სამუშია 1971: 44). **რუაფა**-ში მარტვილურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა მოხდა. კერძოდ, **ლ > ო**.

**ისინდი** „დოლი, მარულა, ჯირითის სახეობა“ (წალენჯ.). **ისინდუა** „ცხენის თამაშობა“ (მაკალათია 1941: 202). „ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ ლექსემა უფრო ვრცლადაა განმარტებული: „ცხენოსნობის სახეობა, გუნდური შეჯიბრი – პატარა ჯოხის (ისინდის) სროლა ერთმანეთისთვის“ (ფოჩხუა 1987: 237). ქეგლ-ის მიხედვით, **ისინდი** „1. ცხენოსნობაში შეჯიბრის ერთ-ერთი სახეობაა, აგრეთვე 2. სასროლი ჯოხი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში ხმარობენ“ (ქეგლ IV: 816). სიტყვის ფუძე ქართული **ისარ-** ფუძის მე-

გრული შესატყვისია: **ისინდი** / **ისინჯი** „სათამაშო ისარი“ (როგავა 1962: 60). მეგრულში განვითარებულია **ნ** სონორი. იგივე სიტყვა **ნ** სონორის გარეშე გვაქვს ლაზურში: **ისიჯი** „ისარი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 266). მეგრულში ამოსავალია **ისინჯი**, შემდეგ მოხდა **ჯ**-ს დეზაფრიკატიზაცია: **ისინჯი** > **ისინდი** (როგავა 1947: 354). ქართული **ისინდი** „ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა“ უნდა განხილულ იქნეს ქართულში მეგრულიდან (resp. ზანურიდან) ნასესხობათა რიგში. სემანტიკის გადაწევა ისრის აღმნიშვნელი მეგრული ლექსემიდან სპორტული თამაშობის აღმნიშვნელ ტერმინზე მოხდა მეგრულშივე. მეგრულში დოღის მნიშვნელობით წარმოდგენილია ჩვენს მიერ განხილული ლექსემიდან მიღებული **ისინდ-უ-ა**.

**თარჩია** „ცხენოსნობის სახეობა – ბაირაღის გატაცება“ (მაკალათია 1941: 202); „სპორტის ერთ-ერთი სახეობა“ (ელიავა 1997: 171); „ჯირითი“ (წალენჯ.): პატენსქუა [...] გეხედ ვარყას ჭკადემისგ, **თარჩიას** გილართედგ „ბატონიშვილი მჭედლის ულაყზე იჯდა და თარჩიას აკეთებდა“ (სამუშია 1971: 69). ქეგლ-ის მიხედვით, **თარჩია** „ძველებური ქართული ცხენოსნური სპორტის სახეობაა“ (ქეგლ IV: 344). **მარულა**-ს მსგავსად, უმწერლობო ენის დიალექტის კუთვნილი ლექსემა შესულია სალიტერატურო ენაში და თავისი მკვიდრად მიჩნეული ადგილი უჭირავს. ეს და ამ დარგში წარმოდგენილი სხვა ლექსემები, რომლებიც შეთვისებული აქვს ქართულ სალიტერატურო ენას, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორი მნიშვნელობა და ფუნქცია ჰქონდათ უმწერლო-

ბო ქართველურ ენებს საერთოეროვნული, სახელმწიფო ენის გამდიდრების საქმეში.

თვით **თარჩიას** თამაში შემდეგში მდგომარეობდა: ერთ-ერთი მხედარი მიიღებდა ბაირაღს, ან სხვა ნივთს და სა-თამაშო მოედანზე გავიდოდა. დანარჩენი მხედრები მას გამოედევნებოდნენ და ცდილობდნენ ბაირაღის წართმევას. ბაირაღი ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. გამარჯვებულად მიიჩნეოდა ის მხედარი, რომელიც განსაზღვრული დროის მანძილზე შეინარჩუნებდა ბაირაღს. **თარჩია** ტარდებოდა ცნობილი მხედრის გარდაცვალების წლისთავზე, მისი ხსენების დღეს და ა. შ.

ვვარაუდობთ, რომ ტერმინისათვის ამოსავალი უნდა იყოს სპარსული წარმოშობის **თარეში**, რომლის ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობა ქართულში თავისუფლად სიარული, თავის ნებაზე ნავარდია (ქეგლ V: 341-342). შდრ. თუ-შური **თარეში ცხენისა** „ცხენის თამაშით ჭენება“ (ხუბუტია 1969: 102). **თარეშ**-ს მეგრულში **თარაში** ენაცვლება (ჭარაია 1997: 69). სემანტიკური სიახლოვის გამო სპორტული თამაშობის აღმნიშვნელი ტერმინის ძირად მეგრულმა ეს სიტყვა გამოიყენა და დაუმატა -ია სუფიქსი, რომელიც ხშირად გვხვდება მეგრულში თამაშობების აღმნიშვნელ ლექსემებში. მაგ. **ხინტკირ-ია** „კენწლაობა“, ოდიშურ-აფხაზური დუელი, სატევრებით შეჯიბრება“ (გამსახურდია 1990: 100), **ტკუტკუ-ბურა-ია** „ფეხებშეტყუპებით გადახტომა“... სუფიქსის დართვამ გამოიწვია ფუძეში ხმოვნის რედუქცია: \***თარაში-ია** > \***თარშ-ია** > **თარჩ-ია**. რაც შეეხება **შ** > **ჩ** პროცესს, სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ **შ** სპირანტის აფრიკა-



ტიზაცია (შ > ჩ) ქართული და ზანური ენების საერთო კანონ-ზომიერებაა და არა მხოლოდ ქართული ენის რომელიმე დიალექტის ან დიალექტთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა (ლომთაძე 1999: 204). დღევანდელ მეგრულში **თარჩია**-ს სემანტიკა გაფართოვდა და თავდაპირველ მნიშვნელობასთან ერთად ხმაურით, ენერგიულად მოძრაობასაც გულისხმობს.

ეს ტერმინი ოდნავი ფონეტიკური ცვლილებებით გვხვდება აფხაზური ენის ორივე დიალექტში **ა-თარჩე** / **ა-ჩართე** სახით, ნიშნავს ცხენით ერთგვარ თამაშს წლისთავზე ქელეხის დროს (ჯანაშია 1954: 121). ს. ამიჭბას განმარტებით, **ათარჩე** „поминальные скачки“ (ამიჭბა 1975: 120), ე. ი. ტერმინს რიტუალური დატვირთვა აქვს, კერძოდ, ტარდებოდა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. იგივეა ამ სიტყვის ოდინდელი მნიშვნელობა მეგრულში. ო. ვახანიას მიერ აღწერილი **ათარჩე** (ვახანია 1959: 28) ძალზე ჰგავს ჩვენს მიერ მოძიებულ მასალას. ფაქტობრივად საქმე გვაქვს ერთი და იმავე თამაშობის სახეობასთან, რომელიც საერთო სიტყვითაა გადმოცემული მეგრულსა და აფხაზურში.

აფხაზური ენისათვის ამოსავალია აბჟუური ფორმა **ა-თარჩე**. ვ. კვარჭია დასაშვებად მიიჩნევს სიტყვის თურქულ წარმომავლობას და უკავშირებს **დერეჩე** ფორმას, რაც ღირსებას ნიშნავს (კვარჭია 1981: 96). **ა-თარჩე**-ს თურქულიდან მომდინარეობას დაბრკოლება ახლავს. სემანტიკურად ძნელად დაუკავშირდება „ღირსება“ დოღს, შეჯიბრებას ცხენოსნობაში, თუნდაც რიტუალურს. ისეც რომ იყოს, როგორც აფხაზი მეცნიერი წარმოგვიდგენს და მეგრული და აფხაზუ-

რი ფორმებისათვის ამოსავალ ძირად თურქული ფორმა მივიჩნით, აფხაზურისთვის სესხების შუალედურ რგოლად მაინც მეგრული უნდა ჩაითვალოს. ამაზე აფხაზური ლექსემის -**ემ** დაბოლოება მიგვანიშნებს, რომელიც ჩნდება ქართველური ენებიდან ნასესხებ მასალაში. შდრ. აფხაზ. **ა-კალემ** < ქართ.-მეგრ. **კალა**, აფხაზ. **ა-მემე** < ქართ.-მეგრ. **მიძა**, აფხაზ. **ა-ჯქრემ** „სიმინდი“ < ქართ. (იმერ.) **ჯიქურა** „ცოცხის მცენარე, სორგო“, აფხაზ. **ა-ბემე** „მმარი“ < მეგრ. **ბაჟა**. აფხაზურს ნასესხებ სიტყვებში აუსლაუტში ახასიათებს დიფთონგიზაცია (გვანცელაძე 1998: 35).

**ჯილითი** / **ჯგლითი** „ჯირითი“, **ჯილითუა** „ჯირითობა“ (ჭარაია 1997: 284); **ნჯილითი** (ზუგდ.): ექი **ჯილითი** ცხენიში გილაყუნა ცირეფიში (ყიფშიძე 1914: 151) „იქ [არის] ჯირითი ცხენების, ქალიშვილების გაცილება“. სიტყვა ქართულის გზით არის შემოსული არაბულიდან. ამოსავალია **ჯარნდ** „მოკლე სატყორცნი შუბი“, ქართულში კი ცხენოსნობაში შეჯიბრების ერთ-ერთ სახეს აღნიშნავს (ქეგლ VIII: 1593). **ჯილით**-ში სემანტიკის ცვლილების დინამიკა ისევეა წარმოდგენილი, როგორც **ისინდ**-ში, კერძოდ, ლექსემის თავდაპირველმა სემანტიკამ (ისარი, შუბი) გადაიწია და აღნიშნა თამაშობა, სადაც ეს იარაღი გამოიყენება. მეგრულში სესხებისას მოხდა სუბსტიტუცია – ქართული ფორმის **რ** მეგრულში **ლ**-თი შეიცვალა, რიგ შემთხვევაში ანლაუტში განვითარდა **ნ** სონორი. იგივე სიტყვა ინლაუტში სონორჩავარდნილი ფორმით გვაქვს ლაზურში: ახლა ცხენეფეში **ჯიითი** ქოგიჭკუ „ახლა დაიწყო ცხენების ჯირითი“. მეგრულში ტერმინი

წარმოდგენილია როგორც სახელის, ასევე მასდარის (**ჯი-ლით-უ-ა**) სახით. შდრ. ისინდი – ისინდ-უ-ა. იგივე სიტყვა გვაქვს სვანურშიც: **ლიჯრითალ** „ჯირითობა“ (ლიპარტელიანი 1994: 196), **ლიჯირითალ** (ბქ.), **ლიჯირითალ** (ბზ.).

**დოდი** „მარულა, ცხენების ჭენებაში შეჯიბრება“ (წალენჯ.). ტერმინი მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული (ქეგლ III: 1216). თვით ქართულში ოსურიდან შემოსულად მიაჩნია ვ. აბაევს, სადაც შუააზიური თურქულიდან ნასესხობად ივარაუდება. გამსესხებელ ენაში **დოდ** „დასაფლავების ცერემონიალს“ აღნიშნავს, რომლის აუცილებელი ატრიბუტი ყაბახთან ერთად ცხენოსნობაში შეჯიბრიც იყო, ამიტომ **დულ** / **დოდ** ჩვეულებრივად გაიგებოდა, როგორც მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი შეჯიბრება ცხენოსნობაში (აბაევი 1958: 373-374). სიტყვის სემანტიკის ცვლილების დინამიკა აქ ამგვარადაა წარმოდგენილი: გამსესხებელ ენაში თავდაპირველად დასაფლავების ცერემონიალს აღნიშნავდა, შემდეგ მოხდა სემანტიკის დავიწროება და მსესხებელ ენებში ამ ცერემონიალის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს აღნიშნავდა. ეს ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდა მას ძველ სამეგრელოში. დღეს სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობებიდან გამომდინარე (დასაფლავებასთან დაკავშირებული ეს რიტუალები სამეგრელოში არ სრულდება) სიტყვას ცხენების ჭენებაში შეჯიბრების მნიშვნელობა აქვს (შდრ. ისინდი, ჯილითი). ნასესხობის ეს გზა (ოსურიდან ქართულში) დასაშვებად მიაჩნია მ. ანდრონიკაშვილს და თავის მხრივ დასძენს, რომ ძველ ქართულში (საბასთან) სიტყვა **დოდი** არ გვხვდება (ანდრონიკაშ-

ვილი 1966: 86).

**კიდირი / კვდგრი** „ცხენის ყალყზე შეყენება“, **კიდირობა** „ცხენის თამაშობა“ (მაკალათია 1941: 202), **კიდირუა / კვდგრუა** „ცხენის ყალყზე შედგომა“ (წალენჯ., ჩხორ.), **კიდირაფა** „ცხენის ყალყზე შეყენება“ (წალენჯ.): [პატენსქუაქ] მართახ მოთინ, მოურქიუ, ცხენცე ქურსი ქიმოგგ, **კვდგრი** ქაქამინაფუ „[ბატონიშვილმა] მათრახი შემოუქნია, ცხენს ქუსლი ჰკრა, მკერდით შემართა ყალყზე („მკერდი აქნევიანა““ (სამუშია 1971: 69). წარმოდგენილ ვარიანტთა ძირად გამოყენებულია **კიდირი / კვდგრი** „მკერდი“. **კიდირ-ობა** ქართული -**ობ** თემატური ნიშნითა და მასდარის -**ა** სუფიქსითაა გაფორმებული. **კიდირ-უ-ა**-ში ზემოთ განხილული -**უ-ა** მასდარის მწარმოებელი გამოიყოფა, **კიდირ-აფ-ა** კი იმავე ძირიდან ნაწარმოები კაუზატივის ფორმაა. ინფორმატორთა განმარტებისა და საილუსტრაციო მასალის მიხედვით შეიძლება დავაკონკრეტოთ სიტყვის სემანტიკის ცვლა. მეგრული **კიდირი** „მკერდია“. არსებითმა სახელმა გამოხატა ცხენის ყალყზე შეყენების (მკერდის გამოჩენის, „ამკერდების“) ცნება. **მეკვდგრე ცხენი** „მოჭიდავე ცხენია“, **ცხენეფიშ კიდირაფა** „ცხენებით ჭიდაობა“. **კიდირაფა-ს** ზედმიწევნითი სემანტიკაა ყალყზე შემდგარი ცხენების შეჯახება მკერდებით (შდრ. იმერული **მკერდაობა, შემკერდება** „ჭიდაობა“).

**მორქია** „შეჯიბრება ცხენების ჭენებაში მოკლე მანძილზე“ (წალენჯ.): 6 საათის მინწყუაფუ ცხენეფიში **მორქია**, **კვდგრუა** დო თარჩია (ყაზახიშ გაზეთი 1930: 11, 4) „6 საათზე

მოეწყობა ცხენების მორქია, კიდირუა და თარჩია“; მა ვარენო ცხენც ურქენდე, შურო ვარე გასაკვირი „მე რომ ცხენით ვჯირითობდე, სულ არ არის გასაკვირი“ (სამუშია 1971: 45). სიტყვის ზედმიწ. მნიშვნელობა არის „მოქნევა“. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება მოქნევით, მოწყვეტით, სწრაფად სირბილი მოკლე მანძილზე.

**ქართაში ლაყაფი** „ცხენოსნობის სახეობა“ (მაკალათია 1941: 202). მართულმსაზღვრელიანი სინტაგმის სახით წარმოდგენილ ტერმინოლოგიურ შესიტყვეებაში საზღვრულია **ლაყაფი**, რაც ქართულად „თამაშს“ ნიშნავს. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს შესიტყვეება ცხენის მოძრაობის მანერასაც გამოხატავს, მსაზღვრელი კი **ქართა** ცხენის სადგომის აღმნიშვნელი ლექსემა. შესიტყვეება ზედმიწევნით ნიშნავს „ქართას თამაშს“ და გულისხმობს ცხენის საველე სვლას. შდრ. „ქართას“ ანუ „კარს“ უწოდებენ იმ არეს, რომელსაც ორ რაზმეულს შორის დასტოვებენ ხოლმე ისინდის გამართვისას“ (გამსახურდია 1990: 173).

**ცხენიშ ლაყაფი** „ცხენოსნობის სახეობა“ (ზუგდ.). აქაც ტერმინოლოგიური შესიტყვეება გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით. საზღვრული ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, **ლაყაფი**-ია (ქართ. „თამაში“), მსაზღვრელი კი ნათესაობით ბრუნვაში დასმული **ცხენ-ი**. ზედმიწ. ნიშნავს „ცხენის თამაშს“. ეს შესიტყვებაც გულისხმობს „ცხენის საველე სვლას“.

**ცხენის ხმიანობის, ზნის, მოძრაობის, ცხენოსნობისა და  
სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკის  
სტრუქტურული მოდელები**

ამ თავში წარმოდგენილი ტერმინები ძირითადად მასდარებია. გვაქვს სახელებიც. ქართველური ფორმების გვერდით გვხვდება ნასესხები ლექსიკა.

1. მარტივი ფუძეები ა. მეგრული ან ქართველური: ან-ჩხი „მშიშარა“, ზურა „მშიშარა“, ბორჯღივი „ბორძივი“, თუხარივი „თოხარივი“, ისინდი „ცხენოსნობის სახეობა“, ფინთი „ფრთხილი“, ჭვირთე „სწრაფი“... ბ. ნასესხები: აჯამი (არაბ.) „ჯიუტი“, ბორია (ბერძნ.) „სწრაფი“ ზედმ. „ქარი“, ნოდი (არაბ.) „ზარმაცი“, იორლა (თურქ.) „ცხენის მოძრაობის მანერა“, ჯილითი / ნჯილითი (არაბ.) „ჯირითი“...

2. ოდენსუფიქსური წარმოება: აჯ-ია, აჯამ-ია „ჯიუტი“, ნოდ-ია „ზარმაცი“, ფინთ-ია „ფრთხილი“; ბირგულ-ამ-ი „ფეხმაგარი“, დირგ-ალ-ურ-ი / გირგ-ალ-ურ-ი „სწრაფი“, ტკუპ-ურ-ი „ცხენის მოძრაობის მანერა“, ტორ-იმ-ი „ცხენის სათამაშო ხტუნაობა“, შქურ-ინჯ-ა „მშიშარა“...

3. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება: მა-ჩამ-ინჯ-ა / მა-ჩამ-ინჯ-ე „მკბენარა“, მა-კიბირ-ალ-ი „მკბენარა“, გე-ნჯორ-ელ-ი „ცხენი, რომელიც გაჩერდება და ადგილიდან არ

იმგერის“...

4. კომპოზიტები: კისერ-მანგარი „დასაურვებლად კისერმაგარი“, კუჩხ-მანგარი „ფეხმაგარი, გამძლე ცხენი“.

5. ტერმინოლოგიური შესიტყვებები: ა. ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი სინტაგმა: იორღა ცხენი. ბ. მართულმსაზღვრელიანი სინტაგმა: ბირგული-შ ცხენი „ფეხმარდი ცხენი“, ზედმიწ. „მუხლის ცხენი“, ქართა-შ ლაყავი „ქართას თამაში“, ცხენ-იშ ლაყავი „ცხენის თამაში“, ცხენეფ-იშ კიდირაფა „ცხენებით ჭიდაობა“...

ცალკე განვიხილავთ ამ თავში წარმოდგენილ მასდართა სტრუქტურულ მოდელებს.

1. -უ-ა დაბოლოებიანი მასდარები: ქურს-უ-ა „გაქუსვლა“, როკ-უ-ა „ცხენის სათამაშო ხტუნაობა“, ისინდ-უ-ა „ცხენოსნობის სახეობა“, კიდირ-უ-ა „ცხენებით შეჯიბრება“, ჯილით-უ-ა „ჯირითი“...

2. ხანდახან მასდარი გართულებულია პრევერბით: გო-ლენდ-უ-ა „მაგრად გაჭენება“, გო-ქურს-უ-ა „გაქუსვლა“, გილა-ჟუმინ-უ-ა „სწრაფი ჭენება“...

3. ტერმინთა ნაწილი წარმოდგენილია რედუპლიცირებული ფუძეებით, რომელთაც ერთვის მასდარის მაწარმოებელი სუფიქსები: ქვაქვ-ალ-ი „ცხენის მსუბუქად, თამაშით

სიარული“, ქვექვ-ინ-ი „ცხენის თამაშით სიარული“, ძვაძვ-  
ალ-ი „ცხენის უხეირო ძუნძულით სიარული“, ძვაძვ-აფ-ი  
„ცხენის უხეირო ძუნძულით ტარება“...

4. გვხვდება მასდარის წარმოების პარალელური ფორ-  
მები ა. ერთ შემთხვევაში თემისნიშნიან ფუმეს ერთვის მას-  
დარის -ა მაწარმოებელი (-უ-ა დაბოლოებიანი წარმოება,  
მეორე შემთხვევაში უთემისნიშნო ძირს ერთვის -ინ ბოლო-  
სართი: ქენჩ-უ-ა / ქენჩ-ინ-ი „ჭენება“, ჯექ-უ-ა / ჯექ-ინ-ი  
„ცხენის გრძელი ნახტომებით სირბილი“, ჟვენგ-უ-ა / ჟვენგ-  
ინ-ი „ხტომა“... ბ. პარალელურ ფორმებში ერთ შემთხვევაში  
მასდარი გაფორმებულია -ინ ბოლოსართით, მეორე შემთხვე-  
ვაში -ინ-იან ფორმაზე დართულია -უ-ა: დურ-ინ-ი / დურ-  
ინ-უ-ა „სწრაფი ჭენება“, ჟუმ-ინ-ი / ჟუმ-ინ-უ-ა „სწრაფი სირ-  
ბილი“, ჭირხ-ინ-ი / ჭირხ-ინ-უ-ა „ჭიხვინი“, ხირხ-ინ-ი /  
ხირხ-ინ-უ-ა „ხვიხვინი“, ფურთხ-ინ-ი / ფურთხ-ინ-უ-ა  
„ფრუტუნ“...

5. სხვადასხვაგვარი წარმოება: ა. კაუზატიური ფორ-  
მები: რულ-აფ-ა / რუმ-აფ-ა „დოლი“, გე-რულ-აფ-ა / გო-  
რულ-აფ-ა „ცხენის გაჭენება მარულის დაწყებამდე“, კიდირ-  
აფ-ა „ცხენით ჭიდაობა“... ბ. ქართულიდან ნასესხები მაწარ-  
მოებლით გაფორმებული: კიდირ-ობ-ა „ჭიდაობა“, ტრახ-უნ-  
ი „ცხენის ფეხის ხმა“...



## თ ა ვ ი V

### ცხენის აღკაზმულობის, სადგომის აღმნიშვნელი და მოვლასთან დაკავშირებული ტერმინები

#### § 1. ცხენის აღკაზმულობის აღმნიშვნელი ტერმინები

როგორც ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული, მეცხენობას ოდითგანვე გამორჩეული ადგილი ეჭირა მეგრელთა ცხოვრებაში, რამაც განაპირობა მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული ლექსიკის მრავალფეროვნება მეგრულ დიალექტში. მეცხენეობის ტერმინოლოგიაში საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ცხენის აღკაზმულობის აღმნიშვნელი სიტყვები. ეს სემანტიკური ჯგუფი აერთიანებს საკუთრივ მეგრულ, საერთოქართველურ და ნასესხებ ლექსიკას. ნასესხები ლექსიკა ძირითადად მომდინარეობს აღმოსავლურენოვანი სამყაროდან. ეს გასაგებიცაა – მეგრელებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ცნობილ მესაქონლეებთან – თურქებთან. არქ. ლამბერტი გადმოგვცემს, რომ სამეგრელოში „თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭრო. მაგალითად, უნაგირები და ცხენის საკაზმავები“ (ლამბერტი 1938: 10). ეს ურთიერთობები თა-

ვისთავად განაპირობებდა ენობრივ კონტაქტებს. ხანდახან თვით მეგრული გვევლინება გამსესხებლად. ტერმინები ძირითადად არსებითი სახელითაა წარმოდგენილი, მაგრამ გვხვდება წარმოქმნილი სიტყვებიც, კომპოზიტებიც და ტერმინოლოგიური შესიტყვებებიც.

ეს სემანტიკური ჯგუფი სამ ქვეჯგუფს აერთიანებს:

ა. **უნაგირი**. ქართულიდან შეთვისებული სპარსული სიიყვა საკმაოდ მრავალფეროვან ფონეტიკურ ვარიანტებად არის წარმოდგენილი მეგრულში: **ანაგერი / ანანგერი / ონაგერი / ონანგერი / ონაგირი / ონენგერი / ონანგირი / უნაგერი** (ყიფშიძე 1914: 194; ჭარაია 1997: 108; ელიავა 1997: 256; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი): სქანი ცხენ დო **უნაგირი** წყარქ მიდაკერკელუ „შენი ცხენი და უნაგირი წყალმა წაილო“ (გუდავა, ცანავა 1975: 258); [ბოშიქ] ქიგედგ რამის **ონანგერი** „[ბიჭმა] დაადგა რაშს უნაგირი“ (დანელია, ცანავა 1991: 230).

სპარსულიდან ქართულის გზით შეთვისებული სიტყვის ვარიანტებში რიგ შემთხვევაში შეცვლილია ხმოვანი (**ანაგერი, ონაგერი, ონაგირი, უნაგერი**), რიგ შემთხვევაში განვითარებულია სონორი (**ანანგერი, ონანგერი, ონენგერი, ონანგირი**). **უნაგირიდან** მიღებული სხვა ვარიანტთა ტრანსფორმაცია ასე წარმოგვიდგება: **უნაგირ-იდან**, ერთი მხრივ, მივიღეთ **უნაგერი**, მეორე მხრივ, **ონაგირი**, რომლისაგანაც წარმოდგება ყველა დანარჩენი ფორმა: ა) **ონაგირი** > **ონაგერი** > **ონანგერი** > **ონენგერი**; ბ) **ონაგირი** > **ონანგირი**; გ) **ონაგირი** > **ანაგერი** > **ანანგერი**. იგივე სიტყვა გვაქვს სვანურ ენაშიც **უნგირ** (ლეონიძე 1925: 71), **ჰუნგირ** (როგავა 1962: 46) ფორმე-

ბით, რომლებიც ასევე ქართულის შუამავლობით არის მიღებული. პირველ შემთხვევაში სრულად არის რედუცირებული ა ხმოვანი (ქართ. **უნაგირი** > სვან. **უნგირ**), მეორე შემთხვევაში კი უ ხმოვანი დავიწროვდა > გ, რომლის წინაც სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის მიხედვით განვითარდა ჰ თანხმოვანი (შდრ.: **აღვირი** – **ჰაღვირ**, **ყბა** – **ჰაყბა**, **კუდი** – **ჰაკუად**...). ლაზურში უნაგირს აღნიშნავს თურქულიდან შეთვისებული **ეაერი**: **ალთუნიში ეაერი** „ოქროს უნაგირი“ (ჟღენტი 1938: 185). **ეაერ** თურქულად „უნაგირია“ (ბასკაკოვი 1977: 285). ლაზურში გამოიყენება აგრეთვე თურქულივე **ფალანი** (**ფალან** „საკიდარი უნაგირი“ – იქვე, 709): ცხენის **ფალანი** მუში მონკა ვარ აყვენ „ცხენს თავისი უნაგირი არ ემძიმება“ (შეროზია, მემიშიში 1994: 261). **ფალანი** / **ჰალანი** ქართულ სალიტერატურო ენაშიც და დიალექტებშიც დასტურდება.

**სედლო** „ქალის უნაგირი“ (ჩხორ.). ქალის უნაგირის აღსანიშნავად მეგრული, ისევე, როგორც ქართული ენის დიალექტები, იყენებს რუსულიდან შეთვისებულ სიტყვას, რომელსაც რუსულში ზოგადად უნაგირის მნიშვნელობა აქვს. იგივე ფორმა გვაქვს გურულსა და იმერულ დიალექტებშიც: **სედლო** „ქალის უნაგირს ემახიან, მხოლოდ ფორმით განსხვავდება უნაგირისაგან“ (ჟღენტი 1936: 243); **სედლო** „უნაგირი“ (ძოწენიძე 1974: 356). ასეთივე ნასესხობა გვაქვს აფხაზურშიც: **ა-სედლა** „ქალის უნაგირი“ (არშბა 1980: 50; კვარჭია 1981: 34). არც ძველ ქართულში, არც ქართული ენის დიალექტებში ქალის უნაგირის აღმნიშვნელი სპეციალური ტერ-

მინი არ დასტურდება. არადა ცხენოსნობაში მამაკაცებს არც მეგრელი ქალები ჩამორჩებოდნენ. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ცხენოსნობაში ქალები იმდენად გავარჯიშებულნი არიან, რომ ბევრი მათგანი ცხენზე თვითონ ჯდება სხვის დაუხმარებლად და უშიშრად მიაჭენებს... ისე მარჯვედ და დახელოვნებულად სხედან ცხენზე, რომ ძველი ამორძალები მოგაგონდებათ“ (ლამბერტი 1938: 109). როგორც ჩანს, ძველ საქართველოში ქალისა და მამაკაცის უნაგირი გარჩეული არ იყო. ტერმინი გვიან, XIX საუკუნიდან აქვს ნასესხები მეგრულსაც და აფხაზურსაც, მას შემდეგ, რაც ყოფაცხოვრებაში გაჩნდა ქალის უნაგირი.

**კეხი** „უნაგირის ხის ჩონჩხი, კეხი“ (ჭარაია 1997: 77; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი): ცალკირი **კეხი** მუნუდგუ დო უდგადგუანს მართახისი „ცალმხრივ გადაწონილი კეხი აქვს დადგმული და უტლაშუნებს მათრახს“ (გუდავა, ცანავა 1975: 201). საბასთან **კეხი** „შეუმზადებელი უნაგირია“ (საბა 1991: 369). ნ. ჩუბინაშვილი აკონკრეტებს: „უნაგირის ხე გათლილი და ჯერეთ შეუმოსავი“ (ჩუბინაშვილი 1961: 247), ქეგლ-ის მიხედვით, **კეხი** „უნაგირის ხის ჩონჩხია“ (ქეგლ IV: 155). სიტყვა შემონახულია ლაზურშიც **კეხ-ი** ფორმით (მარი 1910: 154). ნ. მარი მიუთითებს, რომ იგი ქართულიდან აქვს ნასესხები ლაზურს. იგივე სიტყვა გვაქვს სვანურშიც: **კეხ** „კეხი, უნაგირის ნაწილი“ (ლიპარტელიანი 1994: 160). სიტყვა მეგრულიდან უსესხებია აფხაზურს თანხმოვანთა პალატალიზაციით (**კ** > **კ**, **ხ** > **ხ**) და გვაქვს **ა-კ-აზ** ფორმა (ჯანაშია 1954: 162). **ხ**-ს პალატალიზაციის მიზეზია მეგრულ-ქართული სა-

ხელობითი ბრუნვის -ი სუფიქსი, კ-ს პალატალიზაცია კი გამოიწვია ფონეტიკურმა წესმა, რომლის მიხედვითაც აფხა-ზურში, ნასესხებ სიტყვებში უკანაენისმიერნი პალატალიზ-დებიან, თუ გამსესხებელ ენაში მათ მოსდევს ი ან ე ხმოვანი (ლომთათიძე 1976: 176).

ტერმინი გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმაში **კეხიმ მუნორთინაფა**, რაც ნიშნავს „გაჭირვეულებას, გადი-გულებას“, ზედმიწ. მნიშვნელობა „კეხის გადაბრუნებაა“. ქართულ ენაში იდიომურ გამოთქმას **კეხის შებრუნება** სხვა მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, „ერთხანს ჩუმად ყოფნის შემდეგ მოწინააღმდეგის მიერ იერიშის მიტანა, სამაგიეროს გადა-ხდა. უკუღმა გაკეთება საქმისა. წინააღმდეგობა, მტრობა, ხე-ლის შემლა. **კეხის შებრუნებას** ეტყვიან აგრეთვე რაიმე საქმე-ში დამარცხებას, ხელის მოცარვას“ (სახოკია 1950: 205-206).

**კოპული / კომპული** „კეხის ნაწილი. ორივე მხრიდან ამოწეული მომრგვალებული ადგილი“ (ციფშიძე 1914: 261; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი). იგივე სიტყვა გვხვდება ლეჩხუ-მურ დიალექტშიც: **კოპული** „კეხის ნაწილი, გაბმული აქვს გრძელი და წვრილი ღვედები“ (ჯავახიშვილი 1986: 204). სი-ტყვა შეტანილი აქვს ბ. ფოჩხუას „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 235). მე-გრულში **კომპული** გარდა ისრისა (ციფშიძე 1914: 261) მრგვალ საგანს, უფრო ზუსტად, მრგვალთავიან საგანს აღნიშნავს. როგორც ჩანს, სიტყვა მომდინარეობს ქართული **კოპ**-იდან. მ სონორი მეგრულშია განვითარებული. ივარაუდება, რომ მე-გრული **კოპული / კომპული** ან ქართული **კოპალ**- ფუძის შე-

სატყვისია, ან უფრო პირვანდელი **კაპალ**- ფუმიდან მომდინარეობს. ეს სიტყვა რთული აღნაგობისაა (**კოპ-ალ-** / **კობ-ალ-**), ვინაიდან თავის მხრივ უკავშირდება **კოპ-** / **კობ-** ძირის სიტყვებს (არაბული 1998: 56-57). სავარაუდოა, რომ მეგრულიდან შეითვისა აფხაზურმა ენამ **ა-კუმპგლ** „მრგვალი რამ“ (ჯანაშია 1954: 154). ამ ვარაუდისთვის არც სემანტიკური და არც ფონეტიკური დაბრკოლება არ არსებობს. ასე რომ ადვილი დასაშვებია მათი ერთმანეთთან დაკავშირება. მეგრულ ფორმებში განვითარებული მ სონორი გვავარაუდებინებს, რომ გამსესხებელი ენობრივი ერთეული სწორედ მეგრულია.

**წვენტერა** „ეხის წინა და უკანა ამაღლებული ნაწილები“ (ჩხორ.). შესაძლოა, სიტყვა მომდინარეობდეს **წვანდ-** / **წვანტ-** / **წვენტ-** / **წვენტ-** სახელური ფუძისაგან, ნიშნავს წვეტს, წვერს, სათავეს. შდრ. **წვენტერე** „წამოწვეტებული, წაწვეტებული“ (ელიავა 1997: 370), აგრეთვე **წვენტ-ერ-ია** „წაწვეტებული“. საინტერესოა, რომ ეს სიტყვა სემანტიკის გადაწვეით გვხვდება ოსურ ენაში **ცანდ** / **ცანდწ** სახით, სადაც განიხილება კავკასიურ სუბსტრატად, რომლის ამოსავალია მეგრული **წვანდი**. ოსური ლექსემა ნიშნავს „ქვების გროვას, რომელსაც თავი წაგრძელებული, წაწვეტებული აქვს“ (აბაევი 1958: 300).

**ბალდუმი** „უნაგირის ორპირი თასმა, რომელსაც ამოსდებენ კუდის ძირზე, რათა თავდაღმართში უნაგირი დაიმაგროს“ (მარტვ.). სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტის სახით წარმოდგენილია ქართული ენის დიალექტებში:

იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, იმერხეულში **ბაღდუმი** / **ფაღდუმი**, ხევსურულსა და მთიულურში **პაღტუმი** (ჟღენტი 1936: 210; ღლონტი 1974: 57, 434; ნიკოლაიშვილი 1999: 144-145). დასტურდება ძველ ქართულში: **პაღდუმი** „ჯორთ საბარკლე“ (საბა 1991: 614). სპარსულიდან ნასესხები სიტყვის თავკიდური ბაგისმიერი თანხმოვანი დიალექტებში წარმოდგენილია როგორც მჟღერი, ისე ფშვინვიერი და მკვეთრი სახეობით. თავდაპირველი მკვეთრთანხმოვნიანი ვარიანტი, ძველ ქართულში დაცული **პაღდუმი** დასტურდება იმერხეულში (ნიკოლაიშვილი 1999: 145). იგივე სიტყვა გვაქვს სვანურშიც: **ბაღდუმ** „ცხენის კეხქვეშ ამოსადები ხედნის დროს“ (ლიპარტელიანი 1997: 34). „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია **პაღდუმი**, **ბაღდუმი** ფორმით (ფოჩხუა 1987: 236).

**სანძო** „საძუე“ (ჭარაია 1997: 122), „ცხენის კუდის ქვეშ ამოსადები თასმა“ (წალენჯ., ჩხორ., ხობი). ფორმა ნაწარმოებია დანიშნულების ქართული **სა-ო** კონფიქსით: **სა-ნ-ძ-ო** < **სა-{ნ}-ძ-ო**. **უო** კომპლექსი გამარტივდა > **ო**. **ნ** სონორის განვითარება მეგრულში ბუნებრივი ფონეტიკური მოვლენაა. ლაზურში ეს ტერმინი გადმოცემულია თურქულიდან ნასესხები **კუსკუნ-** ფუძით (მარი 1910: 160). იგივე თურქული ფორმა გვაქვს საძუის აღსანიშნავად მესხურ დიალექტში (ღლონტი 1974: 317).

**მოსართე / მოსართელი** „უნაგირის მოსართავი“ (ჭარაია 1997: 96; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი): ოსური ომნერი კეხის

მუნგოზიმუანს, მარა **მოსართე** ოკო ვამანჭირაფუევა „ცოლი ასნაირ კებს მოგაზომებს, მაგრამ მოსართავი არ უნდა მოაჭერინო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 110); ჩე ცხენიში უნაგირი, უჭა ცხენიში **მოსართელი**... „თეთრი ცხენის უნაგირი, შავი ცხენის მოსართავი...“ (გუდავა, ცანავა 1975: 245). ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული. მეგრულში ფუძის ბოლოს -**ავ**- კომპლექსმა მოგვცა -**ე**. ფონეტიკური ტრანსფორმაცია ასე განხორციელდა: ჯერ დაიკარგა **ვ** თანხმოვანი, შემდეგ კი საურთიერთო ასიმილაციით **აი > ე**. შდრ. **ჭვავი > \*ჭვაი > \*ჭვეი > ჭვე; ამზავი > \*ამზაი > \*ამზეი > ამზე; ნათესავი > \*ნათესაი > ნათესეი > ნათესე**... (ჟღენტე 1953: 53). მეორე შემთხვევაში (მოსართ-ელ-ი) ქართულიდან მეგრული ფონოტაქტიკური წესებით შეთვისებული სიტყვა გაფორმებულია -**ელ** სუფიქსით.

**მოსანჭირი** „უნაგირის მოსართავი“ (მარტვ., ჩხორ., სენაკი). ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, ზედმიწ. ნიშნავს „მოსაჭერს“. **ნ**- ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული, **ი** კი – ქართული -**ე**-ს შესატყვისია. შდრ. **ვენახი > ბინეხი; ენა > ნინა**... მეგრული აფიქსებით გაფორმებული ვარიანტი იქნებოდა **\*მა-{ნ}-ჭირ-ალ-ი**.

**ღვედი** „უნაგირის მოსართავი“ (ჯვ.). სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული. შდრ. ქართ. „**ღვედი** – 1. მოქნილი ტყავის მოგრძო და ვიწრო ანაჭერი; 2. ბორბლებს შორის გადაჭიმული თასმა ან თასმისნაირი ქსოვილი მოძრაობის გადასაცემად“ (ქეგლ VII: 431).



**ტორმუზი** „უნაგირის მოსართავი“ (ჩხორ.). გვიანდელი ნასესხობაა რუსული ენიდან. тормос „მუხრუჭი“ (ლომთათიძე 1983: 763). ეს ფორმა გვაქვს იმერულ დიალექტშიც: **ტორმუზი** „მუხრუჭი თავდაღმართში ურმის მოძრაობის შესანელებლად“ (მოწენიძე 1974: 368).

**შკაშე მოსანჭირი / შკაა მოსანჭირი** „შუა მოსართავი, უნაგირის ბალიშზე გადასატარებელი“ (ჩხორ., სენაკი, მარტვი.). ტერმინოლოგიური შესიტყვების ერთ-ერთი წევრია ზემოთ განხილული **მოსანჭირი**, მეორე კი **შკაშე / შკაა** შეესატყვისება ქართულ **შუა**-ს. პირველ შემთხვევაში მსაზღვრელი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. ზედმიწ. „შუის მოსართავი“. იმავე მნიშვნელობისაა **შკაშე ღვედი** (ჯვ.).

**ორტყაფუ** „შუა მოსართავი, უნაგირის ბალიშზე გადასატარებელი“ (ჯვ.). ფორმა ნაწარმოებია დანიშნულების მეგრული **ო-უ** კონფიქსით **მორტყაფა** ზმნური ძირისაგან, ქართულად ნიშნავს „მორტყმას“, „შემორტყმას“, სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობა „სარტყელია“.

**აბჟანდი / ავჟანდი / აბჟანი / აავჟანი** „უზანგი“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ...). სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმით: **ავჟანდა** (ქართლურში), **აბჟანდი / აბჟანდა** (იმერულში), **აბჟანტი** (ლექსუმურში), **აბჟანდი / ავჟანდი** (მესხურში), **ავჟანდა** (ფშაურში, მთიულურში, გუდამაყრულში, ხევსურულში), **ავჟანგა** (გურულში) (გაბუერი 1923: 260; ლეონიძე 1925: 10 ლლონტი

1974: 21; გაჩეჩილაძე 1978: 9). გვაქვს სვანურშიც: აუჟანგ „უზანგი“ (ლეონიძე 1925: 1). სალექსიკონო ერთეულად შეტანილია „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 235).

**აბჟანდა** გვაქვს აფხაზურ ენაშიც (არშბა 1980: 14). ს. ამიჭბა ვარაუდობს, რომ აფხაზურს იგი ნასესხები აქვს, ოღონდ არ მიუთითებს პირველწყაროს (ამიჭბა 1975: 121), ვ. კვარჭია კი საკმაოდ გამჭვირვალე აფხაზურ-აბაზურ ლექსემად მიიჩნევს (კვარჭია 1981: 94-95), თუმცა მის ვარაუდს საკმაოდ სერიოზული ფონეტიკურ-სემანტიკური დაბრკოლებები ახლავს. მეგრულსა და ქართული ენის დიალექტებში სიტყვის გავრცელებულობის ფართო არეალი და ფონეტიკური სპექტრი სათუოს ხდის სიტყვის აფხაზურიდან მეგრულში სესხების შესაძლებლობას. უფრო რეალური იქნება ვიფიქროთ, რომ ტერმინი ნასესხები აქვს როგორც აფხაზურს, ასევე ქართველურ ენებს (ან ქართულს და იქიდან აქვს შეთვისებული მეგრულსა და სვანურს), მაგრამ ჭირს მათი სესხების მართულების გარკვევა.

**პაჭანაკი** „უზანგი“ (ჩხორ.). ამ სიტყვის ეტიმოლოგიის დასადგენად საინტერესო მინიშნებას გვაძლევს საბა: **პაჭანაგი** „საკოჭური პაიჭისა“ (საბა 1991: 618), აგრევე ქეგლ-ი: „ფეხის გულზე ამოსადები ზონარი პაიჭის დასამაგრებლად“ (ქეგლ V: 161). როგორც ჩანს, მარკირება ხდება საგნის დანიშნულების მსგავსების მიხედვით. საგულისხმოა, რომ მესხურ დიალექტში **პაჭანაკის** სინონიმად სწორედ **აბჟანდი** / **აფჟანდი** ფორმა გვევლინება (დლონტი 1974: 21).

**საკიდრო / საკვდგრო / საკიდრე** „სამკერდული, უნაგირის შემადგენელი თასმები, რომლებიც ცხენის მკერდზე არის მოხვეული“ (ჭარაია 1997: 121; ჯვ., წალენჯ., მარტვ., ჩხორ., ხობი): ვარა მუ რდუ, საყვარელი, თინა ილაყაფუდუნი, მუში ოქროში **საკვდგროთ** ჯარც ბუქნარც აშართედგნი „ან რა იყო, საყვარელო, ის როცა თამაშობდა, თავის ოქროს სამკერდულით ჯარში რომ ბუქნაობდა“ (სამუშია 1971: 106). ვარიანტები მიღებულია **კიდირ-** / **კვდგრ-** არსებითისაგან („მკერდი“) დანიშნულების ქართული **სა-ო** / **სა-ე** ცირკუმფიქსის დართვით, რომლებსაც მეგრულში ფუნქციურად **ო-ე** ან **ო-უ** შეესატყვისება.

**ფსუა / სუა** „ოთხკუთხედი ტყავი უზანგის თასმის ქვეშიდან მუხლის დასაცავად“ (წალენჯ., ჩხორ.). როგორც ჩანს, იგივეა, რაც მეგრულში **ფსუა** „ფრთა“. მარკირება ხდება მეტაფორულად. შდრ. ქიზიყური **ფთა** „კეხის ბრტყელი ნაწილი, ცხენს რომ გვერდებზე ედება“ (მენტემაშვილი 1943: 186), ზემოაჭარული **ფრთა** „უნაგირის ნაწილი“ (კობერიძე 1999: 13).

**მეში** „ოთხკუთხედი ტყავი უზანგის თასმის ქვეშიდან მუხლის დასაცავად“ (ჩხორ.). ქეგლ-ის მიხედვით, **მეში** „ცუდი ხარისხის ცხვრის ტყავია“ (ქეგლ V: 220), ქართული ენის დიალექტებში (რაჭულში, გურულში) „სუფთად შემზადებული ტყავი“ (დლონტი 1974: 359). ქართული და მეგრული ფორმებისათვის ამოსავალი უნდა იყოს თურქული **მეშენ**

„გამოყვანილი, გათრიმლული ტყავი“ (ბასკაკოვი 1977: 621).

**მუკაკირალი** „კეხზე გამოზმული თასმები ბარგის ჩასამაგრებლად“ (ჯვ.). მიმღეობა მიღებულია **კირუა** „დაბმა“ ზმნური ფუძისაგან. ტერმინი (**მუკა-კირ-ალ-ი**) ზედმიწ. ნიშნავს „მისაბმელი“.

**თოქალთო / თოქართო** „თოქალთო, უნაგირის ქვეშ დამაგრებული თექის ნაჭერი“ (ჭარაია 1997: 71; ელიავა 1997: 134; ჯვ., წალენჯ., მარტვ.). თურქულ-სპარსული (ქეგლ-ის მიხედვით, სპარსული **თაქალთუ** – IV: 477) სიტყვა ფონეტიკური სახესხვაობებით რეალიზდება ქართული ენის ზოგ დიალექტში: ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, გუდამაყრულში, თუშურში, კახურში, ქართლურში, ლეჩხუმურში (გაბუური 1923: 275; ლეონიძე 1925: 26; გაჩეჩილაძე 1970: 327; ღლონტი 1974: 247). სიტყვა ქართულიდანაა შემოსული მეგრულში **ლ > რ** სუბსტიტუციით (შდრ.: **წყალი > წყარი, ჩელტი > ჩერტი**). იგივე სიტყვა გვაქვს სვანურშიც **თოქალთ** (ლიპარტელიანი 1994: 111), **თოქა** (ბქ) სახით.

**ბალიში** „უნაგირზე დასადები მატყლით გატენილი ნივთი ზედ საჯდომად“ (ზუგდ.). სპარსული წარმოშობის სიტყვა ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტების სახით ფართოდ არის გავრცელებული ზოგ ენაში: ძველ ინდურში, სომხურში, ოსურში, სლოვენურში, სერბიულში, რუსულში, ძველ პრუსიულში, გოთურში, გერმანულში... (აბაევი 1958: 241). ქართულ-ზანურისთვის ამოსავალია სპარსული **ბალიშ**.

სიტყვა შეთვისებული აქვს აფხაზური ენის აბჟურ დიალექტსაც **ა-ბალგშ** სახით (ჯანაშია 1954: 63; ამიჭბა 1975: 119). აფხაზურში ქართულიდან ნასესხობას ვარაუდობს პ. ჭარაია (1912: 10). მიღებულია აფხაზური ფონოტაქტიკისათვის დამახასიათებელი წესის დაცვით – როცა გამსესხებელი ენის სიტყვაში ი ხმოვანი მოქცეულია ინტერკონსონანტურ პოზიციაში, აფხაზურში ი > გ (ლომთათიძე 1976: 59). აფხაზურში ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევის ა. შაგიროვიც (1989: 146).

**პატილი / პატიი / პატი** „თოქალთოს ქვეშ ცხენის ზურგზე დასაფენი ნაბადი, საოფლე“ (ჯვ., წალენჯ, ჩხორ., ხობი). ამ სიტყვის წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

**საუფო** „თოქალთოს ქვეშ ცხენის ზურგზე დასაფენი ნაბადი, საოფლე“ (ჩხორ.). ფორმა მიღებულია ქართული **ოფლ-**ის შესატყვისი მეგრული **უფ-**ისაგან დანიშნულების ქართული **სა-ო** ცირკუმფიქსის დართვით. იგივეა, რაც ქართული **საოფლე** „ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ საფენი ქეჩის ნაჭერი“ (ქეგლ IV: 762). მაწარმოებლები ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს.

**ზამბიანი** „თოქალთოს ქვეშ ცხენის ზურგზე დასაფენი ნაბადი, საოფლე“ (ჩხორ.). სიტყვა მთლიანად (ძირიც და მაწარმოებელიც) ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. როგორც ჩანს, მარკირება მოხდა მასალის მიხედვით, რისგანაც კეთდებოდა ნივთი.

**საშრობი** „თოქალთოს ქვეშ ცხენის დასაფენი ნაბადი, საოფლე“ (ჩხორ.). ეს სიტყვაც (მომავალი დროის მიმღეობა) ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ლექსემის მარკირება ხდება საგნის დანიშნულების მიხედვით.

**ასალი** „მდიდრულად ნაქარგი ცხენის ჩული“ (ხოზი). ქეგლ-ის მიხედვით, **ასალი** „ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილია“ (ქეგლ I: 592). ლ. ლეონიძის განმარტებით, ეს სიტყვა ლეჩხუმურში აღნიშნავს „ქალის უნაგირის ქვეშ დასაფენ ნაჭერს“ (ლეონიძე 1925: 3), ასევეა გურულში (ქლენტი 1936: 209).

**გუნაფორალი** „უნაგირზე გადასაფარებელი ფარდაგი“ (ჯვ.). მომავალი დროის მიმღეობა (**გუნა-ფორ-ალ-ი**) ნაწარმოებია ფორ-უ-ა „დაფარვა“ ზმნური ძირისაგან, ზედმიწ. „გადასაფარებელია“.

**ბ. ლაგამი / ლაგანი / აგამი** „ლაგამი, აღვირი, ცხენის სატუჩარი აღკაზმულობა“ (ყიფშიძე 1914: 269; ჭარაია 1997: 84; ელიავა 1997: 202): უჩა ჯორჯ გივოხედი, ხეს **ლაგამი** მიკეზუდუ „შავ ჯორზე ვიჯექი, ხელში აღვირი მეჭირა“ (სამუშია 1971: 82). საბას განმარტებით, **ლაგამი** „ცხენის საკბილეა“ (საბა 1991: 403). სიტყვა ქართველურ ენებს ნასესხები აქვთ აღმოსავლურენოვანი სამყაროდან. არაბულში არის **ლიგამ / ლულუმ** (ქერქაძე 1974: 167), სპარსულში **ლოგამ** (კვარჭია 1981: 93), თურქულში **გემ** (ბასკაკოვი 1977: 326). მეგრულში სიტყვა გვხვდება ამ დიალექტისთვის დამახასიათებელი ფო-

ნეტიკური ცვლილებებით (შდრ. მ > ნ: დედამთილი > დიან-  
თილი; მტერი > ნტერი; ლ > მ: ლურჯა > მურჯა; ალალი >  
ააი). სვანურში კი უმლაუტიზირებული ხმოვნით ლაგამ  
(ლიპარტელიანი 1997: 45).

იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურ ენაშიც მარტივი ა-ლა-  
გამა ფორმითაც (არშბა 1980: 40; კვარჭია 1981: 93) და კომპო-  
ზიტშიც ა-ლაგამაღრა (ჯანაშია 1954: 311). ვ. კვარჭია აღნიშ-  
ნავს, რომ ტერმინი ლაგამა სახით გვხვდება აბაზურშიც  
(კვარჭია 1981: 126), მაგრამ ა. შაგიროვის მითითებით, არც აშ-  
ხარულ, არც ტაპანთურ დიალექტში ეს სიტყვა ცოცხალ მე-  
ტყველებაში არ დასტურდება. იგივე ავტორი აფხაზურ ა-ლა-  
გამას ქართველურიდან ნასესხობათა რიცხვში განიხილავს  
(შაგიროვი 1989: 143).

სიტყვა გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმაში  
ელაგამუა „აკრძალვა, გაჩუმება“. გელაგამუ „ლაპარაკი შეა-  
წყვეტინა, ლაპარაკი აუკრძალა“.

აღვირი „ლაგამი, ცხენის სატუჩე ღვედი“ (ელიავა  
1997: 21); „მოწყობილობა ცხენის სამართავად“ (ქეგლ I: 751).  
ეს სიტყვა მეგრულში იშვიათად გამოიყენება, მაგრამ სრულ-  
ფასოვანი ლექსიკური ერთეულია ლაზურში (ქუთელია 1982:  
38). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება,  
რომ ფორმა შეიძლება უკავშირდებოდეს ღუა-ს („ლოყა“-ს).  
„აღვირი ის არის, რაც ღვა-ს ამოედება“ (ჭინჭარაული 1989:  
116-121). გვხვდება სვანურშიც ჰადვირ (ბზ.), აღვირ (ბქ., ლშ.,  
ლტ.) სახით. გვაქვს აფხაზურ ენაშიც ა-ღრა ფორმით (ჯანა-  
შია 1954: 311), რომელსაც კ. ჭარაია ქართულიდან ნასესხებად

მიიჩნევს (ჭარაია 1912: 16). ეს სიყვავა ნასესხობად მიაჩნია ს. ამიჭბასაც (1975: 121). ტერმინი იძებნება აბაზურსა (ღრა) და ბაცბურშიც (აღვირ) (კვანჭია 1981: 93). აფხაზურში გვხვდება ალაგამა-ღრა კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტად (იხ. ზემოთ).

ავშარა / აფშარა / ლამბშარა / ძაბშარა / აბშარა „ლაგამი, აღვირი. აღვირის მსგავსი იარაღი, რომელსაც ლაგამი არა აქვს და სადავის მაგივრადაც ცალფა თოკი აბია“ (ჭარაია 1997: 33; ელიავა 1997: 19, 202; ჯვ., მარტვ., ჩხორ.). საბას მიხედვით, ავშარა „ქორაკია“ (საბა 1991: 41), ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს, როგორც „ულაგამო აღვირს“ (ჩუბინაშვილი 1961: 133). არაბულიდან ნასესხები სიტყვა სხვადასხვანაირი ფონეტიკური სახით (ავშარა / აშშარა / აფშარა) გვხვდება მთიულურ, ქიზიყურ, კახურ, ქართლურ, ჯავახურ, რაჭულ, ლეჩხუმურ, გურულ დიალექტებში (ლეონიძე 1925: 1; ჟღენტი 1936: 209; კაიშაური 1967: 68; ბერიძე 1981: 10; ჯავახიშვილი 1986: 44, 204; კობახიძე 1987: 17). სიტყვა ვარიანტებად გვაქვს მეგრულში, სადაც ერთმანეთს ჩაენაცვლება ვ-ბ-ფ თანხმოვნები, აგრეთვე მარტვილურისთვის დამახასიათებელი ლ > ძ სახით.

ნახვთა / ნახუთა / ნახტა / ნახთა „ავშარა, აღვირის მსგავსი იარაღი, რომელსაც ლაგამი არა აქვს და სადავის მაგივრად ცალფა თოკი აბია“ (ყიფშიძე 1914: 287; ჭარაია 1997: 102; წაღენჯ., ჩხორ.). სიტყვა თურქულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ეს ტერმინი ფართოდაა გავრცელებული



აფხაზურ-ადიღურ ენებშიც. აფხაზურში **ა-ნახ<sup>0</sup>თა** (ჯანაშია 1954: 208), აბაზურში **ნახ<sup>0</sup>თა**, უბიხურში **ნახ<sup>0</sup>თა**, **ნოხტა**, ადიღურში **ნახტ<sup>ა</sup>**, **ნახ<sup>0</sup>ტა** (კვარჭია 1981: 93). აგრეთვე ყარაჩაულ-ბალყარულში **ნუქთა**, აზერბაიჯანულში **ნოხთა**, ჩუვაშურში **ნახთა**. იგივე სიტყვა წარმოდგენილია მონღოლურ ენაში და, როგორც ვარაუდობენ, ძირი ჩინურამდეც კი მიდის (შაგიროვი 1989: 94). გ. კლიმოვი ამ სიტყვას მეგრულში აფხაზურიდან შესულად მიიჩნევს (კლიმოვი 1986: 182), თუმცა თავის მოსაზრებას არ ასაბუთებს. აქ სესხების მიმართულების გარკვევა ჭირს, ვინაიდან ასევე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვა მეგრულიდანაც შეეძლო ესესხა აფხაზურს. საკითხის გადასაწყვეტად ხელჩასაჭიდი მასალა არ ჩანს.

**სადიო** „სადავე, ლაგმის ღვედი“ (ჭარაია 1997: 12, ჯვ.): ცხენ **სადიოს** ვაუჯერც, რქუმოლუა დოუჭყაფუ „ცხენი სადავეს არ უჯერებს, დახვრა დაუწყია“ (სამუშია 1971: 64). ფორმაში გამოიყოფა ქართული **სა-ო** დანიშნულების ცირკუმფიქსი. მეგრულისათვის ამოსავალია ქართული ქართული **სადავე** ფორმა, რომელიც მომდინარეობს **სა-დევ-ე** (ლეონიძე 1925: 57) ფორმისაგან. შდრ. აგრეთვე თუშური **სადევეი** „სადავეა ცხენისა“ (ხუბუტია 1969: 135). აღ. ჭინჭარაულის განმარტებით, **სადევე** „ამოსადები (ამოსადევი) ხელსაწყოა“ (ჭინჭარაული 1989: 121). „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, **სადავე** „ლაგმის თასმავ, რომელიც მხედარს უჭირავს“ (ფოჩხუა 1987: 236). იგივე სიტყვა გვაქვს სვანურშიც **სადეუ** სახით (ლეონიძე 1925: 57).

**ენაჭოფალი** „აღვირის სადავე“ (ჩხორ.). ტერმინი (ენა-**ჭოფ-ალ-ი**) მომდინარეობს **ჭოფ**-უა ზმნური ფუძისაგან, ნიშნავს „დაჭერას“. მომავალი დროის მიმღეობა ზედმიწ. ნიშნავს „დასაჭერს, დასამაგრებელს“.

**გორგოლია** „აღვირის რგოლი, რომელსაც ებმის სადავე“ (ჩხორ.). სიტყვა მეგრულში ზედმიწევნით ნიშნავს რგოლს, მრგვალ საგანს. საკუთრივ **გორგოლ-ია** ვარიანტი ქართული **რგოლ**- ფორმის ამოსავალ ფუძეს შეიცავს. აფხაზურ ენაში დასტურდება მეგრული **გორგოლ**- და ქართული **რგოლ**- ფორმების ამოსავალ ვარიანტთან ყველაზე ახლოს მდგომი უსუფიქსო სახეობა **ა-გვრგვლ** „რგოლი“. ჯილავს, აღვირის რგოლს აღნიშნავს **ა-ღრა ა-გვრგვლ** (ჯანაშია 1954: 86). მეგრული **გორგოლ-ია** შედარებით ახალი ფორმაა. მასში -ია სუფიქსი უნდა გაჩენილიყო მე-16 საუკუნის შემდეგ, რადგანაც აფხაზურს ფორმა ნასესხები აქვს აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთიანობის დაყოფის შემდეგ, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აბაზურში ეს სიტყვა არა გვაქვს. აფხაზური ვარიანტი უეჭველად მეგრულიდან ნასესხობათა რიგში უნდა იქნეს განხილული.

**რგოდი** „აღვირის რგოლი, ჯილავი“ (მარტვ.). ცნების მარკირება ცდება აღწერთად, მარტვილური კილოკავისთვის დამახასიათებელი **ლ > მ** სუბსტიტუციით.

**ჩქვამ მაგამი** „აღვირის რკინის ენა ცხენის პირზე ამო-

სადებად“ (მარტვ.). ტერმინოლოგიური შესიტყვება შედგება მქონებლობის სუფიქსიანი სიტყვისა (**ჩქვ-ამ**) და მარტვილურისათვის დამახასიათებელი გაბგერების მქონე არსებითით (**აგამი**). ზედმიწ. ნიშნავს „ეშვიან ლაგამს“.

**კინა-ლაგამე** „აღვირის რკინის ენა ცხენის პირზე ამოსადებად“ (წალენჯ.). ატრიბუტული კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტებია არსებითი სახელები **კინა** (< **რკინა**) და **ლაგამი**.

გ. **მათრახი / მართახი / მართახე** „მათრახი“ (ყიფშიძე 1914: 275; 277; ჯვ., წალენჯ., მარტვ., ჩხორ., ხობი): **მათრახის** გემაშქვანქუ, ვითოჟირი შორტი ტყეებიქ გეინწყასია „მათრახს რომ დამკრავენო, თორმეტი ფენა ტყავი უნდა ამძვრესო“ (დანელია, ცანავა 1991: 150), მა გიწუე „ჰე“-მაქენი, თიწკმა რაშისგ **მართახი** ქიგიაშქვი (ყიფშიძე 1914: 88) „მე რომ გითხრა „ჰო“-მეთქი, მაშინ რაშს მათრახი გადაჰკარი“. სიტყვა აღმოსავლურენოვანი სამყაროდან აქვს შეთვისებული ქართულს, იქიდან კი მეგრულსა (**მართახ-**) და სვანურს (**მგრდახ**). ის არაბულად „საცემელს“ ნიშნავს. ეგევე ფუძე **მეთრალ** ფორმით დასტურდება სპარსულშიც და ჩაქურს ნიშნავს (ქერქაძე 1974: 168). სიტყვა გვხვდება მეგრულ იდიომურ გამოთქმაში **ეშმაკიშ მართახი**, ეძახიან ძალზე მოხერხებულ, გაქნილ ადამიანს: მუჭომით მუმა რენი, თიცაი ეშმაკიშ მართახიე სქუა ხოდო „როგორიც მამაა, ისეთი ეშმაკის მათრახია შვილიც“ (ჩიქვანაია 1998: 23). ლაზურში მათრახის აღსანიშნავად თურქული **კამქ**-ია გაბატონებული: კაი ცხენის **კამქი** ვარ უნონ „კარგ ცხენს მათ-

რახი არ უნდა“ (შეროზია, მემიშიში 1994: 222). იგივე თურქული კამჩგ ფორმა უდევს საფუძვლად აფხაზურ ა-ყამჩგ და აბაზურ ყამჩგ / ყამჩა ფორმებს.

**ტკაცუნა** „მთრახის ბრტყელი დაბოლოება“ (ჩხორ.). სიტყვა მთლიანადაა ნასესხები ქართულიდან (**ტკაც-უნ-ა**).

გარდა ზემოთ განხილული ძირითადი ქვეჯგუფებისა, მეგრულში გამოიყოფა ისეთი სიტყვები, რომლებიც უკავშირდება ცხენის აღკაზმულობასა და მართვა-მომზადებას:

**მუხამუზი / მოხამუზი** „დეზი“ (წალენჯ.): ბოშიქ ქეგი-აშქე მართახი დო ქემიოგე **მუხამუზი** „ბიჭმა დაჰკრა მთრახი და ჰკრა დეზი“ (დანელია, ცანავა 1991: 150). ი. ყიფშიძეს გარკვეული აქვს, რომ სიტყვა მეგრულში ნასესხებია არაბულიდან (ყიფშიძე 1914: 282). ეს სიტყვა **ა-მაჰმეზ** სახით გვაქვს აფხაზური ენის აბჟურ დიალექტში (ბლაჟბა 1964: 219; ამიჭბა 1975: 119). სავსებით დასაშვებია, რომ აფხაზური **ა-მაჰმეზ** მომდინარეობდეს მეგრული **მუხამუზ- / მოხამუზი**-დან. უ > გ და უ/ო > ა, აგრეთვე ხ > ჰ (მეგრ. კალმახა > აფხ. ა-კალმაჰა) აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია. გარდა აფხაზური ენის ფონოტაქტიკის წესის სრული დაცვისა, ამ თვალსაზრისის სისწორეში გვარწმუნებს სიტყვის აფხაზურ ენაში გავრცელების არეალი – გვხვდება აბჟურ დიალექტში, სადაც გაცილებით მრავლად შეიმჩნევა მეგრულის ზეგავლენა.

**ქურქიშ მურიცხი** „დეზი“ (მარტვი). ტერმინოლოგიური შესიტყვება, რომელიც გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით, ზედმიწევნით ნიშნავს „ქუსლის ვარსკვლავს“. **ქურქი** მეგრული „ქუსლია“ (**ქურქ** < **ქურს** – პროგრესული ასიმილაციით), **მურიცხი** „ვარსკვლავია“. მარკირება ხდება მეტაფორულად.

**აბდანი** „ცხენის რკინის დასაბორკი“ (წალენჯი). ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, რკინის საკეტს, აბდანს, ცხენს უკეთებდნენ ფეხზე, რომ ქურდებს არ მოეპარათ. როგორც ჩანს, სიტყვა აფხაზურიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. **ა-ფდან** „რკინის ბორკილი“ (ჯანაშია 1954: 275; კვარცია 1981: 33) მიაჩნიათ საერთო აფხაზურ-ადიღურ ლექსემად: აფხ. **ა-ფდგნ**, ადიღ. **ფგდგნ**, ყაზარდ. **ფდგნ** (შაყრილი 1968: 81). მეგრულში სიტყვა გადმოსულია აფხაზურისათვის დამახასიათებელი **ა-** ზოგადობის პრეფიქსის დაცვით. სესხების შემდეგ ფუძეში მოხდა რეგრესული ასიმილაცია **დ-**ს გავლენით **ფ** გამჟღერდა > **ბ**.

**ნალი** „რკინის ნაჭერი, რომელსაც ცხენს აკრავენ ფლოქვზე“: [რამიქ] ოთხოლო **ნალი** გაათუ დო ცუდეთ დოტახე „[რამმა] ოთხივე ნალი დალია („გაათავა“) და სახლიც გატეხა“ (დანელია, ცანავა 1991: 150). არაბულიდან შეთვისებული ეს სიტყვა გვაქვს ლაზურშიც: კაპულას-და თითო **ნალიში** ტამურღა გეგჩათენ-და „ზურგზეო თითო ნალის დაღს დაგკრავთო“ (ქლენტი 1938: 197). ამ ტერმინმა ხმარებიდან გამოდევნა ძველ ქართულში გავრცელებული **ლუმბა** (საბა

1991: 424), აგრეთვე საკუთრივ ქართული **საჭიდარი** (საბა 1993: 72).

**დაკირალი** (ჯვ.), **მიკაკირამ** (მარტვ.) „ცხენის დასაბმელი თოკი“. ფორმები მიღებულია **კირ-უა** „დაბმა“ ზმნის ძირისაგან. ვარიანტები ერთმანეთისაგან პრევერბით განირჩევა (**და-კირ-ალ-ი**, **მიკა-კირ-ამ-ი** > **მიკაკირამ**). ტერმინთა ზედმიწ. მნიშვნელობაა „დასაბმელი“, „მისაბმელი“.

**ობორკალი** / **ობორკამ** „ცხენის ფეხების შესაბორკად გაკეთებული თოკი“ (ზუგდ., მარტვ.). ტერმინი (**ო-ბორკ-ალ-ი**) ნაწარმოებია საერთოქართველური **ბარკ-** / **ბორკ-** ძირისაგან. **ო-** ქართული **სა-** პრეფიქსის მორფოლოგიური ადეკვატია, **ბორკ-** ძირი, **-ალ** მიმღეობის მაწარმოებელი. ფორმა სემანტიკურად იგივეა, რაც ქართული „ბორკილი“-ა, მორფოლოგიურად კი „საბორკილე“-ს უთანასწორდება.

**სარსული** / **სასროდი** „ცხენის დასაჭერად მომარყუქებული თოკი, ქამანდი“ (წალენჯ., მარტვ.). ორივე ვარიანტი ქართულიდანაა ნასესხები. მიღებულია **სასროლ-**ისაგან, ოღონდ ფონეტიკურად შეცვლილია. კერძოდ, სიტყვაში მოხდა მეტათეზისი: **სასროლი** > **სარსოლი** > **სასრული** (**ო**→**უ**). ეს უკანასკნელი ფონეტიკური მოვლენა მეგრულისათვის ნასესხებ მასალაში ბუნებრივია. შდრ.: **თოხარიკი** > **თუხარიკი**; **სამოთხე** > **სამუთხე**... მარტვილურ მასალაში ჩვეულებრივი ფონეტიკური წესით **ლ** > **ღ**.

**ხუპია** „ცხენის თავზე ჩამოსაკიდებელი ტოპრაკი, რომელშიც საკვებს უყრიან“ (ჩხორ.). მეგრულში **ხუპი** / **ხკპი** ამოდრმავებულ საგანს ნიშნავს. გაფორმებულია -ია მაწარმოებლით.

**თოფრა** „ცხენის თავზე ჩამოსაკიდებელი ტოპრაკი, რომელშიც საკვებს უყრიან“ (მარტვ.). ეს სიტყვა მეგრულს ნასესხები აქვს ქართულიდან, თვით ქართულში კი აღმოსავლურენოვანი სამყაროდან არის შეთვისებული. სიტყვა ფონეტიკური ვარიანტების სახით ფართოდ არის გავრცელებული თურქულში, სპარსულში, ავღანურში, ბენგალურში; რუსულში, უკრაინულში, ბულგარულში, სერბულ-ხორვატულში, პოლონურში, ჩეხურში. კავკასიურ ენათაგან ქართულში, ზანურში, სვანურში, ლეზგიურში, ყაბარდოულში, ინგუშურში. ვარაუდობენ, რომ სიტყვის სამშობლო ინდოეთია (აბაევი 1979: 298).

**სამუნეი / სამნელი / სამლერგ / სამდელი** „ცხენის საწმენდი რკინის სავარცხელი, სამურველი“ (ჯვ., წალენჯ., მარტვ., ჩხორ.). სიტყვა ქართულიდან ჩანს შეთვისებული. საბას მიხედვით, სამონველი „ცხენის საფხანია“ (საბა 1993: 40). ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი: გურულში **სამონელი** (ქდენტი 1936: 241), **სამუნელი** (ღლონტი 1974: 469), რაჭულში **სამონველი / სამონელი** (კობახიძე 1987: 93), ლეჩხუმურში **სამუნელი**, კახურში, მთიულურში **სამურველი** (ლეონიძე 1925: 60). ასევე საინტერესო ფონეტიკური სპექტრია წარმოდგენილი მეგრულში. **სამუ-**

ნეი-ში ლ სონორია დაკარგული ინტერვოკალურ პოზიციაში. სამწელ-ში უ ხმოვანი რეადუცირებულია. სხვა ლექსემებში მოხდა თანხმოვანთა სუბსტიტუცია.

აქვე განვიხილავთ ცხენის მორთვა-მოკაზმვასთან დაკავშირებულ ტერმინებს:

**კაზუა / კაზმუა / კანძუა** „კაზმვა“ (ყიფშიძე 1914: 249; ჭარაია 1997: 75; ელიავა 1997: 191; მარტვი., ხობი): უნჩაშ ჯიმაქ **დოკაზე** რაში დო მიდართე (ყიფშიძე 1914: 79) „უფროსმა ძმამ შეკაზმა რაში და წავიდა“. სიტყვა მეგრულს შეთვისებული აქვს ქართულიდან. ცალკეულ შემთხვევაში მეგრულ ფორმაში დაკარგულია **მ** სონორი, აგრეთვე მომხდარია სუბსტიტუცია **ზ > ძ**. ვ. აბაევის მითითებით, სიტყვა სემანტიკის გადაწვევით ქართულიდან ნასესხები აქვს ოსურ ენას: **კაზმა / კაზმა** – „веревка или ремень, которым привязывается поклажа к ослу“ (აბაევი 1958: 620).

იგივე მნიშვნელობისაა **მონწყულა** (წალენჯ.). ზედმიწ. „მოწყობა“ (ელიავა 1997: 228). მეგრულში იგივე **წყ-** ძირია (**მო-წყ-უ-ალ-ა**), რაც ქართულში, მხოლოდ განვითარებულია **რ** სონორი.

**მუნოდგუმა** „ცხენის მორთვა“ (წალენჯ.). მეგრული მასდარის (**მუნო-დგ-უმ-ა**) ძირი მატერიალურად იგივეა, რაც ქართული **დგ-ომ-ა** ზმნისა. **მუნო-** ზმნისწინია, **დგ-** ქართულთან საერთო ძირი, **-უმ** თემის ნიშანი, **-ა** მასდარის მა-



წარმოებელი. ე. ი. ფორმა ზედმიწევნით ნიშნავს „დადგმას“. იგულისხმება უნაგირის (და მთელი მორთულობის) დადგმა.

შეკაზმული ცხენი აღინიშნება მიმღეობებით **კაზირი** / **კანძილი** / **კაზმული**: ლურჯა ხოლო **კაზგრი** რე, დოგიხვამა შარასია „ლურჯაც შეკაზმულია, დაგილოცავ გზასაო“ (სამუ-შია 1971: 22). მიმღეობა ნაწარმოებია ზემოთ განხილული ქართული **კაზმ-** ძირის ფარდი მეგრული **კაზ-** / **კანძ-** ძირზე მიმღეობის **-ილ** / **-ირ** და **-ურ** სუფიქსების დართვით. ამათ-გან **-ილ** / **-ირ** მეგრულია, **-ურ** კი ქართულიდან არის შეთვი-სებული, უფრო ზუსტად, მეგრულ ძირზე დართულია ქარ-თული სუფიქსი.

უუნაგრო, შეუკაზმავ ცხენს აღნიშნავს ქართულიდან შემოსული **უბელო** / **უმბელო** / **უბელე** / **უბედე** (ყიფშიძე 1914: 202; ჭარაია 1997: 131; ჯვ., სენ., მარტვ.). მეგრულში წარმო-დგენილია როგორც პირვანდელი ფორმა (**უ-ბელ-ო**), ასევე სონორგანვითარებული (**უ-{მ}ბელ-ო**), აგრეთვე მარტვილუ-რისთვის დამახასიათებელი **ლ > მ** (**უბედე**). გვაქვს აუსლაუტ-ში ხმოვანშეცვლილი (**ო > ე**) ფორმაც: **უბელო** > **უბელე** პროგ-რესული ასიმილაციით. ქეგლ-ის მიხედვით, ქართული **უბე-ლო** „შეუკაზმავი, უუნაგრო ცხენია“ (ქეგლ VI: 1395). ამავე სახით გვხვდება ძველ ქართულშიც (საბა 1993: 153). ქართულ ფორმაში გამოიყოფა **უ-ო** უარყოფითობის გამომხატველი ცირკუმფიქსი. **ბელ-ი** განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ხის კუნძია“ (ქეგლ I: 1957), ე. ი. **უ-ბელ-ო**-ში ხის უნაგირის არმქონე იგულისხმება (ლომთათიძე 1981: 84). ამ ეტიმოლო-

გიას ადასტურებს იმავე მნიშვნელობის მქონე მეგრული უ-  
[ნ]ჯალ-ე (იხ. ქვემოთ).

აფხაზურ ენაში გვაქვს კომპოზიტი **ა-ჩაგუბალ** „მეუ-  
კაზმავი, უბელო ცხენი“ (ჯანაშია 1954: 351). ვ. კვარჭია ამ  
კომპოზიტში გამოყოფს **ა-ჩაგ** ან **ა-ჩაგუ** („ცხენის ზურგი“) ნა-  
წილს, რომელიც თავის მხრივ თითქოს დაიყოფა **აჩაგ** და **უ** <  
**ღ** ელემენტებად (კვარჭია 1981: 95-96). ამ ეტიმოლოგიას გა-  
რკვეული წინააღმდეგობა ახლავს: აუხსნელი რჩება კომპო-  
ზიტის მეორე ნაწილი **-ბალ**. გარდა ამისა, აუხსნელია, რამ  
გამოიწვია **ღ** თანხმოვნის ცვლა **კ** თანხმოვნით. რაც მთავა-  
რია, **ღ** არ აღნიშნავს ზურგს. ზურგი აფხაზურად არის **ა-ბლა**,  
რომელიც სულ სხვა აგებულებისაა. ქ. ლომთათიძე სიტყვას  
მიიჩნევს ჰიბრიდულ კომპოზიტად, სადაც საზღვრული  
აფხაზური **ა-ჩაგ** „ცხენი“-ა, მსაზღვრელად კი ქართული **უბე-  
ლო**-ა გამოყენებული. ტრანსფორმაცია ამგვარად ხდება: **ა-  
ჩაგუბალა** > **ა-ჩაგუბალ** > **ა-ჩაგუბალ**. ნასესხებ მასალაში აფხა-  
ზურში **ე** > **ა**, **ო** ხმოვანი სონორის მომდევნოდ იძლევა **ა**-ს,  
შემდეგ უმახვილოდ დარჩენილი საერთოდ იკარგება. გარდა  
მისა, **ჟ**-ს წინ განვითარდა უკანაენისმიერი **კ** ხშული. ეს ფო-  
ნეტიკური პროცესი (**კ**-ს განვითარება **ჟ**-ს წინ) გვაქვს მეგრუ-  
ლიდან შეთვისებულ **ა-კატალა** („ჯირკვალი“) სიტყვაში <  
მეგრ. **ო[ნ]ტოლი** („ჯირკვალი“). აბაზურში კომპოზიტს ფუ-  
ძის ბოლოს დარჩენილი **ლ**-ც ჩამოშორდა და მივიღეთ  
(ა)**ჩაგუბა** (ლომთათიძე 1981: 84-85). აფხაზური და აბაზური  
ფორმების შედარება გვავარაუდებინებს ამ სიტყვის სესხების  
ქრონოლოგიას. როგორც ჩანს, **უბელო** აფხაზურ-აბაზურმა  
ისესხა ამ ენათა ერთობის ხანაში, XVI ს-ის მეორე ნახევარ-

მდე, კერძოდ, 1561 წლამდე, როცა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში ცხოვრობდა (გვანცელაძე 1997-ა: 28-31). აფხაზთა ყუბანის აუზიდან ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსვლისა და აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთიანობის დაშლის შემდეგ აფხაზურში მოხდა კ-ს განვითარების ფონეტიკური პროცესი (**ა-ჩაგუბალ**, **ა-კუატალა**), აბაზურში კი აფხაზურისგან დამოუკიდებლად მოიკვეცა აუსლაუტში **ლ** სონორი – **(ა)ჩაუბა**.

**უნჯალე** „შეუკაზმავი ცხენი“ (ჩხორ.) ფორმაში გამოიყოფა უ-ე უარყოფითობის გამომხატველი ცირკუმფიქსი. ძირია ქართული **ძელ**-ის მეგრული შესატყვისი **ჯა** (< \***ჯალ**) „ხე“. **ნ** ფონეტიკურად განვითარებული სონორია. ე. ი. ფორმის ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „**უ-ხე-ო**“, იგულისხმება ხისგან გაკეთებული უნაგირი, ე. ი. **უმბელო** და **უნჯალე** მოფოლოგიურად და სემანტიკულად ერთმანეთს ფარავენ.

**უნანგირე** „შეუკაზმავი ცხენი“ (ჯვ., ხობი). აქაც გამოიყოფა უარყოფითობის გამომხატველი უ-ე ცირკუმფიქსი. ძირია ქართულიდან მცირედი ცვლილებით შეთვისებული **ონანგირი** (იხ. ზემოთ).

## § 2. ცხენის სადგომის აღმნიშვნელი ტერმინები

თ. სახოკიას გადმოცემით, „მეწველ საქონელთან ერთად მწყემსებს მთაზე ცხენებიც ამოუდით გასასუქებლად. სამურზაყანოში იშვიათია მოსახლე კაცი, რომ ცხენი არ ჰყავდეს. მთელ ზამთარს ხედნიან და გაზაფხულის პირზეა მწყემსებს აბარებენ მთაზე წასაყვანად“ (სახოკია 1985: 364). ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით შედგენილ საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალებში ნათქვამია, რომ „ჭაკი ცხენები ზამთარში ბარში ჰყავდათ, ზაფხულში ასხის მთაზე“ (ჯავახიშვილი 1986: 224). შესაბამისად, კარგად იყო ორგანიზებული ცხენის (ზოგადად საქონლის) სადგომი ნაგებობანი მთასა და ბარში (შამილაძე 1986: 26, 33). ამან განაპირობა ამ თემატური ჯგუფის ლექსიკური მრავალფეროვნება. წინასწარ შევნიშნავთ, რომ ნასესხები მასალა მეგრულში ძირითადად აფხაზურიდან არის შემოსული (ლაზურში – თურქულ-სპარსულიდან). ამის ასახვად გამოგვადგება ის ფაქტი, რომ სააფუნო (საზაფხულო) სამოვრებზე მეგრელი და აფხაზი მწყემსების ბინები (კარვები და თიფუები) გვერდი-გვერდ იყო განლაგებული, მესაქონლეებმა იცოდნენ ერთმანეთის ენა და აქტიური კონტაქტიც ჰქონდათ.

ოცხენე „თავლა, საცხენე“ (ჭარაია 1997: 110; ჯვ.): ენა

მა მოკო ჩქიმ მოხვარეთ, **ოცხენეში** გიმოწიმინდუას მიიფხვარუა (ყიფშიძე 1914: 90) „ეს მე მინდა ჩემს დამხმარედ, თავლის გამოწმენდაში დავიხმარებ“. ძალზე გამჭვირვალე ტერმინია. მიღებულია დანიშნულების **ო-ე** ცირკუმფიქსით **ცხენ**-არსებითი სახელისაგან. გარდა ცხენის სადგომისა, მწყემსურ ლექსიკაში **ოცხენე** ცხენების საძოვარსაც აღნიშნავს. საერთოდ, მეგრელი მეჯოგეები განსაკუთრებით დიდ ყურადღებებს აქცევდნენ ჯოგის დაყოფას ცალკეული სახის საქონლის მიხედვით და მათთვის საძოვრის შესაბამისი უბნის გამოყოფას (შამილაძე 1974: 73).

ლაზურში ცხენის სადგომის აღსანიშნავად გამოიყენება სპარსულიდან ნასესხები **ახირი** (მარი 1910: 128), **ახური** (ყიფშიძე 1911: 24): დევეფექ მოხთეს, მოხთეს ოხოს დო **ახის** ქოძიეს ცხენი „დევებმა იარეს, იარეს და თავლაში ცხენი ნახეს“ (კარტოზია 1968: 150); თუდო **ახუი** ტუ – „ბოსელი“ „ქვევით ახუი იყო – „ბოსელი“ (ასათიანი 1974: 139). ეს სპარსული სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული **ახორი** / **ახვირი** სახით ქართული ენის დიალექტებშიც. სალექსიკონო ერთეულად გვხვდება „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში“ (ფოჩხუა 1987: 232). გარდა **ახორ**-ისა, საცხენეს, თავლას ლაზურში აღნიშნავს ბერძნულიდან ნასესხები **მანდრე** „საცხენე, თავლა“ (მარი 1910: 165), აგრეთვე ქართული **ბაკი** (იქვე, 129), რომელიც, საბას განმარტებით, „მოზღუდვილია“ (საბა 1991: 91). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი „მრგულად მოვლებული ღობე ან ფიცრული ხვასტაგთ დასაყენებელი“ (ჩუბინაშვილი 1961: 148): ... გუწუყონუ ცხენი დო **ბაკის** ქონოკიუ „... ჩამოართვა ცხენი და თავლაში დააბა“

(კარტოზია 1968: 166). ტერმინი **ბაკი** ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში: ქართლურში, კახურში, თუშურში, ფშაურში, მთიულურში, იმერულში (ლეონიძე 1925: 6; ძოწენიძე 1974: 44; ლლონტი 1974: 56; ცოცანიძე 1978: 224). **ბაკი** მეგრულში დღეს არა გვაქვს, მაგრამ შემორჩენილია ტოპონიმში **ნაბაკევი** (ქერქაძე 1974: 114).

**აბორა / აბორა** „ცხენის სადგომი“ (ჯჯ.). ეს ვარიანტები ცოცხალ მეგრულ მეტყველებაში ნაკლებად გვხვდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ წალენჯიხაში ინფორმატორმა ცხენის სადგომის აღმნიშვნელ ლექსემად **ოცხენე**-ს გვერდით **აბურა** დაგვისახელა. ეს სიტყვა პ. ჭარაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში აქვს შეტანილი **ამბური / აბურა / აბურა** სახით, მაგრამ იქ მას ბოსლის, საძროხის მნიშვნელობა აქვს (ჭარაია 1997: 35). **აბორა** ვარიანტი გვაქვს ლაზურშიც და ცხენის სადგომს აღნიშნავს: ჰე მამული ოჭოფით დო **ცხენიშ აბორას** ქომოლოხუნით „ეს მამალი დაიჭირეთ და ცხენის ბაგაში ჩასვით“ (ჟღენტი 1938: 177). სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური სახითა და გარდამავალი სემანტიკით არის გავრცელებული მთის კავკასიურ ენებსა და ბალყარულში: აფხაზ. **აბორ / აბორა** „საქონლის სადგომი“, აბაზ. **ბორა** „ბოსელი, გომური“, ყაბარდ. **ბორუ** „გადახურული სადგომი ცხენებისა და კამეჩებისათვის“, ადიღ. **ბე** „სორო, ბუნაგი“, ბალყ. **ბაუ** „გომური“ (კვარჭია 1981: 86). სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის მითითებულია, რომ ტერმინი მეგრულში აფხაზურიდან არის შეთვისებული (ჭარაია 1912: 20; ბჟანია 1962: 108; კვარჭია 1981: 86). თვით აფხაზურში **აბორა** (არშბა 1980: 15) / **აბო-**

**ურა** (ჯანაშია 1954: 70) ძირეული სიტყვა არ არის. ვ. კვარჭიას ვარაუდით, იგი აფხაზურში შეთვისებულია სპარსულიდან (კვარჭია 1981: 127), როგორც ჩანს, რომელიდაც ჩრდილოეთ-კავკასიური ენის (ან იქნებ ოსურის) მეშვეობით, ვინაიდან აფხაზებს სპარსელებთან უშუალო მჭიდრო კონტაქტები არ ჰქონიათ. სპარსული ა- ხმოვნით დაწყებული **ამზურ** / **აზურ** ვარიანტები და ლაზურში **აზორა**-ს არსებობა ეჭვქვეშ აყენებს მეგრულისათვის სესხების შუალედურ რგოლად აფხაზური ენის ჩათვლას. რეალური იქნებოდა გვეფიქრა, რომ **აზორა** / **აზურა**... ზანურმა ენამ ისესხა მეგრელებისა და ლაზების ტერიტორიულ გათიშვამდე. თუ სესხება უფრო გვიან მოხდა, ლაზურმა უშუალოდ სპარსულიდან ისესხა, მეგრულმა კი – აფხაზურის საშუალებით, რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა. წინასწარ შევნიშნავთ, რომ მეცხენეობის ლექსიკის არც ერთი აფხაზური ელემენტი არ ჩანს ლაზურში, გარდა ზემოთ მითითებული ფორმისა, რომელიც აფხაზურშიც ნა-სესხებია. ა. შაგიროვი აყენებს ამ სიტყვის სლავურთან დაკავშირების ჰიპოთეზას (ამოსავლად სლავური მიაჩნია) და ადარებს რუსულ **ობორა** „ეზო“, სლოვენურ **ობორ** „ღობე“, ბულგ. **ობორ**, პოლონ. **ობორა** „ბაკი, საქონლის სადგომი“ ფორმებს (შაგიროვი 1989: 8).

**აგვარა** / **ანგვარა** „საქონლის შესადენი და დასამწყვდევნი სამეგრელოს მთიანეთში“ (ელიავა: 1997: 11); „გადაუხურავად შემოღობილი ადგილი ღამით საქონლის (მათ შორის ცხენის) დასამწყვდევად“ (ჯვ., მარტვ., წალენჯ., ზუგდ.): ცხენ, **აგვარა**, თივა, ქერი [...], – თენა ორე ჩქიმ ირფელი –

„ცხენი, ბოსელი, თივა, ქერი [...] – ესაა ჩემი ყველაფერი“ (სამუშია 1978: 152). ეს სიტყვა გავრცელებულია აფხაზურში აფარა სახით და ნიშნავს „ეზოს“. ვ. კვარჭიას აფხაზური ფორმის უბიხურ შესატყვისად ფალა მოჰყავს (კვარჭია 1981: 109). შეიძლება გვევარაუდა, რომ აფხაზური (ა)ფარა ქართული გორა სიტყვისაგან მომდინარეობს გო მარცვლის ლაბიალიზაციით და ა ხმოვნის გაჩენით. მით უმეტეს, მეგრულში გორა გვალა-ა. სემანტიკა აქ დაბრკოლებას ვერ ქმნის. არქ. ლამბერტის აღწერით, აფხაზები XVI ს. I ნახევარში ცხოვრობდნენ თხრილშემოვლებულ გორებზე პატარ-პატარა ჯგუფებად (ლამბერტი 1938: 168). თუმცა ამ ვარაუდს დაბრკოლებას უქმნის აფხაზურ-უბიხური რ : ლ შესატყვისობა, რომელიც ძირეულ, არანასესხებ მასალაში დასტურდება.

აფგარა / ანგვარა ეტიმოლოგიურად შეიძლება არც იყოს აფხაზური (ეს შემდგომი კვლევის საგანია), მაგრამ მეგრულში ორივე ფორმა ამკარად აფხაზურიდანაა ნასესხები, რაზეც აფხაზურისათვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი ფორმის ა-პრეფიქსის არსებობა მიანიშნებს. ეს აფხაზური პრეფიქსი შენარჩუნებულია მეგრულში. წ. ბჟანიას მოჰყავს პარალელები: მეგრული აფგარა „საქონლის სადგომი“, გურული აფგართა „მწყემსის ჯოხი“, ადიღური გუართანჲ „ჯოგი“, აგრეთვე რუსული группы „მსხვილფეხა საქონლის ჯოგი“ (ბჟანია 1962: 103). ტერმინი აფხაზურიდან შემოსულია მეგრულში იმავე მნიშვნელობით და ნიშნავს საქონლის შესადენსა და დასამწყვდევს (ყიფშიძე 1914: 192; ელიავა 1997: 11). ვ. შამილადის მითითებით, მეგრული მეჯოგე-მესაქონლეთა საკარვო მეურნეობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი



ნაწილი იყო საქონლის შესარეკი დიდი ზომის აგვარა (შამი-ლაძე 1974: 68). ი. ყიფშიძე მეგრულ აგვარა-სთვის ამოსავალ ფორმას მიიჩნევს აფხაზურ აბოჭრა-ს (ყიფშიძე 1914: 192), რაც არ არის მართებული. მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის მიხედვით რიგ შემთხვევაში უკანაენისმიერი გ-ს წინ განვითარებულია ნ სონორი: აგვარა > / ან-გვარა (შდრ.: ქართ. მაგარი > მეგრ. მანგარი, ქართ. უნაგირი > მეგრ. უნანგირი).

ა-ფარა-სგან არის მიღებული აგვართა „ჯოგი“ (ჭარაია 1997: 33), ამიტომ აქვე განვიხილავთ. ამ ფორმაში იგივე ძირია, რაც აფხაზურ აფარა-ში. -თა სივრცის, მოზღუდული ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსია აფხაზურში. თავდაპირველი სემანტიკა იქნებოდა „შემოღობილი ადგილი“, შემდეგ „ჯოგი, რომელიც ახკარაში, შემოღობილში (ტერმინის შესახებ იხ. ქვემოთ) იმყოფება“, აქედან კი, ზოგადად, „ჯოგი“. -თა სუფიქსი ამგვარი ფუნქციით გამოიყენება აფხაზურ სახელებში. შდრ. აუნგ „სახლი“ > აუნათა „ოჯახი, სახლობა“. ტერმინი წარმოდგენილია აფხაზურის მონათესავე ენებშიც: აბაზ. ფართა, ადიღ. ფართჷ, ყაბარდ. ფართჷ (შაყრილი 1968: 67). ვ. კვარჭია აფხაზურ სიტყვას უკავშირებს მეგრულსა და ქართული ენის დიალექტებში (იმერულსა და გურულში) გავრცელებულ ქართა / ქალტა ფორმას (კვარჭია 1981: 111-112), რაც არ არის დამაჯერებელი.

აგვართა აფხაზურიდან შემოსულია მეგრულში (ჭარაია 1997: 33) და გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა (აგვართა ორინჯი „ჯოგი, მრავალი საქონელი ერთად“), ხალხის კრებული, ბრბოს მნიშვნელობითაც გამოიყენება (ელიავა 1997:

14). ხშირად გვხვდება მეტათეზირებული ფორმით: **აგვართა** > / **არგვათა** (ყიფშიძე 1914: 196). სიტყვა მეგრულის საშუალებით შესულია გურულ დიალექტში და ნიშნავს მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყარაულო ქობს მთაში ან ტყეში (ღლონტი 1974: 22). **აგვართა** და მისი სემანტიკური გადაწყვეით მიღებული **გვართა** „ზვინი“, **გვართუა** „დაზვინვა“ ხშირად გვხვდება მეგრულ ტოპონიმიაში: **ნააგვარ** / **ნაგვართ** / **ხუტუმ ნააგვართ** სახნავი ერისწყლის მარჯ. ნაპირას. ინფ.: „ხუტუს აქ ჰყოლია საქონელი და ჰქონია აგვარ[თ]ა“ (ცხადაია 1999-ა: 229).

**აკარა** / **ახკარა** „შემოღობილი ადგილი, სადაც ზაფხულში საქონელი ჰყავთ“. ეს ვარიანტებიც აფხაზურიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ბ. ჯანაშიას განმარტებით, **ახკარა** „შემოღობილი ადგილია, რომელიც ეზოს აკრავს“ (ჯანაშია 1954: 415), წ. ბჟანიას მიხედვით კი „ცხენების ღია სადგომია“ (ბჟანია 1962: 30, 102). მეგრულში შემოსვლის შემდეგ ვარიანტებმა ჯერ **ა** ხმოვანი დაკარგეს -**აა**- კომპლექსში, შემდეგ კი ცალკეულ შემთხვევებში -**ხკ**- კომპლექსიც გამარტივდა > **კ**. ორივე ვარიანტი დასტურდება მეგრულ ტოპონიმიაში (ცხადაია 1999: 16). შდრ. ჯავახურ დიალექტში დაცული **ახრა** „სამოვარზე პირუტყვის სადგომი, რომელიც შემოზღუდული არ არის“ (მარტიროსოვი 1984: 223). თუ ეს ფორმა სპარსულიდან ნასესხები **ახორ**- / **ახურ**-ის ფონეტიკური სახენაცვალი არ არის და შესაძლებელია აფხაზურ ფორმას (**ახკარა**-ს) დაუკავშირდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვარიანტთა დამკვიდრება უნდა მივაწეროთ მეგრულ მეჯოგეებს, რომ-

ლებსაც საქონელი სააფუნოდ ძალიან შორს მიჰყავდათ – ჩრდილოეთით აფხაზეთ-სვანეთის ქედით თვით ყარაჩაიმდე და სამხრეთით – მესხეთ-ჯავახეთამდე (შამილაძე 1974: 58).

**ქართა, ოქართე** „საქონლის საზაფხულო გადაუხურავი სადგომი“ (ყიფშიძე 1914: 342); „საქონლის ღია სადგომი, ბაკი“ (ელიავა 1997: 258, 316): **ამჭუნან ადრე გუუტე** ოქართეშე **ცხენი ვეშა** „ამ დილით ადრე გავუშვი საჩეხიდან ცხენი ველად“ (სამუშია 1971: 73). **ქართა** ვარიანტი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში – რაჭულში, იმერულში, გურულში **ქართა / ქალტა** სახით (ლეონიძე 1925: 76; ჟღენტი 1936: 248; მოწენიძე 1974: 400; გაჩეჩილაძე 1976: 139; კობახიძე 1987: 109). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეიძლება ეს ვარიანტი ზანიზმად განვიხილოთ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (დანელია 1991: 608). ვ. აბაევის მითითებით, **ქალტა / ქართა** გვხვდება არამარტო კავკასიურ ენებში (ქართ. **ქალტა**, მეგრ. **ქართა**, ჩეჩნ. **ქერთ**, ინგუშ. **ქალტ**), არამედ ფინურ-უნგრულ ენებშიც. ამ სიტყვის წარმოშობა დადგენილი არ არის (აბაევი 1958: 587).

მეგრულში მარტივი **ქართა**-ს გვერდით გვხვდება **ო-ე** დანიშნულების ცირკუმფიქსით ნაწარმოები **ო-ქართ-ე**. ლექსიკონებში აღნიშნულია, რომ **ქართა / ოქართე** საქონლის საზაფხულო სადგომია, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ყველგან მიუთითებენ, რომ ეს არის ცხენების სადგომი.

**ოჩიხალი** „საჩიხე, საქონლის გადაუხურავი სადგომი“

(ჯვ). ფორმა **ო-ალ** მიმღობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსის დართვითაა მიღებული **ჩიხ-** / **ჩეხ-** ძირიდან. იგივეა, რაც ქართული **საჩეხი** / **საჩეხე** „ეზოში (სახლის უკან) შემოღობილი ადგილი პირუტყვის სადგომად, შეშის დასაწყობად“... (ქეგლ VI: 897). თუ ეს ძირი უკავშირდება **ჩეხვა** ზმნურ ფუძეს (**საჩეხი** „რაც უნდა ჩეხონ; რითაც უნდა ჩეხონ“ (ქეგლ VI: 896); **საჩიხე** „ადგილი, სადაც დაჩეხილი შეშა აწყვია, ან სადაც ჩეხენ“), მაშინ ფორმის სტრუქტურა შემდეგნაირად განიხილება – ქართულიდან შეთვისებულ ძირს ერთვის მეგრული პრეფიქს-სუფიქსი (**ჩეხვა**-ს ლექსიკური შესატყვისი მეგრულში არის [ნ]წკირუა). არსებობს ფორმის ეტიმოლოგიის დადგენის მეორე, ჩვენი შეხედულებით, უფრო რეალური შესაძლებლობაც: **ჩიხ**-უა ნიშნავს მიჩიხვას, რისამე გავსებას, მიმწყვედას: **წყარ გოჩიხილგ რე ჩხომით** „წყალი (მდინარე) თევზითაა სავსე (გაჭედილი)“; **ორინჯქ ნაკარწკუმა ქიმკიჩიხგ** „საქონელი ნაკარვალთან მოემწყვედა“. **ო-ჩიხ-ალ-ი** ფორმას იგივე ძირი აქვს, რაც ქართულ **ჩიხ-**ი სიტყვაშია და იგი აღნიშნავს ადგილს, სადაც საქონელს მიჩიხავენ, შეამწყვევენ. ფორმაში გამოიყოფა დანიშნულების **ო-ალ** მეგრული ცირკუმფიქსი (შდრ. **ო-რგემ-ალ-ი** „დასაგეში“ ...).

**ხიბილი** / **ხგბილი** „ხერგილი, გახერგილი ყორე“ (ელიავა 1997: 387); „ჩახერგილი, ქვით ამოყორილი ადგილი, საქონლის ჩასამწყვედევი“ (ზუგდ., ხობი). სემანტიკურად იგივეა, რაც ქართული **ხერგილი** „ხეებით ან სხვა რამით შეკრული ადგილი“ (ქეგლ VIII: 1426). ქართულ **ხერგვა** მასდარს მეგრულში ლექსიკურად **ხიხუა** შეესატყვისება, ე. ი. **ხიხ-ილ-ი**

წარსული დროის მიმღობაა და მასში გამოიყოფა მიმღობის მაწარმოებელი -ილ სუფიქსი.

**ორგეშალი** „ქართაში ვიწროდ შემოღობილი სადგომი, სადაც ცხენს წვრთნიან“ (ჯვ.). ფორმა მიღებულია **რგეშ-უა** ზმნის ძირისაგან, რომელიც ქართული **გეშე**-ის სონორგანვითარებული ფორმაა. **ო-ალ** მიმღობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსია. ფორმა ზედმიწ. ნიშნავს „დასაგებს“. სტრუქტურის მხრივ სიტყვა ისეთივე აგებულებისაა, როგორც აქვს **ოჩიხ-ალ-ი** ფორმას.

**მიორჩქვანაფალი** „ქართაში ვიწროდ შემოღობილი სადგომი, სადაც ცხენს წვრთნიან“ (ჯვ.). მიმღობა ნაწარმოებია **მიორჩქვანაფუანს** „მიჩვევს“ ზმნისაგან. ფორმა ასე დაიშლება: **მი-ო-რჩქვან-აფ-ალ-ი** – **მი-** პრევერბია, **ო-ალ** ქართული **სა-ე** ცირკუმფიქსის მორფოლოგიური ტოლფარდი, **რჩქვან-** ძირი, **-აფ** კაუზატივის ნიშანი, **-ი-** სახ. ბრ. ნიშანი (შდრ. **მერჩქვანა** „მიჩვევა, როცა ვინმე სხვას ეჩვევა“, **მერჩქვანაფა** „მიჩვევა („მიჩვევინება“), როცა ვინმე სხვას იჩვევს“). ფორმა **მიორჩქვანაფალი** ზედმიწ. ნიშნავს „მისაჩვევს“.

**კენოღობილი** „თავლაში შემოღობილი ადგილი, სადაც ახალდაბადებული კვიცი ჰყავთ“ (ჯვ.). ფორმა მიღებულია **ღობ-უნ-ს** „ღობავს“ ზმნისაგან, **კენო-ღობ-ილ-ი** წარსული დროის მიმღობაა. შდრ. მოხეური **მაღობილა** „ბაკი, შემოღობილი ადგილი პირუტყვისათვის“ (ქავთარამე 1985: 273).

**ბოგა, ბოგირი / ბოგილი** „თავლის იატაკი, ხის ხიდი“ (ყიფშიძე 1914: 204), „სიპვებით ან ხე-ფიცრით გაკეთებული იატაკიანი ადგილი, სადაც ზამთრობით ცხენებს აბამენ“ (ჯვ., ზუგდ.). იგივე ვარიანტები გვაქვს ლაზურშიც: **ბოგა** „ბაკი“ (მარი 1910:129 ), აგრეთვე **ბაგენი**, სადაც სემანტიკა გადაწეულია და ნიშნავს ნალიას (იქვე, 128): **მჩხუფე ქომოლოხუნე ბოგას** „ცხვრები „მესვა“ ბაგაში“ (ასათიანი 1974: 67); **ბაგენის ფუჯიში გადი შინახეფტით** „ნალიაში ძროხის საკვებს ვინახავდით“ (ნარაკიძე 1983: 61). მეგრულ-ლაზური **ბოგა** ქართული ბაგა-ს კანონზომიერი ფონემური შესატყვისია (ცაგარელი 1880: 11-41). ქართული **ბაგა** „საკვების ჩასაყრელია დაბმული საქონლისათვის“ (ქეგლ I: 942). ქართული ენის დიალექტებში „გადაფიცრული ან მოწნულ-გადაღობილი ადგილი ბოსელში, ბაკში ან ეზოში საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად“ (ყლენტი 1936: 210; მოწენიძე 1974: 42; ღლონტი 1974: 54; გაჩეჩილაძე 1976: 21). მეგრულში ამ სიტყვამ თავდაპირველ მნიშვნელობასთან შედარებით სემანტიკური ცვლილება განიცადა: **ბოგა** „ხიდი“ (ერთი მორისგან გაკეთებული), მისგან -**ილ** (-**ირ**) სუფიქსით ნაწარმოები **ბოგ-ილ-ი / ბოგ-ირ-ი** კი „ხიდი“ (რამდენიმე მორისგან გაკეთებული), ან „ხის იატაკი“. **ბოგ-ილ-ი** მასდარად **ბოგ-უ-ას** გულისხმობს. მათი ზმნური ფორმაა **ბოგ-უნ-ს**. სამივე ფორმა მორების (ხეების) მჭიდროდ დალაგებას გულისხმობს. ეს სიტყვა სუბსტრატის სახით გვხვდება აჭარულში, სადაც **ბოგა** „თხის ან ცხვრის სადგომია“ (ნარაკიძე 1983: 61; სურმავა 1990: 5), **ბოგილი** „ხის დიდი ხიდი“ (კობერიძე 1999: 19). **ბოგა** საქონლის დასაყენებლად სადგომში და-

გებული ხის იატაკს ნიშნავს ქვემოიმერულშიც. **ბოგირი** კი ხის მომცრო ხიდს. ბოგირი ფორმა შესულია სალიტერატურო ენაშიც და ნიშნავს ხის პატარა ხიდს (ქეგლ I: 1086). შდრ. **ბოგა** „მცირე ხიდი“ (საბა 1991: 107); **ბოგა** „მცირე ხიდი მიწაყრილი“. **ბოგირი** „მოდიდო ხიდი ან საგუბარი“ (ჩუბინაშვილი 1961: 153). **ბოგა**, **ბოგირი** ზანიზმებია ქართულ ენასა და მის დიალექტებში (დანელია 1984: 76-77).

**ფინახარი** „ბაგა, საპირე, ხვასტაგთა საჭმლის ჩასაყრელი“ (ჭარაია 1997: 135; ყიფშიძე 1914: 316). შდრ. იმერული **ქვინახარი** „ბაგა, ადგილი, სადაც საქონელს საჭმელს აჭმევენ“ (ჯავახიშვილი 1986: 181). პ. ჭარაია **ფინახარის** სინონიმად ასახელებს **ბაგას** (ჭარაია 1997: 38). ნათელია, რომ იმერული **ქვინახარი** და მეგრული **ფინახარი** ერთი და იგივეა. იმერულში შემონახული ჩანს უფრო ძველი, ამოსავალი ფორმა. როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, ლაბიალურ კომპლექსთაგან ბაგისმიერი თანხმოვნების მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში. ქვ- კომპლექსი გვაძლევს ფ-ს შდრ. აქვს > აფუ; ქვიტკირი > ფიტკირი; ჩამქვა (მაღალმთის ბოკვი) > ჩამფა (ლომთათიძე 1984: 34).

**ოჩამური / ოჩამურე** „თავლის კედელში გამოჭრილი ცხენის ბაგა“ (წალენჯ.). ვარიანტები მიღებულია **ჩ-ამ-ა** „ჭმევა“ ზმნის ფუძისაგან. ვარიანტები ასე დაიყოფა: **ო-ჩამ-ურ-ი / ო-ჩამ-ურ-ე. ო-ურ** მიმღეობის მაწარმოებელია (შდრ. **ო-გაფ-ურ-ი** „გადასახადი“, **ო-კათ-ურ-ი** „საზიარო“), ე. ი. **ოჩამური** ზედმიწე. ნიშნავს „ადგილს, სადაც აჭმევენ“. **ო-ე-ც** დანიშნუ-

ლების ქართული სა-ე ცირკუმფიქსის ტოლფარდი მაწარმოებელია (შდრ. **ო-ცხენ-ე** „საცხენე“). აუსლაუტში აფიქსთა მონაცვლეობა მეგრულში საკმაოდ ხშირად გვხვდება. შდრ. **ოთიფური / ოთიფურე** „სათიბი“; **ონტყოლეში / ონტყოლაშე** „ტალახი, ჭაობი“; **ოფეთაში / ოფეთაშე** „საჩიჩელი“, **ონჭყაში / ონჭყაშე** „კვიცი“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანიშნულების პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებულმა ფუძემ ხელმეორედ დაერთო იმავე ფუნქციით -ე სუფიქსი, უფრო ზუსტად, **ო-ე** ცირკუმფიქსის მეორე, სუფიქსური ნაწილი, ან შეიძლება აუსლაუტში **ი > ე**. შდრ. **ალაგი > ალაგე**, **ჭიპი > ჭიპე**, **ფუჭი > ფუჭე** (ჭარაია 1997-ა: 216). ალბათ, უფრო მისაღები პირველი ვარაუდია, რადგან -ე ჩვენს შემთხვევაში ფუნქციურად დატვირთულია. ის ცოცხალი მაწარმოებელია მეგრულში.

**გიშაგაფი** „თავლის კედელში გამოჭრილი ცხენის ბაგა“ (მარტვ.). წარსული დროის მიმღეობა (**გიშა-გაფ-ი** < \***გიშა-გაფ-ილ-ი**) ზედმიწევნით ნიშნავს „გადატიხრულს“.

**საპირო** „საქონლის ბაგა“ (ელიავა 1997: 284). ძირიც და მაწარმოებლებიც ქართულიდან არის შეთვისებული, სადაც გვაქვს **საპირე / საპირო** ფორმები (სურმავა 1990: 5).

**ოჭკორიე** „თავლის კედელში გამოჭრილი ცხენის ბაგა“ (ჯვ.). ამ სიტყვაშიც ზემოთ არაერთხელ მითითებული **ო-ე** დანიშნულების ცირკუმფიქსი გამოიყოფა. ძირი, შესაძლოა, მეგრულ ჭკირუა-ს „ჭრას“ უკავშირდებოდეს. **ოჭკორიე** „გამოჭრილს“ ნიშნავს (შდრ. **ოჭკორიე** „ფანჯარა, სანათური



ძველებურ სახლში“ (ჭარაია 1997: 111).

### § 3. ცხენის მოვლა-პატრონობის აღმნიშვნელი ტერმინები

ცხენის მოვლა-პატრონობის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია დამლის დასმა, დადაღვა. სამეგრელოში ცხენის მრავალი დამლაა ცნობილი. თვით დამლისა და მისი ნიშნების წარმოშობას საყურადღებო ისტორია აქვს. თავდაპირველად დამლები ჰქონდა მაღალ წოდებას, თავად-აზნაურებს. გლეხი ბატონის ნებართვის გარეშე ცხენს დამლას ვერ დაადებდა, ამასთანავე გადასახადი უნდა გადაეხადა (მაკალათია 1941: 196). არქ. ლამბერტის ცნობით, „ყველა ცხენები სამეგრელოში დადაღულები არიან“ (ლამბერტი 1938: 70). ამ პროცესის აღსანიშნავად მეგრული რამდენიმე ტერმინს იყენებს:

**დაღუა** „დადაღვა“ (ყიფშიძე 1914: 222; ჭარაია 1997: 57; ელიავა 1997: 116). მასდარის ძირია თურქულ-სპარსულიდან ნასესხები **დაღ** (ბასკაკოვი 1977: 203). ეს ძირი ფართოდ გამოიყენება ქართველურ ენებში. აქვე უნდა განვიხილოთ თურქულიდანვე ნასესხები **დამლა** (ბასკაკოვი 1977: 208), რომელიც ფართოდ არის გავრცელებული კავკასიურ ენებში: აფხ. **ა-დამგლ** (ჯანაშია 1954: 192), **ა-დამგლა** (კვარჭია 1981: 43), აბაზ. **დამგლა**, ადიღ. **თამგლჷ**, ყაზარდ. **დამგლჷ** (შაყრილი 1968: 68), ვაინახ. **თხანლჷ**, თაბას. **დამლა** (აბაევი 1958: 343), ქართ.

**დამლა** (ქეგლ III: 556), ლაზური **ტამურლა** (ჟღენტო 1938: 207). ეს სიტყვა თურქულიდან დამოუკიდებლადაა შესული, ერთი მხრივ, ქართულსა და, მეორე მხრივ, აფხაზურ-ადიღურ ენებშიც. ამაზე აფხაზურ, აბაზურ და ადიღურ ენებში **ლ** თანხმოვნის წინ **გ** ხმოვნის არსებობა უნდა მიანიშნებდეს. ჩვენთვის ეს სიტყვა საინტერესოა იმის გამოც, რომ აფხაზურში დაცულია ორენოვანი კომპოზიტი **ა-ჯარდამგლ** „ჯვრის ფორმის დამლა“ (კვარჭია 1981: 43), სადაც კომპოზიტის პირველი კომპონენტი ქართული **ჯვარ**- ფუძეა. ქართულიდან შეთვისებულ სიტყვაში **ჯვ**- (resp. **ჯუ**-) კომპლექსის არაბუნებრიობის გამო ჩავარდნილია **ვ(უ)** და სიტყვა წარმოდგენილია **ა-ჯარ** ფორმით (ლომთათიძე 1976: 52).

**შანთუა** „დადაღვა“ (ჩხორ.). მასდარის ძირი ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს. ქართ. **შანთი** „დაღის დასასმელი რკინა“ (ფოჩხუა 1987: 234).

**ხენწერუა** „ნიშნის დასმა საქონელზე (ცხენზე)“ (ჯვ., წალენჯ., მარტვ.). ეს ფუძე **-უა** დაბოლოების გარეშე, როგორც ჩანს, მეგრულმა აფხაზურიდან ისესხა. წ. ბჟანია აფხაზურ **ახწარა**-ში ორ ფუძეს გამოყოფს: **ა-ხე** „თავი“, **(ა)წარა** „დასმა“ (ბჟანია 1962: 75). შდრ. **ა-დამგლ ა-წარა** „დაღის დასმა“. თვით ნიშნის მეგრულში ეწოდება **ხინწირა** / **ხენწერა**, რომელიც **ხენწერა** სახით გვაქვს სვანურ ენაშიც (ბჟანია 1962: 75).

ცხენის მოვლა-პატრონობის უმნიშვნელოვანესი პი-

რობაა გახედნა და დაკოდვა.

**ხენდუა** „გახედნა“ (ჭარაია 1997: 177; ელიავა 1997: 385): დიო ჯგირო **გორხენდუნა**, ბოლოს დუცვ მერქექებნა „ჯერ კარგად გაგხედნიან, მერე თავს წაგაცლიან“ (გუდავა, ცანავა 1975: 293); თინა [ფაშატი] მუჟანც მიოდუნე, ოჭოფი, **დობენდი**, გედობოდი დო გილართია „ის [ფაშატი] როცა გაიზრდებო, დაიჭირე და გახედნე, დაჯექი და იარეო“ (დანელია, ცანავა 1991: 168); ჯგერი ოჭოფალი ცხენი მეტის **იხენდუნია** „კარგი დასაჭერი ცხენი მეტად გაიხედნებო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 190). ამ სიტყვის **ხენდ-** ფუძე ქართული **ხედნ-**ის მეტათეზირებული ფორმაა. ქართ. **ხედნა** „შესაჯდომად ან შესაბმელად გაწვრთნა“ (ფოჩხუა 1987: 234), **გახედნა** „გაწვრთნა, გაწაფვა“ (ქეგლ II: 1395).

**რგეშუა** „ცხენის გახედნა“ (ხოზი): იმა ცხენცვ ვა მაჭიშე, მუდგა **რგეშილი** ორდასგნი „მას ცხენი ვერ დაეწევა, რა გინდა დაგეშილი იყოს“ (სამუშია 1971: 106). ამ ტერმინის **გეშ-** ფუძე ქართულიდანაა შეთვისებული. **დაგეშვა** „გაწვრთნა“ (ქეგლ III: 211). ამოსავალია **გეში** „აღლო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება“ (ქეგლ II: 1432). ოღონდ ქართულში ეს სიტყვა ძირითადად სანადირო ძაღლებთან და ქორ-მიმინოსთან მიმართებაში გამოიყენება, მეგრული კი ცხენთანაც გვხვდება. მეგრულში უკანაენისმიერი **გ-**ს წინ განვითარებულია **რ** სონორი. შდრ. გუდამაყრ. **გაგერშილი** „დაგეშილი, გაწვრთნილი“ (ღლონტი 1977: 106).

**ნკყუალა / ნკყალა** „გახედნა“ (ჯვ., წალენჯ., ჩხორ.). საერთო ძირი წარმოდგენილია სამსავე ქართველურ ენაში: ძვ. ქართ. **და-მწყ-ა**, მეგრ. **ნკყ-უ-ალ-ა**, ლაზ. **ო-მჰკ-უ**, სვან. **ლი-ნკყ-ი** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 229). მეგრულში **ნკყ**-კომპლექსის ნაცვლად \***მჰკყ**- უნდა ყოფილიყო, მაგრამ წინაენისმიერ ხშულთა **მ > ნ** (ჟდენტის 1953: 123). ლაზურში ამ დიალექტისთვის ბუნებრივი ფონეტიკური პროცესი მოხდა: **მჰკყ > მჰკ** (ჩიქობავა 1936: 17).

**ყვარუა** „დაკოდვა, დაყვერვა“ (ჭარაია 1997: 148; ელიავა 1997: 301): ჟირი შაურიშა **ყვარგნდგ** დო მანათიში საპონც მიბონუნდუა „ორ შაურად კოდავდა და მანეთის საპონს ხმარობდა დასაბანადო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 118). ძირი საერთოქართველურია: ქართ. **და-ყუერ-ვ-ა**, მეგრ. **ყვარ-უ-ა**, ლაზ. **ო-ყვარ-უ**, სვან. **ყორ-** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 369). მეგრულ-ლაზური **ყვარ-** ფუძე საინტერესოა ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით: იგი უკავშირდება სათესლე პარკის სახელს. ზანურში შესაბამის ფუძესთან კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა დაცულია (ქართ. **რ** : ზან. **ჯ**, ქართ. **ე** : ზან. **ა** – ქართ. **ყვერ-ი** : ზან. **ყვაჯ-ი**), იმავე ძირიდან მიღებულ სახელზმნაში კი სხვა ვითარება გვაქვს, კერძოდ, ქართ. **რ** : ზან. **რ**; არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ **რ > ჯ** მეორეული მოვლენაა (ჩიქობავა 1938: 353). შდრ. ქართ. **პირი** : მეგრ. **პიჯი**, მაგრამ სახელზმნაში **პირუა** „მოპირვა“. ფუძის მეგრული სახეობა ნასესხები აქვს აფხაზურ ენას, სადაც გვაქვს **ა-რაყარა** „დაკოდვა“ (არშბა 1980: 26, 51).

ცხენის მოვლის აუცილებელი პირობაა დაჭედვა.

თუმც, არქ. ლამბერტის გადმოცემით, „ცხენს სჭედავენ სამეგრელოში მხოლოდ მაშინ, როცა საომრად წავლენ, რადგან შეიძლება ქვიან ადგილებში მოუხდეთ სიარული. როცა შინ არიან, მაშინ მეგრელები ცხენს არ სჭედავენ, რადგან მათი ქვეყანა ქვიანი არ არის და ცხენებს ჩლიქი არ უცვდება დაუჭედავად“ (ლამბერტი 1938: 185). იმავეს იმეორებს ჟ. შარდენიცი: „ცხენებს სამეგრელოში არ ჭედავენ“ (შარდენი 1975: 115). როგორც ჩანს, მოგზაურები აღნიშნავენ მათთვის ნაცნობ ქვემო სამეგრელოში ნანახ ვითარებას, სადაც ჭაობისა და რბილი ნიადაგის გამო ცხენის დაჭედვა მართლაც არ იყო საჭირო და მიზანშეწონილი. მაღალმთიან სამეგრელოში ცხენი დაუჭედავად ვერ ივარგებდა.

ცხენის დაჭედვა აღინიშნება საერთოქართველური \*ჭედ- ძირიდან (კლიმოვი 1964: 254) მიღებული ჭკად-უ-ა ფორმით: რაშის ჭკადუნდესია დო გორდიქ ხოლო კუჩხი მაფიცხინუა მა ხოლო დობჭკადითია „რაშს ჭედდენო და ბაყაყ-მაც ფეხი გაიშვირა – მეც დამჭედეთო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 118); ცხენი დოღურუნ, უკულ ვაკო ჭკადუა „ცხენი რომ მოკვდება, მერე არ უნდა დაჭედვა“ (იქვე, 169).

როგორც აღინიშნა, ძირი საერთოქართველურია: ქართ. ჭედვა, მეგრ. ჭკადუა, ლაზ. გეჭკადუ, სვან. ლიშჷდი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 474). ქართულმა ჭ-მ მეგრულში ჭკ- კომპლექსი მოგვცა (მაჭავარიანი 1965: 40). ლაზურში ყველა კილოკავში ჭკად- ძირია, გარდა ათინურისა, სადაც გვაქვს ჭკად > ჭად ვარიანტი (ჩიქობავა 1938: 412).

ზაფხულობით ცხენი სხვა საქონელთან ერთად მთაზე აჰყავდათ (სახოკია 1985: 364; ჯავახიშვილი 1986: 224). საზაფხულო სამოვარზე ცხენის (საქონლის) მოვლა-პატრონობის რამდენიმე სახე იყო ცნობილი:

**ჭყიშუა** „მწყსვა“ (ყიფშიძე 1914: 394; ელიავა 1997: 380). არნ. ჩიქობავა საერთოქართველურ (ქართულ-ზანურ) **მწყემს-**, **ჭყიმ-** ფორმებში გამოყოფს **წყ-**, **ჭყ-** ელემენტებს და ვარაუდობს, რომ ლექსემა **არ-ს-ი**, **ღირ-ს-ი-ს** მსგავსი წარმოებისა უნდა იყოს და ეტიმოლოგიურად „მაყურებელს“ უნდა ნიშნავდეს (ჩიქობავა 1938: 96). გ. კლიმოვი ქართულ-ზანური ერთიანობის დროისათვის აღადგენს \***მწ**, **ყს-**, \***მწ**, **ყეს-** არქტიპებს (კლიმოვი 1964: 142). იმერულში ამჟამადაც იხმარება **მწყესი** ვარიანტი. მეგრულში ჩქამიერის წინ **მ** სონორი დაკარგულია (გუდავა 1979: 82-84). ლაზურში გვაქვს **მჭკემ-** < **მჭყემ-**; ათინურში კი **ჭკ-** კომპლექსი გამარტივებულია და ძირი წარმოდგენილია **ჭემ-** ფორმით (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 230).

**თხილუა** „მწყსვა“ (ყიფშიძე 1914: 246; ჭარაია 1997: 72; ელიავა 1997: 175); „სხვისთვის საქონლის (ცხენის) მიბარება გარკვეული პირობებით“ (ჩხორ.): ანწი შეგიღებუნია **დო-თხილუევე** ათე საგანიში იმენდითია ეთი ფაშატია „აწი შეგიძლიაო მომწყემსო ამ ისრის იმედით ის ფაშატია“ (დანელია, ცანავა 1991: 166). პ. ჭარაიას მითითებით, **თხილუა** წარმომდგარი უნდა იყოს ძირისაგან **თხილ-**ი (ფრთხილი) „გაფრთხილება, ფრთხილად ყოფნა, მწყსვა“. სიტყვა **თხი-**

ლუა-ს მნიშვნელობაა საკუთრივ стержь (ჭარაია 1997: 72).

**ყარულობა** „სამოვარზე საქონლისთვის (ცხენისთვის) საყარაულოდ დადგომა“ (ჩხორ., ზუგდ). ფორმა ქართულიდან არის შეთვისებული გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით. კერძოდ, ქართული ფორმის -აუ ხმოვანთკომპლექსი გამარტივებულია, ა ჩავარდნილია და მეგრულში გვაქვს **ყარულობა**. ქართულში **ყარაული** ახალი ნასესხები უნდა იყოს რუსულიდან, იქ კი თურქულიდანაა შეთვისებული.

**მინჯალა / მინჯობუა** „ცხენის მწყემსვა მორიგეობით“ (ჯვ.). სახელზმნის ძირია მეგრული **მინჯე** „პატრონი“ (ჭარაია 1997: 94). ი. ყიფშიძე ამ ფუძეს უდარებს **მე-ნძელ-ს** და ასე ყოფს: **მინ-ჯე** (ყიფშიძე 1914: 291). მეგრულში ამ სიტყვისაგან მიღებული მასდარი სხვადასხვანაირადაა გაფორმებული: **მინჯ-ალ-ა** და **მინჯ-ობ-უ-ა**.

აქვე განვიხილავთ ცხენოსნის აღმნიშვნელ მეგრულ ტერმინებს:

**ცხენიშ კოჩი** „ცხენოსანი“ (წალენჯ., ზუგდ.). ტერმინოლოგიური შესიტყვება გადმოცემულია მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით. მსაზღვრელია ნათესაობით ბრუნვაში დასმული **ცხენი** სიტყვა, საზღვრული კი ქართული **კაცის** მეგრული შესატყვისი **კოჩი**. შესიტყვება ზედმიწევნით ნიშნავს „ცხენის კაცს“.

**გიმახუნაი კოჩი** „ცხენოსანი“ (მარტვ.). აქაც სინტაგმა გვაქვს. ატრიბუტული მსაზღვრელია მოქმედებითი გვარის მიმღეობა **გი-მა-ხუნ-აი** (< **გი-მა-ხუნ-ალ-ი**), საზღვრული კი საერთოქართველური **კოჩ-ია** (ქართ. **კაც-ი**, სვან. **კჷშ**). სინტაგმა ზედმიწევნით ნიშნავს „მჯდარ კაცს“.

**გიმახვენჯი** „ცხენოსანი“ (ჯვ., სენაკი): რაშიქე გეიოლგ დო ოკოდე ცას ქიმკაშმერგკონი **გიმახვენჯი** „რაში ავარდა და უნდოდა ცაზე მიესრისა მხედარი“ (დანელია, ცანავა 1991: 48). ტერმინი გადმოცემულია მოქმედებითი გვარის მიმღეობით (**გი-მა-ხვ-ენჯ-ი**). მიმღეობის **მა-ენჯ** მაწარმოებელი ქართული **მა-არ-ის** ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტია. უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრულში **-ენჯ** და **-ალ** ბოლოსართები ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს: **გიმახუნ-ალ-ი / გიმახვ-ენჯ-ი** „მჯდარი“, **მახირ-ალ-ი / მახ-ინჯ-ი** (< **მახ-ენჯი**) „ქურდი“, „მპარავი“, **დახუნ-ალ-ი / დახვ-ენჯ-ი** „დასაჯდომი“. ისინი ერთმანეთის ფონეტიკური და მორფოლოგიური ეკვივალენტები არიან (თოფურია 1937: 143). ჩვენს შემთხვევაში მაინც შეიმჩნევა ერთგვარი ნიუანსური დიფერენციაცია: **-ალ** ბოლოსართით გაფორმებული **გიმახუნალი** მეცხენეობის ლექსიკაში ჯერ კიდევ ტერმინოლოგიური შესიტყვების ნაწილია, მსაზღვრელია, **-ენჯ-ით** გაფორმებული **გიმახვენჯი** კი უკვე ტერმინადაა ქვეული, საბოლოოდ ლექსიკალიზებულია.

**ცხენენჯი** „ცხენოსანი“ (ჯვ.). ეს ფორმა მეგრულში იშვიათად გამოიყენება. **-ენჯ** სუფიქსი ჩვეულებრივ მიმღეობას



აწარმოებს მეგრულში (თოფურია 1937: 141-144). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ანალოგიის წესი მოქმედებს და ფორმა **გიმახვენჯ**-ის გავლენითაა წარმოებული.

**ცხენამ კოჩი** „ცხენოსანი“ (ზუგდ.): კუჩხიში კოჩი **ცხენამ კოს** გაიპიცანდუა „ფეხით მიმავალი კაცი („ფეხის კაცი“) ცხენიან კაცს („ცხენოსანს“) დასცინოდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 78). ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში მსაზღვრელი მქონებლობის -ამ სუფიქსით გაფორმებული **ცხენი** სიტყვაა, საზღვრული კი **კაც**-ის აღმნიშვნელი მეგრული **კოჩი**. შესიტყვება ზედმიწევნით „ცხენიან კაცს“ ნიშნავს, მაგრამ მეგრულში ჩვეულებრივ „ცხენოსნის“ ფუნქციით გამოიყენება.

### **ცხენის აღკაზმულობის, სადგომის აღმნიშვნელი და მოვლასთან დაკავშირებული ტერმინების სტრუქტურული მოდელები**

ამ თავში თემატურად განსხვავებული ტერმინებია წარმოდგენილი. შესაბამისად, განსხვავებულია მათი სტრუქტურული მოდელებიც. საკუთრივ მეგრული ან ქართველური ფორმების გვერდით აქტიურად გვხვდება ნასესხები ლექსიკა. ცალკეულ შემთხვევაში (სადგომის აღმნიშვნელ ტერმინებში) ჭარბობს მიმღეობური ფორმები.

სტრუქტურის მიხედვით ფორმები ასე განაწილდება:

1. **მარტივი ჯგუფები**: ა. **მეგრული ან ქართველური**: **ბოგა** „თავლის იატაკი“, **ფსუა** „უნაგირის ნაწილი“... ბ. **ნასეს-**

ხები. ქართულიდან: ადვირი „ცხენის სატუჩარი მოწყობილობა“, კეხი „უნაგირის ხის ჩონჩხი“, რგოდი „ჯილავი“... სხვა ენებიდან ნასესხები: აბდანი (აფხაზ.) „რკინის დასაბორკი მოწყობილობა“, მეში (თურქ.) „ოთხკუთხედი ტყავი უზანგის თასმის ქვეშ მუხლის დასაცავად“, მუხამუზი / მოზამუზი (არაბ.) „დეზი“, სედლო (რუს.) „ქალის უნაგირი“, აგვარა / ანგვარა (აფხაზ.) „გადაუხურავად შემოღობილი ადგილი ღამით ცხენის დასამწყვდევად“, აკარა / ახკარა (აფხაზ.) „ცხენისთვის საბალახოდ შემოღობილი ადგილი“... გ. გაურკვეველი წარმომავლობისა: ასალი „მდიდრულად მოქარგული ცხენის ჩული“, პატილი / პატიი / პატი „საოფლე“...

2. ოდენპრეფიქსოვანი წარმოება: მო-სა-ნჭირ-ი „მოსართავი“.

3. ოდენსუფიქსოვანი წარმოება: კაზ-ირ-ი / კანძ-ილ-ი „შეკაზმული“, ბოგ-ირ-ი / ბოგ-ილ-ი „სიპებით ან ხე-ფიცრით გაკეთებული იატაკი თავლაში“, ხიბ-ილ-ი / ხგბ-ილ-ი „ჩახერგილი, ქვით ამოყორილი ადგილი ცხენების ჩასამწყვდევად“, ცხენ-ენჯი „ცხენოსანი“...

4. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება: ა. მეგრულ ძირზე დართული მეგრული აფიქსები: უ-ნჯალ-ე „უბელო“, უ-ონანგი-ე „უბელო“... მიმღეობები: გუნა-ფორ-ალ-ი „უნაგირზე გადასაფარებელი ფარდაგი“, ეწა-ჭოფ-ალ-ი „აღვირის სადავე“, ო-რგემ-ალ-ი „ვიწროდ შემოღობილი სადგომი, სადაც ცხენს წვრთნიან“, კინო-ღობ-ილ-ი „თავლაში შემოღობი-

ლი ადგილი, სადაც ახალდაბადებული კვიცი ჰყავთ“, გი-მა-ხვ-ენჯ-ი „ცხენოსანი“... ბ. მეგრულ ძირზე დართული ქართული აფიქსები, ან ფონეტიკურად ცვლილი (მეგრულ ფონოტაქტიკას დამორჩილებული) ქართული ძირი და ქართულივე აფიქსები: მო-სა-რთ-ე (ე < \*ეი < \*აი < ავი) „მოსართავი“, სა-კიდირ-ო / სა-კიდირ-ე „სამკერდული“, სა-ნძ-ო „საძუე“, სა-უფ-ო „საოფლე“...

5. კომპოზიტები: კინა-ლაგამე „აღვირის რკინის ენა“...

6. ტერმინოლოგიური შესიტყვებები: ა. ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი სინტაგმა: გიმახუნაჲ კოჩი „ცხენოსანი“, ცხენამ კოჩი „ცხენოსანი“, ჩქვამ მაგამი „აღვირის რკინის ენა“... ბ. მართულმსაზღვრელიანი სინტაგმა: ქურქიმ მურიცხი „დეზი“, ცხენიმ კოჩი „ცხენოსანი“...

მასდარები სტრუქტურულად მეგრულისათვის ყველაზე გავრცელებული წარმოებით (-უ-ა დაბოლოებით) არის გადმოცემული: დაღ-უ-ა „დადაღვა“, თხილ-უ-ა „მწყემსვა, მოვლა“, მინჯობ-უ-ა „ცხენის მწყემსვა მორიგეობით“, რგემ-უ-ა „გახედნა“, ყვარ-უ-ა „დაკოდვა“, ჭკად-უ-ა „დაჭედვა“...

სხვა წარმოება:

-ალ-ა სუფიქსიანი: მინჯ-ალ-ა „ცხენის მწყემსვა მორიგეობით“, ნწყ-ალ-ა / ნწყ-უ-ალ-ა „გახედნა“, მო-ნწყ-უ-ალ-ა „მორთვა“...

-ობ-ა სუფიქსიანი: ყარულ-ობ-ა „საძოვარზე ცხენისთვის საყარაულოდ დადგომა“. იგივე -ობ- სუფიქსი გვაქვს

მინჯ-ობ-უ-ა („ცხენის მწყემსვა მორიგეობით“) ფორმაშიც.

## დასკვნითი დებულებები

1. ზანური ენის მეგრულ დიალექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკას. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა და სოციალური პირობების შეცვლამ სამეგრელოს ოდესღაც ყველაზე განვითარებული მეურნეობის დარგი დააკნინა, საკმაოდ მრავალფეროვნად და საინტერესოდ არის შემონახული ამ დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. აქვე შევნიშნავთ, რომ გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ეთნოგრაფიულ წყაროებში დაცული ფორმები ხანდახან განსხვავდება (სემანტიკურად) ჩვენს მიერ ველზე მოპოვებული მასალისაგან. გარდა ამისა, ცალკეული სიტყვები და ფორმები ცოცხალ მეტყველებაში დაკარგულია.

2. ნაშრომში განხილული 502 ლექსიკური ერთეული დაყოფილია 16 სემანტიკურ ჯგუფად.

3. გაანალიზებულ ფორმათაგან 186 ფორმა მარტივი ფუძეა, რომლებიც აღნიშნავენ ძირითადად ცხენის სქესს, ასაკობრივ დიფერენციაციას, სხეულის ნაწილებს, აღკაზმულობას, სადგომს.

4. წარმოქმნილ ფორმათაგან ყველაზე მწირადაა წარმოდგენილი პრეფიქსული წარმოების ტერმინები, სულ 11 ერთეული. სოლიდური ადგილი უჭირავს სუფიქსური

წარმოების (118 ერთეული) და პრეფიქსულ-სუფიქსური (95 ერთეული) წარმოების ფორმებს.

5. წარმოქმნილი ფორმები გარკვეულ სტრუქტურულ ჯგუფებს ქმნიან: 1. საკუთრივ მეგრული ფორმები, ე. ი. მეგრულ ძირზე დართული მეგრული აფიქსები; 2. მეგრულ ძირზე დართული ქართული აფიქსები (**ა-ბორბოზ-ებ-ა, და-დამაკ-ებ-ულ-ი**); 3. ქართულიდან შეთვისებული ტერმინები, სადაც ძირიც ქართულია, აფიქსიც, მაგრამ ფორმა მაინც მეგრულია, რადგან მოქმედებს მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის წესი. მაგ. **სა-კურტან-ო** (და არა **სა-კურტნე**) – არ მოხდა ქართულისთვის ბუნებრივი რედუქცია. ამასთანავე ძირმა დაირთო არა **სა-ე**, არამედ **სა-ო** ცირკუმფიქსი, **მე-კურტან-ე** (და არა **მეკურტნე**), **სა-ლაგა-მო** (და არა **სალაგმე**), **გა-თ-ებ-ულ-ი** (და არა **გათავებული**). ცალკე ქვეჯგუფს ქმნის ქართულიდან თუ სხვა ენებიდან შეთვისებული ნაწარმოები ფუძეები, რომლებიც მეგრულისათვის მარტივი ფუძეებია.

6. მეცხენეობის ლექსიკაში თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი სახელზმნები. მასდარი – 63 ერთეული, მიმღეობა – 64 ერთეული. მასდარით ძირითადად გადმოცემულია ცხენის მოძრაობის, ხმიანობის, ფიზიოლოგიის, მოვლა-პატრონობის, სპორტულ თამაშობებთან დაკავშირებული ტერმინები, მიმღეობით კი ცხენის სადგომის, გარეგნობის, ზნის აღმნიშვნელი ტერმინები. სახელზმნათა ერთი ნაწილისაგან ჩვეულებრივ იწარმოება ზმნის პირიანი ფორმები, მეორე ნაწილი კი არ იუღლებს.

7. ცხენის შეფერილობის, სხეულის ნაწილების, ზმნის,

გარეგნობის აღმნიშვნელი კომპოზიციები 42 ერთეულია, ტერმინოლოგიური შესიტყვება კი 45 ერთეული, მათგან 17 ატრიბუტულია და 28 მართულმსაზღვრელიანი სინტაგმაა.

8. მეგრული დიალექტის მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა სტრუქტურული მოდელების მიხედვით ასე ნაწილდება:

### **მარტივი**

1. საკუთრივ მეგრული 14
2. მეგრულ-ქართული 39
3. მეგრულ-ქართულ-სვანური 18
4. მეგრულ-სვანური 1
5. ქართულიდან უცვლელად გადმოსული 43
6. სხვა ენათაგან ნასესხები 43
7. გაურკვეველი ეტიმოლოგიისა 17

### **პრეფიქსული წარმოება**

1. დანიშნულების პრეფიქსიანი 5
2. ზმნისწინი + ძირი 6

### **სუფიქსური წარმოება**

1. გასუბსტანტივებული 51
2. წარმოქმნილი ზედსართავი 14
3. მასდარი

- ა. -უ-ა დაბოლოებიანი 30
  - ბ. სხვადასხვა სუფიქსიანი 10
  - გ. ქართულიდან შეთვისებულ სუფიქსიანი 4
4. მიმღობა
- ა. -ილ ბოლოსართიანი 8
  - ბ. -ენჯ- ბოლოსართიანი 1

### პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება

- 1. მეგრულ ძირზე დართული მეგრული აფიქსები
  - ა. წარმოქმნილი 16
  - ბ. მასდარი 15
  - გ. მიმღობა 44
- 2. მეგრულ ძირზე დართული ქართული აფიქსები
  - ა. წარმოქმნილი 12
  - ბ. მასდარი 1
  - გ. მიმღობა 7

### კომპოზიტი

- 1. რედუპლიცირებული 6
- 2. ტოლადშერწყმული 7
- 3. ატრიბუტული
  - ა. არსებითი + ზედსართავი 9
  - ბ. არსებითი + მიმღობა 7
  - გ. ზედსართავი(მიმღობა) + მქონებლობის სახელი 5
  - დ. ზმნისართი + არსებითი 2

#### 4. მართული 6

### ტერმინოლოგიური შესიტყვება

1. ატრიბუტული 17

2. მართული 28

9. განხილულ ტერმინთაგან სამსავე ქართველურ ენაში წარმოდგენილია 18 ფუძე, მეგრულსა და ქართულში – 43. მხოლოდ მეგრულსა და სვანურისთვის საერთოა 2 ძირი.

საერთოქართველურია ცხენის სხეულის ნაწილების, შეფერილობის, სქესის, ასაკის, დანიშნულების, ზნის აღმნიშვნელი ტერმინები.

10. მეგრული და ლაზური ლექსიკის შედარებამ გვიჩვენა, რომ ლაზურში საკუთრივ ზანური (resp. ქართველური) ლექსიკის გვერდით აქტიურადაა წარმოდგენილი თურქულიდან ნასესხები ტერმინოლოგია. შემონახული ქართველური ფორმები კი ოდინდელი სახითაა წარმოდგენილი. ლაზურში ძირითადად დაცულია ცხენის სქესის, ასაკის, სხეულის ნაწილების, შეფერილობის აღმნიშვნელი ქართველური ფორმები.

11. ნასესხებ სიტყვათაგან (სულ 49 ერთეული) უმეტესობა აღმოსავლურენოვანვი სამყაროდანაა შეთვისებული. ძირითადად ნასესხებია ალკაზმულობის, სადგომის, ცხენის ჯიშის, იშვიათად ზნისა და ფერის აღმნიშვნელი ტერმინები.

12. საგულისხმოა, რომ მეგრულ მეცხენეობის ლექსიკაში არ ჩანს ბერძნული ლექსიკის კვალი. რაც არის (ბორია



„სწრაფი ცხენი“, ზედმიწ. „ქარი“) მეცხენეობის ლექსიკისათვის არ არის ძირეული. როგორც ჩანს, მეგრულში ამ დარგის ტერმინოლოგია იმდენად მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი, რომ, მიუხედავად ბერძნულენოვან გარემოსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა, ამ ენამ კვალი ვერ დაატყო მეცხენეობა-ცხენოსნობის მეგრულ ლექსიკას.

13. საგანგებოდ შევხებით აფხაზურ-მეგრულ ენობრივ ურთიერთობებს. ნაშრომში განხილულია 52 ლექსიკური ერთეული, რომელიც საერთოა მეგრულისა და აფხაზურისათვის. ეს ლექსიკა ოთხ ჯგუფადაა დიფერენცირებული: ა. მეგრული ან მეგრული გზით ქართულიდან (resp. ქართველურიდან) აფხაზურში ნასესხები მასალა (27 ერთეული); ბ. აღმოსავლურენოვანი სამყაროდან აფხაზურში შეთვისებული ლექსიკა, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ სესხებისას შუალედური რგოლი მეგრული უნდა ყოფილიყო (8 ერთეული); გ. აფხაზურიდან მეგრულში შემოსული სიტყვები (9 ერთეული); დ. ისეთი ლექსიკა, რომელიც ნასესხებია როგორც აფხაზურში, ისე ქართველურ ენებში, მაგრამ ჭირს მათი სესხების მიმართულების გარკვევა (6 ერთეული), 2 საერთოკავკასიური ძირის ლექსიკა.

აფხაზური ლექსიკა პრაქტიკულად არ დასტურდება ლაზურ დიალექტში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ლექსიკა ზანურში (მეგრულში) შემოვიდა მეგრელებისა და ლაზების ტერიტორიული გათიშვის შემდეგ (VIII-IX ს.ს.).

აზაზურში შესული ქართველური ლექსიკა გვავარაუდებინებს ამ ტერმინთა აფხაზურ-აზაზურში შეთვისების ქრონოლოგიას, XVI საუკუნემდე.

აფხაზურიდან მეგრულში ძირითადად ნასესხებია ცხენის სადგომის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც მთის ლანდშაფტს უკავშირდება.

14. ორიოდ სიტყვა რუსული ენიდანაა ნასესხები (**სედლო, ტორმუზი**). ეს ტერმინები გვაქვს ქართული ენის დასავლურ დიალექტებშიც და აფხაზურ ენაშიც (**ა-სედლა**).

15. მეგრული მეცხენეობის ლექსიკის 20-ზე მეტი ერთეული ზანიზმადაა ქცეული სალიტერატურო ქათრული ენისა თუ მისი დიალექტებისთვის, გვხვდება ძველ ქართულში. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ მეგრულს ქართული ენის დიალექტების მსგავსად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების საქმეში.

16. ნაშრომში არის მცდელობა ცალკეულ ლექსებათა ეტიმოლოგიის დადგენისა. ზოგიერთი მათგანი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულისგან განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული.

17. ყურადღებას იქცევს მეგრულში შენიშნული ტენდენცია ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა ლექსიკალიზაციისა, რასაც ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მეგრულში ხშირ შემთხვევაში დღემდე ერთმანეთის გვერდით დასტურდება როგორც ამოსავალი ორწევრიანი ტერმინოლოგიური შესიტყვებები, ისე მათგან მომდინარე ერთწევრიანი, უკვე ლექსიკალიზებული ფორმები. მაგალითად, **საპანე** „საპალნი“ > **საპანეში ცხენი** „საპალნის ცხენი“ > **საპანეში** ზედმ. „საპალნისი“.

## Лексика коневодства и верховой езды в Занском языке

### Резюме

Коневодство с древнейших времен занимало важнейшее место в жизни мегрелов. Развитие этой отрасли определило разнообразие коневодчества в мегрельском диалекте.

На сегодняшний день из-за технического прогресса и изменений бытовых условий забыты правила, обычаи, ритуалы касающиеся коневодчества. Соответственно утрачены или семантически затуманены многие лексические единицы.

Данная работа представляет первую попытку изучения лексики одной из древнейшей хозяйственной отрасли в лексическом, семантическом, этимологическом и сравнительном аспекте. Выделены морфологические структурные группы и классифицированы. Рассмотрены процессы терминологизации, словесные маркирования предметов а так-же морфологические средства передачи понятий.

В работе проанализированы сохранившиеся лексемы в мегрельских словарях (И. Кипшидзе, Г. Чарая, Г. Элиава), этнографических источниках (А. Ламберти, Ж. Шарден, Т. Сахокия, И. Джавахишвили. Ц. Бжания, С. Макалатия...), образцах устного творчества, а так-же материалы добытые нами во-время полевых работ во всех регионах мегрелии.

В труде рассмотрены 502 лексических единиц, разделены на 16 семантических групп.

Из рассмотренных форм 186 лексических единиц – простые основы. Этими словами в основном передаются термины обозначающие пол лошади. Возрастную дифференциацию частей тела, убранства: **vaqa** // **varqa** «жеребец», **kvira** «жеребенок» ...

Из образованных лексем более скудно представлены термины префиксиального происхождения – всего 11 единиц, **mo-sa-nciri** «подпруга», **sa-zindi** «сухожилие»... Солидные места занимают термины суффиксиального (118 единиц, **pol-o** «непарное копыто», **kvis-or-i** «лошадь песочного цвета»...) и префиксиального-суффиксиального происхождения (95 единиц: **o-cxen-e** «конюшня» **o-ncka-s-i** «3-х летний жеребец»).

В коневодческой лексике в равном количестве представлены отглагольные имена: масдар 63 единиц, причастие 64 единиц. Масдаром в основном передаются термины связанные с движением коня, физиологией, уходом, спортивными играми: **kursua** «скакать», **motinua** «встать на дыбы», **gorulapa** / **gerulapa** «скачки»... Причастием передаются термины обозначающие стойло коня, наружность, характер лошади: **orgesali** «место где выезжают коней», **dackolebuli** «кляча»...

42 единиц обозначающих масть лошади, части тела: повадки и внешность представлены композитами: **cuburi-speri** «карая», **rasi-cita** «темно-красный», **kvar-birguli** «колени»... Терминологических словопрений 45 единиц, из них 17 атрибутивные, 28 управляемо определяющие синтагмы: **txitx tkebi** «кожа бока», **birgulis cxeni** «быстроногий конь»...

Сравнение мегрельской и лазской лексики показало что в лазском диалекте рядом с занской (картвельской) лексики активно представлена взаимствованная с турецкого терминология, но в определенных семантических группах

преобладает общекартвельская лексика. В основном это касается терминов обозначающих части тела, масти, пола и возраста. Здесь же отметим, что в лазских формах сохранена прежнее (общекартвельское) положение.

Большинство из заимствованных лексических единиц (48 единиц) усвоены из восточоязычного мира. Более 20-ти единиц мегрельского коневодчества превращены в занализм для литературного грузинского языка и для ее диалектов. Встречаем и в древнегрузинском.

Кроме изучения коневодческой терминологии в мегрельском диалекте нашей целью было исследовать мегрело-абхазские языковые отношения, представленные в этой отрасли.

В мегрельских и абхазских общезыковых материалах (подразумеваются общекавказские корни и взаимствования) солидное место занимает животноводческая лексика. У нас была возможность понаблюдать за тематикой этой лексики и мы получили довольно важный результат: значительная часть, почти больше половины содержит малоформатную кочевническую отрасль, т. н. трансгумансэ. в которую входит и коневодчество.

Известно, что исторически мегрелы и абхазы были скотоводами. Материалы этнографического характера, а также исследованные нами в селе Мужава трансгуманские маршруты показали, что летние пастбища сел ингурского ущелья начинались с территории мегрелии и продолжались по абхазско-сванскому хребту вплоть до Карачая. По этим дорогам и пастбищам мегрельские и абхазские скотоводы имели между собой интенсивные отношения.

Все это даст возможность, дать разъяснение вышеуказанному лексическому множеству в обеих языковых

единицах. В работе представлены 52 лексические единицы, которые являются общими для мегрельского и абхазского. Эти лексические единицы дифференцированы на 4 группы: 1. Взаимстванные с мегрельского или через мегрельский с грузинского (картвельского) 27 единиц: мег. **orcani** > абх. **a-warcan** «артачливый конь», мег. **gorgolia** > абх. **a-gorgol** «обручь. уздечки»... 2. Усвоенная лексика с восточноязычного мира, в которой явно видно, что во время взаимствования промежуточным звеном был мегрельский (7 единиц), перс. **carvadar** > груз. **carvadari** > мег. **calandari** > абх. **a-calandar** «вьючная лошадь», араб. **enad** > мег. **nodia** > абх. **a-nadi** «ленивая лошадь»... 3) слова, вошедшие в мегрельский с абхазского языка (9 единиц): абх. **a-pdan** > мег. **abdani** «путы из железной цепи», абх. **agvara** > мег. **agvara** «стойла для животных». 4. Лексика взаимствованная как в абхазском, так и в грузинском языках, но трудно определить направленность их взаимствования (7 единиц): абх. **a-lagama** > мег. **lagami** «удила», абх. **a-naxota**, мег. **naxuta** «часть седла», абх. **a-markap**, мег. **markapa** «запасный конь»... Две лексические единицы<sup>1</sup> имеют общекавказский корень.

Ни одна абхазская единица не подтверждается в лазском диалекте, что указывает на то, что эта лексика в занском (мегрельском) вошла после территориального разобщения мегрелов и лазов (8-9вв).

Отношения в основном имеют локальный характер, хотя должны отметить, что отдельные лексические единицы проникли с одной стороны в абазинский язык, а с другой стороны в грузинских диалектах и сванском языке.

Полагаем, что полный анализ материала, определение хронологии и направленности взаимствования по разным семантическим группам дает возможность предполагать, что

языковые контакты обусловлены не только территориальной близостью, но и обязательным и неизбежным сельскохозяйственным взаимоотношением между двумя языковыми коллективами.

В данной работе есть попытка установления этимологии отдельных лексических единиц.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. აბაევი 1958 – В. И. Абаев. Историко-этимологический словарь осетинского языка. I. Москва-Ленинград.
2. აბაევი 1973 – В. И. Абаев. ИЭСОЯ, т. 2. Ленинград.
3. აბაევი 1979 – В. И. Абаев. ИЭСОЯ, т. 3. Ленинград.
4. აბაევი 1989 – В. И. Абаев. ИЭСОЯ, т. 4. Ленинград.
5. ალავიძე 1938 – მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. I. პროფ. ვ. ბერიძის რედაქტორობით. თბილისი.
6. ამიჭბა 1975 – С. А. Амичба. Термины коневодства в абхазско-абазинских диалектах. იკე-ს წელიწდეული. II. თბილისი.
7. ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბილისი.
8. არაბული 1988 – ა. არაბული. თრქუნ- და თქერ- (თქრ) ზმნურ ფუძეთა ანალიზისათვის ქართულში (სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან მიმართებით). ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.
9. არაბული 1989 – ა. არაბული. ცხოველთა ასაკისა და სქესის ასახვა მესაქონლეობის ლექსიკაში. დიალექტოლოგიური კრებული. თბილისი.
10. არაბული 1997 – ა. არაბული. სახელისა და ზმნის დე-რივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართვე-



- ლურ ენებში. ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა. თბილისი.
11. არაბული 1998 – ა. არაბული კოპალა თეონიმის წარმომავლობისა და პირვანდელი შინაარსისათვის. ქართველური ონომასტიკა. I. თბილისი.
  12. არშბა 1980 – Н. В. Аршба. Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми.
  13. ასათიანი 1974 – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები. I. ხოფური კილოკავი. თბილისი.
  14. ბასკაკოვი 1977 – А. Н. Баскаков... Турецко-русский словарь. Москва.
  15. ბადათურია 1991 – ნ. ბადათურია. ნასესხობანი მეგრულში. ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.
  16. ბადათურია 1996 – ნ. ბადათურია. ლაფშა-ს ეტიმოლოგიისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. VI. თბილისი.
  17. ბედოშვილი 1986 – გ. ბედოშვილი, ჯორჯ- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. სოხუმი.
  18. ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე. სიტყვის კონა რაჭულ და იმერულ თქმათა. სანქტ-პეტერბურგი.
  19. ბერიძე 1981 – გრ. ბერიძე. ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი.
  20. ბეროზაშვილი 1981 – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვი-

- ლი, ლ. ნოზაძე. ქართლური დიალექტის ლექსიკონი. თბილისი.
21. ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания. Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми.
  22. ბლაჟბა 1948 – Х. С. Бгажба. Общие корни (и основы) в абхазском и картвельских языках. იკე, ტ. I. თბილისი.
  23. ბლაჟბა 1964 – Х. С. Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка. Тбилиси.
  24. გაბუური 1923 – ბ. გაბუური. ვეცსურული მასალები. ლექსიკონი შედგენილი აკ. შანიძის მიერ. ქართული საენათმეცნ. საზოგად. წელიწდეული, I-II, თბილისი.
  25. გამსახურდია 1990 – კ. გამსახურდია. მთვარის მოტაცება. თბილისი.
  26. გამყრელიძე 1959 – თ. გამყრელიძე. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბილისი.
  27. გამყრელიძე, ივანოვი 1984 – Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы. Тбилиси.
  28. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. თბილისი.
  29. გაჩეჩილაძე 1970 - პ. გაჩეჩილაძე. ქართლურის სალექსიკონო მასალა. იკე, ტ. 17. თბილისი.
  30. გაჩეჩილაძე 1976 - პ. გაჩეჩილაძე. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი.

31. გელენიძე 1974 - ლ. გელენიძე. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში. თბილისი.
32. გვანცელაძე 1988 - გ. გვანცელაძე, ბატკან- და მწევარ-ფუძეთა ისტორიისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.
33. გვანცელაძე 1997 - თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა. თბილისი.
34. გვანცელაძე 1997-ა – თ. გვანცელაძე. 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზეთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია. აღმანახი "არტანუჯი", #6, თბილისი.
35. გვანცელაძე 1998 – Т. И. Гванцеладзе. Тенденции дифтонгизации в заимствованных словах в абхазском языке. IX международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Махачкала.
36. გიგინეიშვილი 1981 – ბ. გიგინეიშვილი. მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #2, თბილისი.
37. გოგებაშვილი 1999 – ც. გოგებაშვილი. ფერის აღმნიშვნელ ლექსემათა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი სვანურ ენაში. ავტორეფერატი ფილოლ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციისა. თბილისი.

38. გორდეზიანი 1985 – რ. გორდეზიანი. წინარებერძნული და ქართველური. თბილისი.
39. გუდავა, ცანავა 1975 – ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება. მეგრული ტექსტები. I. პოეზია. გამოსაცემად მოამზადეს ტ. გუდავამ და ა. ცანავამ. თბილისი.
40. გუდავა 1979 – ტ. გუდავა. ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში. საენათმეცნიერო კრებული. თბილისი.
41. გურგენიძე 1989 – ნ. გურგენიძე. რამდენიმე თურქული ნასესხობის შესახებ თუშურ კილოში. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. #4. თბილისი.
42. დანელია 1984 – კ. დანელია. მეგრულ-ქანური ლექსიკა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 245. თბილისი.
43. დანელია 1991 – კ. დანელია. მეგრულ-ქანური ლექსიკის საკითხები. ქართული ხალხური სიტყვიერება. II. თბილისი.
44. დანელია, ცანავა 1991 – ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება. მეგრული ტექსტები. II. ზღაპრები და მცირე ჟანრები. გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ. თბილისი.
45. დაუროვი 1975 – Х. Б. Дауров. Лексика животноводчества в адыгейском языке. იკე-ს წელიწდული. II. თბილისი.
46. ელიავა 1997 – გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. მარტვილი-თბილისი.
47. ვახანია 1959 – О. Вахания. Абхазские народные игры.

Сухуми.

48. თოფურია 1937 – ვ. თოფურია. **ენჯ** სუფიქსი მეგრულში. ენიმკ-ის მოამბე. I. თბილისი.
49. კაიშაური 1967 – ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობრივი ლექსიკა. თბილისი.
50. კაიშაური 1978 – ლ. კაიშაური. მთიულური ტექსტები. თბილისი.
51. კარტოზია 1968 – გ. კარტოზია. მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის. ქართული ლიტერატურის საკითხები. თბილისი.
52. კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая (пастушеская) лексика в абхазском языке. Сухуми.
53. კლიმოვი 1964 – Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков. Москва.
54. კლიმოვი 1986 – Г. А. Климов. Введение в кавказское языкознание. Москва.
55. კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე. რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი.
56. კობერიძე 1999 – მ. კობერიძე. ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა. ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციისა. თბილისი.
57. კუმახოვა 1975 – З. Ю. Кумахова. Термины коневодства в адыгских языках. იკე-ს წელიწდეული. II. თბილისი.
58. ლამბერტი 1938 – არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი.
59. ლეონიძე 1925 – ლ. ლეონიძე. მესაქონლეობის ლექსი-

- კონი. თბილისი.
60. ლიპარტელიანი 1994-1997 – ა. ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი. ჩოლურული კილო. ტ. I-II. თბილისი.
  61. ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აზერული ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი.
  62. ლომთათიძე 1981 – ქ. ლომთათიძე. ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პროცესის საკითხი აფხაზურში. კრებული „აკაკი შანიძეს“. თბილისი.
  63. ლომთათიძე 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი. მთავარი რედაქტ. ქ. ლომთათიძე. თბილისი.
  64. ლომთათიძე 1984 – ქ. ლომთათიძე. კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში. თბილისი.
  65. ლომთათიძე 1991 – ქ. ლომთათიძე. კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივ მიმართებათა გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშიერის სახელთა მიხედვით). ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.
  66. ლომთაძე 1999 – ა. ლომთაძე. სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში. თბილისი.
  67. მაკალათია 1941 – ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი.
  68. მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского)

языка с хрестоматией и словарем. С-Пб.

69. მარი 1912 – Н. Я. Марр. Яфетические элементы в языках Армении. С-Пб.
70. მარტიროსოვი 1984 – არ. მარტიროსოვი. ქართული ენის ჯავახური დიალექტი. გამოკვლევა და ტექსტი ლექსიკონითურთ. თბილისი.
71. მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი. საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. თბილისი.
72. მაჭავარიანი 1966 – გ. მაჭავარიანი. სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში. იკე, XV. თბილისი.
73. მელიქიშვილი 1975 – ი. მელიქიშვილი. ე > ი პროცესი ზანურ დიალექტებში და ხმოვანთა შესატყვისობის ერთი დარღვევა ქართველურ ენებში. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. #4. თბილისი.
74. მელიქიძე 1974 – ს. მელიქიძე. ჯავახურის დარგობრივი ლექსიკა. სადისერტაციო ნაშრომის ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი). თბილისი.
75. მენტემაშვილი 1943 – სტ. მენტემაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბილისი.
76. მენტემაშვილი 1970 – სტ. მენტემაშვილი. ქართლურის სალექსიკონო მასალა. იკე. ტ. 17. თბილისი.
77. მესხიშვილი 1970 – მ. მესხიშვილი. მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის. იკე. ტ. 17. თბილისი.
78. მიქიაშვილი 1986 – ო. მიქიაშვილი. დაკვირვებანი მე-

- გრულის დარგობრივ ლექსიკაზე. VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. სოხუმი.
79. მიქიაშვილი 1987 – ო. მიქიაშვილი. დაკვირვებანი ბზიფის ხეობაში მცხოვრებ ზემორაჭველთა მესაქონლეობის ლექსიკაზე. IX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები. გორი.
80. ნადარეიშვილი 1964 – ლ. ნადარეიშვილი. მასდარის ფუძის საკითხისათვის ზანურში. მაცნე. ენისა და ლიტ. სერია, #6, თბილისი.
81. ნათაძე 1959 – ნ. ნათაძე. თემის ნიშნები ქართველურ ენებში. იკე, XI. თბილისი.
82. ნარაკიძე 1983 – ც. ნარაკიძე. ლაზური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV. თბილისი.
83. ნიკოლაიშვილი 1986 – ე. ნიკოლაიშვილი. შინაური ფრინველებისა და ცხოველების ამსახველი ლექსიკა გურულში. VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები. სოხუმი.
84. ნიკოლაიშვილი 1999 – ე. ნიკოლაიშვილი. გურული და აჭარული ლექსიკის ურთიერთმიმართებისათვის. ქართველური მემკვიდრეობა. III. ქუთაისი.
85. ნიჟარაძე 1957 – შ. ნიჟარაძე. ზემოაჭარულის თავისებურებანი. გამოკვლევა და ტექსტი ლექსიკონითურთ. ბათუმი.
86. ჟღენტაი 1936 – ს. ჟღენტაი. გურული კილო. გამოკვლევა,



- ტექსტები, ლექსიკონი. თბილისი.
87. ჟღენტი 1938 – ს. ჟღენტი. ჭანური ტექსტები. არქაბული კილოკავი. თბილისი.
  88. ჟღენტი 1953 – ს. ჟღენტი. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა. თბილისი.
  89. რობაქიძე 1986 – Земледелие и скотоводство у абхазов (Материалы к историко-этнографическому атласу Грузии). Редакторы И. Робакидзе, Л. Акаба. Тбилиси.
  90. როგავა 1941 – გ. როგავა. სიტყვაწარმოების საერთო საფუძვლებისათვის ქართველურსა და აფხაზურ-უბიხურ-ადიღეურ ენებში. სმა მოამბე, ტ. II, #5, თბილისი.
  91. როგავა 1946 – გ. როგავა. ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში. იკე, I, თბილისი.
  92. როგავა 1947 – გ. როგავა. დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში. თსუ შრომები. ტ. XXX ბ. თბილისი.
  93. როგავა 1959 – გ. როგავა, ქართველურ ენათა შესატყვისობიდან. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. I. თბილისი.
  94. როგავა 1962 – გ. როგავა. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I. თბილისი.
  95. როგავა 1975 – გ. როგავა. ქართული ე, ზანური ი ხმოვანთა შესაბამისობის ახსნისათვის. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი.
  96. როგავა 1987 – გ. როგავა. წათე – ლაზიკის მეფეთა სახელის წარმომავლობა. ეტიმოლოგიური ძიებანი.

თბილისი.

97. საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I-II. თბილისი.
98. სალარიძე 1986 – თ. სალარიძე. მეცხენეობის ლექსიკა ალგეთის ხეობის ქართლურში. VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. სოხუმი.
99. სამუშია 1971 – ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ტექსტები). მოამზადა კ. სამუშიამ. თბილისი.
100. სამუშია 1979 – კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი.
101. სახოკია 1950 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. I. თბილისი.
102. სახოკია 1985 – თ. სახოკია. მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. ბათუმი.
103. სურმავა 1983 – ნ. სურმავა. სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. IV. თბილისი.
104. სურმავა 1990 – ნ. სურმავა. მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VII. თბილისი.
105. სუხიშვილი 1989 – მ. სუხიშვილი. წველის აღმნიშვნელი სვანური ლოზგი ტერმინისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.
106. უთურგაიძე 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი.

107. უსლარი 1887 – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис.
108. ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.
109. ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი.
110. ფოჩხუა 1987 – ბ. ფოჩხუა. თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი. ნაკვეთი I. თბილისი.
111. ფუტკარაძე 1990 – შ. ფუტკარაძე. მეცხვარეობის ლექსიკისათვის აჭარულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII. თბილისი.
112. ქავთარაძე 1972 – ი. ქავთარაძე. რამდენიმე საერთო ხმარების სიტყვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. თსუ შრომები, B (142). თბილისი.
113. ქავთარაძე 1985 – ი. ქავთარაძე. ქართული ენის მოხეური დიალექტი. გამო კვლევა, ტექსტები, ლექსიკონი. თბილისი.
114. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი.
115. ქერქაძე 1974 – ი. ქერქაძე. ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში. თბილისი.
116. ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია. ლაზური პარამითეფე. თბილისი.
117. ღამბაშიძე 1988 – რ. ღამბაშიძე. ქართული ენის ინგი-

- ლოური კილოს ლექსიკონი. თბილისი.
118. ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი.
  119. ღლონტი, 1996 \_ დ. ღლონტი. ჳოცა ზმნის სემანტიკი-სათვის. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტი-ტუტის 55-ე სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი.
  120. ყოფშიძე 1911 – ი. კიპშიძე. Дополнительные сведения о чанском языке. С.-Пб.
  121. ყოფშიძე 1914 – ი. კიპშიძე. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.
  122. შაგიროვი 1977 – ა. კ. შაგიროვ. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва.
  123. შაგიროვი 1989 - ა. კ. შაგიროვ. Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва.
  124. შამილაძე 1974 – ვ. შამილაძე. მესაქონლეობა სამეგრე-ლოში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. II. თბილისი.
  125. შამილაძე 1986 – ვ. შამილაძე. მესაქონლეობა საქართვე-ლოში. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები. თბილისი.
  126. შანიძე 1953 – ავ. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძ-ვლები. I. მორფოლოგია. თბილისი.
  127. შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე. გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. I. პროფ. ვ. ბერიძის რე-დაქტორობით. თბილისი.

128. შარდენი 1975 – ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მაგალობლიშივილმა. თბილისი.
129. შაყრილი 1968 – К. С. Шакрыл. Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках. Сухуми.
130. შაყრილი 1971 – К. С. Шакрыл. Очерки по абхазско-адыгских языках. Сухуми.
131. შენგელია 1999 – ვ. შენგელია. მეგრული ტკუტკუბურო. ქუთაისური საუბრები–VI. ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი.
132. შეროზია, მემიშიში 1994 – ხალხური სიბრძნე. I. მეგრული და ლაზური ანდაზები. შემდგენლები რ. შეროზია და ო. მემიშიში. თბილისი.
133. ჩიქვანაია 1998 – ა. ჩიქვანაია. მეგრული ხატოვანი სიტყვა-გამოთქმანი. თბილისი.
134. ჩიქობავა 1929 – არნ. ჩიქობავა. ჭანური ტექსტები. ნაკვეთი I. ხოფური კილოკავი. თბილისი.
135. ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. თბილისი.
136. ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.
137. ჩიქობავა 1940 – არნ. ჩიქობავა. ქართული ძვალ- ფუძის ზანური შესატყვისისათვის. სმა მოამბე, ტ. 1. #1. თბილისი.

138. ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი.
139. ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმნითურთ. თბილისი.
140. ცაგარელი 1880 – А. Цагарели. Мингрельские этюды. II выпуск. Опыт фонетики мингрельского языка. С.-Пб.
141. ცოცანიძე 1978 – გ. ცოცანიძე. ფშაური დიალექტი. თბილისი.
142. ცხადაია 1999 – ვ. ცხადაია. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I. თბილისი.
143. ცხადაია 1999-ა – ვ. ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე. ქართველური მემკვიდრეობა. III, ქუთაისი.
144. ძოწენიძე 1974 – ე. ძოწენიძე. ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი.
145. წერეთელი 1938 – ბ. წერეთელი. ზემოიმერული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. I. პროფ. ვ. ბერიძის რედაქტორობით. თბილისი.
146. ჭარაია 1912 – П. Чарая. Об отношении абхазского языка к яфетическим. С.-Пб.
147. ჭარაია 1997 – ვ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.
148. ჭარაია 1997-ა – ვ. ჭარაია. მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.
149. ჭინჭარაული 1989 – ა. ჭინჭარაული. ლოყა და ღაწუ სი-

- ტყვათა ისტორიისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.
150. ჭყონია 1910 – ი. ჭყონია. სიტყვის კონა სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით. სანქტ-პეტერბურგი.
  151. ხაბიჩევი 1980 – М. Хабичев. Взаимовлияние языков народов Западного Кавказа. Черкеск.
  152. ხუბუა 1945 – მ. ხუბუა. სპარსული წარმოშობის სიტყვები მეგრულში, სმა მოამბე, VI, 19. თბილისი.
  153. ხუბუტია 1969 – პ. ხუბუტია. თუშური კილო. ლექსიკა. თბილისი.
  154. ჯავახიშვილი 1950 – ი. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი.
  155. ჯავახიშვილი 1986 – მასალები. საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა. თბილისი.
  156. ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.
  157. ჯაფარიძე 1966 – ზ. ჯაფარიძე. მესაქონლეობის ლექსიკა (სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად განლაგების ცდა ხუნძური ენის მასალაზე). იკე, XV. თბილისი.
  158. ჯიქია 1975 – ს. ჯიქია. თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობებიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	3
თავი 1. ცხენის ჯიშის, დანიშნულების, სქესის, ასაკისა და გახედნა-დაკოდვის აღმნიშვნელი ლექსიკა .....	9
§ 1. ცხენის ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინები .....	9
§ 2. ცხენის დანიშნულების აღმნიშვნელი ტერმინები .....	17
§ 3. ცხენის სქესისა და ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი ტერმინები .....	26
§ 4. ცხენის გახედნასა და დაკოდვასთან დაკავშირებული ტერმინები .....	36
ცხენის ჯიშის, დანიშნულების, სქესის, ასაკისა და გახედნა-დაკოდვის აღმნიშვნელი ტერმინების სტრუქ- ტურული მოდელები .....	42
თავი 2. ცხენის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექ- სიკა.....	44
ცხენის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკის სტრუქტურული მოდელები .....	97
თავი 3. ცხენის შეფერილობის, გარეგნობის, ფიზიოლოგიისა და ავადმყოფობის აღმნიშვნელი ლექსიკა .....	100
§ 1. ცხენის შეფერილობის აღმნიშვნელი ტერმინები .....	100
§ 2. ცხენის გარეგნობის აღმნიშვნელი ტერმინები .....	120
§ 3. ცხენის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ტერ- მინები.....	131



§ 4. ცხენის ავადმყოფობის აღმნიშვნელი ლექსიკა .....	136
ცხენის შეფერილობის, გარეგნობის, ფიზიოლოგიისა და ავადმყოფობის აღმნიშვნელი ტერმინების სტრუქტურული მოდელები .....	141
თავი 4. ცხენის ხმიანობის, ზნის, მოძრაობის, ცხენოსნობისა და სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკა .....	144
§ 1. ცხენის ხმიანობის აღმნიშვნელი ტერმინები .....	144
§ 2. ცხენის ზნის აღმნიშვნელი ტერმინები .....	148
§ 3. ცხენის მოძრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა .....	158
§ 4. ცხენოსნობისა და სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკა .....	171
ცხენის ხმიანობის, ზნის, მოძრაობის, ცხენოსნობისა და სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკის სტრუქტურული ანალიზი .....	181
თავი 5. ცხენის აღკაზმულობის, სადგომის აღმნიშვნელი და მოვლასთან დაკავშირებული ტერმინები .....	184
§ 1. ცხენის აღკაზმულობის აღმნიშვნელი ტერმინები ...	184
§ 2. ცხენის სადგომის აღმნიშვნელი ტერმინები .....	211
§ 3. ცხენის მოვლა-პატრონობის აღმნიშვნელი ტერმინები.....	224
ცხენის აღკაზმულობის, სადგომის აღმნიშვნელი და მოვლასთან დაკავშირებული ტერმინების სტრუქტურული მოდელები .....	232
დასკვნითი დებულებები .....	235
რეზიუმე .....	242
გამოყენებული ლიტერატურა .....	247
სარჩევი .....	263

